პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!
წელიწადი მეათე

კომუნისტი

საქ. კომუნისტური პარტიის ცენტრალური და თბილისის
კომიტეტების
და
სრულიად საქართველოს
მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცაკის ორგანო

რედაქცია
თბილისი, კამოს (ყოფ. დიდი მთავრის) ქ. № 68, მეორე სართული
რედაქციაში საქმეზე მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა დილის 10 საათიდან და შის 12 საათამდე.
ტელეფ.) რედაქტორის 14—76
) მდივნის 10—68

მთავარი კანტორა თბილისი რუსთაველის პროსპექ., № 24, ტელეფონი № 8 81
ხელისმოწერის ფასი
მუშა - მოსამსახურეთათვის, გლეხების წითელარმიელების, მოწ. ფენების და მასწავლებლებ სათვის — 1 მან., დანარჩენებსათვის—1 მან., 30 კ.
საქართველოს ფარგლებში: ნონპარელის სტრიქონი ტექსტის ბოლოში—80 კაპ., ტექსტის შიგნით—1 მ. 60 კაპ.; საქართველოს გარეთ: ტექსტის ბოლოს ნონპარელის სტრიქ.—1 მ. 50 კაპ., ტექსტში—3 მან.; განცხადებელი. გარდა განცხადების ფასისა, იხდის 10 % საქალაქო გადასახადს. თუ განცხადება იბეჭდება ხუთჯერ ტექსტის შეუცვლელად—შეღავათი შეთანხმებით. მთავარ კანტორაში განცხადებები მიიღება 9-დან 3½ საათამდე. შემდეგ განცხადება ეღირება 20%-ით მეტი. სამგლოვიარო განცხადებები—15, 20 და 25 მან. „კომუნისტი"-ს ექსპედიცია მოთავსებულია კამოს ქ. № 68, ტელ. 5—43

დ ღ ი უ რ ი

- სექტემბრიდან შეერთ. შტატებში სამუშაო დაჰკარგა 500.000 კაცმა.
- მასიური დაპატიმრებანი იტალიაში.
- მანჯურიაში მოქმედებას ანახლებენ საბჭოთა სამეურნეო ორგანიზაციები.
- ბერლინის პოლიციამ კონფისკაცია უყო „როტე ფანე"-ს.
- პოლონეთში 223.000 აღრიცხული უმუშევარია.
- პარიზის რკინისგზელების ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ.
- „საბჭოთა ქვეყნის" გადაფრენის მონაწილენი ბაქოში.

კვირა, 19 იანვარი 1930 წ.
ყოველდღიური გაზეთი
ფასი 5 კაპ. № 16 (2664)

კოლმეურნეობათა მშენებლობის ახალ ეტაპზე

საქართველოს კ. პ. (ბ) ცეკას ამ დღეებში დამთავრებული პლენუმის რეზოლიუციაში, რომელიც მან მიიღო ამხ. კახიანის მოხსენების გარშემო, ვკითხულობთ: „პლენუმი, აღნიშნავს რა ღარიბ და საშუალო გლეხობის მასიურ ლტოლვას კოლმეურნეობისაკენ, ავალებს პრეზიდიუმს — გადასინჯოს გეგმით გათვალისწინებული კოლექტივიზაციის ტემპები იმ მხრივ, რომ გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიისათვის მიღწეულ იქნას გლეხურ მეურნეობათა არა ნაკლებ ერთი-მესამედის კოლექტივიზაცია, ხოლო 1931 წლის დამლევისათვის ან, ყოველ შემთხვევაში, 1932 წლის გაზაფხულისათვის საერთოდ დამთავრდეს მთელი საქართველოს კოლექტივიზაცია.".

ასეთი ტემპი, რომელიც სულ ამ ცოტა ხნის წინად მიუღწეველად ითვლებოდა, სავსებით რეალურია, თუ მხედველობაში მივიღებთ ბოლო თვეებში მეტად ფართო მასშტაბით გაშლილ კოლმეურნეობრივ მოძრაობას და იმ პირობებს, რომლებიც არსებობენ და იქნებიან მის კიდევ უფრო დასაჩქარებლად. ამისათვის საჭიროა კოლმეურნეობათა მშენებლობის სწორი ხელმძღვანელობა და დასახულ ამოცანის გადასაჭრელად ყველა ჩვენი ძალების და საშუალებათა მობილიზაცია. ამ მხრივ, საქ. კ. პ. (ბ) ცეკას ნოემბრის პლენუმის და საქ. კ. პ. (ბ) ცეკას იანვრის დირექტივების საფუძველზე საჭირო მითითებებს გვაძლევს საქ. კ. პ. (ბ) ცეკას უკანასკნელი პლენუმის რეზოლიუცია კოლმეურნეობათა მშენებლობის შესახებ.

ჩვენ აქ შევჩერდებით ძირითად საკითხებზე, რომლებიც დაკავშირებულია კოლმეურნეობათა მოძრაობასთან ახლანდელ ეტაპზე. კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების ხვედრითი წონის გადიდებამ სოფლის მეურნეობაში და საშუალო გლეხობის მასიურმა ლტოლვამ კოლმეურნეობისაკენ შექმნეს აუცილებელი პირობები, რომ პრაქტიკულ ამოცანად დაგვესახა კულაკობის, როგორც კლასის, სრული განადგურება უახლოეს დროში. თავისთავად ცხადია, რომ, თუ ჩვენი შეტევა კაპიტალისტურ ელემენტებზე სოფლად ყოველთვის მიმდინარეობდა გამწვავებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში, ახლა ეს ბრძოლა უკიდურესობამდე აღწევს. კულაკობა უკანასკნელ ღონისძიებებს მიმართავს თავის გადასარჩენად და კოლმეურნეობრივი მშენებლობის ჩასაშლელად. ხშირდება კოლმეურნეობათა ქონების ცეცხლის წაკიდება, თავდასხმები კოლმეურნეობათა მშენებლობის ინიციატორებზე, იმ გლეხობის დაშინება, რომლებიც კოლმეურნეობაში შედიან და სხვ. იქ კი, სადაც ასეთი ზომებით თავს ვერ გადიან, კულაკები ცდილობენ სახე გამოიცვალონ, კოლმეურნეობათა მომხრეებად გამოაცხადონ თავი და შეძვრნენ იქ, რომ ისინი შიგნიდან გახრწნან. ჩვენ გადამჭრელი ზომები უნდა მივიღოთ ასეთი გამოსვლებისა და ცდების ასაკვეთად.

მაგრამ ჩვენ ვამჩნევთ, რომ აქა-იქ კარგად არა აქვთ შეგნებული, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა პირველ ყოვლისა არის გაათრებული კლასიური ბრძოლა და, რომ ამ მშენებლობის წარმატება გულისხმობს კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. არის შემთხვევები, როცა კოლმეურნეობათა მშენებლობის გეგმების შედგენის დროს საკითხის ამ მხარეს არ აქცევენ ყურადღებას, ან ნაკლებ ანგარიშს უწევენ. არის აგრეთვე ფაქტები, როცა ლაპარაკობენ კულაკების „მოთვინიერებაზე" და შესაძლებლად მიაჩნიათ მათი დაშვება კოლმეურნეობებში. ასეთი მდგომარეობა ძირფესვიანად უნდა იქნას აღმოფხვრილი. თავისთავად ცხადია, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა შეიძლება სწარმოებდეს მხოლოდ კულაკობასთან გადამწყვეტი ბრძოლის საფუძველზე. კერძოდ, მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში **კულაკებს მთლად უნდა ჩამოერთვას მიწა, ცოცხალი და მკვდარი ინვენტარი, მთელი მათი საწარმოო საშუალებანი.** ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ კოლმეურნეობა ყველგან უნდა გაიწმინდოს კულაკური ელემენტებისაგან.

სპეციალურად უნდა შევეხოთ სასოფლო საბჭოების როლის საკითხს მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში. ზოგიერთები აყენებენ წინადადებას, რათა ასეთ რაიონებში შეიკვეცოს საბჭოების უფლებები, კიდევ მეტი, სულაც გაუქმებულ იქნან ისინი და მათი ფუნქციები კოლმეურნეობებს გადაეცეს. ასეთი წინადადება, რომელიც ემყარება სრულიად შემცდარ აზრს, ვითომდა სოფლად კლასიურ ბრძოლის შენელებისა და კულაკობის თითქოს უკვე მიღწეულ „განიარაღების" შესახებ, გადაჭრით უნდა იქნას უარყოფილი. უაღრესად გაალმასებულ კლასიურ ბრძოლის პირობებში, რასაც ჩვენ განვიცდით, პროლეტარულ სახელმწიფოს ამ ორგანოების (სასოფლო საბჭოების) გაუქმება ნიშნავს მხოლოდ კულაკებისათვის სამსახურის გაწევას, მათთვის ხელფეხის გახსნას თავიანთი განწირული მდგომარეობის გამოსაკეთებლად და კონტრ-იერიშზე გადასასვლელად სოფლის სოციალისტური გარდაქმნის წინააღმდეგ, პროლეტარული დიქტატურის წინააღმდეგ. აშკარაა, ლაპარაკი შეიძლება არა სოფლის საბჭოების უფლებათა შეზღუდვასა და მათ ლიკვიდაციაზე, არამედ, პირიქით, მათი მუშაობის გაცხოველებასა და გაძლიერებაზე. სასოფლო საბჭოები ჯერ კიდევ ვერ გადაქცეულან სოფლის სოციალისტური რეკონსტრუქციის ნამდვილ ორგანიზატორებად. თუმცა ამ მხრივ მათ თვალსაჩინო მიღწევები აქვთ აუცილებლად უნდა მოხდეს გარდატეხა მათ მუშაობაში. საბჭოები უნდა გახდნენ კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის ხელმძღვანელები. ამ მიზნით აუცილებელია მათი შემადგენლობის გადახალისება, უცხო ელემენტების განდევნა იქიდან (ასეთები საბჭოებში კიდევ მოიპოვებიან), მოჯამაგირე და ღარიბ გლეხობის როლის გაძლიერება მმართველობისა და კონტროლის დარგში, **მათი მჭიდრო მასიური დარაზმვა. ეს აუცილებელი პირობაა კულაკობის წინააღმდეგობის საბოლოო დაძლევისა და მისი, როგორც კლასის, მოსპობისათვის.**

კულაკობასთან გადამჭრელ ბრძოლასთან ერთად, სოფლად კაპიტალისტური ნაშთების აღმოფხვრის მიზნით, განსაკუთრებული მნიშვნელობა აქვს თვით კოლმეურნეობათა ხარისხობრივ მაჩვენებლების გაუმჯობესებას. ამ მხრივ უწინარეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობათა განვითარების ახლანდელ საფეხურს უკვე აღარ შეეფერება გლეხურ მეურნეობების გაერთიანების მარტივი ფორმა, როცა დარჩენილია კერძო საკუთრება ძირითად საწარმოო საშუალებებზე. ჩვენი მორიგი ამოცანაა ამ საშუალებათა განსაზოგადოება. რა თქმა უნდა, ჩვენ აქ მოგვიხდება ბრძოლა კერძო - მესაკუთრეობითი ფსიქოლოგიასთან, რაც უმთავრესად გამოხატულებას პოულობს ხსენებულ საშუალებათა კერძოდ შენარჩუნების, ან გაყიდვის ცდებში. ჩვენ ყოველივე ამის წინააღმდეგ ენერგიული ღონისძიებები უნდა მივიღოთ.

გლეხობის საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება არა მარტო იმ მხრივაა უაღრესი ყურადღების ღირსი, რომ ამ გზით ჩვენ გადავდივართ კოლექტივიზაციის უფრო მაღალ ფორმაზე და სასიკვდილო ლახვარს ვცემთ კაპიტალიზმის ნაშთებს. ეს ამავე დროს გვაძლევს საშუალებას კოლექტიური მეურნეობანი უზრუნველვყოთ ცოცხალი გამწევი ძალით და სხვა ადგილობრივი საწარმოო საშუალებებით, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს ტრაქტორების და სხვა სასოფლო - სამეურნეო იარაღების სიმცირის პირობებში. არსებულ ტრაქტორებისა და სხვა მანქანების სავსებით კოლმეურნეობებში (პირველ ყოვლისა მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში) გამოყენებასა და მათი სათანადოდ დატვირთვასთან ერთად (კოლმეურნეობათა გამსხვილება - გაერთიანება), კოლმეურნეობანი ჩვენ უნდა მოვაწყოთ ცოცხალი გამწევი ძალის ((ცხენების და ხარ-კამეჩის კოლონები) საფუძველზე.

არა ნაკლებ მნიშვნელოვანია შრომის რაციონალური ორგანიზაცია კოლმეურნეობებში. კონკრეტული საწარმოო გეგმის შედგენა, შრომის დისციპლინის განმტკიცება, კოლექტივის თვითეული წევრის პასუხისმგებლობის გაძლიერება დაკისრებულ მოვალეობის შესრულებისათვის, მისი შემოქმედებითი აქტივობის გაშლა საწარმოო თათბირების მუშაობის გაცხოველებით და სოციალისტური შეჯიბრების მოწყობით, პროდუქციის სწორი განაწილება და სხვ.— აი, რას უნდა მიექცეს ყურადღება. ამ გზით ჩვენ მივაღწევთ შრომის ნაყოფიერების გადიდებას, მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას და სხვ.

თავისთავად ცხადია, ყველა ამ ამოცანების წარმატებით გადაჭრა გულისხმობს პარტიული ხელმძღვანელობის გაძლიერებას კოლმეურნეობრივ მშენებლობაზე და უკანასკნელის უზრუნველყოფას მომზადებული კადრებით. ამ მიმართულებით მუშაობა უნდა გავაძლიეროთ.

ამ და კოლმეურნეობრივ მოძრაობასთან დაკავშირებულ სხვა საკითხებზე უკვე გვაქვს გარკვეული დირექტივები, რომელთა სისწორით და მტკიცედ გატარებით ჩვენ უმოკლეს დროში უნდა მივაღწიოთ მთელი ჩვენი ქვეყნის სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციას და კულაკობის, როგორც კლასის, საბოლოო განადგურებას.

პარტიული აპარატის რეორგანიზაცია

საბჭოთა ხელისუფლების ისტორიას არ ახსოვს ჩვენი ქვეყნის სოციალისტური გარდაქმნის ისეთი ტემპები, რომლებიც ჩვენ ამჟამად მივაღწიეთ მრეწველობის, უწინარეს ყოვლისა, მძიმე მრეწველობის განვითარების, სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების და ყოფა-ცხოვრების გარდაქმნისა და კულტურული რევოლიუციის სფეროში. ამ ტემპებს საფუძვლად უდევს მუშათა კლასის, სოფლის ღარიბი და საშუალო გლეხობის უდიდესი, ჯერ კაცობრიობის ისტორიაში გაუგონარი აქტივობა, რომელიც დღითი-დღე იზრდება.

ამ აქტივობას ქმნის და წარმართავს პროლეტარული დიქტატურის მთელი აპარატი, კომუნისტური პარტიის მეთაურობით, რომელიც ავანგარდია მუშათა კლასის და რომელიც მთელ რიგ მამოძრავებელი ღვედების (პირველ ყოვლისა პროფკავშირთა საბჭოების) საშუალებით დაკავშირებულია მუშათა და მშრომელთა ფართო მასებთან.

ჩვენი ტემპები ემყარებიან არა მარტო მასების შეუპოვარ აქტივობას, არამედ პროლეტარიატის დიქტატურის იმ აპარატის მუშაობის ხარისხის გაუმჯობესებას, რომელიც კალაპოტში აყენებს და წარმართავს ამ აქტივობას, აპარატია, რომელსაც ეს აქტივობა გადააქვს ციფრების ენაზე და უფარდებს მას სამრეწველო პროდუქციის ზრდას, თვითღირებულების შემცირებას, შრომის ნაყოფიერების აწევას, სამუშაო ხელფასის გადიდებას, კოლმეურნეობების და ყველა იმ მაჩვენებლების ზრდას, რომლებისაგანაც იქმნება სოციალიზმის მშენებლობა ჩვენს ქვეყანაში. ამიტომ ჩვენ ასე განსაცვიფრებლად სწრაფად და ასე განსაცვიფრებლად მკაფიოდ ვგრძნობთ ყველა ისეთ შეფერხებას და ნაკლს ჩვენი აპარატის მუშაობაში, როგორიც არის გეგმების არა სათანადოდ შესრულება და ამ გეგმების ჩაშლა ცალკე საწარმოსა და რაიონში, ჩვენი სოციალისტური მშენებლობის სხვადასხვა დარგში.

ამიტომ გაუმჯობესება და გარდაქმნა პროლეტარული დიქტატურის აპარატისა, პარტიის, საბჭოების, პროფკავშირების, კოოპერაციის და სხვ. ჩვენი პარტიის ასეთ დიდ ყურადღებას იპყრობს, ვინაიდან ეს გარდაქმნა მჭიდროდ არის დაკავშირებული ჩვენი სოციალისტური შეტევის პერსპექტივებთან, ამ შეტევის უდიდეს წარმატებებთან, იმ გეგმების გადაჭარბებით შესრულებასთან, რომლებიც ჩვენ დავისახეთ.

საბჭოთა, პროფესიონალური და სხვა აპარატები წარმოადგენენ მამოძრავებელ ღვედებს, რომლებიც ფართო პროლეტარულ და მშრომელ მასებს აკავშირებენ კომუნისტურ პარტიასთან, რომელიც პროლეტარული დიქტატურის მთელს სისტემაში ხელმძღვანელ როლს თამაშობს. აი ამიტომ პროლეტარული დიქტატურის აპარატის მუშაობის და მთელი სისტემის გარდაქმნა რეკონსტრუქციის პერიოდის პირობებში მდგომარეობდა, პირველ ყოვლისა, პარტიის რიგების გარდაქმნაში, რაზედაც ლაპარაკი იყო უკანასკნელი დროის მთელ რიგ საბუთებში (1928 წ. ივლისის მიმართვა და სხვ.) და რაც ამჟამად ხდება.

ამ გარდაქმნიდან, რაშიაც პარტიას უკვე აქვს საგრძნობი მიღწევები, გამომდინარეობს ჩვენი პარტიის ხერხემლის და მისი აპარატის რეორგანიზაცია, დასახული ც. კ.-ის გადაწყვეტილებაში, რომელიც „პრავდა"-ს დღევანდელ ნომერში ქვეყნდება.

როგორ უნდა წარიმართოს ეს რეორგანიზაცია? თავის დროზე ტროცკისტები ცდილობდნენ ჩვენი პარტიული აპარატისათვის სახელის გატეხას და მის დარღვევას. ფაქტიურად ამით ისინი თავს ესხმოდნენ პარტიას, მუშათა კლასს და პროლეტარიატის დიქტატურას. ტროცკისტების ხელი, რომელსაც ფაქტიურად კლასობრივი მტერი მართავდა, ცდილობდა შეესუსტებია, შეებოჭა პროლეტარული დიქტატურის ცენტრალური, ხელმძღვანელი ორგანო.

პარტიამ მოიგერია ტროცკისტების თავდასხმა მის აპარატზე, რომელიც პროლეტარული დიქტატურის საუკეთესო იარაღს წარმოადგენს. პარტიამ თავისთავად ცხადია, უარი არა სთქვა იმაზე, რომ შემდეგშიაც გაეუმჯობესებია და განემტკიცებია ეს საუკეთესო იარაღი, სისტემატიურად გაეუმჯობესებია მისი მუშაობის ხარისხი პროლეტარული დიქტატურის ყველა მამოძრავებელ ღვედებისათვის უფრო მოქნილი და ყოველმხრივი ხელმძღვანელობის გაწევის საჭიროების მიხედვით, იმის მიხედვით, რამდენადაც აუცილებელი ხდებოდა პროლეტარული და მშრომელი მასების უფრო ფართოდ შემოკრება და მათი ინტერესების უფრო ფართოდ დაკმაყოფილება.

სოციალისტური განვითარების ახლანდელ პერიოდში ძირითადი საკითხი პარტიულ აპარატისათვის არის კადრების საკითხი, რადგან „კადრებს პრობლემა ამჟამად წარმოადგენს სოციალისტური მშენებლობის გადამწყვეტ პრობლემას" (სტალინი). ამჟამად უდავო ფაქტია მუშათა კლასის უდიდესი ზრდა, მუშათა მასების სულ უფრო და უფრო ფართოდ ჩაბმა შეგნებულ და გეგმიან სოციალისტურ მშენებლობაში (დამკვრელი ბრიგადები, საამქროები და მრეწველობის დარგები) და მძლავრი კოლმეურნეობრივი მოძრაობა, რომელშიაც ჩაბმულნი არიან მრავალი მილიონობით მოჯამაგირეები, ღარიბი და საშუალო გლეხები. უდავო ფაქტია, კაპიტალური მშენებლობის მძლავრად განვითარება, ახალი ქალაქების, ახალი სამრეწველო ცენტრების, მრეწველობის მთელი დარგების შექმნა, სოფლის ძველი ყოფა-ცხოვრების ნგრევა, მილიონობით ჩამორჩენილი, დაქსაქსული, წვრილი და უწვრილესი გლეხური მეურნეობების ნაცვლად სოციალისტური მიწადმოქმედების საძირკვლის შექმნა უდიდესი მასშტაბით. ჩვენთვის საჭიროა ათასობით და მილიონობით ინჟინრები, ტექნიკოსები, ხელოსნები, აგრონომები, საბჭოთა, პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების ორგანიზატორები და ხელმძღვანელები სხვადასხვა მასშტაბისა და კვალიფიკაციის. ჩვენ უნდა შევარჩიოთ, დავაწინაუროთ და აღვზარდოთ ეს ასები, ათასები და მილიონები. უამისოდ თავს ვერ გავართმევთ იმ ბუმბერაზულ სოციალისტურ მშენებლობას, რომელიც ამჟამად სწარმოებს და რომელმაც უნდა გადასწყვიტოს ჩვენი გამარჯვების საკითხი არა მარტო საბჭოთა კავშირის მასშტაბით.

სწორედ ამიტომ კადრების საკითხი არასოდეს არ იდგა პარტიის წინაშე ისე მწვავედ, როგორც ამჟამად. ეს არის საკითხი იმის შესახებ, რომ მტკიცე კომუნისტური ხელმძღვანელობა გაუწიოთ სოციალისტური მშენებლობის მთელს უდიდეს მუშაობას ყოველ საფეხურზე და ყველა დარგში. ეს არის მასების უფრო ფართოდ და უფრო ორგანიულად შემოკრების საკითხი, იმ მასების, რომლებიც ჩაბმულნი არიან და ამჟამად ებმებიან ჩვენს სოციალისტურ მშენებლობაში; ამის განხორციელება შეუძლებელია მტკიცე კადრების შექმნის გარეშე. ეს არის ხელმძღვანელი მუშაობის ხარისხის გაუმჯობესების საკითხი, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული სოციალისტური მშენებლობის ამოცანების გართულებასთან. ეს მართლაც რომ საკითხთა საკითხია...

და თუ პარტიული აპარატის ძველი სტრუქტურის დროს კადრებს, მათ შერჩევას და დაწინაურებას თავს ართმევდა მარტო პარტიული კომიტეტი, ახლა ეს ამოცანა (კადრების მომზადებასთან დაკავშირებით) დასმულია ყველა განყოფილების წინაშე. ეს არის პარტიული აპარატის რეორგანიზაციის მთავარი იდეა. ცენტრალური კომიტეტის უკანასკნელი გადაწყვეტილებების თანახმად, პარტიული აპარატი იყოფა ოთხ ძირითად განყოფილებად: საორგანიზაციო საინსტრუქტორო, განმანაწილებელ, კულტურისა და პროპაგანდის და მასიური აგიტაციის განყოფილებად. თვითეული განყოფილება კადრების შერჩევას და დაწინაურებას აწარმოებს თავისი სპეციალობის მიხედვით: საორგანიზაციო-საინსტრუქტორო განყოფილება— პარტიულ კადრებს, განმანაწილებელი— საბჭოთა, სამეურნეო და პროფესიონალურ კადრებს, კულტურისა და პროპაგანდის განყოფილება—კულტურულ კადრებს (განათლება, ბეჭდვითი სიტყვა და სხვ.), მასიური აგიტაციის განყოფილება მუშაკებს შეარჩევს ნებაყოფლობით საზოგადოებებიდან და სხვ.

რით არის გამოწვეული საგიტაციო საპროპაგანდო განყოფილების გაყოფა ორ დამოუკიდებელ განყოფილებად კულტურისა და პროპაგანდის და მასიური აგიტაციის? ჩვენი კულტურული მუშაობის არაჩვეულებრივი ზრდით, ჩვენი განათლების სახალხო კომისარიატის სისტემის, ბეჭდვითი სიტყვის და ლენინიზმის პროპაგანდის გაშლით, ერთის მხრივ ხოლო მეორეს მხრით—მასიური მუშაობის, პოლიტიკური კამპანიების და იმ მოთხოვნების უაღრესად გაფართოებით, რომლებსაც ეს მუშაობა უდგენს პარტიას, როცა სოციალისტურ მშენებლობაში ებმებიან პროლეტართა და მშრომელთა ახალი მილიონები.

რატომ გაუქმდა სოფლად მუშაობის განყოფილება და ქალთა განყოფილება? რასაკვირველია, არა იმიტომ, რომ პარტიამ ზურგი შეაქცია სათანადო მუშაობას, არამედ მხოლოდ იმიტომ, რომ ამ მუშაობის გაქანება და ტემპი დიდი ხანია გასცდა განყოფილების ჩარჩოებს. ამას ნათლად გვიმტკიცებს სოფლად მუშაობის მაგალითი. განა უკანასკნელ წლებში პარტია ნაკლებ ყურადღებას აქცევს სოფელს? განა პურის დამზადების, მარცვლეულის და მესაქონლეობის პრობლემის გადაჭრის და მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელების საკითხებმა არ აიძულეს ჩვენი პარტიული ორგანიზაციები შეჭრილიყვნენ სოფლის ცხოვრების შუაგულში?.. განა უკვე ისტორიას არ ჩაბარდა ის პერიოდი, როცა ჩვენი პარტიული ორგანიზაციებისათვის ერთ მხარეზე იდგა ქალაქი თავისი სოციალისტური მრეწველობით და მუშათა კლასით, ხოლო მეორე მხარეზე— სოფელი წვრილი, ინდივიდუალური გლეხური მეურნეობით? რასაკვირველია, ახლანდელ პირობებში სოფლად მუშაობის ცალკე განყოფილებებმა, რომლებიც თავის დროზე დაარსებულ იქნენ სოფლისადმი პარტიის ყურადღების გასაძლიერებლად, სავსებით ამოსწურეს თავიანთი თავი.

არ შეიძლება ითქვას მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობის შესახებ, რომ ის უკანასკნელ დროს ისევე ფართოდ და ნაყოფიერად გაიშალა, როგორც მუშაობა სოფლად. ამ საქმეში ჩვენ ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ საჭირო გარდატეხას. მაგრამ ჩვენ მას პირისპირ მივადექით. თუ პარტიამ, პროფკავშირებმა და საბჭოებმა ახლო მომავალში გადამჭრელ წარმატებას არ მიაღწიეს მუშა და გლეხ ქალთა დარაზმვის საქმეში, ჩვენ ვერ უზრუნველვყოფთ მუშათა კლასის მთლიანად ჩაბმას სოციალისტურ შეჯიბრებაში ჩვენი საწარმოო პროგრამების შესასრულებლად, სოფლად კოლექტივიზაციის გასატარებლად და მუშათა კლასის მატერიალური და ყოფა-ცხოვრებითი პირობების გადაჭრით გასაუმჯობესებლად.

ეს სავსებით ცხადია. მაგრამ ასევე ცხადია ის, რომ იმ პირობებში, როდესაც ქალთა შორის მუშაობას მეტად პასიურად ეპყრობიან საერთოდ პარტორგანიზაციები, საბჭოები და პროფკავშირები, მარტო ქალთა განყოფილებები ვერ მიაღწევენ ამ საქმეში საჭირო გარდატეხას. გარდატეხის მიღწევა შეიძლება მხოლოდ ყველა ჩვენი ორგანიზაციების საერთო ძალ-ღონით..

ბოლშევიკებს არასოდეს არ ჰქონიათ ის ნაკლი, რომ მათ სათანადოთ ვერ შეეფასებიათ პარტიული აპარატი. სწორედ ამიტომ მსოფლიოში არავის არ შეუქმნია ისეთი მძლავრი, ორგანიზაციულად დარაზმული პარტია, როგორიც ჩვენ შევქმენით. მაგრამ ბოლშევიკებს არასოდეს არ ჰქონიათ არც ის ნაკლი, რომ ფეტიშად გაეხადათ აპარატის ფორმები, ისინი ყოველთვის სცვლიდნენ ამ ფორმებს, როდესაც ამას საჭიროდ ხდიდნენ მუშაობის, კლასობრივი ბრძოლის, სოციალისტური მშენებლობის, მასების შემოკრების და მასების მიმართ ხელმძღვანელობის ინტერესები.

თავის თავად იგულისხმება, რომ პარტიული აპარატის ფორმების ახლანდელი რეორგანიზაცია არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ატარებდეს ფორმალურ ხასიათს და არ შეიძლება განისაზღვროს მუშაკთა გადაყვან-გადმოყვანით და სახელწოდების შეცვლით. ეს რეორგანიზაცია ნაკარნახევია ცხოვრებისა და ჩვენი გაშლილი სოციალისტური შეტევის მოთხოვნილებებით; იგი ორგანიულად დაკავშირებული უნდა იყოს პარტიული აპარატისა და მთელი პარტიის მუშაობის შინაარსის გარდაქმნასთან, რაც ამ ბოლო დროს ხორციელდება ამ მუშაობის გაქანების გაფართოებასთან და მისი ხარისხის აწევასთან.

ამ რეორგანიზაციის საშუალებით ჩვენ, უწინარეს ყოვლისა, გადაჭრით უნდა დავსძრათ გადაწყვეტა პრობლემისა გაშლილი სოციალისტური მშენებლობის ხელმძღვანელი კადრების შესახებ, რომელიც ახლანდელ ეტაპზე ამ მშენებლობის ძირითად და გადამწყვეტ პრობლემას წარმოადგენს

„პრავდა"

17 იანვარი,

გერმანიის ბურჟუაზიის და მენშევიკების იერიში კომპარტიის წინააღმდეგ

მენშევიკმა შინაგან საქმეთა მინისტრმა აკრძალა ყველა ღია კრებები და დემონსტრაციები

გერმანელი სოციალ-ფაშისტები ამზადებენ

კომუნისტური პარტიის აკრძალვას

გრჟეზინსკი იმუქრება

ბერლინი, 17 იანვარი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრი სოც.-დემ. გრჟეზინსკი პრუსიის ლანდტაგში გამოვიდა სიტყვით, რომელშიც აღნიშნა, რომ უკიდურეს პარტიათა აგიტაციამ მძიმე ეკონომიურ კრიზისთან დაკავშირებით უკანასკნელ ხანებში გამოიწვია სისხლისმღვრელი შეტაკებები და „განსაზღვრული პარტიები" ახლო არიან არალეგალურ მდგომარეობაზე გადასვლასთან. გრჟეზინსკი წინადადებას იძლევა— სასწრაფოდ იქნან გასამართლებული დაპატიმრებული ხელმძღვანელი ელემენტები, მინისტრი საჭიროდ სცნობს აგრეთვე რეიხსტაგმა საჩქაროდ მიიღოს რესპუბლიკის დაცვის კანონი

მთელი ბურჟუაზიული და სოციალ- დემოკრატიული პრესა ესალმება გრჟეზინსკის სიტყვას და აგრეთვე კრებების აკრძალვას ღია ცის ქვეშ. პოლიტიკურ წრეებში ეჭვი არ ეპარებათ, რომ მიღებული და გათვალისწინებული ღონისძიებები მიმართულია მხოლოდ და მხოლოდ კომპარტიისა და რევოლიუციონური მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. (ადს)

კრებებისა და დემონსტრაციების აკრძალვა

ბერლინი, 17 იანვარი. პრუსიის შინაგან საქმეთა მინისტრმა სოც.-დემოკრატმა გრჟეზინსკიმ განსაკუთრებული ცირკულიარით აკრძალა ყველა კრებები ღია ცის ქვეშ, მსვლელობანი და დემონსტრაციები, გარდა ვისიმე დაკრძალვასთან და ქორწინებასთან დაკავშირებულ მსვლელობებისა, საეკლესიო პროცესიებისა და სხვ.

გრჟეზინსკი წინადადებას აძლევს პოლიციას ულმობელი ზომები მიიღოს ყველა იმათ წინააღმდეგ, ვინც დაარღვევს ამ განკარგულებას.

„როტე ფანე"ს წერილი

ბერლინი, 17 იანვარი. ღია ცის ქვეშ კრებებისა და დემონსტრაციების აკრძალვასთან დაკავშირებით „როტე ფანე" სწერს:

„სოციალ-დემოკრატიული მთავრობა იწყებს თავის გადამჭრელ იერიშს კომპარტიისა და მთელი მუშათა მოძრაობის წინააღმდეგ. გრჟეზინსკი პრუსიაში განუსაზღვრელი დროით აცხადებს საალყო წესებს. ამავე დროს ის გაფრთხილებას იძლევა, რომ უახლოესი დროისათვის მზადდება კომპარტიის აკრძალვა. კლასობრივმა ბრძოლამ გერმანიაში ისეთ სიმწვავეს მიაღწია, რომ უკან დახევა აღარ შეიძლება.

სოციალ- დემოკრატია ამზადებს კონტრ-რევოლიუციონურ სამოქალაქო ომს. ასეთ მომენტში გერმანიის მუშათა კლასის უპირველეს მოვალეობას წარმოადგენს საყოველთაო გასაგონად განაცხადოს,— რომ „მთელი დანაშაული, მთელი პასუხისმგებლობა მომავალი ამბებისა და წარუშლელი დანაშაული მუშათა იმ სისხლისათვის, რომლის დაღვრასაც ამზადებენ გერმანიის ქალაქებში, ეკისრება სოციალ-დემოკრატიულ პარტიას. ყველაფერი ეს მოასწავებს ფაშისტური დიქტატურის დასაწყისს გერმანიაში. მაგრამ ბატონი სოციალ- დემოკრატები სცდებიან თავის ანგარიშში: რევოლიუციონური ტალღა შეუჩერებლად იზრდება. პროლეტარიატი არ წამოეგება ბურჟუაზიის პროვოკაციის ანკესზე. პროლეტარიატი თვითონ შეარჩევს მომენტს გადამწყვეტი სამკვდრო- სასიცოცხლო ბრძოლისათვის. ახლა მთელი ღონისძიებები უნდა მივიღოთ ხელსაყრელი წინასწარი პირობების შესაქმნელად პროლეტარული დიქტატურისათვის. მთელ ხაზზე უნდა გაიშალოს მასიური ბრძოლა. ქარხნებმა ამ გამოწვევაზე უნდა უპასუხონ ყველა შესაძლებელი ღონისძიებებით— მასიურ პოლიტიკურ გაფიცვამდე. კომპარტიის ბოლშევიკური ხელმძღვანელობა იმოქმედებს მტკიცე ენერგიითა და გაბედულობით. ფინანსიური კაპიტალის ჯალათურ პროგრამაზე ჩვენ, როგორც ბოლშევიკები, უპასუხებთ „რევოლიუციონური მასიური ბრძოლით მთელ ხაზზე". (ადს)

კომპარტია აწყობს ბრძოლას მენშევიკური ტერორის წინააღმდეგ

ბერლინი, 17 იანვარი. კომპარტიის ბერლინ-ბრანდენბურგის საოლქო კომიტეტმა მოუწოდა მთელ პარტორგანიზაციას და ყველა მუშებსა და მუშა-ქალებს—ემზადონ სოციალ-ფაშისტური ძალადობის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ყველა საწარმოო უჯრედებმა შესვენების საათებში და აგრეთვე მუშაობის დროს უნდა მოაწყონ მფრინავი საპროტესტო მიტინგები და ყველა მუშებთან ერთად შეიმუშაონ ღონისძიებები სოციალ-ფაშიზმის შემოტევის წინააღმდეგ. ბერლინის სხვადასხვა რაიონებში გაიმართა 9 დიდი საპროტესტო კრება. (ადს)

„როტე ფანე"-ს კონფისკაცია

ბერლინი, 17 იანვარი. ვოლფის სააგენტოს ცნობით, კონფისკაცია უყვეს „როტე ფანე"-ს ნომერს— „კლასობრივი ბრძოლისა და სახელმწიფო ღალატის წაქეზებისათვის". (ადს)

ბერლინი, 17 იანვარი. პოლიციამ, რომელიც ცერგიბელის ბრძანებით მოქმედებდა, მოახერხა „როტე ფანე"-ს ნომრის მხოლოდ ნაწილის კონფისკაცია —ტირაჟის ნაწილი უკვე დაგზავნილი და გაყიდული იყო. (ადს)

გერმანელი მენშევიკების ფარისევლური მანევრი

„მოითხოვენ" შახტის გადადგომას

ბერლინი, 17 იანვარი. რეიხსტაგის სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის პრეზიდიუმის სხდომამ რეიხსკანცლერ მიულერისა და შრომის მინისტრ მიულერის მონაწილეობით იმსჯელა შახტის გამოსვლის შესახებ და გამოიტანა დადგენილება, რომელშიც ნათქვამია: „პრეზიდიუმმა ერთხმად სცნო მოუთმენლად მეორე მთავრობის არსებობა რეიხსბანკის სახით. პრეზიდიუმი მოელის სრულიად გერმანიის მთავრობისგან, რომ იგი ჰააგიდან გერმანიის დელეგაციის დაბრუნების შემდეგ განიხილავს საკითხს—თუ როგორ შეიცვალოს რეიხსბანკის წესდება ისე, რომ გაფართოვდეს საკანონმდებლო ორგანოების უფლებები რეიხსბანკის პირადი შემადგენლობის საკითხში (ადს).

პრესა შახტის გამოსვლის შესახებ

ბერლინი, 17 იანვარი. მთელი პრესა ყურადღებას უთმობს შახტის გამოსვლას ჰააგაში.

„ფორვერტს"-ი წინადადებას იძლევა გამოიცვალოს რეიხსბანკის თავმჯდომარე.

მთელი ბურჟუაზიული პრესა იცავს შახტს.

„ბერზენ ცეიტუნგ" პირდაპირ შეუძლებლად თვლის, რომ „სახალხო პარტიას და მთელ ბურჟუაზიას შეეძლოს შახტის მიტოვება უბედურებაში". გაზეთი მოითხოვს სახალხო პარტიის საპარლამენტო ფრაქციის მოწვევას და დაუყოვნებლივ პასუხის გაცემას სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის დადგენილებაზე. „ხელები შორს შახტისაგან",— ასეთი პასუხის გაცემას მოითხოვს გაზეთი.

უმუშევრობის ზრდა შეერთებულ შტატებში

ნიუ-იორკი. 17 იანვარი. „ნიუ-იორკ ტაიმს"-ის ცნობით, პირველი სექტემბრიდან სამუშაო დაჰკარგა 500.000 მეტმა მუშამ.

უმუშევართა დემონსტრაცია

ნიუ-იორკი, 17 იანვარი. კომპარტიის მოწოდების თანახმად, უმუშევრებმა ნიუ-კრიტენში (კენტუკის შტატში) მოაწყვეს დემონსტრაცია და მოითხოვეს დახმარება.

პოლიციამ გამოაქვეყნა ცნობა, რომ მომავალში არ დაუშვებს კომპარტიის ან პროფკავშირების მთლიანობის ლიგის მიერ მოწყობილ დემონსტრაციას.

დეტროიტში, საავტომობილო ქარხნების უმუშევარ მუშებს შორის ვრცელდება კომპარტიის ფურცლები და ბროშურები (ადს).

მირუტის პატიმართა დამცველი კომიტეტის დეპეშა

ლონდონი, 17 იანვარი. მირუტში გასამართლებულ ინდოელ რევოლიუციონერთა დაცვის კომიტეტის მდივანმა დეპეშით მიმართა მაკდონალდსა და აგრეთვე საბჭ. კავშირის ელჩს ინგლისში სოკოლნიკოვს.

დეპეშაში აღნიშნულია, რომ პროცესის გაგრძელება ეწინააღმდეგება ინგლის- საბჭოთა შეთანხმებას. ამ პროცესზე კომინტერნი და ცენტრალური საბჭოთა დაწესებულებანი გამოყვანილია, როგორც ბრალმდებლები, გამოჩენილ საბჭოთა მოღვაწეებს კი უწოდებენ „შეთქმულების მონაწილეებს". პროკურორის საბრალმდებლო დასკვნა გადაიქცა ანტი-საბჭოთა პროპაგანდის დაუშვებელ ყალბ დოკუმენტად. მოსალოდნელია, რომ პროცესი კიდევ ერთ წელიწადს გაგრძელდება. კომიტეტი მოითხოვს საქმის დაუყოვნებლივ შეწყვეტას. (ადს)

ს ხ ვ ა დ ა ს ხ ვ ა

● **მუღლაში და ურალში** (თურქეთი) 16 იანვარს ღამით მოხდა მიწის ძვრა, რომელიც გაგრძელდა 2—3 წამი. არავინ დაშავებულა.

● **ბომბეის** (ინდოეთი) გენერალ-გუბერნატორმა საკანონმდებლო კრების მუშაობის ვადა 31 ივლისამდე გააგრძელა. განდიმ ჟურ. „ახალგაზრდა ინდოეთში" მოუწოდა მთელ მოსახლეობას 26 იანვარს იდღესასწაულოს „დამოუკიდებლობის დღე".

● **გაზ. „ლიბერტა"-ს ცნობით** (პარიზში გამოდის), კუნძულ ლიპარიზე (ხმელთა შუაზღვა) იტალიელ ემიგრანტები განიცდიან საშინელ შევიწროებას და დაცინვას ფაშისტური მილიციის მხრივ. 30 დეკემბერს დაპატიმრებულებს სცემეს. ბევრი მათგანი მძიმედაა დაჭრილი.

● **გენუაში შესდგა უმუშევართა დემონსტრაციები.** შემდეგი ლოზუნგებით: „ძირს ფაშისტური პროფკავშირები", „მოვითხოვთ პურს, სამუშაოს და თავისუფლებას". პოლიციამ გაფანტა დემონსტრაცია და მრავალი დემონსტრანტი დააპატიმრა, მაგრამ იძულებული შეიქნა მალე განეთავისუფლებია.

● **ვლოცლავში** (პოლონეთი) გაიმართა უმუშევართა დიდი დემონსტრაცია 2.000 მუშის მონაწილეობით. პოლიციამ გარეკა დემონსტრანტები.

● **პრუსიის მთავრობამ უარი განაცხადა** კრედიტების გაღებაზე საბჭოთა კავშირიდან წამოსულ გერმანელ ემიგრანტების დასახსნელად აღმოსავლეთ-პრუსიაში.

● **კომუნისტურ არჩევნებთან დაკავშირებით** რუმინეთში გამწვავდა ბრძოლა ლიბერალურ პარტიასა და მთავრობის შორის. სარეგენტო საბჭოს გადაეცა ლიბერალების პროტესტი იმის გამო, რომ მთავრობა ტერორით ცდილობს შეინარჩუნოს უმრავლესობა. მთავრობა პროტესტს ახასიათებს, როგორც ულტიმატუმს და აცხადებს, რომ არ დაუშვებს ლიბერალების ამგვარ გამოსვლებს

● **პარიზში, „ალსტომის"** ტრესტის ქარხანასთან მოხდა შეტაკება ადმინისტრაციის მიერ გამოწვეულ პოლიციასა და მუშებს შორის, რომლებიც არ უშვებდნენ, ქარხანაში შტრეიკბრეხერებს. პოლიციამ ყველას სცემა, მათ შორის ქალებსაც და ბავშვებსაც. ამის გამო მოეწყო მიტინგი. მუშებმა დაადგინეს გააძლიერონ ბრძოლა ხელფასისათვის. გაფიცვა სხვა ქარხნებსაც მოედო.

● **უმუშევართა რიცხვი პოლონეთში.** ერთი კვირის განმავლობაში (4—14 იანვრამდე), გაიზარდა 17,600 კაცით. უმუშევართა საერთო რიცხვმა მიაღწია 223.000.

● **შრომის დეპარტამენტის** ცნობით შეერთებულ შტატებში უმუშევრობა იზრდება. განსაკუთრებით გაიზარდა უმუშევრობა დამმუშავებელ მრეწველობაში. მრეწველთა დაპირების მიუხედავად, გრძელდება ხელფასის შემცირება.

● **ნიუ-დელის სასამართლომ** რამგალში—(ინდოეთი) ბომბეიში მომხდარ აფეთქების საქმეზე ორ ბენგალელს მიუსაჯა შვიდი წლით პატიმრობა.

● **„კროს ენდ გნეკლუეს"-ის** საწარმოების 1200 მუშამ და მოსამსახურემ (ინგლისში) საპროტესტო გაფიცვა გამოაცხადეს 8 მუშის დათხოვნის გამო. რეფორმისტულმა პროფკავშირებმა მოუწოდეს მუშებს განეახლებიათ მუშაობა და აღუთქვეს მოლაპარაკება მწარმოებლებთან. გაფიცულებმა უარი განაცხადეს და გადასწყვიტეს აირჩიონ საგაფიცვო კომიტეტი.

● **„როტე-ფანე"-ს სიდნეიდან** (ავსტრალია) ატყობინებენ, რომ ახალ სამხრეთ-უელსის გაფიცულ მემაღაროელთა ბრძოლა მწვავე ხასიათს იღებს; ავსტრალიის რკინის გზელთა პროფკავშირმა დაადგინა აღარ დატვირთოს შტრეიკბრეხერების მიერ ამოღებული ნახშირი. მოხდა შეტაკებები გაფიცულ მუშებსა და შტრეიკბრეხერებს შორის, რომლებიც მოქმედებდნენ პოლიციასთან და ფაშისტებთან ერთად. როსბიურის მაღაროში, რომელიც მთავრობა შტრეიკბრეხერების დახმარებით განაგრძობს ნახშირის ამოღებას, დადგმულია ტყვიამფრქვევლები. მაღაროს მიდამოები დაფარულია მავთულის ხლართით. მუშებსა და მოსახლეობის შორის დიდი აღელვებაა. რეფორმისტები „ურჩევენ" მოხსნან გაფიცულთა პიკეტები.

● **ლიტვის პრეზიდენტმა სმეტონამ** კომუნისტ კურინსკისა და კაუნტასკასს სიკვდილით დასჯა უვადო კატორღით შეუცვალა.

● **საფრანგეთის დეპუტატთა პალატამ** 309 ხმით 258-ის წინააღმდეგ უარჰყო კომუნისტების წინადადება პალატის დაპატიმრებულ წევრების განთავისუფლების შესახებ.

● **ვარშავის პოლიციამ** დაბეჭდა ხის დამმუშავებელთა კავშირის შენობა. კავშირის ხელმძღვანელებს ბრალდება „სახელმწიფოს წინააღმდეგ მიმართული მოქმედება".

● **ნიუ-ბედფორდში** (შერთ. შტატები) გაიმართა მუშათა მასიური საპროტესტო დემონსტრაცია, რომელიც გაჰფანტა პოლიციამ. პოლიციამ დააპატიმრა 12 დემონსტრანტი, მათ რიცხვში ფრედ ბილი—გასტონიის ფეიქართა გაფიცვის ორგანიზატორი.

აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზაზე დაითხოვეს თეთრგვარდიელი მუშა-მოსამსახურეები

ხაბაროვსკის შეთანხმება სრულდება

მუკდენის არმიის ევაკუაცია

ტოკიო, 17 იანვარი. ჩჟან-სუე-ლიანმა მუკდენში მოიწვია თათბირი იმ დაბრკოლებათა საკითხის განსახილველად, რომლებიც დაკავშირებულია მუკდენის ჯარების ევაკუაციასთან სანაპირო რაიონებიდან. (ადს).

საბჭოთა კავშირმა შეასრულა თავისი ვალდებულებები

ტოკიო, 17 იანვარი. ჩინური გაზეთი „გო ცზი-სებაო" კატეგორიულად უარყოფს ხმებს, თითქო საბჭოთა კავშირმა არ გაათავისუფლა ყველა დაპატიმრებული ჩინელები. გაზეთი სწერს, რომ საბჭოთა კავშირმა მთლიანად შეასრულა თავისი ვალდებულებები.

საბჭოთა პედაგოგებმა განაახლეს მუშაობა

ტოკიო, 17 იანვარი. ოფიციალურად გამოქვეყნდა ცნობა იმ ბრძანების გაუქმების შესახებ, რომელიც კრძალავდა სამსახურიდან თავისი ნებით წასულ საბჭოთა პედაგოგების მუშაობას მანჯურიაში.

განათლების დეპარტამენტის უფროსმა ჩან-გო-ჩენმა, კონფლიქტის ერთ-ერთმა აქტიურმა სულის ჩამდგმელმა, რომელიც კამპანიას აწარმოებდა ხაბაროვსკის ომის წინააღმდეგ, განუცხადა საბჭოთა მასწავლებლებს, რომ ახლა „საბჭოთა კავშირისა და ჩინეთის ურთიერთობაში დაიწყო ახალი ხანა და ჩვენ უნდა მივიღოთ ყველა ზომები, რათა განვამტკიცოთ მეგობრობა. კონფლიქტამდე ადგილი ჰქონდა გაუგებრობას, ამიერიდან ჩვენ უნდა ვერიდოთ მათ" (ადს).

საბჭოთა სამეურნეო ორგანოების მუშაობის განახლება

ტოკიო, 17 იანვარი. მანჯურიის გენერალ-გუბერნატორმა ჩან-ძო-ლინისაგან მიიღო ბრძანება—ხაბაროვსკის ხელშეკრულების თანახმად განაახლოს ყველა საბჭოთა სამეურნეო ორგანოების საქმიანობა, რომლებიც დახურეს კონფლიქტთან დაკავშირებით. (ადს).

თეთრგვარდიელების დათხოვა

ტოკიო, 17 იანვარი. „სიმბუნ რენგო"-ს სააგენტოს ცნობით, აღმოსავლეთ-ჩინეთის რკინის გზის გამგეობამ გადასწყვიტა—არ დაითხოვოს 600 ჩინელი მუშა, რომლებმაც კონფლიქტის შემდეგ დაიწყეს გზაზე მუშაობა. სამაგიეროდ სამუშაოდან დათხოვნილი იქნებიან ყველა თეთრგვარდიელები (ადს).

ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ

პარიზი, 17 იანვარი. პარიზის რაიონის რკინის გზის სახელმწიფო სახელოსნოებში ფართოვდება მუშების ბრძოლა კაპიტალისტური რაციონალიზაციის წინააღმდეგ.

ლიავარენის სახელოსნოებში მუშებმა ჩაატარეს იტალიური გაფიცვა. ლევალუაში მუშებმა დემონსტრაცია მოაწყვეს გზის გამგეობის შენობის წინ.

ბატინიოლის სახელოსნოების 1200 მუშამ დემონსტრაცია გამართა და გამოვიდა უნიტარული პროფკავშირის ლოზუნგებით (ადს).

„როტე ფანე" ქარუმიძეზე თავდასხმის შესახებ

ბერლინი, 17 იანვარი. „როტე ფანე"-ს რედაქციამ ღირსეული პასუხი გაუგზავნა სასამართლოს. პასუხში ნათქვამია:

„როტე ფანე"-ს არ წაუქეზებია მუშები, რომ ისინი თავდასხმოდნენ ქარუმიძეს და არავითარი კავშირი არა აქვს ამ საქმესთან. მაგრამ იგი იწონებს ამ თავდასხმას, როგორც საბჭ. კავშირისადმი გერმანიის მუშების აქტიური სოლიდარობის დამამტკიცებელ საბუთს. „როტე ფანე"-მ იცის, რომ მის ამ პოზიციას მხარს უჭერენ გერმანიის ყველა რევოლიუციონერი მუშები". (ადს).

თეთრგვარდიელთა პროცესი ლენინგრადში

ლენინგრადი, 18 იანვარი. 17 იანვარს უზენაეს სასამართლოს სამხედრო კოლეგიის გამსვლელი სესია ამხ. ულრიხის თავმჯდომარეობით შეუდგა თეთრგვარდიელთა ჯგუფის საქმის გარჩევას. ამ საქმეს უშუალო კავშირი აქვს ყალბი ფულების მკეთებელთა პროცესთან ბერლინში.

დამნაშავედ თავი სცნო მხოლოდ ბრალდებულმა შილერმა, რომელმაც აღიარა, რომ ის არის მონარქისტული ორგანიზაციის წევრი და აჯანყებას ამზადებდა საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ. დანარჩენი ბრალდებულები თავს დამნაშავედ არ სცნობენ, თუმცა არ მალავენ, რომ ყალბი ჩერვონცები მიიღეს შილერისგან.

პირველად დაჰკითხეს **შილლერს,** რომელმაც 1922 წელს დაიწყო მუშაობა მონარქისტულ ორგანიზაციაში. ამ წელს ის დანციგში შევიდა ოფიცერთა კავშირში და ჩქარა მოიპოვა გენერალ გლაზენაპის ნდობა და სიმპატიები. შილლერი რამდენიმე ოფიცერთან ერთად სახლდება გლაზენაპის გორაკზე. წინასწარ გამოძიების დროს, შილლერმა მისცა ჩვენება, რომელიც შეეხებოდა გენერალ გლაზენაპის კავშირის გენ. ლიუდენდორფთან და აგრეთვე ორგანიზაციის სხვადასხვა წევრების საქმიანობას. სასამართლოში შილლერი აცხადებს, რომ მას, ისე როგორც ორგანიზაციის სხვა წევრებს, ფიცი აქვთ მიცემული—საიდუმლოდ შეინახონ ყველაფერი, რაც ორგანიზაციას ეხება და უარს აცხადებს რაიმე ჩვენების მიცემაზე. ერთად-ერთი, რასაც შილლერი საჭიროდ სცნობს განაცხადოს—ეს ის, რომ მთელი ორგანიზაცია შორს იდგა ჯაშუშურ მუშაობისგან რომელიმე უცხო სახელმწიფოს სასარგებლოდ.

შილლერის ამ განცხადების გამო ბრალმდებელ კატანიანს მოჰყავს ამონაწერები გერმანული გაზეთებიდან. რომლებიც ნათელყოფენ ორგანიზაციის თვალსაჩინო წევრების—ლებედევის, დიაკოვის და სხვ. ფართო ჯაშუშურ მოღვაწეობას (ადს).

მასიური დაპატიმრებანი

პარიზი, 17 იანვარი. ანტიფაშისტური იტალიური პრესა სავსეა ცნობებით მრავალრიცხოვან დაპატიმრებათა შესახებ მთელს იტალიაში, განსაკუთრებით ჩრდილოეთის სამრეწველო რაიონში და აგრეთვე ხორვატებით და სლოვენებით დასახლებულ რაიონებში ამ მიზნით იგზავნებოდა დამსჯელი ექსპედიციები, რომლებიც მთლიანად ჩხრეკდნენ საეჭვო სოფლებს და საბარგო ავტომობილებით მიჰყავდათ დაპატიმრებულები.

მასიური ტერორის მიუხედავათ, ტახტის მემკვიდრის ქორწინებასთან დაკავშირებით ტრიესტში და ახლობელ რაიონებში ადგილი ჰქონდა საპროტესტო გამოსვლებს ფაშისტური ბატონობის წინააღმდეგ. ტრიესტის პარკში აფეთქდა ბომბა. ტრიესტის ახლო, რკინის გზის ხაზზე ბომბები იპოვეს. სოკვოში დასწვეს ფაშისტური ორგანიზაციის სახლი. ბალილოში უცნობებმა მოჰკლეს ფაშისტი (ადს)

ჰააგის კონფერენციაზე

სარეპარაციო ბანკის შექმნა

ჰააგა, 17 იანვარი. სანქციების საკითხის საბოლოოდ მოგვარების შემდეგ კონფერენცია შეუდგა იმ საკითხის განხილვას, რომელიც შეეხება სარეპარაციო გადასახადის საფრანგეთის წილის მობილიზაციას. შეერთ. შტატების წარმომადგენლებმა მეტად დიდი ინტერესი გამოიჩინა ამ საკითხისადმი. გერმანიის მიერ შვეციის ასანთის ტრესტისაგან მიღებულ სესხის წინააღმდეგ კრედიტორი სახელმწიფოები აღარ ილაშქრებენ.

საფრანგეთის წრეებში აღნიშნავენ, რომ სარეპარაციო გადასახადის პირველი ნაწილი დაფარული უნდა იქნას 1930 წ. მაისში.

სარეპარაციო ბანკმა უნდა გამოუშვას 200 მილ. დოლარის სესხი, რომელიც სხვათა შორის განაღდებული უნდა იქნას საფრანგეთში და გერმანიაში. (ადს)

ჰააგა, 17 იანვარი. ბანკირების კომისიამ მცირეოდენი ცვლილებებით დაამტკიცა სარეპარაციო ბანკის წესდება. ბანკი მოეწყობა ბაზელში. (ადს)

კომუნა „გიგანტი"

სვერდლოვსკი, 18 იანვარი. კოლმეურნეობა „გიგანტი" გადადის კომუნის წესდებაზე და ამიერიდან იწოდება—კომუნა „გიგანტი". რაიონის ყველა კომუნების კომუნარები, რომლებიც არ შედიან კომუნაში, აცხადებენ ახალ კომუნაში შესვლის სურვილს.

25 იანვარს, დამთავრებული ყრილობის შემდეგ, „გიგანტი" ერთად-ერთი მეურნეობა იქნება 275.000 ჰექტარის სივრცეზე და მასში გაერთიანებული იქნება 66.000 მჭამელი.

გამოტანილია დადგენილება კოლექტივიზაციის სესხის გამოშვების შესახებ. ყველა ეკლესიები, რომლებიც თვით კოლმეურნეობებში გაერთიანებულმა გლეხებმა დახურეს, გადაცემულია კულტურულ დაწესებულების მოსაწყობად (ადს).

დ ა ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

მოსკოვი, 18 იანვარი. საკ. სახკომსაბჭომ ამხ. კონსტანტინე მაქსიმოვი დანიშნა საკ. სმ. უ.ს. პრეზიდიუმის წევრად.

ამხ. ლ. ა. გრუშევსკი და ამხ. ე. ლ. იურკინი დანიშნულნი არიან საკ. მიწსახკომის კოლეგიის წევრებად.

ამხ. ხ. ვ. მალიშევი დანიშნულია საკ. ვაჭრობის სახ. კომისარიატის კოლეგიის წევრად.

აბრეშუმის პარკის კონტრაქტაცია

მოსკოვი, 18 იანვარი. საკავშირო სახკომსაბჭომ საჭიროდ სცნო 181.000 ცენტნერ აბრეშუმის პარკის კონტრაქტაციის ჩატარება 1929-30 წელში.

საბჭოთა კავშირის ვაჭრობის კომისარიატმა საკონტრაქტაციო ავანსების განსაზღვრული ნაწილის ანგარიშში მეაბრეშუმეობის რაიონებში უნდა შეიტანოს პურისა და სამრეწველო საქონლის საჭირო რაოდენობა.

მემაღაროეთა გადარჩენა

არტიომოვსკი, 18 იანვარი. 6 იანვარს კარლ მარქსის სახელობის მაღაროში ნახშირის ფენის ჩამოშვების გამო მიწის ქვეშ დარჩა 10 მუშა. 15 საათის ენერგიული მუშაობის შემდეგ შესაძლებელი შეიქნა ყველა მემაღაროეების გადარჩენა (ადს).

მოსკოვ-ნიუ-იორკის გადაფრენის მონაწილენი ბაქოში

ბაქო. 18 იანვარი. გუშინ ბაქოში ჩამოვიდ, მოსკოვ-ნიუ-იორკის ორი მონაწილე—ბოლოტოვი და სტერლინგოვი, რომლებიც მოხსენებებით გამოვლენ ფაბრიკა-ქარხნებში.

ლენინის ძეგლი ჩელიაბინსკში

აეროპლანის ავარია

გუშინ საღამოს ხუთ საათსა და 30 წუთზე სად. კიშლის ახლო (ბაქოსთან) მარცხი მოუვიდა სამგზავრო აეროპლანს, რომელიც თბილისიდან მიფრინავდა. დაშვების დროს აეროპლანი დაეჯახა ტელეგრაფის მავთულებს და დაგლიჯა ისინი. დაიღუპა ორი მგზავრი.

მ ო ს კ ო ვ ი

(ჩვენი საკუთარი კორესპონდენტისაგან)

ქართული ემიგრაციის მორიგი თვალთმაქცობა

მოსკოვი, 18 იანვარი. ბერლინში მყოფ ყველა მიმართულების ქართველ ემიგრანტთა ბიურომ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც ხსენებული ბიურო აცხადებს, თითქოს სადათიერაშვილს და ქარუმიძეს არაფერი აქვთ საერთო საქართველოს განმანთავისუფლებელ(?) მოძრაობასთან. ამასთანავე ბიურო თითქოს კიდეიაც ჰგმობს სადათიერაშვილისა და ქარუმიძის მოქმედებას, რომელიც გამოიხატა საბჭოთა ყალბი ჩერვონცების დამზადებაში.

ეს გარემოება, მიუხედავად ქართველ ემიგრანტთა ბიუროს მნიშვნელობის არარაობისა, მაინც გაართულებს ქარუმიძე—სადათიერაშვილის დამცველთა და სასამართლოს თავმჯდომარის მდგომარეობას, რადგან ამ შემთხვევაში შეუძლებელი ხდება ამნისტიის შეფარდება ბრალდებულთათვის, როგორც პოლიტიკურ რაინდებისათვის.

„იზვესტია" ეხება ამ ცნობას და სწერს:

ქართველ თეთრგვარდიელთა დეკლარაცია თვალთმაქცობაა. არა ერთხელ დადასტურებულა, რომ თეთრგვარდიელ ემიგრანტთა ორგანიზაციები მზად არიან ყოველგვარი ბინძური საშუალებები გამოიყენონ საბჭოთა კავშირის წინააღმდეგ. მაგრამ, რამდენადაც ბურჟუაზიულ სასამართლოს თვალსაზრისით ქართველ ემიგრანტთა გაერთიანება პოლიტიკური ორგანიზაციაა, ამ ორგანიზაციის ბიუროს განცხადება მძიმე ლახვარს წარმოადგენს ყალბი ჩერვონცების მკეთებელთათვის. ბერლინის კომბინატორები სასტიკად უნდა დაისაჯონ.

„დროშა" № 1 (25)
გამოვიდა და იყიდება ყველგან
ფასი 15 კაპ.

საქ. კომპარტიის (ბ) მორიგი ამოცანები

ამხ. მ. კახიანის მოხსენება

საქ. კომპ. (ბ) ცეკას მესამე პლენუმზე, 1930 წ. 11 იანვარს

სამრეწველო აღმშენებლობა

ამხანაგებო! ამხ. სტალინი თავის წერილში ოქტომბრის რევოლიუციის 12 წლის თავის გამო სწერდა, რომ „გასული წელი იყო დიდი გარდატეხის წელი სოციალისტური მშენებლობის ყველა ფრონტებზე“. ეს სიტყვები საბჭოთა საქართველოსაც სავსებით შეეფერება. უკანასკნელ პერიოდში ჩვენ გადამწყვეტ წარმატებებს მივაღწიეთ ჩვენი სახალხო მეურნეობის ძირითად დარგებში. საქართველოს სახალხო მეურნეობა 1928—29 წელს ვითარდებოდა ჩვენი ქვეყნის ინდუსტრიალიზაციისა და სოფლის მეურნეობაში სოციალისტური სექტორის გაძლიერებული ზრდის ხაზით. თუ ავიღებთ მრეწველობის ციფრებს, 1928—29 წელს საერთო პროდუქციის მთელი ღირებულება უდრიდა 96,2 მილიონ მანეთს, 1927—28 წლის 79,9 მილიონ მანეთის ნაცვლად. პროდუქციის ზრდა 1927—28 წელს, წინა წელთან შედარებით, 22,7 პროცენტს უდრიდა; 1928—29 წელს მსხვილი მრეწველობის ზრდის ტემპმა 37,7 პროცენტს მიაღწია. ცენზიან მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა საერთო რიცხვი 26,5 პროცენტით გაიზარდა. ამასთან ერთად—გასული წელი ხასიათდება მთელი რიგი ღონისძიებების გატარებით მუშათა კლასის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად და მისთვის კულტურულ-მატერიალური დახმარების გასაწევად.

ავსწიოთ შრომის ნაყოფიერება

ამ წარმატებებმა საშუალება მოგვცეს მომავალი 1929—30 წლისათვის პროექტით დაგვესახა მრეწველობის ზრდის უფრო დაჩქარებული ტემპი. საერთო პროდუქციის ზრდა მომავალი წლისათვის გათვალისწინებულია 60 პროცენტით; შრომის ნაყოფიერების გადიდება მთელ ცენზიან მრეწველობაში გათვალისწინებულია 25 პროცენტით; ნომინალური სამუშაო ხელფასი გადიდებული იქნება 9 პროცენტით, ხოლო რეალური სამუშაო ხელფასი—12 პროცენტით მაინც. საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულება უნდა შემცირდეს 11 პროცენტით. აი, ის ციფრები, რომლებიც საფუძვლად ედება 1929—30 წლის მუშაობას. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ, როგორც პირველი კვარტალის უკვე განვლილმა დრომ გვიჩვენა, ჩვენ ჯეროვანი ინტენსივობით ვერ ვმუშაობთ ამ ამოცანების შესასრულებლად. მართალია, ეს მოვლენა საერთოა მთელი საბჭოთა კავშირისათვის, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ამით გული დავიმშვიდოთ. 1929—30 წლის ოქტომბერსა და ნოემბერში, 1928—29 წლის იმავე თვეებთან შედარებით, ს. მ. უ. საბჭოს მიერ დაგეგმილ მრეწველობაში საერთო პროდუქციის ზრდა უდრის 48,2 პროცენტს. შრომის ნაყოფიერება 22,3 პროცენტით გადიდდა. მაგრამ მიმდინარე წლის ნოემბერში, ამავე წლის ოქტომბერთან შედარებით, საერთო პროდუქცია 10 პროცენტით შემცირდა, ს. მ. უ. საბჭოს მიერ დაგეგმილ მთელ მრეწველობაში შრომის ნაყოფიერება 4,2 პროცენტით შემცირდა, აგრეთვე რამდენადმე გაუარესდა შრომის დისციპლინა ზოგიერთ საწარმოში.

ხოლო წლიური საწარმოო პროგრამა ამ ორ თვეს 15 პროცენტით შესრულდა. შესრულებული არ არის ცენტრალური კომიტეტის დირექტივა იმის შესახებ, რომ სამრეწველო-ფინანსიური გეგმა მიყვანილ იქნას საწარმოებამდე და საამქროებამდე, აგრეთვე უზრუნველყოფილი არ არის თვითღირებულების შემცირების შედეგების ყოველთვიური ჯამის გამოყვანა. როდესაც ეს საკითხი დაისვა ჩვენს წინაშე, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში, და ჩვენ შევეკითხეთ ს. მ. უ. საბჭოს— იცით თუ არა, რამდენად შემცირებულია თვითღირებულებათქო, ამაზე სამწუხაროდ, პასუხი ვერ მივიღეთ. მაშასადამე, ანგარიშგება იმდენად ცუდად ყოფილა დაყენებული, რომ განვლილ თვეებში ჯამი არ უკეთდებოდა თვითღირებულების შემცირების შედეგებს. ეს გვაიძულებს განგაში ავტეხოთ, ეს გვაიძულებს ვაწნიშნოთ ჩვენს მუშაკებს, რომ თუ მუშაობა ისეთი ტემპით გაგრძელდა, როგორც პირველ კვარტალში, ეს ჩაშლას უქადის სამრეწველო-ფინანსიურ გეგმას. სწორედ ამიტომ ჩვენს წინაშე სდგას ამოცანა— ავინაზღაუროთ დაკარგული დრო და აუცილებლად მივაღწიოთ გარდატეხას ახლავე, იანვარში, რათა გამოვასწოროთ გეგმის შეუსრულებლობა პირველ კვარტალში. ჩვენ უთუოდ გვაქვს ეს შესაძლებლობა. მართალი არ არის ის, ვინც ამბობს, რომ ამაში ობიექტიური პირობებია დამნაშავე. პროფესიონალისტები ამ საქმეს სამეურნეო მუშაკებს აბრალებენ, სამეურნეო მუშაკები— პროფესიონალისტებს, ხოლო პარტმუშაკები უყურებენ მათ და დამნაშავეებს დაეძებენ. მე მგონია, ყველას მიუძღვის ბრალი იმ მდგომარეობაში, რომელიც ამჟამად არსებობს.

მე უნდა ვთქვა, რომ, მაგალითად, ყველგან არ არის გატარებული ერთმმართველობა, რომელსაც ჩვენ გადამწყვეტ მნიშვნელობას ვაკუთვნებთ. მართალია, სათანადო კამპანია ჩავატარეთ, მაგრამ ეს კამპანია აქა-იქ ფორმალურ ხასიათს ატარებდა. აკეთებდნენ მოხსენებებს, გამოჰქონდათ რეზოლიუციები, მაგრამ სინამდვილეში ჯერ კიდევ მთლიანად ვერ შევასრულეთ ეს თვალსაჩინო გადაწყვეტილება. ბევრ საწარმოში აპარატი მეტად სუსტად მუშაობს. აი, ამიტომ, მე ვფიქრობ, რომ პირველი ძირითადი დასკვნა, რომელიც ჩვენ უნდა გამოვიყვანოთ ჩვენი მრეწველობის მუშაობის შესახებ, არის ის, რომ **გადამჭრელ გარდატეხას მივაღწიოთ სამრეწველო-ფინანსიური გეგმის შესრულების საქმეში; სამრეწველო-ფინანსიურ გეგმაზე ნამდვილად უნდა დაწესდეს ყველა ჩვენი ორგანიზაციების საზოგადოებრივი კონტროლი.** საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ ყოველმა მუშამ იცოდეს, თუ როგორ სრულდება ეს გეგმა. გეგმის ასეთი შეუსრულებლობა, მით უფრო სამწუხაროა, რომ ამჟამად ჩვენ ვხედავთ მუშათა მასების უდიდეს აღფრთოვანებას, ფართოდ გაშლილ სოციალისტურ შეჯიბრებას. მე მგონია ჩვენმა როგორც სამეურნეო, ისე პროფესიონალურმა და პარტიულმა ორგანიზაციებმა ვერ მოახერხეს საკმაოდ გამოეყენებინათ ყოველივე ეს იმისათვის, რომ შეესრულებინათ დასახული გეგმები.

განვლილი 1928—29 სამეურნეო წელი გარდატეხის წელს წარმოადგენს საქართველოს მრეწველობის მუშაობის ხარისხობრივი მაჩვენებლების გაუმჯობესების მხრივ. თუ 1927—28 წელს თვითღირებულება 0,6 პროცენტით გადიდდა, ხოლო შრომის ნაყოფიერება 3 პროცენტით შემცირდა, სამაგიეროდ 1928—29 წელს აღრიცხულ მსხვილ მრეწველობაში საფაბრიკო-საქარხნო თვითღირებულება 7,2 პროცენტით შემცირდა. ეს საკავშირო ციფრზე მაღალია. ხოლო ს. მ. უ. საბჭოს მრეწველობაში თვითღირებულება შემცირებულ იქნა 8,7 პროცენტით, თუმცა ზოგიერთ საწარმოში თვითღირებულების შემცირება მთლიანად ვერ შესრულდა. ამრიგად, თვითღირებულების შემცირების საქმეში დავალება საშუალოდ შესრულებულია 8 პროცენტით. რაც შეეხება შრომის ნაყოფიერებას, იგი 15 პროცენტით გაიზარდა, ჩვენი პროექტით გათვალისწინებული 16 პროცენტის ნაცვლად.

შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეში დავალება შესრულებულია. ეს წარმატება აიხსნება, ერთის მხრივ, იმით, რომ ჩვენს საწარმოებში მიღებულ იქნა მთელი რიგი რაციონალიზატორული ღონისძიებანი, რაც არ შეიძლება სათანადოდ არ იქნას შეფასებული, ხოლო მეორეს მხრივ, ეს აიხსნება მასების შემოქმედებითი აღფრთოვანებით, რამაც მკაფიო გამოხატულება ჰპოვა სოციალისტურ შეჯიბრებაში.

ამ საკითხის ირგვლივ ჩვენ ხშირად მოგვისმენია პროფესიონალისტებსა და სამეურნეო მუშაკებს შორის გამართული დავა. რით აიხსნება პროგრამის შესრულება? სამეურნეო მუშაკები აცხადებდნენ, რომ ეს შედეგი იყო რაციონალიზაციის, რეკონსტრუქციის ჩატარებისა და სხვ., ხოლო პროფესიონალისტები ამას უმთავრესად სოციალისტური შეჯიბრებით ხსნიდენ. მე ვფიქრობ—არც ერთი მხარე არ არის მართალი. ორივე ეს მომენტი უნდა აღვნიშნოთ, მაგრამ არ უნდა გავმართოთ ამ საკითხზე ისეთი დავა, რასაც ადგილი ჰქონდა როგორც თბილისის კომიტეტის პლენუმებზე, ისე ჩვენს რაიონულ ორგანიზაციებში. ეს დავა მოწმობს, რომ ჩვენ ჯერ კიდევ ვერ ვისწავლეთ საკითხის სათანადოდ დასმა და ზოგჯერ ზედმეტ დავას ვმართავთ იმის ნაცვლად, რომ ეს დრო შრომის ნაყოფიერების გადიდებას და ჩვენი მუშაობის ხარისხის ნამდვილ გაუმჯობესებას მოვანდომოთ.

სოც. შეჯიბრება — მასების ენტუზიაზმის გამოხატულება

სოციალისტურმა შეჯიბრებამ ამ ბოლო დროს საქართველოში უფართოესი გაქანება მიიღო. ცნობილია, რომ ამხ. ლენინი უდიდეს მნიშვნელობას აკუთვნებდა შრომის ნაყოფიერების გადიდების საქმეს. იგი სწერდა:

„კაპიტალიზმი შეიძლება საბოლოოდ დამარცხებულ იქნას და საბოლოოდ დამარცხდება კიდეც იმით, რომ სოციალიზმი შექმნის შრომის ახალ, ბევრად უფრო მაღალ ნაყოფიერებას“.

ჯერ კიდევ 1920 წელს ლენინმა შაბათობას თვლიდა მასიურ ცდად კომუნისტური შრომის დამკვიდრებისათვის მუშათა შორის და სწერდა:

„მემამულეებისა და კაპიტალისტების დამხობის შემდეგ მხოლოდ პირველად თავისუფლდება ასპარეზი კომუნიზმის ნამდვილი მშენებლობისათვის, იმისათვის, რომ შემუშავებულ იქნას ახალი განსაზღვრული ურთიერთობა, საერთო შრომის ახალი დისციპლინა, მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის, ხოლო შემდეგ საერთაშორისო მეურნეობის ახალი მსოფლიო-ისტორიული წყობა“.

„ჩვენ ვმუშაობთ, რათა აღმოვფხვრათ წყეული წესი—„ყველა თავისათვის, ღმერთი ყველასათვის“, რათა აღმოვფხვრათ ის ჩვეულება, რომლის მიხედვითაც შრომა მხოლოდ ბეგარაა და კანონიერად ითვლება მხოლოდ ის შრომა, რომლის გასტუმრებაც განსაზღვრული ნორმით ხდება. ჩვენ ვმუშაობთ, რათა მასების შეგნებაში, ჩვეულებებში, ყოველდღიურ ცხოვრებაში დავამკვიდროთ წესი: „ყველა ერთისათვის, ერთი ყველასათვის“, წესი: „ყველამ იმუშაოს თავისი უნარის მიხედვით, ყველას მიეცეს თავისი მოთხოვნილების მიხედვით“, რათა თანდათანობით, მაგრამ განუხრელად დავამკვიდროთ კომუნისტური დისციპლინა კომუნისტურ შრომაში“.

„წლობით და ათი წლობით ვიმუშავებთ იმისათვის, რომ გავატაროთ შაბათობა, განვავითაროთ იგი, გავავრცელოთ, გავაუმჯობესოთ, დავამკვიდროთ ჩვეულებებში. ჩვენ მივაღწევთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას“ (ტ. 17, გვ. 206—207).

ამას სწერდა ლენინი ამ 10 წლის წინად, ხოლო ამჟამად ის ფართო მოძრაობა, რომელიც ჩვენს ფაბრიკებსა და ქარხნებს მოედო, მუშების ახალი დამოკიდებულება შრომისადმი, მათი დამოკიდებულებისა წარმოებისადმი, ნივთებისა და საგნებისადმი მოწმობს, რომ ჩვენ ნამდვილად ვამკვიდრებთ მუშათა ფართო მასებში კომუნისტური შრომის ამ ახალ ფორმებს. სოციალისტურმა შეჯიბრებამ საქართველოში დიდი შედეგები მოგვცა შრომის ნაყოფიერების გადიდების, თვითღირებულების შემცირების, საწარმოო დავალებათა გადაჭარბებით შესრულების, უვარგისი ნაწარმოების შემცირების, პროდუქციის ხარისხის გაუმჯობესებისა და შრომის დისციპლინის განმტკიცების საქმეში. სოციალისტური შეჯიბრების შედეგად თითქმის ყველა საწარმოში, ზოგიერთი გამონაკლისის გარდა, გაუმჯობესდა პროდუქციის ხარისხი. გამონაკლისებს უნდა მიეკუთვნოს, მაგალითად პროდუქციის რამდენადმე გაუარესება ფეხსაცმელის ფაბრიკაში, სადაც ბევრი უვარგისი ნაწარმოები აღმოჩნდა. იგივე უნდა ითქვას პოლიგრაფტრესტის მე-4 სტამბაზე და ზოგიერთ სხვა საწარმოზე.

სოციალისტური შეჯიბრების მიმდინარეობის შემოწმებამ ცხადჰყო, რომ აღრიცხვის საქმე დაყენებულია მეტად ცუდად. არ ხდება შეჯიბრების შედეგების აღრიცხვა. 26 კომუნარის ქარხანაში მუშებმა განაცხადეს: „ჩვენ ჩვენი მოვალეობა შევასრულეთ, მაგრამ ადმინისტრაცია ჩამორჩენილია, იგი არ აწარმოებს ჩვენ ღონისძიებათა შედეგების აღრიცხვას. იმის გამო, რომ აღრიცხვა არ ხდება, მთელი ჩვენი მუშაობა სრულიად უშედეგოდ რჩება“. ტყავის ქარხანაში (№ 1) სოციალისტური შეჯიბრების ივლისის შედეგებს მხოლოდ სექტემბერში გაუკეთეს ჯამი. ჭიათურაში მარგანეცის ტრესტში შედეგების აღრიცხვა დაყენებულია მეტად ცუდად: ზოგიერთ მაღაროში აღრიცხვას აწარმოებენ ფუთობით, ზოგან კილოგრამობით, ხოლო ზოგან ტონობით, რაც დავთარს უბნევს მუშებს. თბილისის ტრამვაის სახელოსნოში კი, როდესაც დაინახეს, რომ აღრიცხვის საქმიდან არაფერი გამოდიოდა, არც აციევს, არც აცხელეს და შემდეგი დადგენილება გამოიტანეს: „აღრიცხვის სიძნელის გამო საამქროები მოხსნილ იქნან შეჯიბრებიდან“-ო, ე. ი. მოინდომეს სოციალისტური შეჯიბრების გაუქმება, რადგანაც სწორ აღრიცხვას ვერ აწარმოებდნენ.

ბრძოლა პირველობისათვის წარმოებაში

შეჯიბრებამ იმდენად გაიტაცა მუშები, რომ ზოგ ადგილას იგი გადაიქცა ნამდვილ ბრძოლად პირველობისათვის. ორ თამბაქოს ფაბრიკას შორის დაიწყო დავა იმაზე, თუ რომელი მათგანი გამოვიდა გამარჯვებული. იგივე მოხდა არსენალსა და 26 კომუნარის სახელობის ქარხანას შორის, „თემქა“-სა და კალინინის სახელობის ქარხანას შორის. საჭირო გახდა ამ დავის გადაჭრა არბიტრაჟის გზით, მაგრამ ხშირად საქართველოს ინსტანციებით უკმაყოფილოებს საქმე გადაჰქონდათ ამიერ-კავკასიის ორგანოებში, სანამ არ გამოარკვევდნენ პირველობის საკითხს. ეს მოწმობს, რომ მუშა თანდათან წარმოების პატრონად გრძნობს თავს, რომ შეჯიბრება ნამდვილად ხდება წარმოების გაუმჯობესებისათვის. თელავის აბრეშუმის სახვევ ფაბრიკაში მუშებმა აიღეს პირველი ჯილდო, მიიღეს დროშა და განაცხადეს, რომ ამ დროშას ისინი სიკვდილამდის არავის დაუთმობენ. და მართლაც, ამ ფაბრიკამ სამჯერ გაიმარჯვა დანარჩენ აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებზე. ასეთი მაგალითები მოწმობენ, რომ სოციალისტური შეჯიბრება ჩვენში იზრდება და ღებულობს იმ ხასიათს, რომელსაც თავის დროზე ყურადღებას აქცევდა ამხ. ლენინი.

თავდაპირველად დამკვრელ ბრიგადებზე გადასვლის დროს, მათი ორგანიზაციის საქმეში მთავარ დაბრკოლებას წარმოადგენდა ის, რომ ბევრ სამეურნეო ორგანოს არ ესმოდა დამკვრელი ბრიგადების შექმნის საჭიროება; ისინი არ იძლეოდნენ მუშების გადაჯგუფების ნებას. სოხუმში, როცა კომკავშირელთა ინიციატივით მოეწყო ფოსტა-ტელეგრაფის მუშაკთა ბრიგადა, ადმინისტრაციის წარმომადგენელმა განაცხადა: „ვინ დაამტკიცა იგი, პირველად მესმის, რომ ბრიგადას ნიშნავენ ან ირჩევენ ადმინისტრატორის დაუკითხავად; თუ მე დავინიშნავ, ანგარიშს გაუწევ, თქვენ ბრიგადას კი არა ვცნობ, ხელს ნუ მიშლით შეჯიბრებით, მე ფეხზე უნდა დავაყენო წარმოება“.

თურმე, ნუ იტყვით, წარმოების ფეხზე დაყენება ერთი საქმეა, ხოლო სოციალისტური შეჯიბრება—მეორე.

სოციალისტური შეჯიბრების მსვლელობის შემოწმების დროს გამოირკვა ისეთი ცალკე შემთხვევები, როცა გამოძახება და შეჯიბრების შესახებ ხელშეკრულების დადება ხდებოდა მასების მონაწილეობის გარეშე, კაბინეტური წესით, ხოლო ხშირად ზოგიერთი ადმინისტრატორები და სამეურნეო მუშაკები არც კი იყვნენ გაცნობილნი სოციალისტური შეჯიბრების დანიშნულებასთან.

დამკვრელი ბრიგადებიდან—დამკვრელი ცეხებისა და საწარმოებისაკენ

საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატმა მიიღო გამოწვევა უკრაინის იუსტიციის სახალხო კომისარიატისაგან. ამის შესახებ პატაკით აცნობეს სახალხო კომისრის მოადგილეს, რომელმაც პატაკზე წააწერა: „შესწავლილ იქნას საკითხი სოციალისტური შეჯიბრების ორგანიზაციის შესაძლებლობის შესახებ“. თურმე, ნუ იტყვით, საქართველოს იუსტიციის სახ. კომისარიატის წრეში ჯერ-ჯერობით არ იციან—შესაძლებელია თუ არა სოციალისტური შეჯიბრების მოწყობა.

სოციალისტური შეჯიბრებიდან ჩვენ გადავედით დაკვრითი მუშაობაზე, რომელმაც საქართველოში მასიური ხასიათი მიიღო. თბილისის 30 საწარმოში, რომლებშიაც ირიცხება 12.000 მუშა, ინდივიდუალურ შეჯიბრებაში ჩაბმულია 2.615 კაცი, არის 226 დამკვრელი ბრიგადა 2.615 მუშით, აგრეთვე 30 დამკვრელი საამქრო 1.120 მუშით. ჭიათურაში [illegible] მუშიდან ინდივიდუალურ შეჯიბრებაში მონაწილეობას იღებს 1.025 კაცი, მუშაობს 107 დამკვრელი ბრიგადა 1.249 კაცით. თბილისში უკვე არის 4 საწარმო, რომელთაც თავიანთი თავი დამკვრელ ფაბრიკებად და ქარხნებად გამოაცხადეს. რა მონაწილეობას იღებენ ამ დამკვრელ ბრიგადებში კომკავშირელები და კომუნისტები? თუ ავიღებთ ლენინის რაიონს, დავინახავთ, რომ 7 მსხვილ საწარმოდან 8.218 მუშით სოციალისტურ შეჯიბრებაში და დამკვრელ ბრიგადებში მონაწილეობას იღებს 8.082 მუშა, აქედან 55,2 პროც. კომუნისტი და კომკავშირელია. ეს სავსებით ნორმალურ პროცენტად უნდა ჩაითვალოს.

26 კომუნართა რაიონში 10 საწარმოში მოწყობილია 41 დამკვრელი ბრიგადა, რომლებშიაც შედის 737 მუშა, აქედან 313 კომუნისტი, ე. ი. 43 პროცენტი. აქაც მონაწილეობის პროცენტი საკმაოდ მაღალია. მე არა მაქვს ცნობები სხვა საწარმოთა შესახებ მთელს საქართველოში, მით უმეტეს, რომ ეს ციფრები ყოველ დღე იზრდება, ვინაიდან ეწყობა ახალი ბრიგადები და იდება ახალი ხელშეკრულებები სოციალისტური შეჯიბრების შესახებ. მაგრამ ერთი კი აშკარაა—დამკვრელი მუშაობა ფართო ხასიათს ღებულობს. ამ ბოლო დროს ეწყობა საწარმოო კოლექტივები და კომუნები, როგორც, მაგალითად, 26 კომუნარის სახელობის ქარხანაში და „თემქა“-ში. კოლექტივის წევრები ნებაყოფლობით უარს ამბობენ ინდივიდუალურ სანარდო სამუშაო ხელფასზე და გადადიან კოლექტიურ სამუშაო ხელფასზე, რომელსაც ანაწილებენ მუშებს შორის კვალიფიკაციისა და თანრიგის მიხედვით. მთელ რიგ საწარმოებში დაისვა საკითხი იმის შესახებ, რომ კოლექტიური ხელფასი განაწილებულ იქნას გათანაბრების წესით. მაგრამ ეს ვერ გავიდა, ვინაიდან ერთი საქმეა კვალიფიციური მუშები, რომელნიც მუშაობენ მეტს და უკეთესად, ხოლო მეორე—ფაბრიკაში ახლად მიღებულნი, რომელთაც უნდათ დაეწიონ კვალიფიციურ მუშებს და იმდენივე მიიღონ. საკითხის ასე დაყენება არ ჰქმნის სტიმულს შრომის ნაყოფიერების გადიდებისათვის, პირიქით, მას შეუძლია საგრძნობლად შეამციროს ეს ნაყოფიერება. ასე დაისვა საკითხი თბილისის ერთ-ერთ თამბაქოს ფაბრიკაში. როცა ამ საკითხის გამო მოიწვიეს მუშების კრება, მუშები ამას არ დასთანხმდნენ. საწარმოო კოლექტივების შექმნის საკითხს ფრთხილად უნდა მივუდგეთ და მხოლოდ იმ შემთხვევაში უნდა მოვაწყოთ აღნიშნული კოლექტივები, როცა ერთფეროვანი სამუშაოა. რაც შეეხება ინდივიდუალურ ხელფასიდან კოლექტიურ ხელფასზე გადასვლის იდეას, იგი ყოველმხრივ უნდა წავაქეზოთ.

ბუხარინის წიგნში „გარდამავალი პერიოდის ეკონომიკა“—სწერია:

„პროლეტარული დიქტატურის სისტემის დროს „მუშა“ ღებულობს საზოგადოებრივ-შრომითი ულუფას და არა სამუშაო ხელფასს“.

ლენინმა კი გვერდზე მოუწერა:

„სწორია და კარგად ნათქვამი, მიუკიბმოუკიბავად; საჭიროა ამის განვითარება (ნაცვლად მრავალ ფურცლებზე გაჭიმულ „თვალსაზრისებისა“).

ამით ლენინი გვეუბნება, რომ ახლანდელ პირობებში ჩვენს მიზანს უნდა შეადგენდეს ის, რომ მუშა ღებულობდეს საზოგადოებრივ-შრომითი ულუფას. საჭიროა დავაფასოთ არა მარტო შრომა, რომლის გასტუმრებაც ხდება განსაზღვრული ნორმით, არამედ შევქმნათ შრომის ორგანიზაციის ახალი ფორმებიც.

აი რატომ ვფიქრობ, რომ მას შემდეგ, რაც თვალსაჩინო მიღწევები გვაქვს საწარმოებში, ჩვენ სოციალისტური შეჯიბრების განვითარების სფეროში მიზნად უნდა დავისახოთ მუშების მთელი ასი პროცენტის ჩაბმა სოციალისტურ შეჯიბრებაში და მუშების 50 პროცენტის ჩაბმა დამკვრელ ბრიგადებში. **დამკვრელ ბრიგადებიდან უნდა გადავიდეთ დამკვრელ საამქროებზე, დამკვრელ საამქროებიდან—დამკვრელ საწარმოებზე და მუშების შემოქმედებითი აღფრთოვანებისა და ინიციატივის საშუალებით უნდა მივაღწიოთ კომუნისტური შრომის გამარჯვებას.**

მიღწევები კოლხელშეკრულებათა დადების კამპანიაში

ამხანაგებო, ამას წინად ჩვენ მოვისმინეთ საქართველოში ჩატარებულ კოლხელშეკრულებათა კამპანიის—ამ უმნიშვნელოვანესი პოლიტიკურ-სამეურნეო კამპანიის—შედეგები. უნდა ითქვას, რომ ამ კამპანიამ წარმატებით ჩაიარა. კამპანიის ჩატარებას საფუძვლად დაედო მუშათა ფართო მასების მობილიზაცია ჩვენი პარტიის გენერალური ხაზის ირგვლივ, ხუთწლედის მეორე წლის ძირითადი ამოცანების შესრულების ირგვლივ. კოლექტიური ხელშეკრულებების განხილვაში მონაწილეობა მიიღო მუშების 86,7 პროცენტმა. გასულ წელს კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიის დროს მოხდა 47 კონფლიქტი, მიმდინარე წელს კი მხოლოდ სამი. პოლიტიკური აქტივობის ზრდასთან ერთად ადგილი ჰქონდა მთელ რიგ უარყოფით მოვლენებს, ცალკე მტაცებლურ გამოსვლებს ჩამორჩენილ და ახალ მუშათა ზოგიერთი ჯგუფების მხრივ. პროფორგანიზაციების ცალკე საფეხურებზე თავი იჩინეს მაჩანჩალობის ელემენტებმა, იყო საქმის გაჭიანურებისა და ბიუროკრატიზმის შემთხვევები სამეურნეო ორგანოების მხრივ. საინჟინრო-ტექნიკური პერსონალის სუსტი მონაწილეობა კოლექტიურ ხელშეკრულებათა კამპანიაში. პროფკავშირებმა, განსაკუთრებით ქვედა საფეხურის პროფორგანოებმა, ვერ შეუფარდეს თავიანთი მუშაობა ლოზუნგს „პირით წარმოებისაკენ“. პარტიული ორგანოების და საკავშირო პროფსაბჭოს პლენუმების მთელ რიგ დადგენილებათა მიუხედავად, პროფკავშირების ზოგიერთ ორგანოში ჯერ კიდევ ვხედავთ ტრედუნიონიზმის, უმოძრაობის ელემენტებს. იგივე უნდა ითქვას ჩვენს სამეურნეო მუშაკებზე. ზოგიერთ სამეურნეო მუშაკს არ შესწევს უნარი სისწორით გამოიყენოს მუშების აქტივობა, ხშირად ისინი საკმაოდ ვერ აფასებენ მასების შემოქმედებითი აღფრთოვანებას, დახმარებას არ უწევენ ამ აქტივობას, ხოლო ზოგჯერ ხელსაც უშლიან მუშების ინიციატივას, ათერხებენ სოციალისტური შეჯიბრების საქმეს.

გავადიდოთ რეალური ხელფასი არა ნაკლებ 12%-სა

აქ არ შეიძლება არ შევეხოთ მუშათა კლასის რეალური სამუშაო ხელფასის უზრუნველყოფის საკითხს. ც. კ-ის ნოემბრის პლენუმმა რეზოლიუციაში საკონტროლო ციფრების შესახებ აღნიშნა, რომ „მიმდინარე სამეურნეო წლის უმნიშვნელოვანეს ამოცანას და გადამწყვეტ პირობას მრეწველობის განვითარების დასახული გეგმის შესრულებისათვის წარმოადგენს შრომის ნაყოფიერების გადიდება 25 პროცენტით და ამავე დროს ნომინალური ხელფასის გადიდება 9 პროცენტით, ხოლო რეალური ხელფასის—არა ნაკლებ 12 პროცენტისა“.

რეალური ხელფასის უზრუნველყოფის საკითხს ამჟამად წინ ეღობება კოოპერაციის მუშაობის ხარისხი. ჩვენ არ შეგვიძლია მივაღწიოთ რეალური ხელფასის 12 პროცენტით გადიდებას, თუ კოოპერაციამ მთლიანად არ გარდაქმნა თავისი მუშაობა, თუ პროფკავშირები თვითონ არ მოჰკიდებენ ხელს კოოპერაციის მუშაობის ღირსების გადაჭრით გაუმჯობესებას.

კოოპერაციამ სრული სამსახური უნდა გაუწიოს მუშა მომხმარებელს. ბოლო უნდა მოეღოს ისეთ ცდებს, რომლებიც მიმართულია ზოგიერთი საბიუჯეტო პროდუქტების ფასების გადიდებასაკენ. საკავშირო პროფსაბჭოს პრეზიდიუმმა მიიღო მთელი რიგი მნიშვნელოვანი დადგენილებანი, რომლებიც მიმართულია კოოპერაციის მუშაობის გაუმჯობესებისაკენ. მთავარი ამ დადგენილებებში ის არის, რომ რიგებთან ბრძოლის მიზნით კოოპერატივის წევრები მიმაგრებულ იქნან განსაზღვრულ წერტილებთან, გაფართოვდეს სავაჭრო ფარდულების რიცხვი, გამრავლდეს მუშათა სასადილოების რიცხვი, გაიხსნას ახალი სასადილოები მთელ რიგ საწარმოებთან, გაუმჯობესდეს მერძეობისა და მეფრინველეობის საქმე, გაიწმინდოს მუშათა კოოპერაციის აპარატი უცხო ელემენტებისაგან და სხვა. უნდა ვსთქვა, რომ როგორც ცენტრში, ისე აქ კოოპერაცია ძალზე მოიკოჭლებს, არ ექცევა საკმაო ყურადღება სწორედ იმას, რომ მუშა მომხმარებელი უზრუნველყოფილი იქნას პირველი მოთხოვნილების საგნებით; არ ექცევა ყურადღება ბოსტნეულის საბჭოთა მეურნეობების შექმნას და სხვ.

არა ერთხელ მიცემული დირექტივის მიუხედავად, კოოპერაცია ჯერ კიდევ ვერ დაიძრა მკვდარი წერტილიდან. ეს, ამხანაგებო, იმას ამტკიცებს, რომ ჩვენ, რადგაც არ უნდა დაგვიჯდეს, უნდა მივაღწიოთ გარდატეხას კოოპერაციის მუშაობაში, განსაკუთრებით ქალაქად, სადაც არსებობენ მუშათა კადრები, უნდა მივაღწიოთ გარდატეხას იმისათვის, რომ შესრულდეს ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის დირექტივები რეალური ხელფასის უზრუნველყოფის შესახებ.

საქ. მრეწველობის ძირითადი დარგები

აქ მოკლედ შევჩერდები მრეწველობის ზოგიერთ ძირითად დარგზე. პირველ ყოვლისა, რამდენიმე სიტყვა შავი ქვის მრეწველობის შესახებ. 1928—29 წელს შავი ქვის ამოღების პროგრამა შესრულებულ იქნა ასი პროცენტით. თითქმის მთლიანად შესრულდა აგრეთვე ექსპორტის პროგრამა. 1929—30 წლის პირველ კვარტალში ამოღების გეგმა შესრულებულ იქნა 102 პროცენტით, რეცხვის—95 პროცენტით (მცირე შემცირება). ექსპორტის საქმეში გეგმა შესრულდა მხოლოდ 52 პროცენტით. ეს არ მომხდარა ტრესტის მიზეზებით.

მარგანეცი

შავი ქვის ტრესტის მუშაობაში, როგორც ნაკლი, უნდა აღვნიშნო ორი მომენტი, პირველ ყოვლისა—საკითხი თვითღირებულების შესახებ. მუდამ გაისმის ლაპარაკი იმაზე, რომ უნდა გადაისინჯოს თვითღირებულების საკითხი. დღესაც შეგვეძლო წაგვეკითხა გაზეთებში, რომ ტრესტი ცდილობს თვითღირებულების გადასინჯვას მისი გადიდების მიზნით. იმ დროს, როდესაც ჩვენს წინაშე სდგას თვითღირებულების შემცირების ამოცანა, მარგანეცის ტრესტს სურს გაადიდოს თვითღირებულება. ეს გადაჭრით უნდა დაიგმოს და მარგანეცის ტრესტი უნდა ვაიძულოთ შეასრულოს ჩვენი პარტიის დირექტივები.

მეორე ნაკლს შეადგენს ის, რომ მარგანეცის ტრესტმა, ჩვენი წინა პლენუმის დადგენილების მიუხედავად, თავისი მუშაობა ვერ შეუგუა საზღვარგარეთის ბაზრის მოთხოვნილებათა სრულ დაკმაყოფილებას. აქვე უნდა ითქვას, რომ მარგანეცის ტრესტის წინაშე სდგას დიდი ამოცანა—ფერო-მარგანეცის ქარხნის აგების დაწყება. პროექტი უკვე დამტკიცებულია და წელსვე, რამდენიმე თვის შემდეგ, საშუალება მოგვეცემა შევუდგეთ ფერო-მარგანეცის ქარხნის აგებას. ეს ფრიად დიდი საქმეა და მარგანეცის ტრესტს უნდა დაევალოს, დაუყოვნებლივ მიაქციოს ამ საქმეს მთავარი ყურადღება, ვინაიდან ამაზეა დამოკიდებული მარგანეცის ტრესტის მთელი შემდგომი მუშაობა.

ნავთი და ქვანახშირი

უნდა შევჩერდე ჩვენი მრეწველობის ერთ დარგზე, რომელიც ახლა ისახება—შირაქის ნავთზე. დღემდე, როგორც იცით, ჩვენ ნავთი არ მოგვეპოვებოდა. ახლა ეს ნავთი აღმოჩნდა კახეთში, ეს საკითხი ჩვენი ინიციატივით ცენტრში დაისვა. მოსკოველი ამხანაგები ამ საქმეს დიდი თანაგრძნობით შეხვდნენ და უკვე დაარსდა სპეციალური ტრესტი „საქართველოს ნავთის მშენებლობა“, რომელიც ფართო მუშაობას ანვითარებს შირაქის ნავთის კვლევა-ძებნის საქმეში. ადგილობრივ დაიწყო 7 ჭაბურღილის გათხრა. ჭაბურღილების რიცხვი წელსვე ათამდე იქნება აყვანილი. „სოიუზნეფტ“-ის გამგეობის თავმჯდომარის ამხ. ლომოვის აზრით, „შირაქის ველი კვლევა-ძებნის ძვირფას ობიექტს წარმოადგენს“. ხუთწლედის დამლევისათვის უკვე გათვალისწინებულია 2 მილიონამდე ტონა ნავთის ამოღება, ე. ი. ხუთწლედის დამლევს საბჭოთა მრეწველობას უნდა მივსცეთ 120 მილიონამდე ფუთი ნავთი. ეს, ამხანაგებო, დიდად რეალური საქმეა და მე ვფიქრობ, კახეთს შეუძლია იამაყოს არა მარტო საუკეთესო ღვინით, არამედ, როგორც სჩანს, საუკეთესო ნავთითაც, ვინაიდან შირაქის ნავთი ბენზინის რაოდენობით ჰგავს ბიბი-ეიბათის მსუბუქ ნავთს. აი რატომ ვფიქრობ მე, რომ ამჟამად ყველა ორგანიზაციების ყურადღება უნდა მიექცეს ამ ახალი საქმის განვითარებას.

რაც შეეხება ქვანახშირს, უნდა ითქვას, რომ ტყიბულის ქვანახშირი მუდამ სავალალო მდგომარეობაში იყო. მხოლოდ უკანასკნელ ხანებში დაიწყო მუშაობა ამ საქმის მდგომარეობის გასაუმჯობესებლად. პირველ ყოვლისა, ეწყობა ბრიკეტების დადგმულობა. მიმდინარე წელს დაიწყება მაღაროების მექანიზაციის პროექტების განხორციელება. განზრახულია აგრეთვე კოქსის დამამზადებელი მოწყობილების დადგმა ტყიბულის ქვანახშირის მაღაროებში. ყველა ეს ხელს შეუწყობს ამ საქმის მტკიცე ბაზაზე დაყენებას, ტყიბულის ქვანახშირის გაჯანსაღებას, იმას, რომ გახადოს იგი უდეფიციტო, რაც უმთავრესია, ვინაიდან აქამდე ეს საქმე საზარალო იყო.

რაც შეეხება ტყვარჩელს, ამჟამად ტყვარჩელის მშენებლობის პროექტი ცენტრში დამტკიცებულია და წელს საშუალება მოგვეცემა შევუდგეთ ტყვარჩელის უმდიდრესი ნახშირის საბადოების დამუშავებას. ამის გამო განსაკუთრებით დიდი ყურადღება უნდა მიექცეს გეოლოგიური კვლევა-ძიების განვითარებას, ვინაიდან ქვანახშირი ჩვენ სხვა რაიონებშიაც მოგვეპოვება. ვარაუდით, ქვანახშირი მოიპოვება ენგურზე და ბზიბის რაიონში. იმასაც კი ამბობენ, რომ ტყვარჩელ-ტყიბული და ბზიბი-ენგური ერთ სანახშირო რაიონს ეკუთვნიანო. ამას წინად ამხ. მიქოიანი სწერდა, რომ ზოგჯერ მარილს ვეძებთ და ნავთი გვეხიჩება წინო. შეიძლება ჩვენ ნახშირის ძებნაში სპილენძს ან წავაწყდეთ. გვეხიჩება წინო, შეიძლება ჩვენ წავაწყდეთ ასეთი სიმდიდრე საქართველოში და ამიერკავკასიაში დიდი რაოდენობით მოიპოვება. აი რატომ ვფიქრობ, რომ ამ საქმეს დიდი ყურადღება უნდა მიექცეს, უნდა შევუდგეთ საქართველოში ფართო გეოლოგიურ კვლევაძიებას.

აბრეშუმის მრეწველობა

შემდეგი დარგი არის აბრეშუმის მრეწველობა, რომელიც ჩვენში არაჩვეულებრივი ტემპით ვითარდება, თუმცა უნდა ითქვას, რომ ჯერ-ჯერობით აბრეშუმის მოსავლიანობა დაბალია. ამჟამად კოლოფი აბრეშუმის თესლი იძლევა 29 კილოგრამს; ხუთწლიანი გეგმით გათვალისწინებულია ამ რიცხვის 49 კილოგრამამდე აყვანა იმ დროს, როდესაც იტალიაში კოლოფი იძლევა 56 კილოგრამს, ხოლო საფრანგეთში—60 კილოგრამს. აქ ჩვენ ჩამორჩენილნი ვართ.

ჩამორჩენილნი ვართ აგრეთვე მეაბრეშუმეობის განვითარების ტემპითაც. აქ ჩვენ წინაშე სდგას ჭიის კვების მექანიზაციის საკითხი. არის ცდები, რომლებსაც აქ მიმართავენ ჩვენი აგრონომები ცქიტიშვილი და დონდუა. თუ ეს ცდები გამართლდა, მეაბრეშუმეობის საქმე არაჩვეულებრივად განვითარდება. მეაბრეშუმეობის სეზონი შეიძლება 5,5—6 თვემდე გაგრძელდეს და ჭიის განმეორებითი გამოკვება ერთსა და იმავე ფართობზე კვების მექანიზაციის პირობებში შეამცირებს ხარჯს და უდიდეს შედეგებს მოგვცემს. მეაბრეშუმეობის განვითარების საქმეში. აი რატომ სდგას მეაბრეშუმეობის ტრესტის წინაშე საკვები ბაზის მაქსიმალური განვითარების ამოცანა. ეს საქმე უნდა განვითარდეს როგორც აღმოსავლეთ, ისე დასავლეთ საქართველოში და მაშინ შეგვეძლება ჩვენს ქვეყანას მივსცეთ „აბრეშუმის“ ხასიათი. ეს შესაძლებელს გახდის დაარსდეს ჩვენში ახალი აბრეშუმის სახვევი და აბრეშუმის საქსოვი ქარხნები. უნდა დაისვას აგრეთვე საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენში აგებულ იქნას ხელოვნური აბრეშუმის ქარხანა. საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში ასეთ ქარხნებს აგებენ.

ქაღალდის ფაბრიკა

შემდეგ უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ახლავე უნდა შევუდგეთ ქაღალდის ქარხნის აგებას. ეს საკითხი ბევრჯერ გადაიდო, მაგრამ ახლა პროექტი უკვე მიღებულია და უახლოეს დროში ხელი უნდა მივყოთ ამ საქმეს. ამჟამად ქაღალდის მეტად მწვავე კრიზისს განვიცდით და უცხოეთის ბაზარზე ვართ დამოკიდებულნი. ეს სახეში უნდა ვიქონიოთ და დავაჩქაროთ ამ ფაბრიკის აგების ტემპი.

ბარიტის ქარხნის დეფექტები

მიღწევებთან ერთად გვაქვს დეფექტებიც. მაგალითად, წარსულ ჩვენს ყრილობაზე ვამბობდით, რომ ცუდად არის აგებული ქუთაისის ბარიტის ქარხანა.

ბევრს არ სჯეროდა ეს და გაიძახოდა, რომ არაფერი ამგვარი არ არის, რომ ხარჯი დიდი გავსწიეთ, მაგრამ ბარიტის ქარხანა ჩვენთვის მაინც საჭიროა, ეხლა კი გვატყობინებენ, რომ ეს ქარხანა უნდა შევაჩეროთ, ვინაიდან ბარიტის უბრალო წისქვილებში გარეცხვა უფრო კარგ პროდუქციას იძლევა, სხვანაირად, უფრო უკეთესი ხარისხისაა, ვიდრე ჩვენს, ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით მოწყობილ ქარხნებში გარეცხვა. ამის ახსნა ძნელია. მაგრამ ეს არის ჩვენი მშენებლობის მარცხი, საკმაოდ საგრძნობი მარცხი.

მაუდისა და ცემენტის ქარხნების მშენებლობა გვიანდება

გარდა ამისა, ჩვენ გვაქვს არაჩვეულებრივად ნელი ტემპი მშენებლობაში. მაუდის ფაბრიკას ძლივს ვამთავრებთ: ამუშავებულია რამდენიმე საამქრო და არა მთელი ფაბრიკა.

დიდად გაჭიანურდა კასპის ცემენტის ქარხნის აგება, იგი უნდა დამთავრებულიყო აპრილისათვის, მაგრამ საეჭვოა, რომ ივლისში დამთავრდეს. რასაკვირველია, ეს შეიძლება მრავალნაირად აიხსნას, მაგრამ, რაც უნდა იყოს, ჩვენს მშენებლობაში ასეთი მდგომარეობის ატანა დაუშვებელია. საჭიროა ავამოქმედოთ ჩვენი სამეურნეო ორგანოები, რომ ისინი ასეთი ნელი ტემპით არ მუშაობდნენ.

კაპიტალური დაბანდებანი

როგორია კაპიტალურ მშენებლობაზე გაწეული ხარჯები? მარტო საქ. ს.მ.უ. საბჭოს ხაზით მრეწველობაში 1929-30 წლისათვის უნდა დაბანდებულ იქნას 26 მილიონი მანეთი, ხოლო ელექტრომშენებლობაში — 15 მილიონი მანეთი, რაც გვიჩვენებს ჩვენი მშენებლობის გაქანებას. რათა ეს თანხები შესაფერისად იქნას გამოყენებული, საჭიროა გაჯანსაღდეს მთელი ჩვენი საამშენებლო საქმე. ყოველივე ის, რაც ჩვენში ამჟამად კეთდება, ამტკიცებს, რომ საბჭოთა საქართველო წინ მიდის ინდუსტრიალიზაციის გზით. ამის არ დანახვა შეუძლიათ მხოლოდ ბრმებს და იმათ, ვისაც არა სურს აღიაროს, რომ საქართველო ინდუსტრიალიზაციის გზაზე შესდგა.

თეთრგვარდიელთა მორიგი ჭორი

ჩვენს ხელთ არის თეთრგვარდიელთა ერთი დოკუმენტი, რომელსაც ეწოდება: „საქართველო ციფრებში“ (გაზეთი „დამოუკიდებელი საქართველო“). ვიღაც ავტორი, უცნობი შთამომავლობის თეთრგვარდიელი მენშევიკი თუ ნაციონალ - დემოკრატი — ესენი კი ერთი ჯურის სანაგვე ხალხია სწერს:

„ჩვენი ქვეყნის ეკონომიური ჩამორჩენილობა იმ ნაძალადევი ეკონომიური პოლიტიკის შედეგია, რომელსაც ას წელიწადზე მეტია ჩვენი ერი განიცდის და რომელიც გამოიხატება იმაში, რომ ხელოვნური ღონისძიებით შეფერხდეს ჩვენი ინდუსტრიის ღორძინება“.

სწორედ იმ დროს, როდესაც ჩვენი ინდუსტრია გოლიათური ნაბიჯით მიდის წინ, გვევლინება ისეთი უცნაური კაცი, რომელიც ამბობს, რომ ვიღაც აფერხებს ჩვენი ინდუსტრიის განვითარებას. შემდეგ იგი განაგრძობს.

„მართალია, თითქო, დღეს გვესმის ლაპარაკი, საკმაოდ ენერგიულიც კი, რომ საქართველოში იქმნება საფაბრიკო - საქარხნო მრეწველობა, მაგრამ, თუ საქართველოს თანამედროვე დამპყრობთა პოლიტიკას მივიღებთ მხედველობაში, ჩვენ ამის გამო სიხარულს ვერ მივეცემით, ვინაიდან ღრმად გვწამს, რომ მომავალი ფაბრიკები და ქარხნები არ იქნებიან შეფარდებული ჩვენი მოსახლეობის მოთხოვნილებებთან და ჩვენი სოფლის მოსახლეობა მხოლოდ ნაწილობრივ იქნება ჩაბმული ინდუსტრიაში. ეჭვს გარეშეა, რომ ფაბრიკებში იქნებიან არა ქართველი მუშები, არამედ ბოლშევიკებისათვის უფრო საიმედო, ჩვენს ქვეყანაში სპეციალურად გადმოსახლებულნი“.

მართლაც, ნამდვილი იდიოტი ან კრეტინი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი რამ დასწეროს. ამჟამად ლაპარაკი იმაზე, რომ ჩვენ საიდანღაც მოგვყავს მუშები — სასაცილო ამბავია. ნუ თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ცხრა და ათი ათასი ჭიათურის მუშა რომელიღაც „კოლონიიდან“ ჩამოყვანილი ხალხია და არა ქართველი მუშები და გლეხები, პირველ რიგში შორაპნის მაზრის გლეხები? ნუ თუ ვინმე დაიჯერებს, რომ ჩვენს აბრეშუმის სახვევ ფაბრიკებში სხვა ქვეყნებიდან ჩამოყვანილი მუშა ქალები და კაცები მუშაობენ?

აი რა ველურ ზღაპრებს ავრცელებენ ემიგრანტები იმისათვის, რომ სახელი გაუტეხონ საბჭოთა კავშირს! ეს სულელური ზღაპრები იმათთვისაა, ვისაც სურს თავი მოიტყუილოს. ეს მათი საქმეა. ყველამ თავის გზა იცის. ჩვენ კი თქვენთან ერთად უნდა ვთქვათ, ჩვენ გვაქვს არა ინდუსტრიის გადაგვარება და შეფერხება, არამედ ნამდვილი გოლიათური მშენებლობა, განვითარება სამრეწველო მშენებლობისაც და ელექტროფიკაციისაც. ჩვენ მოწმენი ვართ მუშათა კლასის მდგომარეობის ზრდისა და გაუმჯობესების, სოციალისტური მშენებლობის ფართო გაშლის, ჩვენი წარმოების 7 საათის სამუშაო დღეზე გადასვლის, განუწყვეტელ სამუშაო კვირაზე გადასვლის.

აი ის შედეგები, რაც წარსულმა სამეურნეო წელმა მოგვცა და რითაც ხუთწლედის მეორე წელიწადში გადავედით.

სოფლის მეურნეობა სოციალისტური რეკონსტრუქციის გზით

სოფლის მეურნეობის სწრაფი წინსვლა

გადავდივარ სოფლის მეურნეობის საკითხებზე.

ჩვენი პარტიის მე-6 ყრილობაზე საანგარიშო მოხსენებაში ვამბობდით, რომ საკმაო ყურადღებას არ ვაქცევდით სოფლის მეურნეობის აღორძინების საკითხებსო. ჩვენ გამოვთქვამდით რწმენას, რომ ეს ყრილობა გარდატეხის ეტაპი იქნება სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საქმეში. ახლა, 6 თვის შემდეგ, ჩვენ შეგვიძლია კმაყოფილებით აღვნიშნოთ, რომ გარდატეხა მოხდა და სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და ჩვენი სოფლის კოლექტივიზაციის საკითხები მოქცეულია პარტორგანიზაციის ყურადღების ცენტრში. საქართველოს მაგალითზედაც ცხადად სჩანს, რომ სულელური და უაზრო მემარჯვენე უკლონისტების ლაყბობა სოფლის მეურნეობის დეგრადაციისა და სხვ. შესახებ. ციფრები მჭევრმეტყველურად მოწმობენ ამას. სოფლის მეურნეობის ზრდას ადასტურებენ ცნობები 1928-29 წლის შედეგების შესახებ. შემოდგომის პურის ნათესი ფართობი 1928 წელს 8,9 პროცენტით გადიდდა წინა წელთან შედარებით; გაზაფხულის ნათესი ფართობი 1929 წელს 4,7 პროცენტით გადიდდა. წარსული შემოდგომის თესვის კამპანიის შედეგები ჯერ კიდევ აღრიცხული არ არის, მაგრამ ჩვენ გვაქვს წინასწარი ცნობები ნათესი ფართობის გადიდების შესახებ ცალკე ოლქებსა და მაზრებში: კახეთში 8 პროცენტით, თბილისის ოლქში — 6 პროცენტით. ნათესი ფართობი აგრეთვე გადიდდა გორის ოლქში, ახალციხის მაზრაში და მთელ რიგ სხვა ოლქებში. პურის დამზადება 1929 წელს, რამაც აღმოსავლეთ საქართველოში 600.000 ფუთზე მეტი სასაქონლო ხორბალი მოგვცა, აგრეთვე მოწმობს ჩვენი სოფლის მეურნეობის საქონლიანობის ზრდას.

შემდეგ გვაქვს სოფლის მეურნეობის, კერძოდ, ხორბლეული და ძვირფასი კულტურების, საერთო პროდუქციის საერთო ზრდა.

განსაკუთრებით სწრაფად იზრდებიან ტექნიკური და ძვირფასი კულტურები. ავიღოთ ჩაის ფართობი. აქ უნდა აღვნიშნოთ, რომ სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“ უდიდეს მუშაობას აწარმოებს ამ კულტურის განვითარებისათვის. ჩაის ფართობი, რომელიც 1927 წელს 3,9 ათას ჰექტარს უდრიდა, 1929 წელს 7,8 ათას ჰექტარამდე გადიდდა. მიმდინარე წელს დამატებით გაშენებული იქნება 6,5 ათასი ჰექტარი ახალი პლანტაციები.

უნდა ითქვას, რომ ეს გაფართოება უმთავრესად კოლექტიურ მეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში მოხდება, ინდივიდუალურ მეურნეობებზე კი მხოლოდ 1.500 ჰექტარი მოდის. განზრახულია ეს ციფრიც გადაისინჯოს იმ მიზნით, რომ უფრო გადიდდეს კოლექტიურ მეურნეობათა ფართობი. თქვენ ხედავთ, რომ ჩაის საქმე სწრაფი ტემპით ვითარდება, ჩვენ საქართველოში ხშირად ვლაპარაკობთ მიწების სიმცირეზე. ოზურგეთის მაზრაში ეწყობა საბჭოთა მეურნეობა, რომელიც 4.000 ჰექტარ ფართობს შეიცავს, ეს ხორბლეული კულტურის ფართობის 60 ათას ჰექტარს უდრის. ახლა ისეთ მიწებს ვიყენებთ, რომლებიც წინად მიტოვებული იყო, რომლებზედაც არავითარი კულტურის გაშენება არ შეიძლებოდა. ასე რომ ჩვენი წარმოდგენა მიწის სიმცირის შესახებ თავდაყირა დგება.

თამბაქოს ფართობი 1930 წელს, წარსულთან შედარებით, 14.000 ჰექტარიდან 22.000 ჰექტარამდე დიდდება, ბამბის — 8,5 ათას ჰექტარიდან 14 ათას ჰექტარამდე, სოიასი (ჩინური ლობიო) — 5 ათას ჰექტარიდან 10 ათას ჰექტარამდე; იზრდება კანაფის ფართობიც და სხვ. გარდა ამისა, შემოღებული იქნება ახალი კულტურა — რამი, რომელსაც 1.000-მდე ჰექტარი ფართობი დაეთმობა

ამრიგად, ჩვენ ვხედავთ, რომ გადაჭრით ვითარდებიან ახალი კულტურები, რომლებიც სავსებით გარდაქმნიან სოფლის მეურნეობის სისტემას საქართველოში. ამ რამდენიმე ხნის წინად „პრავდა“-ში დაიბეჭდა ბრაგინის წერილი, რომელშიაც ყურადღება ექცევა სიმინდის განსაკუთრებულ მნიშვნელობას. თურმე სიმინდიდან ბევრი რამის დამზადება შეიძლება, ვინაიდან სიმინდი უნივერსალური ნედლეულია, რომელიც სხვადასხვა სასურსათო და სამრეწველო საქონელს იძლევა. ავტორი ამტკიცებს, რომ აგრიკულტურული რევოლიუცია სიმინდისა და სოიას ნიშანქვეშ მოხდება. თუ ამას დავუმატებთ სუბტროპიკულ კულტურებს და მრავალ ძვირფას და ტექნიკურ კულტურას, საქართველოში ნამდვილ აგრიკულტურულ რევოლიუციას მოვახდენთ. მართალია, ეს საკითხი მოითხოვს გულდასმით დამუშავებას მიწადმოქმედების სახალხო კომისარიატისა და სამეცნიერო დაწესებულებებში, რაც არ ხდება და რასაც, მე ვფიქრობ, მაქსიმალური ყურადღება უნდა მიექცეს.

სოფლის მეურნეობის სწრაფ ზრდასთან ერთად ხდება სოფლის მეურნეობის სოციალური რეკონსტრუქციის პროცესიც.

კოლექტივიზაცია ყურადღების ცენტრში

გასული წელი ხასიათდება გლეხურ-მეურნეობათა კოლექტივიზაციის თვალსაჩინო ზრდით.

კოლექტივიზაციის განსაკუთრებით მაღალ ტემპებს ჩვენ ვხედავთ გასული წლის ოქტომბერ-ნოემბერში მოსავლისა და კოლექტივიზაციის დღის ჩატარების შედეგად. ამ კამპანიის დროს ყველა რაიონებში გაიგზავნენ მუშათა ბრიგადები, რომელთა მუშაობასაც შედეგად მოჰყვა დიდი მიღწევები. 1-ლ ოქტომბრისათვის განსაზოგადოებული მიწა 2,5 პროცენტს შეადგენდა, ხოლო 1-ლ დეკემბრისათვის უკვე 4,7 პროცენტს, 1-ლ ოქტომბრისათვის მეურნეობათა კოლექტივიზაციის პროცენტი 3,4-ს უდრიდა, ხოლო 1-ლ დეკემბრისათვის უკვე 6,3-ს. თქვენ ხედავთ, რომ აქ არა თვე-და-თვე, არამედ ყოველკვირეულად იცვლება კოლმეურნეობათა ზრდის ციფრები. სხვა მაზრებს შორის კოლექტიურად გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის მიხედვით პირველი ადგილი ზუგდიდის მაზრას უჭირავს, ხოლო განსაზოგადოებული მიწის პროცენტის მიხედვით—კახეთის ოლქს.

კოლმეურნეობათა მშენებლობის საქმეში ჩვენს წინაშე წამოჭრილია შემდეგი ამოცანები:

გავაძლიეროთ მიწისა და საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოების ტემპი, რათა იგი არ ჩამორჩებოდეს კოლექტივიზაციის ტემპს; განვავრცოთ კოლმეურნეობათა გაფართოება-გაერთიანება და მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლა; გავაძლიეროთ საწარმოო საშუალებათა განსაზოგადოება, დავაჩქაროთ სახსრების დაგროვება კოლმეურნეობათა შიგნით (განუყოფელი კაპიტალები); შევქმნათ პირობები კოლმეურნეობებში სამუშაოდ გაგზავნილი მუშების სწორად და მიზანშეწონილად გამოყენებისათვის; გავფანტოთ ის ყალბი წარმოდგენა, ვითომ კოლექტივიზაცია ან კოლმეურნეობათა შექმნა შეუძლებელია უტრაქტოროდ. როგორც საბჭოთა კავშირის სხვა ადგილებში, ისე ჩვენშიაც გავრცელე[illegible] იყო ის აზრი, რომ უმანქანოდ და უტრაქტოროდ ვითომ შეუძლებელია კოლმეურნეობებზე გადასვლა. მაგრამ საბჭოთა კავშირის მოწინავე რაიონების გამოცდილება მოწმობს, რომ თუ გვინდა შევინარჩუნოთ კოლექტივიზაციის ისეთი ტემპი, რომლითაც ამჟამად ჩვენში კოლმეურნეობათა მშენებლობა ვითარდება, ჩვენ არ შეგვიძლია შევაფერხოთ ეს ზრდა ტრაქტორებისა და მანქანების ნაკლებობის მიზეზით. ჩვენში შენდება სატრაქტორო ქარხნები, ისინი მოგვცემენ ტრაქტორებს, მაგრამ არ შეგვიძლია ამას ვუცადოთ. აი რატომ უნდა ვებრძოლოთ ამ მავნე და ყალბ აზრებს.

იმისათვის, რომ შევინარჩუნოთ კოლექტივიზაციის იგივე ტემპი, რომელიც ამჟამად გვაქვს, სატრაქტორო სადგურებისა და კოლონების გარდა, უნდა დავიწყოთ აგრეთვე შერეული კოლონების მოწყობა, ხარ-კამეჩის კოლონების მოწყობა. გლეხური მეურნეობის განკარგულებაში მყოფი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის ყველა სახეები უნდა ავამუშავოთ იმისათვის, რომ შეგვეძლოს სწრაფი ტემპით გავსწიოთ წინ კოლექტივიზაციის გზით.

დავაჩქაროთ კოლმეურნეობათა მუშაკების მომზადება

იმისათვის, რომ ყოველივე ეს გავაკეთოთ, ჩვენ კოლმეურნეობების მუშაკთა საკმაო კადრები არა გვყავს. ზოგი რამ ამ მხრივ კეთდება, მაგრამ ამ შემთხვევაში მე ვიტყვი, თუ ზოგჯერ როგორ უყურებენ ამ საკითხს ცენტრალური ორგანოები. ჯერ კიდევ სექტემბერში გადაწყდა მომხდარიყო კოლმეურნეობათა მუშაკების მომზადება და გადამზადება, რისთვისაც უნდა გახსნილიყო კურსები 630 კაცისათვის. კოლმეურნეობათა ცენტრმა შემოიტანა ეს საკითხი და ცენტრალური კომიტეტის სამდივნომაც დაამტკიცა, ამის შემდეგ გადის 3 თვე, მაგრამ ეს საკითხი პრაქტიკულად ჯერ კიდევ არ განხორციელებულა და დაუსრულებლად ირჩევა განათლების სახალხო კომისარიატში, სახკომსაბჭოში და კოლმეურნეობათა ცენტრში. გამოურკვეველია, თუ სად, რომელ საფეხურებზე გაიყინა ეს საკითხი. ყოველ შემთხვევაში, მე დიდად სამარცხვინოდ მიმაჩნია ჩვენთვის ის, რომ სექტემბერში გამოგვაქვს დადგენილება კურსების გახსნის შესახებ, და იანვარში კურსები ჯერ კიდევ არ არსებობს (ადგილიდან: დღეს მიღებულია გადაწყვეტილება კურსების გახსნის შესახებ). მე არ ვიცი, მიღებულია დღეს გადაწყვეტილება თუ არა. მაგრამ უნდა ვთქვა, რომ ასეთი საქმე არაფრად არ ვარგა. განათლების სახალხო კომისარიატის ხარჯთაღრიცხვა რომ გადაჩხრიკო, იქ რეზერვებს იპოვი. მაგალითად, ჩვენ იქ წავაწყდით ასეთ მუხლს—60.000 მანეთი ნიჭიერ ახალგაზრდათა დასახმარებლად (სიცილი). როგორც სჩანს, საბალეტო სტუდიების ვიღაც მოწაფეების დასახმარებლად. ამისათვის ინახავენ რეზერვში ფულს და არა იმისათვის, რომ გახსნან კურსები ახალი საზოგადოების მშენებელთათვის. ვიმეორებ, ეს დიდათ სამარცხვინოა და მე საჭიროდ მიმაჩნია ყურადღება მიექცეს ამას იმ მიზნით, რომ განათლების სახალხო კომისარიატმა, ბოლოს და ბოლოს, პირი იბრუნოს ჩვენი სოფლის მეურნეობისა და მრეწველობის საჭიროებებისაკენ, და არა იქეთკენ, რომ დახმარებას უწევდეს ვიღაც ახალგაზრდა და არა ახალგაზრდა ნიჭებს (ტაში).

სამანქანო - სატრაქტორო სადგურები და კოლონები

სოფლის მეურნეობის შემდგომი რეკონსტრუქციის მიზნით ბორჩალოს მაზრაში—ბამბის რაიონში, გორის რაიონში—ქარხლის რაიონში და დასავლეთ საქართველოში—ჩაის კულტურის რაიონში შენდება სამანქანო-სატრაქტორო სადგურები. გარდა ამისა, ჩვენს წინაშე სდგას უმნიშვნელოვანესი ამოცანა—დიდი აგროინდუსტრიალური კომბინატის მოწყობა. როდესაც ჩვენ ცენტრალურ კომიტეტში მოვისმინეთ მოხსენება აგროკომბინატის შესახებ, ეს მთელი პოემა იყო, რომლის შესახებაც ალბათ ამხ. ღოღობერიძე მოგვითხრობს თავის მოხსენებაში. მე უნდა ვთქვა, რომ ეს აგროკომბინატი თითქმის სწყვეტს დასავლეთ საქართველოს მეურნეობათა უმრავლესობის რეკონსტრუქციის პრობლემას. თუ ჩვენ დღემდე არ შეგვეძლო მორიგ რგოლისათვის ჩაგვეჭიდნა ხელი, ამ მძლავრი აგროკომბინატის მოწყობით, რომელიც პირველ ხანში 50—70 ათას ჰექტარზე გაიშლება, ჩვენ ვწყვეტთ ამ პრობლემას, და მე ვფიქრობ, რომ დასავლეთ საქართველოს ყველა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების ყურადღების ცენტრში მოქცეული უნდა იყოს ამ კომბინატის მოწყობა, მისთვის დახმარების გაწევის, მისი სათანადო ძალებით შევსების საკითხი და ის, რომ ეს ამოცანა წარმატებით შესრულდეს.

ცხოვრება წინ უსწრებს გეგმით გათვალისწინებულ ვარაუდს

ამიტომაც, როდესაც ჩვენ წინაშე გადაშლილია ისეთი პერსპექტივები, როგორიც არის მთელი რიგი სამანქანო-სატრაქტორო სადგურების, აგრეთვე მთელი რიგი სამანქანო-სატრაქტორო კოლონების მოწყობა კახეთში (მათ შორის არ არსებობს დიდი განსხვავება, გარდა საორგანიზაციო საკითხისა, როგორც ამხ. მოლოტოვმა აღნიშნა),—ჩვენ შეგვიძლია ამოცანად დავისახოთ უფრო გაძლიერებული წინსვლა კოლექტივიზაციის გზით. თუ ჩვენ წინად კოლექტივიზაციის ხუთწლიან გეგმებს ვამუშავებდით, ახლა ცხოვრება სწრაფად გვაცვლევინებს ამ ხუთწლიან გეგმებს. მაინცდამაინც საჭირო არ არის ამ დაწერილი ხუთწლიანი გეგმებით გატაცება, ხელი უნდა მოვკიდოთ უფრო მახლობელი დროის ამოცანებს. კოლექტივიზაციის ხუთწლიან გეგმაში ნათქვამია, რომ ხუთწლედის დამლევისათვის ჩვენ შეგვიძლია საქართველოში გვქონდეს კოლმეურნეობათა მხოლოდ 17 პროცენტი. ჯერ კიდევ ამ ერთი თვის წინად ცენტრალურმა კომიტეტმაც და ამიერ-კავკასიის სახოლქო კომიტეტმაც გადასწყვიტეს, რომ 17 პროც. მიმდინარე წლის გაზაფხულზე უნდა მივაღწიოთ. ამ პლენუმზე, რომელიც თვალსაჩინოდ უფრო გვიან ხდება—ხოლო ციფრები, როგორც ხედავთ მალე ძველდება,—ჩვენ რადიკალურად უნდა გადავსინჯოთ ეს საკითხი, ვინაიდან მთელ რიგ ჩვენს ოლქებსა და მაზრებში ვხედავთ ამ გეგმის გადაჭარბებით შესრულებას. აიღეთ, მაგალითად, გორის ოლქი —მიმდინარე წლის გაზაფხულისათვის იქ განზრახულია კოლექტიურად გაერთიანება მეურნეობათა საერთო რიცხვის არა ნაკლებ 50 პროცენტისა. კახეთის ოლქში განზრახულია არა ნაკლებ 35 პროცენტისა, თბილისის ოლქში—არა ნაკლებ 35 პროცენტისა, ზუგდიდის მაზრაში—არა ნაკლებ 50 პროცენტისა, იმის მიუხედავად, რომ ტრაქტორების რაოდენობით ეს მაზრა მეტისმეტად ჩამორჩენილია. ამრიგად, თუ მთელი რიგი ჩვენი გადამწყვეტი ოლქები და მაზრები ამოცანად ისახავენ კოლექტიურად გააერთიანონ მეურნეობათა არა ნაკლებ 25—35—50 პროცენტისა, ხომ არა სვამს ეს ჩვენს წინაშე იმ საკითხს, რომ გადავსინჯოთ ჩვენ მიერ გათვალისწინებული 17 პროცენტი? მე ვფიქრობ, ეს დროული იქნება. **მიმდინარე წლის გაზაფხულზე ჩვენ უნდა მივაღწიოთ იმას, რომ კოლექტიურად გაერთიანდეს მთელ საქართველოს გლეხურ მეურნეობათა 30 პროცენტზე არა ნაკლები, ერთ მესამედზე არა ნაკლები. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მიმდინარე წლის შემოდგომაზე ჩვენ 50 პროცენტს მაინც მივაღწევთ, ხოლო მომავალი 1931 წლის გაზაფხულზე, აშკარაა, 70—80 პროცენტს მაინც, ასე, რომ საქართველოს გასაბჭოების ათი წლის თავზე საშუალება გვექნება უკვე რეალურად დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ მთელი საქართველო მთლიანი კოლექტივიზაციის ქვეყნად გამოვაცხადოთ** (ტაში). თუ ეს ამოცანა 1931 წელს მთლიანად ვერ შესრულდება, 1932 წლის გაზაფხულისათვის მაინც საქართველოში დამთავრდება მთელი რესპუბლიკის კოლექტივიზაცია. ამიტომაც ამ ამოცანის ნიშან ქვეშ უნდა ჩატარდეს ჩვენი პარტორგანიზაციების მთელი მუშაობა. თუ ჩვენ ამ პლენუმზე მტკიცედ გადავწყვეტთ 30 პროცენტიდან წავიდეთ 50 და 70 პროცენტისაკენ და შემდეგ მთლიანი კოლექტივიზაციის გამოცხადებისაკენ, ამ საქმეს სერიოზულად უნდა მოვკიდოთ ხელი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის რეზოლიუციაში ნათქვამია, რომ აქა-იქ ადგილი აქვს იმის ცდებს, რომ კოლექტივიზაციას არასერიოზულად მოეკიდონ; აი ამ არასერიოზულ მოპყრობას კოლექტივიზაციისადმი ჩვენ ბოლო უნდა მოვუღოთ.

ჩვენ არა ვართ ფანტაზიორები, არ ვკუთვნით იმათ რიცხვს, ვინც განუხორციელებელ ამოცანებს ისახავს. ჩვენ ვისახავთ ისეთ ამოცანებს, რომელთა განხორციელებაც სავსებით შეიძლება. მე ვფიქრობ, რომ ეს სავსებით რეალური ამოცანაა და ამ ამოცანის გადაჭრას ჩვენ უნდა შევუდგეთ ბოლშევიკური აღფრთოვანებით

მოვსპოთ კულაკობა, როგორც კლასი

იმ დადებითი შედეგების საფუძველზე, რომელიც მოგვცა სოციალიზმის შეტევამ სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, კოლექტივიზაციის სწრაფი ზრდის საფუძველზე პარტიის წინაშე დასმულია საკითხი ჩვენი შემდგომი ტაქტიკის შესახებ, გადამწყვეტი გარდატეხის შესახებ მთელს ჩვენ პოლიტიკაში.

ამ ცოტა ხნის წინად აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა ყრილობაზე მეტად საინტერესო სიტყვა წარმოსთქვა ამხ. სტალინმა. ეს იყო საპროგრამო ხასიათის სიტყვა, რომელსაც მოჰყვა საკავშირო კომპარტიის (ბ) ც. კ-ის დადგენილება, ისტორიული მნიშვნელობის დოკუმენტი, რომელიც ეხება საკითხს კოლექტივიზაციის ტემპისა და ჩვენი ტაქტიკის შესახებ კულაკის მიმართ. აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა ყრილობაზე ამხ. სტალინმა სთქვა შემდეგი:

„ჩვენი მუშაობის დამახასიათებელი ნიშნები უკანასკნელი წლის განმავლობაში მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენ, როგორც პარტიამ და როგორც საბჭოთა ხელისუფლებამ ა) ფართოდ გავშალეთ შეტევა მთელ ფრონტზე სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ და ბ) ამ შეტევამ მოგვცა და გვაძლევს, როგორც ცნობილია, მეტად საგრძნობ, დადებით შედეგებს. რას ნიშნავს ეს? ეს ნიშნავს იმას, რომ კულაკების ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან ჩვენ გადავედით კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ გადამწყვეტი გარდატეხა მოვახდინეთ და ვახდენთ მთელ ჩვენს პოლიტიკაში“.

ეს არის გადამწყვეტი გარდატეხა მთელ ჩვენს პოლიტიკაში, გარდატეხა, რომელსაც ნიადაგი მოუმზადა ჩვენი განვითარების მთელმა წინანდელმა ეტაპმა.

შემდეგ ამხ. სტალინი ამბობს:

„შეტევა კულაკობის წინააღმდეგ ნიშნავს იმას, რომ წელში უნდა გავსტეხოთ კულაკობა, უნდა მოვსპოთ ის, როგორც კლასი. ამ მიზნების გარეშე შეტევა არის დეკლამაცია, წათამაშება, ფაცი-ფუცი და ყველაფერი, რაც გნებავთ, მხოლოდ არ არის ნამდვილი ბოლშევიკური შეტევა. შეტევა კულაკობაზე იმას ნიშნავს, რომ უნდა მოემზადო საქმისათვის და დაჰკრა კულაკობას, დაჰკრა ისე, რომ ის შემდეგ ფეხზე ვეღარ წამოდგეს. ამას ვუწოდებთ ჩვენ, ბოლშევიკები, ნამდვილ შეტევას“.

„როგორც ხედავთ, ახლა ჩვენ გვაქვს მატერიალური ბაზა იმისათვის, კულაკური წარმოება შევცვალოთ კოლმეურნეობების და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. აი, რატომ არის [illegible] ახლა კულაკობაზე შეტევის [illegible], [illegible] უნდა [illegible], თუ ვლაპარაკობთ ნამდვილ შეტევაზე, თუ არ [illegible] და დავკმაყოფილდეთ ცალიერი დეკლამაციით კულაკობის წინააღმდეგ. აი, რატომ გადავედით ჩვენ უკანასკნელ დროს კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან კულაკობის, როგორც კლასის, მოსპობის პოლიტიკაზე“.

განკულაკების შესაძლებლობის საკითხის შესახებ მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში ამხ. სტალინი ამბობს:

„ახლა განკულაკებას ახდენენ თვით ღარიბ და საშუალო გლეხთა მასები, რომელნიც ანხორციელებენ სრულ კოლექტივიზაციას, **ახლა განკულაკება წარმოადგენს კოლმეურნეობათა წარმოშობა-განვითარების თვით შემადგენელ ნაწილს**“. (სტალინი. სიტყვა წარმოთქმული აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა ყრილობაზე).

ეს არა ჰგავს მემარჯვენე უკლონისტების მასლაათს კულაკის მშვიდობიანი შეზრდის შესახებ სოციალიზმში. ეს არა ჰგავს აგრეთვე ტროცკისტების მასლაათს იმის შესახებ, რომ კულაკები შეტევაზე გადმოდიან და ჩვენ ვერ გაუმკლავდებით კულაკებს. ეს არის დოკუმენტი, რომელიც ლაპარაკობს ნამდვილი ოქტომბრის რევოლიუციის ენით. ეს ლენინის სტილია. ლენინმა კულაკების შესახებ შემდეგი შესანიშნავი სტრიქონები დასწერა:

„შერიგება შეუძლებელია... შეიძლება და ადვილადაც შეიძლება, რომ კულაკი შეურიგდეს მემამულეს, მეფეს და მღვდელს, მაშინაც კი, როდესაც ისინი წაიხუნებიან, მაგრამ მისი შერიგება მუშათა კლასთან **არასოდეს არ შეიძლება**. და ამიტომ ბრძოლას კულაკის წინააღმდეგ ჩვენ ვუწოდებთ უკანასკნელ გადამწყვეტ ბრძოლას...“

„უმჭიდროესი კავშირი და სრული შეღუღება სოფლის ღარიბ მოსახლეობასთან; დათმობა და შეთანხმება საშუალო გლეხთან; დაუზოგველი ჩახშობა კულაკების, ამ სისხლისმსმელების, მხეცების, ხალხის მძარცველების, სპეკულიანტების, რომელნიც ჯიბეს ისქელებენ შიმშილობის დროს, — აი როგორია მუშების პროგრამა, აი მუშათა კლასის პოლიტიკა“. (ლენინი. ტ. 20., ნაწილი მე-2, გვ. 256—258).

ამას ლენინი ამბობდა წერილში: „ამხანაგო მუშებო! წავიდეთ უკანასკნელ და გადამწყვეტ ბრძოლაში“. წინად საკითხი იდგა იმის შესახებ, რომ ჩაგვეხშო კულაკობა, როცა ეს უკანასკნელი აწყობდა აჯანყებებს საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ, სამაგიეროთ, ახლა ლაპარაკია კულაკობის, როგორც ეკონომიური კატეგორიის, ლიკვიდაციის შესახებ, ხოლო ეს შესაძლებელია მაშინ, როცა არა მარტო შევზღუდავთ კულაკობის ექსპლოატატორულ ტენდენციებს, არამედ გადავალთ კულაკობის, როგორც კლასის, ლიკვიდაციის პოლიტიკაზე. საქართველოში ჩვენ გადაჭრით უნდა შევუდგეთ ამ დირექტივის განხორციელებას.

კახეთისა და გორის ოლქების პრაქტიკა

ზოგიერთი ჩვენი ორგანიზაცია უკვე იწყებს ამ ამოცანის გადაჭრას. ასე, მაგალითად, კახეთის ოლქის პარტკომიტეტმა დასახა მთელი რიგი ღონისძიებანი, როგორც, მაგალითად: ა) კულაკობის გადასახლება მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებიდან; ბ) კულაკების სასოფლო-სამეურნეო ინვენტარისა და ცოცხალი წევის ძალის მაქსიმალურად და აუნაზღაურებლად გამოყენება კოლმეურნეობათა საჭიროებისათვის გაზაფხულის თესვის კამპანიის ჩატარების დროს; გ) მევენახეობის რაიონებში მევენახეობის მეურნეობათა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის დროს კულაკებისათვის მარნების ჩამორთმევა და კოლექტივებისათვის გადაცემა; დ) ცოცხალი და მკვდარი სასოფლო-სამეურნეო ინვენტარის ჩამორთმევა კულაკებისათვის, თუ ისინი ჰყიდიან მას; ე) კონფისკაცია და კოლმეურნეობებისათვის გადაცემა მიწის იმ ნაკვეთებისა, რომელთა დამუშავებაზეც კულაკობა უარს იტყვის; ვ) ადმინისტრატიული, სასამართლო და ეკონომიური ზეგავლენის ზომების (საჩვენებელი პროცესები, ქონების კონფისკაცია, გადასახლება) მიღება იმ კულაკების მიმართ, რომელნიც ეწევიან ბოროტ აგიტაციას კოლმეურნეობათა მშენებლობის წინააღმდეგ, კულაკების იძულებითი გამოყვანა საზოგადოებრივ და სახელმწიფო სამუშაოზე (შოსის [illegible], ქვრივ-ობლების მიწების დახვნა და სხვ.)

გორის ოლქში ამჟამად კულაკობასთან ბრძოლის საქმეში ანხორციელებენ სპეციალურ ზომებს. ოლქში ჯერ-ჯერობით თითქმის სრულებით არ გატარებულა კანონი გზის ბეგარის შესახებ. ამ გარემოებამ გორის ხელისუფლებას საბაბი მისცა ნატურალური ბეგარა გადაეყვანა ფულზე; თუ კულაკებმა არ გადაიხადეს შეწერილი თანხა, მათი ინვენტარი გაიყიდება და გადაეცემა კოლმეურნეობებს. ეს მუშაობა ეს-ეს არის დაიწყო. საქართველოში ვიწყებთ ამ ამოცანის შესრულებას, კულაკების, როგორც კლასის, ლიკვიდაციას. გარდა კულაკობისა ჩვენში ალაგ-ალაგ მოიპოვებიან თავად-აზნაურთა განსაკუთრებით ბოროტი ელემენტების ნაშთები შორაპნის მაზრაში და მთელ რიგ სხვა რაიონებში, სადაც ჯერ კიდევ ძლიერია ყოფილ თავად-აზნაურთა გავლენა, სადაც ისინი სჩაგრავენ ღარიბ გლეხობას, ეწევიან ბოროტ აგიტაციას საბჭოთა ხელისუფლების წინააღმდეგ,—ასეთ რაიონებში უნდა დაისვას საკითხი ამ აზნაურებისა და თავადების გაძევების შესახებ მათი სახლ-კარიდან და მათი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარის კოლექტიურ მეურნეობებისათვის გადაცემის შესახებ. ჩვენ ხელი უნდა მივყოთ ამ ამოცანას: ფეოდალებისა და თავად-აზნაურობის ნაშთები უნდა აღმოვფხვრათ ძირ-ბუდიანად.

უფრო შევამჭიდროვოთ ღარიბთა რიგები

ამასთან ერთად ჩვენ უკეთესად უნდა დავრაზმოთ ორგანიზაციულად ღარიბი გლეხობა და მოჯამაგირეები. მიუხედავად იმისა, რომ მუშაობის ამ სფეროში ჩვენ მიღწევები გვაქვს, ეს მუშაობა მაინც არ არის სათანადოთ დაყენებული და ზოგიერთი პარტიული ორგანიზაცია ჯერ-ჯერობით უშუალოდ არ შესდგომია ამ საკითხის გადაჭრას. ღარიბ გლეხთა ჯგუფებს გამოცოცხლება ეტყობათ მარტო კამპანიის გატარების დროს, ხოლო საერთოდ ისინი სუსტად მუშაობენ, ზოგიერთ ადგილას ჩამოყალიბებულნიც არ არიან. ცენტრალური კომიტეტის პლენუმის უკანასკნელი დადგენილება გვეუბნება, რომ პასიურობა და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა შორის მუშაობის არასაკმაოდ შეფასება წარმოადგენს მემარჯვენე გადახრის გამოხატულებას პრაქტიკაში, და მხოლოდ საკავშირო კომპარტიისა და კომკავშირისათვის უცხო ელემენტებს შეუძლიათ არ მიაქციონ ყურადღება პარტიის ამ ღონისძიებათა განხორციელებას. ჩვენ ვებრძოდით მემარცხენე გადახრის წარმომადგენლებს, რომელნიც ამბობდნენ, რომ საჭიროა მოეწყოს სოფლის ღარიბი მოსახლეობის სპეციალური კავშირი. მაგრამ ამავე დროს საჭიროა აგრეთვე ბრძოლა მემარჯვენე ტენდენციების საშიშ გამოხატულებასთან, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ არასაკმაოდ აფასებენ ამ მუშაობას: ღარიბ გლეხებს უყურებენ როგორც მუქთახორებს და უსარგებლო ხალხს, საეჭვოდ მიაჩნიათ მათი განსაკუთრებული ორგანიზაციის საჭიროება და მუშაობის გაძლიერება მათ შორის. ასეთი განწყობილება, რომელიც ჯერ კიდევ არსებობს მთელ რიგ რაიონებში, მაგალითად, იმავე აფხაზეთში, აგრეთვე საქართველოს ზოგიერთ მაზრაში, გადაჭრით უნდა იქნას აღმოფხვრილი.

პურის დამზადების შედეგები ჩვენში

ახლა რამდენიმე სიტყვა პურის დამზადების შესახებ. ასეთი ფართო მასშტაბით ჩვენ ეს კამპანია პირველად ჩავატარეთ საქართველოში. გეგმის მიხედვით უნდა დაგვემზადებინა 500 ათასი ფუთი, ხოლო 1930 წლის 1 იანვრამდე შეგროვილ იქნა 673 ათასი ფუთი, ე. ი. წლიური დავალების 134 პროცენტი. დასახულმა საკონტროლო ციფრებმა ვერ ასახეს ამ წლის მარცვლეული კულტურების საქონლიანობის მდგომარეობა და, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია, გეგმაში არ იყო გატარებული კლასობრივი თვალსაზრისი, ე. ი. არ იყო გათვალისწინებული დასამზადებელი პურის რამდენი ნაწილი უნდა მივიღოთ სოფლის შეძლებული ელემენტებისა და კუ-

ლაკებისაგან და რამდენი— დანარჩენებისაგან. პურის დამზადების მთელი სიმძიმე თავის მხრებზე გადაიტანეს პარტიულმა და კომკავშირულმა ორგანიზაციებმა. სოფლის საბჭოებმა, ქვედა საფეხურის კოოპერატიულმა ორგანოებმა და სოფლის სხვა საზოგადოებრივმა ორგანიზაციებმა არ გამოიჩინეს საკმაო აქტივობა. მართლაც, ეს კამპანია მთლიანად ჩატარებულ იქნა ჩვენი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების ძალებით. ეს, ერთის მხრივ, კარგია, ხოლო მეორეს მხრივ, ეს მოწმობს, რომ საბჭოებმა არ გამოიჩინეს საკმაო აქტივობა და პარტიულმა ორგანიზაციებმა საბჭოების ადგილი დაიჭირეს. პარტიამ დახმარება და ხელმძღვანელობა უნდა გაუწიოს საბჭოთა ხელისუფლებას ადგილებზე და არა საბჭოების მაგიერობა გასწიოს. აი რატომ უნდა მიექცეს ამას ყურადღება ქვედა საფეხურის საბჭოთა ორგანოების მუშაობის გამოსწორების მიზნით.

პურის დამზადებას შედეგად ჩვენ გვაქვს, როგორც პოლიტიკური მიღწევა, ღარიბ და საშუალო გლეხთა აქტივის მობილიზაციის უდიდესი ტემპი, კულაკური ელემენტების ყოველგვარი გამოსვლის დაძლევა ღარიბ და საშუალო გლეხობის მიერ და პურის დამზადების დასახული გეგმების წარმატებით შესრულება. რასაკვირველია, ჩვენ ბევრი დეფექტები გვქონდა პურის დამზადების ჩატარების დროს. ზოგჯერ იერიში მიგვქონდა საშუალო გლეხებზე ვერ ვუწევდით ტემპს, ზოგჯერ ტემპი მეტად ნელი იყო, მაგრამ საერთოდ და მთლიანად ამ პურის დამზადებამ ფეხზე დააყენა ჩვენი ორგანიზაციები, გააძლიერა ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობა და დადებითი შედეგები მოგვცა.

რაც შეეხება ფულადი სახსრების მობილიზაციის საკითხს, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს, 20 დეკემბრისთვის საკონტროლო ციფრები 20 პროცენტით იყო შესრულებული. როგორც ხედავთ, აქ ერთნაირი ჩამორჩენილობაა, მაგრამ მაინც ჩვენ უკეთესად მივდივართ, ვიდრე კავშირის ზოგიერთი რაიონები.

ჩვენში სოფლად ძალიან კარგად ჩაიარა ინდუსტრიალიზაციის სესხის განაღდების საქმემ. 1-ლი იანვრისთვის გლეხურ სექტორში საკონტროლო ციფრები მთლიანად დავფარეთ. ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს შორის საქართველოს ამ მხრით პირველი ადგილი უჭირავს, ხოლო მთელ კავშირში—მეორე ადგილი უკრაინას შემდეგ. მაშასადამე, პურის დამზადებას და სოფლად სესხის გავრცელების საქმეში ჩვენ გვაქვს კარგი მაჩვენებლები, რომლებიც მოწმობენ ჩვენი სასოფლო პარტორგანიზაციების მუშაობის უეჭველ გაუმჯობესებას.

სას.-სამ. კოოპერაციის ამოცანები

რამდენიმე სიტყვა სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის შესახებ. სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის რეორგანიზაციის საქმეში ძირითად საკითხს შეადგენს ქვედა საფეხურის საწარმოო ერთეულების შექმნა, მეორე საკითხია სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის სპეციალიზაცია სოფლის მეურნეობის დარგების მიხედვით. იმ კამპანიის შედეგად, რომელიც ჩვენ ახლა ჩავატარეთ, დაარსდა მთელი რიგი სასოფლო ამხანაგობები—206-დე. ეს არის მესაქონლეობის, მეხილეობის, მეთამბაქოეობის, მევენახეობის, მეფრინველეობის, მებამბეობის, და სხვა ამხანაგობები. მოეწყო აგრეთვე 30-ზე მეტი სარაიონო კავშირი.

რადგან ჩაის კულტურის დარგში კოლექტიურ მეურნეობებში ჩაის ფართობის უკვე 80 პროცენტია მოქცეული, ამიტომ სოფლის კავშირს განზრახვა აქვს გვერდი აუქციოს კოოპერატიულ საფეხურს და პირდაპირ შექმნას ჩაის კოლექტიურ მეურნეობათა რესპუბლიკანური კავშირი. ეს სავსებით სწორია. ეს გვიჩვენებს, რამდენად უაზროა კოოპერაციის დაპირისპირება კოლექტიურ მეურნეობასთან. ჩვენს თვალ წინ ხდება კოოპერაციის გადასვლა მსხვილ კოლმეურნეობრივ ფორმაში. ამას ჩვენ ნათლად გვიჩვენებს ჩაის საქმის გამოცდილება. ცხადია, ჩვენ ამავე საქმის გაკეთება მოგვიხდება მთელ რიგ სხვა კულტურების მიმართაც, როგორიცაა თამბაქო და სხვა კულტურები. ახლა, საწარმოო სასოფლო-სამეურნეო კოოპერაციის ძირითადი ამოცანაა—სასოფლო-სამეურნეო წარმოების მოწყობა— მისი განსაზოგადოების და კოლექტივიზაციის მიმართულებით.

დარაიონება

ახლა რამდენიმე სიტყვა დარაიონების შესახებ. საქართველოში ჩვენ არ ჩაგვიტარებია სრული დარაიონება. ყოფილი დამოუკიდებელი მაზრებიდან ახლა გვაქვს 4 ოლქი, რომლებიც თავის მხრით დაყოფილნი არიან რაიონებად და სასოფლო საბჭოებად. გარდა ამისა, დროებით დარჩენ შემდეგი მაზრები: ახალციხის, ახალქალაქის, სენაკის, ზუგდიდის, ოზურგეთის, ზემო-სვანეთის მაზრები და ფოთის რაიონი. უნდა ითქვას, რომ სენაკის და ზუგდიდის მაზრების საკითხი ჩვენ ცალკე გვაქვს გამოყოფილი. ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმში რეალურად არის დასმული საკითხი ამ ორი მაზრის გაერთიანების შესახებ სამეგრელოს ერთ ოლქში, რათა შეიქმნას მეურნეობის უკეთესად გაძღოლის პირობები. თუმცა არსებობს ზოგიერთი საწინააღმდეგო მოსაზრება, მაგრამ ეს უფრო ერთგვარი კონსერვატიზმით არის გამოწვეული, ვიდრე საქმის რეალური ინტერესით. ეს საკითხი მოითხოვს გადაწყვეტას.

რაც შეეხება ხელისუფლების აპარატის დაახლოვებას მოსახლეობასთან, ამ მხრივ დიდი მუშაობაა ჩატარებული დარაიონებასთან დაკავშირებით. დარაიონებამ პირველ ხანებში გამოიწვია აპარატის გაძვირება, ზოგიერთი ზედმეტი ხარჯი, მაგრამ, მიუხედავათ ამისა, ხელისუფლება დაუახლოვდა მოსახლეობას. ასე, მაგალითად, ძველი მაზრების ნაცვლად, გვაქვს 66 ახალი რაიონი. შეიქმნა ახალი სარაიონო აღმასრულებელი კომიტეტები, რომლებიც უფრო დაახლოვებულნი არიან მოსახლეობასთან, ვიდრე ძველი მაზრები.

477 სათემო საბჭოს ნაცვლად შევქმენით 688 სასოფლო საბჭო. გარდა ამისა, განზრახულია მთელი რიგი სასოფლო საბჭოების დაყოფა და ახალი სასოფლო საბჭოების შექმნა. ყოველივე ეს გვიჩვენებს, რომ ჩვენ ხელისუფლების ორგანოები დავუახლოვეთ მოსახლეობას და ამ მუშაობამ დადებითი შედეგი მოგვცა. ამის დამიუხედავად, ნაკლი არსებობს. ქვედა საფეხურის საბჭოების მუშაობის ერთ არსებით ნაკლთაგანად უნდა ჩაითვალოს ის, რომ ისინი აქამდე არ ჰკიდებენ ხელს სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის საკითხებს. ახლა მიღებულია გადაწყვეტილება—მოეწყოს სოფლის საბჭოებთან საწარმოო თათბირები, რომლებმაც უნდა გამოასწორონ ჩვენი სასოფლო-სამეურნეო სექციების მუშაობა, გაუძღვენ მათ მუშაობას სოფლის მეურნეობის განსაზოგადოების პროცესთა ხელმძღვანელობის საქმეში, ვინაიდან კოლმეურნეობრივი მოძრაობის ფართო ტალღამ გვერდით არ უნდა ჩაუაროს სოფლის საბჭოებს. ზოგიერთ ამხანაგებს გაკვრით ებადება აზრი—ხომ არ შეიძლება სოფლის საბჭოების გაუქმება, რაკი კოლექტივიზაცია ხდება. მე მგონია, ეს მავნე ლაპარაკია და იგი სცილდება თვით კოლექტიური მეურნეობის გაშლის ხაზს. კოლექტიური მეურნეობა ანგარიშს უნდა აბარებდეს სოფლის საბჭოს. კოლექტიური მეურნეობანი ისეთი ორგანიზაციებია, რომლებმაც უნდა იმუშაონ ჩვენი საბჭოთა ხელისუფლების ორგანოების ხელმძღვანელობით. აი რატომ არის საჭირო, რომ ამ კოლექტიურ მეურნეობათა გვერდით გამაგრდნენ და გაძლიერდნენ საბჭოთა ორგანოები, როგორც პროლეტარული დიქტატურის ორგანოები. ამის დავიწყება არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება.

მთავარი ყურადღება სას.-სამ. კამპანიას

ახლა გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩატარების შესახებ. ეს კამპანია განსაკუთრებული ხასიათისაა და როგორც ამხ. მოლოტოვმა სამართლიანად სთქვა, იგი უნდა გადაიქცეს ნამდვილ ბოლშევიკურ თესვის კამპანიად. ეს გაზაფხული გადამწყვეტი უნდა იყოს, ბოლშევიკური გაზაფხული საქართველოს პარტორგანიზაციებისათვის. აი რატომ უნდა მივმართოთ ყოველ ღონისძიებას, რომ მაქსიმალურად გავაფართოვოთ ტექნიკური, სპეციალური კულტურების ფართობი, განვამტკიცოთ და გავაფართოვოთ საკვები ბაზა და განვახორციელოთ მოსავლიანობის გადიდებისაკენ მიმართული ძირითადი ღონისძიებანი. ამ კამპანიის დროს განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს აგრეთვე მესაქონლეობის განვითარების, საკითხს. აქამდე ამას დიდი ყურადღება არ ექცეოდა და ეს მაშინ, როდესაც მოგვეპოვება მესაქონლეობის, მეფრინველეობის, მეღორეობის და მეცხვარეობის განვითარების დიდი შესაძლებლობანი. ყველაფერი ეს დიდ ყურადღებას მოითხოვს. ამავე დროს კი, მაგალითად, მეცხვარეობის საქმე გაუარესდა. თუ წინად ცხვრების რიცხვი 2 მილიონს შეადგენდა, ერთი წლის განმავლობაში ეს რიცხვი 1 მილიონამდე დავიდა. ეს თითქმის კატასტროფიული დაცემაა.

თუ მარცვლეულისა და ტექნიკური კულტურის დარგი კოლექტიურ მეურნეობაში 20 პროცენტამდეა გაერთიანებული, მესაქონლეობის დარგი გაერთიანებულია მხოლოდ 2—3 პროცენტით. პარტიის ყურადღება უნდა შემოიკრიბოს მესაქონლეობის განვითარების და ამ დარგში კოლექტივიზაციის გაძლიერების ირგვლივ.

საჭიროა ისეთი მდგომარეობის მიღწევა, რომ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმა გავაცნოთ სოფელს, კოლექტიურ მეურნეობებს. მოწინავე საუკეთესო პროლეტარები, მუშათა ბრიგადები, როგორც სოფლის მასების ორგანიზატორები, დაუყოვნებლივ უნდა გაიგზავნონ სოფლად, ყველგან უნდა გაიმართოს აგრო-რწმუნებულის, სარაიონო და ადგილობრივ მუშაკების თათბირები კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობების წარმომადგენელთა მონაწილეობით. ამ თათბირებზე განხილულ უნდა იქნას გეგმის რეალიზაციის საკითხები ადგილობრივ პირობებთან შეფარდებით. გეგმის დავალებათა შესასრულებლად გამოყენებულ უნდა იქნას სოციალისტური შეჯიბრების მეთოდები.

უნდა ვთქვა, რომ, მიუხედავად მითითებებისა, პარტიის მე-6 ყრილობაზე იმის შესახებ, რომ სოციალისტური შეჯიბრება სოფლადაც გადასულიყო, დღემდე ამ მხრივ რეალურ შედეგებს ვერ ვხედავთ. სოციალისტური შეჯიბრება ნაკლებად შეეხო სოფელს.

შემოწმებამ დაგვანახვა, რომ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის მომზადების სტადია სუსტად მიმდინარეობს, სუსტად მოქმედებენ ადგილებზედაც და ცენტრშიაც.

ამას წინად დავესწარი ეკონომიური საბჭოს სხდომას, სადაც იხილავდნენ სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმას. ამ სხდომაზე მიწსახკომის წარმომადგენლების გამოსვლამ ჩემზე ვერ მოახდინა კარგი შთაბეჭდილება. ნაცვლად იმისა, რომ მიწსახკომის წარმომადგენელს დაეცვა თავისი გეგმა სათესლე ფონდების საკითხის განხილვის დროს, მან დაიწყო იმის მტკიცება, რომ ეს ძნელია, შეუძლებელია, რომ გლეხმა უკვე შესჭამა სათესლე. ასეთი ლაპარაკი არაფრად ვარგა. გლეხი იმდენად პრაქტიკოსია, რომ არ შესჭამს სათესლეს, უეჭველად შეინახავს მას. ეს უნდა ითქვას მიწსახკომის კოლეგიის წევრთა საყურადღებოდ. მე ვიცი, რომ საერთოდ ძნელია ამ გეგმის ჩატარება, მაგრამ ჩვენ ბოლშევიკები მიტომ ვართ, რომ დავძლიოთ ეს სიძნელენი და გამოვიდეთ ეკონომიური საბჭოს სხდომაზე და კამპანიის მზადების დროს ვილაპარაკოთ სიძნელეებზე, შეუძლებლობაზე და საკუთარ „იეჭვებზე", ერთი მუშაკი ოზურგეთიდან იუწყებოდა, რომ მან აღმოაჩინა კენდირის თუ რაღაცის თესლი, მაგრამ მიწსახკომის წარმომადგენელმა სთქვა, რომ მას ეჭვი ეპარება ამაში, ნაცვლად იმისა, რომ ყოველივე ეჭვის გასაფანტავად წავიდეს ადგილობრივ და შეამოწმოს. მუშაობის ასეთი ტემპი არაფრად ვარგა. საჭიროა ავამოძრაოთ ცენტრალური ორგანოები. იმისათვის, რომ სწორი ხელმძღვანელობა გასწიოს და ოლქებს დავალებები მისცეს, თვით შტაბი უნდა მუშაობდეს გარკვეულად და შეუფერხებლად. ამის თქმა არ შეიძლება არც მიწსახკომის, არც კოლმეურნეობათა ცენტრის, არც სოფლის კავშირის შესახებ, თუმცა სოფლის კავშირი ცოტაოდნად უკეთესად მუშაობს. აი რატომ არის საჭირო, რომ გადაჭრით და საბოლოოდ გარდაიქმნას მთელი მუშაობა და შეუთანხმდეს იგი სოფლის კოლექტივიზაციის ტემპებს.

იდეოლოგიური ბრძოლის საკითხები

გადავდივარ იდეოლოგიური ფრონტის საკითხზე. აქ შევეხები არა ყველა, არამედ ზოგიერთ საკითხს.

მიღწევები წ.-კ. უცოდინარობასთან ბრძოლაში

პირველ ყოვლისა, წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის შესახებ. პარტიის მე-6 ყრილობაზე ჩვენ წამოვაყენეთ ლოზუნგი — 3 წლის განმავლობაში მოხდეს წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში. ვფიქრობდით, რომ ამ ამოცანის განხორციელება სავსებით შესაძლებელია, თუმცა ზოგიერთი ამხანაგი ამას ეჭვის თვალით უყურებდა. გვაქვს ცნობები, რომლებიც მოწმობენ, რომ ეს ამოცანა წარმატებით სრულდება. წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის სამწლიანი გეგმის მიხედვით, ჩვენ მიმდინარე წელს სალიკვიდაციო სკოლებში უნდა გაგვეტარებია და ინდივიდუალურად და ჯგუფურად წერა - კითხვა შეგვესწავლებია 175 ათასი კაცისათვის, ვაზრებთ კი 220 ათასი კაცის სწავლებას. ეს მოწმობს, რომ არა თუ სამ წელიწადში, არამედ ორი წლის განმავლობაშიაც კი შესაძლებელია წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია საქართველოში.

გეგმის მიხედვით, ოზურგეთის მაზრას უცოდინარობის ლიკვიდაცია უნდა დაემთავრებია მიმდინარე წელსვე; აქ მოეწყო 258 სალიკვიდაციო პუნქტი, ე. ი. ყოველ სოფელზე ერთი სალიკვიდაციო პუნქტი მოდის. ხელმძღვანელად არის 347 კაცი, მათ შორის 822 უფასოდ მუშაობს. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ითქვას, რომ ყველა ორგანიზაციები არ მუშაობენ ისე, როგორც საჭიროა. კომკავშირმა თავდაპირველად აიღო დიდი ტემპი, და გვპირდა ყველა დავალების შესრულებას, მაგრამ შემდეგში ეს ტემპი შენელდა. თავისთავად ცხადია, რომ აღებული ტემპის განხორციელებისათვის ორგანიზაციებმა უფრო სერიოზულად უნდა მოჰკიდონ საქმეს ხელი.

რაც შეეხება პროფორგანიზაციებს, მთელ რიგ პროფორგანოებში წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციის საქმეს არ აქცევდნენ სათანადო ყურადღებას. მაგალითად, როცა მივიდნენ რკინიგზაზე და ადმინისტრაციას უთხრეს — მოგვეცით შენობა წერა - კითხვის უცოდინარობის სალიკვიდაციო პუნქტისათვისო, ადმინისტრაციის წარმომადგენელმა უპასუხა, რომ არა აქვს შენობა, რომ ეს საქმე არ არის და რომ საერთოდ რა საჭიროა, არავითარი პროფესორები მათგან (ე.ი. მუშებისაგან) არ გამოვლენო. ასეთი დამოკიდებულება დაუშვებელია.

ახალციხის მაზრაში იყო ასეთი შემთხვევა. მიიღეს ანბანისა და სხვა სასწავლო სახელმძღვანელოები, მაგრამ სამაზრო პოლიტგანის გამგემ შეინახა ყველაფერი ეს შკაფში, ხოლო თვითონ ბაქოში წავიდა. ერთი თვის შემდეგ შკაფიდან გამოიღეს სახელმძღვანელოები და შეუდგნენ წერა - კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაციას. ასეთი გულგრილობა და დაუდევრობა მუშაობაში დაუშვებელია. ვიდრე მოვახდენდეთ სხვების უცოდინარობის ლიკვიდაციას, უნდა მოვსპოთ საკუთარი ჩვენი უკულტურობა. მიუხედავად ამისა, ეს ცნობები და აღებული ტემპი მოწმობს, რომ წერა-კითხვის უცოდინარობის ლიკვიდაცია სამი წლის განმავლობაში სავსებით შეიძლება განხორციელდეს.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობა

რაც შეეხება ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობას, ჩვენ ამ სფეროშიაც გვაქვს ზოგიერთი მიღწევა. ეს მიღწევები გამოიხატა იმაში, რომ საგრძნობლად გაიზარდა კულტურულ - საგანმანათლებლო დაწესებულებათა ქსელი, მოხდა სახელმწიფო ასიგნებების გადიდება და მათი გადაცემა ეროვნულ უმცირესობათა რაიონების კულტურულ - საგანმანათლებლო საჭიროებათათვის, გამოიცა ეროვნული ლიტერატურა და სხვა. საქართველოში პირველად გამოვეცით გაზეთი ასირიულ და ლაზურ ენებზე. ლაზურ ენაზე გაზეთი გამოდის აფხაზეთში, და ეს მიღწევად უნდა ჩაითვალოს.

ეროვნულ უმცირესობათა შორის მუშაობის ძირითადი ნაკლი შეადგენს ის, რომ ზოგიერთ რაიონს, განსაკუთრებით სამხრეთ - ოსეთს, არ ეძლევა საკმაო ფინანსიურ - სამეურნეო დახმარება. შემჩნეულია აგრეთვე პარტიის კლასობრივი ხაზის დამახინჯება, მოსახლეობის ყველა ფენებზე დაყრდნობის ცდა, ეროვნულ უმცირესობათა რაიონებში მოჯამაგირეთა და ღარიბ გლეხთა შორის მუშაობის არა საკმაოდ შეფასება. ადგილობრივი პარტორგანიზაციები მტკიცედ არ ახორციელებენ [illegible] ინტერნაციონალურ პოლიტიკას ეროვნულ უმცირესობათა მშრომელების აღზრდის საქმეში. სუსტად მიმდინარეობს აგრეთვე ეროვნულ უმცირესობათა წარმომადგენლების მიღება პარტიასა და კომკავშირში.

ც. კ-ის პრეზიდიუმში დაისვა საკითხი გლეხური გაზეთის გამოცემის შესახებ მეგრულ ენაზე. ჩვენ დავადგინეთ — დავრთოთ გაზეთის გამოცემის ნება. ეს დადგენილება დაამტკიცა ამიერ - კავკასიის საოლქო კომიტეტმა. ამ საკითხს მე შევეხე იმიტომ, რომ ზოგიერთი ამხანაგი ამის შესახებ ირონიით ლაპარაკობს და ფიქრობს, რომ ეს არის არა პროგრესიული არამედ, თუ გნებავთ, რეგრესიული მოვლენა. ზოგიერთები იქამდისაც მიდიან, რომ ამას თითქმის რეაქციად სთვლიან. მე გადაჭრით უნდა უარვყო ასეთი თვალსაზრისი. თუ რომელიმე საბჭოთა ქვეყანაში არის მოსახლეობის ჯგუფი, რომელმაც არ იცის სახელმწიფო ენა, ამ შემთხვევაში, ვთქვათ, ქართული ენა, საჭიროა მიეცეს მას სრული შესაძლებლობა მშობლიურ, მისთვის გასაგებ ენაზე ეზიაროს ჩვენს კოლმეურნეობრივ მოძრაობას, ჩვენი მრეწველობის განვითარებას და მთელ ჩვენს აღმშენებლობას, ეს ანბანური ჭეშმარიტებაა ყოველი ბოლშევიკისათვის, ყოველი ლენინელისათვის. ვფიქრობ, რომ ეს სრულიად უდავოა როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული თვალსაზრისით. აი რატომ დართო ც. კ-მა ნება გაზეთის გამოცემისა მეგრულ ენაზე.

ამას წინად საუბარი მქონდა აკადემიკოსს ამხ. მართან და უნდა ვსთქვა, რომ მისი თვალსაზრისი სავსებით ეთანხმება ჩვენსას(მისი აზრით, ერი ჩვენს დროში მთლიანად იცვლის თავის შინაარსს, თავის სახეს). მარი ამბობს, რომ თუ ასეთ ერს საშუალებას მივცემთ იმუშაოს თავის მშობლიურ კილოკავზე, ამით უფრო მეტად გავავრცელებთ ჩვენს სოციალისტურ კულტურას მათ შორის. ამ შემთხვევაში ჩვენი ამხანაგების მოთხოვნა დავაკმაყოფილეთ იმისთვის, რომ მეგრელთა მასებს მშობლიურ და მათთვის გასაგებ ენაზე გავაცნოთ მთელი ჩვენი საბჭოთა საქართველოს მშენებლობის საქმეს. ვფიქრობ, რაც უფრო ჩქარა განხორციელდება ეს, მით უკეთესი იქნება. ბოლოს უნდა მოვსპოთ ისეთ განწყობილებას, რომლებიც ამის წინააღმდეგია და სახაცილოდ იგდებს ანბანის სახელმძღვანელოების, ცირკულიარების და სხვა დადგენილებების გამოცემას მეგრულ ენაზე. განა ცუდია ის, რომ ზუგდიდის მაზრაში ამხანაგებმა შესძლეს გლეხურ მეურნეობათა 22 პროცენტის კოლექტივიზაცია? განა მეგრული ენის გავრცელებამ ხელი შეუშალა ამას?

მეტი ყურადღება კადრების მომზადებას

ახლა კადრების შესახებ. კადრების საკითხს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა ეძლევა ჩვენი მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის ბუმბერაზული განვითარების პირობებში. ამხ. სტალინი წერილში „დიადი გარდატეხის წელი" სწერდა, რომ „მძიმე მრეწველობის მშენებლობის პრობლემა არ შეიძლება მთლიანად გადაჭრილად ჩაითვალოს, იმ დრომდე, ვიდრე გადაჭრილი არ იქნება კადრების პრობლემა. აქედან გამომდინარეობს პარტიის ამოცანა—პირისპირ მიუდგეს კადრების პრობლემას და აუცილებლად დაიპყროს ეს ციხე-სიმაგრე".

დაიპყარით თუ არა ეს ციხე-სიმაგრე საქართველოში? სამწუხაროდ, ჯერ კიდევ ვერა. ვიწყებთ თუ არა ამ ციხე-სიმაგრის დაპყრობას? ვიწყებთ, მაგრამ ნელა, მეტად ზანტად, ყველა ჩვენი ორგანოები, როგორც სამეურნეო, ისე განათლების სახალხო კომისარიატის და სხვა ორგანოები მეტად ნელა ამოძრავდნენ. ამაში, რა თქმა უნდა, ჩვენს პარტორგანიზაციებსაც მიუძღვის ბრალი, როდესაც პირველად ხდებოდა კადრების საჭირო რაოდენობის გეგმის დამუშავება, სამეურნეო მუშაკებს ვეკითხებოდით, ზოგიერთმა სამეურნეო მუშაკმა პირდაპირ სახაცილო გეგმები წარმოადგინეს, თითქოს მათ ხუთწლედის დამლევისათვის სულ რაღაც ორი-სამი ინჟინერი დასჭირდებოდეთ, ამას სავსებით სერიოზულად სწერდნენ. ამით მათ დაამტკიცეს, რომ სრულებით არ იცნობდნენ თავიანთ საქმეს. როგორ შეიძლება ამგვარად მოეპყრობა ასეთ მნიშვნელოვან საქმისადმი? მას შემდეგ, რაც ჩვენ არა ერთხელ მოვიწვიეთ ისინი ცენტრალურ კომიტეტშიაც და სახელმწიფო საგეგმო კომისიაშიც, ზოგიერთ შედეგს მივაღწიეთ. ამჟამად, ყოველ შემთხვევაში, ჩვენ გვაქვს საჭირო კადრების ციფრები და იმის ციფრები, თუ რის მოცემა შეუძლიათ ჩვენს უმაღლეს სასწავლებლებს, უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებს და ტექნიკუმებს. მრეწველობის ხაზით ჩვენ გვჭირდება 2.209 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და— 4.327 კაცი საშუალო ტექნიკური განათლებით. საშუალო ტექნიკური განათლების სპეციალისტებზე ჩვენ გვექნება ასეთი დეფიციტი—დაგვაკლდება 2.300 კაცი, ხოლო მოთხოვნილება ინჟინერებზე დაკმაყოფილებული იქნება. სოფლის მეურნეობის ხაზით დაგვჭირდება. 3.000 სპეციალისტი უმაღლესი განათლებით და 7.500—საშუალო განათლებით. ვინაიდან ასეთი მოთხოვნილების დაკმაყოფილებას ვერ შევსძლებთ, ასეთი დეფიციტი გვექნება: დაგვაკლდება 1.600 კაცი უმაღლესი განათლებით და 6.000 კაცი საშუალო განათლებით. დიდი დეფიციტი გვექნება აგრეთვე უმაღლესი განათლების პედაგოგებზე — 1 145, საშუალო განათლების პედაგოგებზე— 1.150, უმაღლესი კვალიფიკაციის ეკონომისტებზე—663 კაცი, საშუალო განათლების ეკონომისტებზე—745. ამ დეფიციტს ადგილი ექნება, მიუხედავად იმისა, რომ მიმდინარე წელს უმაღლეს სასწავლებლებში მივიღეთ დაახლოვებით 2.000 კაცი, ხოლო ტექნიკუმებში—2.347 და, გარდა ამისა, სხვა ქალაქების უმაღლეს სასწავლებლებსა და უმაღლეს ტექნიკურ სასწავლებლებში გავგზავნეთ — 2.847 კაცი. საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ნოემბრის პლენუმის გადაწყვეტილების შესასრულებლად ხდება უმაღლესი სასწავლებლების და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების სასწავლო გეგმის გადასინჯვა იმ მიზნით, რომ დაჩქარდეს ცენტრალური კომიტეტის იმ დადგენილების შესრულება, რომელიც ეხება გამოშვების ვადის შემცირებას. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტიდან მიმდინარე წელს გამოშვებული იქნება 208 ინჟენერი, გათვალისწინებული კი იყო 70 ინჟინერის გამოშვება.

ახლა საქართველოს სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი უკვე გადავიდა 4 წლის სწავლაზე, აგრონომიული ფაკულტეტი, ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის დადგენილებით, გადაკეთდა სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტად, რომელიც მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის გამგებლობაში გადავიდა. ამავე მიზნით უნდა დაჩქარდეს ჩვენი სამხატვრო აკადემიის გადაკეთება უმაღლეს სამხატვრო-ტექნიკურ ინსტიტუტად—მშენებელ ინჟინერთა მოსამზადებლად.

რაც შეეხება უმაღლეს სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების გამუშურებას, სახელმწიფო პოლიტექნიკურ ინსტიტუტში მიმდინარე წელს მიღებული — 700 კაციდან 55 პროცენტს მუშები და მუშების შვილები შეადგენენ, სახელმწიფო უნივერსიტეტში მიღებული 628 კაციდან მუშების შვილები შეადგენენ მხოლოდ 25 პროცენტს, რაც უთუოდ დაბალ ციფრად უნდა ჩაითვალოს. სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტში მიღებული 600 კაციდან მუშები და მუშების შვილები მხოლოდ 21 პროცენტს შეადგენენ. ესეც ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შეუსრულებლობაა. უმაღლესი სასწავლებლებისა და უმაღლესი ტექნიკური სასწავლებლების შემდგომი გამუშურებისათვის ეწყობა მუშების მოსამზადებლად კურსები 200 კაცისათვის, იხსნება ახალი ტექნიკუმები თბილისსა და ჭიათურაში, ფართოვდება მუშფაკები ქუთაისსა და ჭიათურაში. გარდა ამისა, მოქმედებს სასოფლო-სამეურნეო და ინდუსტრიალური ხასიათის რამდენიმე ათი სპეციალური ტექნიკუმი. ეს ხდება ცენტრალური კომიტეტის დირექტივის შესასრულებლად. მაგრამ უნდა ვთქვათ, რომ სასწავლებელთა სისტემის რეორგანიზაცია მთელ საქართველოში არადამაკმაყოფილებლად მიმდინარეობს. სამეურნეო მუშაკები ჯერ კიდევ დაინტერესებული არ არიან კადრების მომზადების საკითხით და ძალიან სუსტად არიან დაკავშირებულნი უმაღლეს სასწავლებლებთან. ამიტომაც ამ საქმეში საჭიროა გადამჭრელი გარდატეხა, ვინაიდან კადრების გარეშე ვერავითარ შემთხვევაში ვერ შევსძლებთ სამრეწველო მშენებლობისა და კოლექტივიზაციის ასეთი უნახავი ტემპების განხორციელებას. ამიტომაც ყველა პარტორგანიზაციების წინაშე პირდაპირ უნდა დაისვას ის საკითხი, რომ აუცილებლად დავიპყროთ ეს ციხე-სიმაგრე.

ბოლშევიკური ცოცხით

როგორია მდგომარეობა ლიტერატურის ფრონტზე ინტელიგენციის შორის? ამას წინად მოხდა პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმი, სადაც გამოაშკარავდა, რომ მწერლების ნაწილი გვიახლოვდება, მოიწევს საბჭოთა ხელისუფლებისაკენ. ესენი არიან ეგრეთწოდებული „მემარცხენე ფრონტელები", რომელნიც დეკლარაციით გამოვიდნენ, რისთვისაც ძველი მწერლების ზიზღი დაიმსახურეს. მაგრამ ხდება ფენებად დაყოფა ძველი ჯგუფის მწერალთა შორისაც და ამ ჯგუფის შემდგომი გამემარჯვენება. ამგვარ განწყობილებათა გამომხატველია ერთი რეაქციონერი მწერალი, რომელიც მუდამ ჩვენს კარებს აკაკუნებს და გვარწმუნებს, რომ იგი ას პროცენტიანი საბჭოთა კაცია. ეს გახლავთ კ. გამსახურდია. მაზე არც კი ღირს ლაპარაკი, მაგრამ იგი ბევრი „ყოფილი" ადამიანის აზრის გამომხატველია. ეს ძველი აზნაურულ-ფეოდალური საქართველოს ნამდვილი წარმომადგენელია, რომელიც დღემდე დაუფალობს საქართველოში და ამბობს ისეთ სიტყვებს, როგორიც მან პროლეტარულ მწერალთა ასოციაციის პლენუმზე წარმოთქვა. მან მიმართა კომუნისტებს და განაცხადა: „საქართველოში თქვენ ყველაფერი ჩამოართვით თავადებსა და აზნაურებს. ისინი ამჟამად საბრალო წოდებას წარმოადგენენ. დიახ, ეს ასეა! რაღა საჭიროა ახლა თქვენს წინაშე წაქცეულის ცემა"-ო.

აი, ამხანაგებო, ეს დამახასიათებელია. ჩვენი პარტია და საბჭოთა ხელისუფლება ამბობს, რომ საჭიროა ამ უბოროტესი მტრის, კულაკისა და აზნაურის, საბოლოოდ განადგურება, გამსახურდია კი გამოდის და ამბობს: „ეს საბრალო წოდებაა, რად უნდა დავლუპოთ, პირიქით უნდა მოვეფეროთ და არა ვცემოთ და საბოლოოდ ჩავკლათ"-ო. მისი აზრით, ბურჟუაზია, როგორც კლასი, საქართველოში არ არსებობს. „სადა გვყავს ჩვენ ბურჟუაზია, თუ გვყავდა ერთნახევარი სპეკულიანტი, თქვენ მათ ჩამოართვით ქონება და მათი სახლები მუშათა სასახლეებად და ხელოვნების სააკლეებად აქციეთ"-ო.

აი ასე გადასწყვიტა მან მთელი საკითხი იმის შესახებ, რომ საქართველოში არ არის არც ბურჟუაზია, არც კულაკობა. ამას ამბობს ის კაცი, რომელიც საბჭოთა მწერლების ფედერაციის წევრია. რაღა სხვაა მას საბჭოებისა? განა დრო არ არის დავსვათ საკითხი იმის შესახებ, რომ ჩვენი საბჭოთა მწერლების რიგები განთავისუფლდნენ ასეთი „საბჭოთა" მწერლებისაგან? (ტაში). თუ ამჟამად გამწვავებული კლასობრივი ბრძოლაა კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ, იდეოლოგიის სფეროშიაც უნდა გაძლიერდეს ეს ბრძოლა. აქ ჩვენ ოდნავადაც არ უნდა დავსთმოთ ჩვენი პოზიცია. დროა შევწყვიტოთ ერთგვარი, შემარიგებელი მოპყრობა ასეთი მოვლენებისადმი!

გადავალ ინტელიგენციაზე, შევეხები ჩვენი სახელმწიფო უნივერსიტეტის მდგომარეობას. მიუხედავად იმისა, რომ ჩვენ მოვახდინეთ უნივერსიტეტის კომუნიზაცია და ძირითად გარდატეხასაც მივაღწიეთ,—დღემდე ამ ციხე-სიმაგრეს მთლიანად ვერ დავეპატრონეთ.

საილუსტრაციოდ მოვიყვან შემდეგ ფაქტებს. დღემდე იქ მემარჯვენე პროფესურას, ყოფილი რექტორის ივანე ჯავახიშვილის მეთაურობით, ერთგვარი გავლენა [illegible]. პროფესურის ეს ნაწილი იბრძვის სახელმწიფო უნივერსიტეტის გასაბჭოების წინააღმდეგ, მისი ავტონომიისათვის, მისი აკადემიზმისათვის და მეტად მტრულად უცქერის „აკადემიური ტრადიციების" დარღვევას. პროფესურის ეს ნაწილი იქამდე მიდის, რომ ბოიკოტსაც კი უცხადებს იმ პროფესორებს, რომელნიც ჩვენ გვიახლოვდებიან და რომელთაც სურთ საბჭოთა ხელისუფლებასთან მუშაობა. ასე, ერთი პროფესორი ამბობს: „საერთოდ, არც განათლების სახალხო კომისარიატს, არც სახელმწიფო უნივერსიტეტის გამგეობას არ ესმით, როგორ უნდა სწარმოებდეს უნივერსიტეტის მშენებლობა. ჩვენ, შეიძლება ითქვას, უნივერსიტეტი, როგორც უნივერსიტეტი, თითქმის არა გვაქვს და იგი თითქმის ხელახლა უნდა შეიქმნას".

ამგვარი პროფესორების სახით ჩვენ აშკარა კლასობრივი მტრები გვყავან. ყოველ კომუნისტს, რომელიც სახელმწიფო უნივერსიტეტის ჰორიზონტზე გამოჩნდება, ისინი სდევნიან, თავს ესხმიან და ამბობენ, რომ „მან მართებულად არ დასწერა, რაღაც მოიპარა, ეს აშკარა პლაგიატია" და სხვა. ამას სჩადიან იმიტომ, რომ გამოიწვიონ უნდობლობა ჩვენი კომუნისტური კადრებისადმი, ახალი საბჭოთა ძალებისადმი.

ბოლო დროს მოწმენი ვიყავით ჩვენი მემარჯვენე პროფესურის მხრით დევნის ასეთი ფაქტების და ამას ისინი „მეცნიერულადაც" კი ასაბუთებდნენ. ასე, მაგალითად, სახელმწიფო უნივერსიტეტის ერთი ასისტენტი აცხადებს: „კომუნისტი თავისი ბუნებით არ შეიძლება იყოს სამეცნიერო მუშაკი, კომუნისტობა ნიშნავს გონების სიჩლუნგეს". მართლაც, პირველხარისხოვანი გონება-ჩლუნგი უნდა იყოს კაცი, რომ ასეთი რამ წარმოსთქვას ახლა კომუნისტებზე.

აი რას ამბობს მეორე ასისტენტი სტუდენტებთან საუბარში: „რა საჭიროა ტვინის შესწავლა და ამ საგნის ჩაბარება, როდესაც სახელმწიფოს მართავენ ადამიანები, რომელთაც ტვინი სრულებით არ გააჩნიათ".

მე მგონია, ასეთი პროფესორების არსებობა არავითარ გარანტიას არ გვაძლევს, რომ ჩვენ კადრებს მოვამზადებთ. პირიქით, ისინი გარყვნიან და არა აღზრდიან ჩვენ ახალგაზრდობას. აი რატომ უნდა ჩავთვალოთ სამარცხვინოდ ჩვენთვის, რომ საბჭოთა ხელისუფლების მე-9 წელს ჩვენ კიდევ გვყავან ასეთი პროფესორები. ჩვენს ორგანოებს და ჩვენს უჯრედებს უნდა დაევალოთ, ნაცვლად ადმინისტრატიული საქმეების გაძღოლისა, ხელი მოჰკიდონ თვით სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებული პირობებისა და ატმოსფერის გაჯანსაღებას, იდეოლოგიური ბრძოლის მოგვარებას. იმგვარი რეაქციონერები, რომლებიც ამბობენ, რომ კომუნისტები გონება-ჩლუნგი და უტვინო ხალხიაო, გაძევებულ უნდა იქნან უნივერსიტეტიდან, განიდევნონ იქიდან და შეიცვალონ მცოდნე, მაგრამ საბჭოთა ხალხით. მე მგონია, ასეთი შესაძლებლობა ჩვენ მოგვეპოვება.

გარდა ამისა, უნდა ვთქვა, რომ არც სხვა დაწესებულებებშია საქმე მთლად კარგად. აიღეთ სახელმწიფო კონსერვატორია, სამხატვრო აკადემია, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი. აქ გვყავან შოვინისტურად და რეაქციონურად განწყობილი პროფესორები, რომელნიც ეწინააღმდეგებიან ყოველგვარ რეორგანიზაციას. კონსერვატორიაში მოიპოვებიან ისეთი მასწავლებლები, რომელთაც არა სურთ „ინტერნაციონალი"-ს დაკვრა, მაგრამ სიამოვნებით უკრავენ იმ ჰიმნს, რომელიც მენშევიკურ საქართველოს უგალობს. ჩვენ გვყავან შოვინისტური, ანტისაბჭოთა და სპეკულიანტური ელემენტები იურისტებს შორის, რომლებსაც ახლახან სწმენდენ. აქ საჭიროა ბოლშევიკური ცოცხით ჩავლა და გადამწყვეტი შეტევა. ამ ფრონტზე არავითარ შემარიგებლობას ადგილი არ უნდა ჰქონდეს. ჩვენ სრულიად თავისუფლად გაუძღვებით უმაღლესი სკოლის ამოცანებს ამგვარი პროფესორების, იურისტების და ექიმების გარეშე, ჩვენი საკუთარი კომუნისტური და საბჭოთა ახალგაზრდა კადრებით. უნდა ნამდვილად მივაღწიოთ იმას, რომ დავიპყროთ ისეთი სიმაგრეები, როგორიც არის სახელმწიფო უნივერსიტეტი, სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტი და აგრონომიული ინსტიტუტი. ეს წარმოადგენს უახლოესი დროის ამოცანას და ამას ხელი უნდა მოჰკიდონ პარტიულმა ორგანიზაციებმა.

ყოველ მხრივ განვამტკიცოთ ა.-კ. ფედერაცია

ახლა გადავდივარ შემდეგ საკითხზე, რომელიც შეეხება საქართველოს კომპარტიის მონაწილეობას ამიერ-კავკასიის ფედერაციის გასამტკიცებელ მუშაობაში. უნდა ვთქვა, რომ ეს საკითხი სდგას საკავშირო კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს იმ ახალ დირექტივასთან დაკავშირებით, რომელიც ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის შემდგომ მუშაობას შეეხება. ეს ახალი დირექტივა სავსებით გამოხატავს ამიერ-კავკასიის და, კერძოდ, საქართველოს პარტიული ორგანიზაციების აზრს. ეს დირექტივა იმაში მდგომარეობს, რომ ამჟამად ამიერ-კავკასიის ფედერაციისათვის უნდა შეიქმნას მტკიცე სამეურნეო ბაზა. თუ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განვითარების პირველ პერიოდში იგი უმთავრესად პოლიტიკურ როლს თამაშობდა და მან თავისი არსებობა მთელი ასი პროცენტით გაამართლა, ახლა ეს აღარა კმარა. ახლა ყოველ მუშას და გლეხს რეალური ფაქტებით უნდა დავუმტკიცოთ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციისაგან მათ აქვს რეალური სარგებელი არა მარტო პოლიტიკურად, არამედ ეკონომიურად. ამისათვის საჭიროა ამიერ-კავკასიის სამეურნეო ძლიერების განმტკიცება, განმტკიცება მისი ორგანოებისა: ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭოსი და მიწსახკომის, რომლებიც უნდა გადაიქცნენ ამიერ-კავკასიის მთელი სახალხო მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის შტაბად. პირველ რიგში უნდა განმტკიცდეს ამიერ-კავკასიის ს.მ.უ. საბჭო, რომელსაც უნდა გადაეცეს ოპერატიული ფუნქციები მას უნდა გადაეცეს სამთო-ქიმიური, საფეიქრო, ტყის მრეწველობა და მსხვილი ელექტრომშენებლობა. მე ვფიქრობ, ჩვენმა პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა გაიზიარონ ეს აზრი იმისათვის, რომ შევსძლოთ ამიერ-კავკასიის ორგანოების განმტკიცება. ჩვენ გვაქვს დირექტივები იმის შესახებ, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციის განმტკიცება უნდა მოხდეს რესპუბლიკების თვითმოქმედებისა და სამეურნეო ინიციატივის ფართოდ გაშლასთან ერთად. მრეწველობის მთელი რიგი დარგები ამჟამად რჩებიან რესპუბლიკების ს.მ.უ. საბჭოების გამგებლობაში. რესპუბლიკებში ჩვენ აუარებელი სამუშაო გვაქვს, და ლაპარაკი ახლა იმაზე, რომ იმას მეტი სამუშაო ექნება და მე ნაკლები, საჭირო არ არის.

ამასგარდა, დაარსდა მიწათმოქმედების სახ. კომისარიატი, რომელიც სოფლის მეურნეობის რეორგანიზაციის შტაბი იქნება. მრეწველობის გაერთიანებული დარგების ხაზით უნდა მოხდეს აგრეთვე მთელი რიგი პროფესიონალური კავშირების გაერთიანება. გარდა ამისა, ც. კ-ის პოლიტბიუროს დირექტივა ჩვენს წინაშე სვამს გაბერილი შტატების საბჭოთა ხაზით შემცირებისა და ზოგიერთი ჩვენი აპარატის რეორგანიზაციის საკითხს. საქართველოს და ამიერ-კავკასიის მუშათა და გლეხთა ინსპექციები უკვე ამუშავებენ ამ რეორგანიზაციის პროექტს. განზრახულია მთელი რიგი სახალხო კომისარიატების გაუქმება. უკვე დასახულია გაუქმება იუსტიციის და შინაგან საქმეთა სახალხო კომისარიატებისა, რომელთა ფუნქციები სხვა კომისარიატებს გადაეცემა, და რეორგანიზაცია მთელი რიგი სხვა კომისარიატებისა. ჩვენი ავტონომიური რესპუბლიკები რეალურად სვამენ საკითხს ცაკისა და სახკომსაბჭოს ერთ ორგანოდ გაერთიანების შესახებ. აფხაზეთმა ამ შემთხვევაში თაოსნობა გამოიჩინა, იგი დაადგა უკვე ამ გზას. მე ვფიქრობ, ამ მაგალითს აჭარისტანის რესპუბლიკამაც უნდა მიჰბაძოს.

გავამარტივოთ და გავაუმჯობესოთ საბჭოთა აპარატი

როგორც მუშათა და გლეხთა ინსპექციის მუშაკებმა გამოიანგარიშეს, ზოგიერთი სახკომატების რეორგანიზაციით და გაუქმებით რამდენიმე ასი ათასი მანეთის ეკონომიას მივიღებთ. მართლაც, რატომ არ უნდა მოვახმაროთ ჩვენ სახალხო მეურნეობას ეს ზედმეტი ასი ათასები? რატომ უნდა დავახარჯოთ ეს ფული მოხელეებს? ამით არ იზარალებს არც ავტონომია და არც დამოუკიდებლობა, პირიქით, მოიგებს კიდეც. აი რატომ უნდა დავსვათ ეს საკითხი და რატომ უნდა დავცხოთ იმ ელემენტებს, რომელნიც ამ ღონისძიებებს ეწინააღმდეგებიან. ზოგიერთი ფიქრობს—რაკი ჩვენს რესპუბლიკაში, ვთქვათ, 15 სახკომი გვქონდა, როგორღა შეიძლება ახლა ამ რიცხვის შემცირებაო. არავითარი საფრთხე შემცირებას არ მოჰყვება, თუ კი სამეურნეო მუშაობა კარგად წავა, თუ კი ჩვენი მშენებლობა უფრო მეტად გაიშლება და გაფართოვდება.. მე ვფიქრობ, პლენუმმა ეს საკითხი დადებითად უნდა გადასჭრას და მიანდოს ც. კ-ის პრეზიდიუმს—არ გადასდოს და იგი ახლავე განახორციელოს.

ამხანაგებო, უნდა აღვნიშნო, რომ ჩვენ ჩვენი პარტიის მე-6 ყრილობაზედაც გვესმოდა ჩივილი ამიერ-კავკასიის დაწესებულებათა გამრავლების შესახებ. ამბობდნენ—ცუდი შედეგი ხომ არ მოჰყვება, თუ ჩვენ ასეთი დიდი რაოდენობით შევქმნით ამიერ-კავკასიის დაწესებულებებს, ამბობდნენ—ეს დაწესებულებები სოკოებივით მრავლდებიანო. ამიერ-კავკასიის ფედერაციის განსამტკიცებლად,—გაიძახოდნენ ისინი,—უკეთესია ორგანოების ნაკლები რიცხვი და სხვა. მე ვფიქრობ, ამგვარი ლაპარაკი უცხო ელემენტების ზეგავლენის გამოხატულებაა. ბევრია ასეთი შოვინისტური, მენშევიკური ელემენტი. კერძოდ, არა ერთხელ შევხებივართ მწერალს გრიგოლ ლორთქიფანიძეს. ესენი ყოველთვის აშკარა სიძულვილით იხსენიებენ ამიერ-კავკასიის დაწესებულებებს. მე მგონია, არა ღირს ამ ჟამად ლაპარაკი იმაზე, ბევრი თუ ცოტა ორგანო იქნება.

ყალბი შეხედულებანი აპარატის რეორგანიზაციაზე

ჩვენ უნდა შევქმნათ ისეთი ორგანოები, რომელნიც აუცილებლად საჭირონი არიან ჩვენი ქვეყნის განვითარებისათვის, საჭირონი არიან იმისათვის, რომ ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის დარგში განვამტკიცოთ ჩვენი მოძრაობის ტემპი. აი რატომ არ უნდა ჰქონდეს ადგილი ამგვარ ლაპარაკს ჩვენი პარტიის რიგებში. ზოგიერთი რაიონის მასალიდან კი სჩანს, რომ არიან ამხანაგები, რომელნიც ასეთ აზრებს გამოსთქვამენ. აი, მაგალითად, ერთ უჯრედში კითხულობენ: „ხომ არ შეჰქმნის ეს ისეთ პირობებს, რომელნიც შეაფერხებენ კულტურის განვითარებას ადგილობრივ ეროვნულ ენებზე"-ო. გამოდის, რომ ამიერ-კავკასიის ფედერაციით ზოგიერთი ორგანოს შექმნა უარყოფითად იმოქმედებს კულტურის განვითარებაზე ადგილობრივ ენებზე და სხვ. ეს ყოვლად შემცდარი აზრია. ჩემი მოხსენებიდან დაინახეთ, რომ ჩვენ საშუალება გვაქვს გაზეთი გამოვცეთ ლაზურ ენაზედაც კი. განა ამის შემდეგ საჭიროა ლაპარაკი იმაზე, რომ საქართველოს, სომხეთის და აზერბეიჯანის მშრომელთა კანონიერი მისწრაფება—ეზიარონ საბჭოთა კულტურას მშობლიურ ენაზე—არაფერით არ იქნება შეზღუდული? არც ერთი შეგნებული კომუნისტი არ დასვამს საკითხს ასე. ჩვენ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის პლენუმზევე განვაცხადეთ, რომ ამით არავითარ შემთხვევაში არ შეიზღუდება კულტურა ამა თუ იმ ენაზე. ჩვენ უნდა ბოლო მოვუღოთ ჩვენი პარტიის შიგნით ისეთ განწყობილებებს, რომელთა მიხედვითაც ჩვენ ამ ჟამად ვითომ ეროვნული რესპუბლიკების ლიკვიდაციას ვახდენთ. მე ვფიქრობ, საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის ეს დირექტივა ლოღიკური განვითარებაა ამხ. ლენინის იმ დირექტივისა, რომელიც ამბობდა, რომ ჩვენ ამიერ-კავკასიაში უნდა შევქმნათ ეროვნული მშვიდობიანობის ნიმუში. საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის უკანასკნელი დირექტივის აზრი ის არის, რომ ამიერ-კავკასიის განვითარებისა და განმტკიცების საქმეში რაკი „ანი" ითქვა, „ბანიც" უნდა ითქვას. ჩემის აზრით, არაჯანსაღი განწყობილებანი უმთავრესად მომდინარეობენ ინტელიგენტურ შოვინისტურ წრეებიდან, რომელნიც ფიქრობენ, რომ ახლა შეიქმნება სხვა ენაზე მომუშავე ახალი აპარატები, სადაც ჩვენ არ მიგვიწვევენო და სხვ. მაგალითად, ასევე სწერდა ემიგრანტი თეთრი პრესაში—„თქვენ აგებთ ახალ ფაბრიკებსა და ქარხნებს, მაგრამ იწვევთ იქ არა ადგილობრივ მუშებს"-ო. ალბად, აღმოჩნდებიან ისეთებიც ინტელიგენტებიდან, რომელნიც ამ პროვოკაციას თბილისს მოსდებენ. როგორც იცით, ჩვენ საკმაო კადრები არა გვყავან. ის ადამიანი, რომელსაც ოდნავ მაინც შეუძლია მუშაობა სოფლის მეურნეობაში თუ მრეწველობაში, ყოველთვის იშოვნის სამუშაოს, მას, როგორც იტყვიან, „იტაცებენ". ხოლო სხვადასხვა ჯურის უსაქმურები, რომელნიც რუსთაველის პროსპექტზე დაყიალობენ და ძველ დროს მისტირიან, რა თქმა უნდა, სამუშაოს ვერ იშოვნიან. მაგრამ ამისთვის ჩვენ პოლიტიკის გადათვალიერება არ მოგვიხდება. აი რატომ უნდა მოვცხოთ დაუზოგავად ამ შოვინისტურ და ნაციონალისტურ არამზადებს რომელნიც ჯერ კიდევ ბოგინობენ აქ და სწამლავენ ჰაერს. საქართველოს კომპარტია, რომელიც მედგრად ებრძოდა უკლონისტებს და წარმატებით უმკლავდებოდა მებრძოლი ქართველი ნაციონალიზმის იდეოლოგიას, ამიერ-კავკასიის ფედერაციის ახალ ეტაპებზე უნდა იდგეს პირველ რიგში იმათთან ერთად, ვინც ც. კ-ის ყველა დირექტივების განხორციელების საქმეში ყოველ ნაირად მხარს უჭერს ამიერ-კავკასიის ფედერაციის ორგანოებს და პარტიის ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტს (ტაში).

მე ვფიქრობ, რომ ჩვენ არა მარტო სიტყვით —უნდა საქმითაც უზრუნველვყოთ მხარის დაჭერა ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტისათვის. უნდა ვთქვა, რომ თუ ბაქოს ორგანიზაცია არის მოწინავე, საუკეთესო პროლეტარული ორგანიზაცია, რომელმაც ხელმძღვანელობის შეცვლის შემდეგ, გამოასწორა თავისი დეფექტები, შესძლო უმაღლეს საფეხურზე ასვლა, და რომელსაც უფლება აქვს ხელმძღვანელ როლზე ამიერ-კავკასიაში,— ჩვენ, საქართველოს კომპარტია, ბაქოს ორგანიზაციასთან ერთად, უნდა ვიდგეთ პირველ რიგებში იმათ შორის, რომელნიც მთლიანად და სავსებით განახორციელებენ საკ. კ.პ. (ბ) ც. კ-ის დადგენილებებს. მე ვფიქრობ, რომ ამით რეალურად განვამტკიცებთ ამიერ-კავკასიის ფედერაციას.

პარტიული აღმშენებლობა

საბჭოთა აპარატის წმენდა

გადავდივარ საკითხების უკანასკნელ ჯგუფზე, რომელნიც ეხებიან პარტმშენებლობას. ამ უკანასკნელ დროს ჩვენ ჩავატარეთ ორი დიდი ღონისძიება: საბჭოთა აპარატის წმენდა და პარტიის წმენდა. იმისათვის, რომ უზრუნველვყოთ ჩვენი მუშაობა, ჩვენ გვესაჭიროება ჩვენი საბჭოთა აპარატი, რომელიც წესიერად უნდა მუშაობდეს, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს დღემდე ვერ განვახორციელეთ. ჩვენ ჩავატარეთ საბჭოთა აპარატის ნაწილობრივი წმენდა და რა შედეგები გვაქვს ამჟამად? უნდა ითქვას, რომ საბჭოთა აპარატის წმენდისათვის მოსამზადებელმა მუშაობამ საკმაოდ ვერ დარაზმა საზოგადოებრივი აზრი, ყველგან სათანადო ყურადღება არ ექცეოდა აპარატის უცხო ელემენტებისაგან გაწმენდის საქმეს. თვით წმენდა მუშათა მასების დაინტერესების პირობებში მიმდინარეობდა; მუშათა მასების აქტივობამ შესაძლებელი გახადა თვალსაჩინოდ გამოსწორებულიყო მოსამზადებელი მუშაობის დეფექტები. წმენდამ გამოააშკარავა, რომ მთელ რიგ ჩვენს დაწესებულებებში მოკალათებულნი არიან სოციალურად უცხო ელემენტები, ყოფილი პოლიციელები, შავსიელები და სპეკულიანტები, განსაკუთრებით ადგილობრივ საბჭოთა ორგანოებში (მაგალითად, აფხაზეთში, კახეთში, ახალქალაქში); გამოაშკარავდა, რომ მიწათმოქმედების სახალხო კომისარიატის აპარატი და მისი ადგილობრივი ორგანოები არ შეეფერებიან სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნის ამოცანებს. წმენდამ გამოამჟღავნა საქმის გაჭიანურების აღმაშფოთებელი შემთხვევები ჩვენს სადგილ-მამულო ორგანოებში. წმენდამ ხელშესახები შედეგები მოგვცა, მან ბევრი ბიუროკრატი განდევნა ჩვენი აპარატიდან. მაგრამ შეიძლება თუ არა ითქვას, რომ ჩვენში ბიუროკრატები აღარ მოიპოვებიან? ჩვენ გვყავან ბიუროკრატები რესპუბლიკანურიც, სამაზროც, ხოლო ახლა —დარაიონებასთან დაკავშირებით,—საოლქო ბიუროკრატებიც გაჩნდებიან. მათ წინააღმდეგ ენერგიულად უნდა გავილაშქროთ, ვინაიდან ჩვენ ვერ შევსძლებთ ჩვენი ამოცანების განხორციელებას, თუ ნამდვილად არ შევებრძოლეთ ბიუროკრატიზმს. ეს ბრძოლა ამჟამად ახალ ფორმებს ღებულობს. მაგალითად, მოსკოვსა და ლენინგრადში წარმოიშვა იდეა მუშათა საწარმოების შეფობისა სახელმწიფო აპარატზე. ეს იმას ნიშნავს, რომ მუშები სისტემატიურად ადევნებენ თვალყურს და შეამოწმებენ განსაზღვრული საბჭოთა დაწესებულების მუშაობას. ეს იდეა უაღრესად სასარგებლოა ჩვენთვის. მე ვფიქრობ, მაქსიმალურად უნდა განვახორციელოთ ეს იდეა, თბილისში უკვე გვაქვს მთელი რიგი საწარმოები, რომლებმაც შეფობა აიღეს დაწესებულებებზე.

ჩვენ ერთგვარი გარდატეხა გვაქვს მუშათა დაწინაურების საქმეშიაც; ამ უკანასკნელ პერიოდში დაწინაურებულ იქნა 300-მდე მუშა. მუშათა დაწინაურებისადმი დამოკიდებულება უთუოდ გაუმჯობესდება.

პარტიის წმენდის შედეგები

რაც შეეხება პარტიის წმენდას მე-16 პარტკონფერენციის დადგენილებაში ნათქვამია შემდეგი: „ჩვენი ქვეყნის სოციალისტური მეურნეობის რეკონსტრუქციის პერიოდში, რომელიც დაკავშირებულია სოციალისტურ შეტევასთან ქალაქისა და სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებზე და კლასობრივი ბრძოლის გამწვავებასთან, პარტიამ განსაკუთრებით გულდასმით უნდა გადასინჯოს თავისი რიგები იმისათვის, რომ გააძლიეროს წინააღმდეგობა წვრილ-ბურჟუაზიული სტიქიის გავლენის მიმართ, გახადოს პარტია უფრო მთლიანი, უფრო ბრძოლისუნარიანი სახალხო მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის სიძნელეთა გადალახვის საქმეში".

განვახორციელეთ თუ არა ჩვენ ეს ამოცანა, რათა პარტია გაგვეხადა უფრო მთლიანი, გაგვეძლიერებია წინააღმდეგობა წვრილბურჟუაზიული სტიქიის გავლენის მიმართ და უფრო ბრძოლის უნარად გადაგვექცია პარტია?

ჩვენ, საერთოდ, უთუოდ მივაღწიეთ ამ მიზანს. ჩვენ გავწმინდეთ პარტიის რიგები ზედმეტი ბალასტისაგან, ყოველგვარ თინბაზებისა და არამზადებისაგან, როგორც ამხ. ლენინი ამბობდა. მაგრამ წმენდის დროს მაინც ჰქონდა ადგილი მთელ რიგ დეფექტებს. გამორიცხულთა პროცენტი მუშათა უჯრედებში უდრის 10,9-ს, დაწესებულებათა უჯრედებში—12-ს, სოფლის უჯრედებში—15,6-ს,—ეს თითქმის სწორია, მაგრამ შემდეგ, უმაღლეს სასწავლებელთა უჯრედებში გამორიცხულთა პროცენტი 8,4-ს უდრის. ეს კი აშკარა „ქრისტიანული" დამოკიდებულების გამოხატულებაა. სხვანაირად რით უნდა ავხსნათ, რომ უმაღლესი სასწავლებლების უჯრედებში გამორიცხულთა პროცენტი უფრო დაბალია, ვიდრე მუშათა უჯრედებში? ეს გარემოება უნდა გამოვასწოროთ და აქ საჭირო იქნება მივაღწიოთ იმას, რომ მაქსიმალურად გავწმინდოთ პარტიის რიგები ზედმეტი ელემენტებისაგან.

წმენდამ ცხადჰყო ორგანიზაციის დარაზმვა პარტიის ხაზის ირგვლივ. უნდა ითქვას, რომ წმენდის შედეგები დღემდე ვერ გამოიყენეს ადგილობრივმა ორგანიზაციებმა. შემმოწმებელი კომისიები არა მარტო სწმენდნენ პარტიის ამა თუ იმ ცალკე წევრს, არამედ ისინი დაინტერესებულნი იყვნენ მთელი უჯრედის და მთელი ორგანიზაციის მუშაობითაც. ამავე დროს კი შემოწმების შემდეგ პარტიული ორგანიზაციები არ ისმენდნენ სათანადო მოხსენებებს შედეგების შესახებ, არ არჩევდნენ იმ საკითხს, თუ როგორ ემუშავნათ ორგანიზაციის გასაჯანსაღებლად. მე ვფიქრობ, ეს სერიოზული დეფექტია ადგილობრივი პარტიული კომიტეტების მუშაობაში.

საჭიროა ახლა ხელი მოვკიდოთ ამ საკითხს, განსაკუთრებული ყურადღება მივაქციოთ იმ მტკივნეულ მოვლენებს, რომლებიც წმენდამ გამოააშკარავა, და შეუდგეთ გამომჟღავნებული დეფექტების გამოსწორებას.

ამასთან ერთად, უნდა ვთქვა, რომ მუშაობა პარტიაში ახალი წევრების მისაღებად სუსტად მიმდინარეობდა. ჩვენ გვაქვს ცენტრალური კომიტეტის დირექტივა იმის შესახებ, რომ წმენდის დროს გამორიცხულ უვარგისთა ნაცვლად საჭიროა პარტიის რიგების შევსება მტკიცე საუკეთესო მუშა პროლეტარებით. ეს შესრულებული არ არის. 1929 წლის პირველ კვარტალებში ადგილი ჰქონდა პარტიაში მიღებულ მუშათა რიცხვის ზრდას, ხოლო შემდეგ მივიღეთ შემცირება. ეს დეფექტი უნდა გამოვასწოროთ. საქმე ისე უნდა მოვაგვაროთ, რომ რაც შეიძლება მეტი მუშა მივიღოთ პარტიის რიგებში და ამ მხრივ სხვა ორგანიზაციების ერთგვარი გამოცდილება უნდა გამოვიყენოთ. როგორც თქვენ იცით, ამხ. სტალინის 50 წლის იუბილესთან დაკავშირებით გერმანიის კომპარტიამ წამოაყენა სტალინის სახელობის გაწვევის ლოზუნგი. ჩვენმა კომპარტიამ, გერმანიის კომპარტიის მაგალითის მიხედვით, უნდა გამოაცხადოს სტალინის სახელობის გაწვევა, მით უმეტეს, რომ მთელ რიგ ადგილებში უკვე თვით მუშებმა აღძრეს ეს საკითხი, ეს უნდა განვახორციელოთ არა კამპანიის, არამედ სისტემატიური მუშაობის სახით. აი ამ ამოცანას უნდა მოვკიდოთ ხელი, რათა გამოვასწოროთ ის დეფექტი, რომელიც გვაქვს მუშათა მიღების შესუსტებით.

კომკავშირი მორიგი ამოცანების წინაშე

რაც შეეხება კომკავშირის მუშაობას, უნდა ითქვას, რომ კომკავშირმა ამ პერიოდში თვალსაჩინო გაუმჯობესებას მიაღწია თავისი სოციალური შემადგენლობის გაჯანსაღების საქმეში. მაგრამ არის დეფექტი იმ მხრივ, რომ, სამწუხაროდ, კომკავშირი ზოგჯერ ჩამორჩება სამეურნეო საქმიანობაში. ა. ლ. კ. კ. ცენტრალური კომიტეტის დეკემბრის პლენუმმა აღნიშნა, რომ „სამეურნეო მშენებლობის საკითხები ჯერ კიდევ არ წარმოადგენენ ძირითად საკითხს კომკავშირის მუშაობაში და შინასაკავშირო ცხოვრება ხშირად ვერ ასახავს სამეურნეო მშენებლობის ტემპებს და ახალგაზრდობის მოწინავე ფენების აქტივობას".

ეს, ამხანაგებო, სწორია. თუ ავიღებთ ჩვენს მუშაობას, დამკვრელობის განვითარებას, კოლექტივიზაციის განვითარებას სოფლად, სამწუხაროდ, კომკავშირი ჯეროვან მონაწილეობას არ იღებს ამ მუშაობაში, მაშინ, როდესაც იგი თაოსნობას უნდა სწევდეს და მოწინავე რაზმი უნდა იყოს ყველა ასეთ საქმეში.

ამჟამად მიმდინარეობს სამეურნეო კამპანია —საუტილიზაციო ნედლეულის შეგროვება. რაკი სიტყვამ მოიტანა, უნდა ვთქვა, რომ პარტიულმა ორგანიზაციებმაც დახმარება უნდა გაუწიონ ამ საქმეს, ვინაიდან ეს მოგვცემს დამატებით ტრაქტორებს.

კომკავშირმა უფრო აქტიური მონაწილეობა უნდა მიიღოს აგრეთვე მომავალი კადრების მომზადებაში ჩვენი მშენებლობისათვის. ჩვენ ამჟამად გვჭირდება კადრები სოფლის მეურნეობისა და მრეწველობისათვის. ჩვენ არ გვჭირდება ყველაფრის მცოდნენი, ისეთი ახალგაზრდები, რომლებმაც ცოტა-ცოტა ყველაფერი იციან, ნამდვილად კი არაფერი; ჩვენ გვესაჭიროება მომავალი კომუნისტური საზოგადოების ნამდვილი მშენებლები, კომკავშირმა მთელი ძალღონე უნდა მოახმაროს უმაღლეს სასწავლ[illegible] რი სასწავლე[illegible] მომზადებას და აქტიური მონაწ[illegible] მიიღოს ამ საქმეში.

ქალთა შორის მუშაობა

თუ შევეხებით მუშა და გლეხ ქალთა შორის მუშაობას, უნდა ვთქვათ, რომ ადგილობრივი კომიტეტების ხელმძღვანელობა ამ მუშაობის მიმართ თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა. გაუმჯობესებას ვხედავთ მუშა და გლეხ ქალთა კულტურულ-ყოფაცხოვრებითი საჭიროებების დაკმაყოფილების საქმეში. მაგრამ ამასთან ერთად მთელ რიგ ორგანიზაციებში ადგილი აქვს ფორმალურ მიდგომას ამ მუშაობისადმი. მაგალითად, კოლმეურნეობათა ზრდა სწრაფი ტემპით მიდის, ხოლო კოლმეურნეობის წევრ ქალთა შორის არავითარი მუშაობა არ სწარმოებს, სათანადო მუშაობა არც საბჭოთა მეურნეობებში სწარმოებს. ამიტომაც მუშა ქალთა შორის მუშაობაში საჭიროა ძირითადი გარდატეხა პარტიის დირექტივების შესრულების მიზნით.

თვითკრიტიკის დამახინჯებათა წინააღმდეგ

ამხანაგებო, რამდენიმე სიტყვა უნდა ვთქვა თვითკრიტიკის შესახებ. თვითკრიტიკა ჯერ კიდევ ვერ გადაიქცა ჩვენი პარტიული ორგანიზაციების მუშაობის მუდმივ მეთოდად. ადგილი ჰქონდა თვითკრიტიკის ერთგვარ შესუსტებას, რის გამოც პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა სექტემბერში სპეციალური მოწოდებით მიმართა პარტიულ ორგანიზაციას. ამან სტიმული მისცა თვითკრიტიკის განვითარებას და ამ მხრივ ჩვენ ძალიან დიდი მუშაობა ჩავატარეთ. მაგრამ, ამხანაგებო, უნდა ვთქვა, რომ სალი ბოლშევიკური თვითკრიტიკის განვითარებასთან ერთად, ჩვენში ადგილი ჰქონდა გადამლაშებას თვითკრიტიკაში, სენსაციებს. ჩვენ ყოველმხრივ უნდა განვავითაროთ თვითკრიტიკა და ენერგიულად ვებრძოლოთ თვითკრიტიკის ჩახშობათა წინააღმდეგ, ყველა ჯურის პატარა და დიდი ბიუროკრატების წინააღმდეგ, მაგრამ ამავე დროს ენერგიულად უნდა ვებრძოლოთ გადამლაშებასაც თვითკრიტიკაში. ჩვენ გვესაჭიროება ისეთი თვითკრიტიკა, რომელსაც შეუძლია განამტკიცოს ჩვენი პარტიის რიგები, განამტკიცოს ჩვენი საბჭოთა ხელისუფლება, მაგრამ სამწუხაროდ ჩვენ ყოველთვის ვერ ვხედავთ ისეთ თვითკრიტიკას, როგორიც ჩვენ გვესაჭიროება. ვიმეორებ—ზოგჯერ ადგილი აქვს გადამლაშებას, იქმნება ყოველგვარი სენსაციები. ზოგჯერ იმის ნაცვლად, რომ პრინციპიალურად მიუდგნენ საკითხს, ჩხრეკენ წვრილმანებს, —ესა და ეს ქალს დასდევს, მეორე დასეირნობსო და სხვ. ყოველსავე ამას ასურათებენ ნახატებით, ხუმრობით და სხვ. ეს სრულებით არ ვარგა და ეს არ უნდა ხდებოდეს. აი ამიტომ ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ასეთ გადამლაშებას და ამავე დროს უფრო და უფრო გავშალოთ ჩვენი ნამდვილი ბოლშევიკური თვითკრიტიკა.

თვითკრიტიკის ნაკლი პრესაში

იგივე უნდა ითქვას პრესის შესახებ. სამწუხაროდ, არის შემთხვევები, როცა პრესა უმსგავსო მოვლენებს აშუქებს, ათავსებს არასწორ ფაქტებს, ზოგჯერ ბეჭდავს ისეთ კორესპონდენციას, რომელიც სინამდვილეს არ შეეფერება, და საჭიროდ არა სთვლის ამ კორესპონდენციის უარყოფას. ამას წინად ადგილი ჰქონდა ასეთ შემთხვევას: ერთ-ერთ ჩვენს საუკეთესო ამხანაგს, ამხ. ნამჩევაძეს, პარტიის წევრს 1905 წლიდან, პრესაში ცილი დასწამეს, იგი თითქმის ბოროტმოქმედად დასახეს. კორესპონდენცია გაიგზავნა „მუშა"-ში, გაზეთმა კორესპონდენცია დაბეჭდა. შემდეგ ამ საქმეს ხელი მოჰკიდა ცენტრალურმა საკონტროლო კომისიამ და გამოარკვია, რომ კორესპონდენცია ბოროტი ცილისწამება იყო. ამის შემდეგ „მუშას" რედაქციიდან არავინ არ მოჰკიდა ამ საქმეს ხელი და არ უარჰყო კორესპონდენცია. რატომ ხდება ეს? იმიტომ, რომ ჩვენს რედაქციებში ზოგჯერ ისეთი ელემენტები მოიპოვებიან, რომლებსაც სავსებით ვერა აქვთ შეგნებული ბოლშევიკური ხაზი (ადგილებიდან: სწორია!).

ასეთი ელემენტები კომუნისტებზე ყოველგვარ ცუდს სწერენ, ხოლო როდესაც საჭიროა კომუნისტების დაცვა, არაფერს აკეთებენ. აი ამიტომ პარტიის ცენტრალურ საკონტროლო კომისიასა და ცენტრალური კომიტეტის წინაშე სდგას საკითხი, იმის შესახებ, რომ ჩვენი გაზეთების რედაქციებში მოხდეს მუშაკთა შემადგენლობის შემოწმება. ჩვენი პრესა ნამდვილ ბოლშევიკურ პრესად უნდა გავხადოთ და გადავაქციოთ იგი პარტიის მორიგი ამოცანების შესრულების იარაღად.

გავაძლიეროთ ცეცხლი მემარჯვენე გადახრის წინააღმდეგ

ახლა შევეხები ბრძოლას მემარჯვენე გადახრასთან და ამ გადახრის პრაქტიკულ გამოხატულებასთან. ზოგიერთები ფიქრობენ, რომ მემარჯვენე გადახრა არსებობს მხოლოდ მოსკოვში, რომ მას, მაგალითად, ადგილი არა აქვს თბილისში, და რომ არსებობდეს იგი თბილისში, არ არსებობს ოზურგეთში ან ზუგდიდში, კახეთში ან აფხაზეთში. ასეთ აზრს ზოგჯერ შევხვდებით. მე ვფიქრობ, რომ ამ თვალსაზრისის უარყოფა ზედმეტია. ჩვენ ყველგან ვხვდავთ პრაქტიკაში მემარჯვენე გადახრის მრავალ გამოხატულებას, რასაც მოწმობს მთელი რიგი გამოსვლები. მაგალითად, ამას წინად თბილისში შედგა სოფელთან დაკავშირებული მუშების კრება. ამ კრებაზე გამოვიდა ერთი მუშა—პარტიის წევრი და განაცხადა შემდეგი: „აქ ლაპარაკობენ კულაკზე, მაგრამ საქართველოში ხომ არ არიან კულაკები. თვით მომხსენებელმაც აღნიშნა, რომ ჩვენში მიწა ცოტაა, მაშ, საიდან გაჩნდა კულაკი? რუსეთში, სადაც მიწა ბევრია, კულაკი შეიძლება იყოს, მაგრამ ჩვენში არ არის. ხომ არ შეიძლება გლეხი, რომელსაც ჰყავს ერთი უღელი ხარი და წყვილი ძროხა და აქვს ცოტაოდენი ხორბალი, ჩავთვალოთ კულაკად? ეს სწორი შეხედულება არ იქნება. საიდან უნდა გვყავდნენ ჩვენ კულაკები, როცა არაფერი გვაქვს. რის კოლექტივიზაცია უნდა მოვახდინოთ? სულ სხვა მდგომარეობაა რუსეთში. იქ ბევრი რამ არის ისეთი, რაც შეიძლება გადაეცეს კოლმეურნეობას. ჩვენ კი არაფერი გვაქვს. აი, რატომ არის ძნელი სოფლის მუშასთან ლაპარაკი კოლექტივიზაციის შესახებ". აი, ტიპიური მემარჯვენე გადახრის თვალსაზრისი.

ზოგიერთები ფიქრობენ, რომ ოპოზიციის ბელადების უკან დახევასთან ერთად მემარჯვენე გადახრაც მოისპო. ეს შემცდარი შეხედულებაა. ბელადებმა იარაღი დაჰყარეს, მაგრამ მემარჯვენე გადახრა ისევ არსებობს, მას მრავალი მიმდევარი ჰყავს როგორც ქალაქად, ისე სოფლად. ამიტომ არავითარ შემთხვევაში არ უნდა შესუსტდეს ბრძოლა როგორც მემარჯვენე იდეოლოგიის, ისე განსაკუთრებით, მემარჯვენე გადახრის პრაქტიკის წინააღმდეგ. ამ ცოტა ხნის წინად ოზურგეთში ბევრი კომუნისტი წინააღმდეგი იყო კოლექტივიზაციისა —[illegible]ის კოლექტივიზაცია შეიძლება გურიაში, [illegible] კოლექტივიზაცია გამოიგონესო, გაიძახოდნენ. ერთი გამოვიდა საბჭოთა აპარატის წმენდაზე და განაცხადა: „თქვენ აყენებთ საკითხს დაწინაურების შესახებ, მაგრამ განა შესაძლებელია, რომ, მაგალითად, მე, საფინანსო განყოფილების გამგე, შემცვალოს მუშამ, მას ხომ არა აქვს საჭირო ცოდნა"? ეს კაცი პირდაპირ გამოვიდა ჩვენი აპარატის გამუშურების წინააღმდეგ. და იცით როგორ შეხვდა ამას ოზურგეთის მეშჩანური ინტელიგენცია? ტაშის ცემით—ყოჩაღ, იცავ ჩვენ ძმა-ბიჭებსო. ეს მემარჯვენე გადახრის ტიპიური გამოხატულებაა. ჩვენი პარტორგანიზაციები საკმაო ყურადღებას არ აქცევენ ბრძოლას ამ გადახრის წინააღმდეგ. ყოველ შემთხვევაში, თუ პრესას ავიღებთ, არ შეიძლება იმის თქმა, რომ ჩვენ მთელი ჩვენი ბატარეებიდან მივმართეთ ბოლშევიკური ცეცხლი მემარჯვენე გადახრის წარმომადგენელთა წინააღმდეგ. ბრძოლის [illegible] რება კი აუცილებელია. ამ პერიოდ[illegible]ები და ვამოწმეთ მთელი რიგი ორგანი[illegible]ის —აჭარისტანის, კახეთის და აფხაზ[illegible] თვალსაჩინო გამოხატულებანი: კლასობრივ[illegible]ძოლის და კულაკური საფრთხის არ[illegible] შეფასება, კოლმეურნეობრივი მ[illegible]ობის არასაკმაოდ შეფასება და ზოგჯ[illegible] არასაკმაოდ დაბეგვრა და გაწევა, კულ[illegible] საშუალო გლეხთა მეურნეობების ზედმეტად დაბეგვრა. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ არ სწარმოებდა მუშაობა კლასობრივი სიძულვილის გასაღვივებლად კულაკის მიმართ, ადგილი ჰქონდა მიწის გაყიდვის, იჯარით გაცემის

[illegible] მუშებს

[illegible] დადგენ[illegible] გზით

საჭიროდ მიმაჩნია მოკლედ აღვნიშნო ზოგიერთი მიღწევები, რომლებიც ჩვენ გვაქვს შემოხსენებულ სამ ორგანიზაციაში. პირველ ყოვლისა ავიღოთ კახეთის ორგანიზაცია, რომელიც ახლა მუშაობს სრულებით სხვა მიმართულებით, ვიდრე მუშაობდა წინად, ძველი ხელმძღვანელობის დროს. ჩვენ ბრწყინვალე შედეგები გვაქვს პურის დამზადების საქმეში —კახეთში შევაგროვეთ საქართველოს მთელი წლიური გეგმის ნახევარზე მეტი. გარდა ამისა, კახეთში წარმატებით იქნა გავრცელებული სესხი— სოფლად გასაღდა 630 ათასი მანეთის ობლიგაცია; ფულადი რესურსების მობილიზაციის ხაზით მარტო კახეთში შევაგროვეთ 2 ნახ. მილიონი მანეთი. გაძლიერებული ტემპით მიდის აგრეთვე სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაცია. ყველაფერი ეს ხორციელდება ჩვენი პარტორგანიზაციის სწორი მუშაობის წყალობით. პარტორგანიზაციამ შესცვალა თავისი მუშაობა და დაეყრდნო ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების აქტივობას. ამგვარად, პარტორგანიზაციის ხელმძღვანელობით ჩვენ მივაღწიეთ თვალსაჩინო შედეგებს. ცენტრალური კომიტეტის მიერ დროზე მიღებული დადგენილების წყალობით დეფექტები გამოვასწორეთ.

ავიღოთ აჭარისტანის ორგანიზაცია. თქვენ იცით, რომ იქ იყო უმსგავსო იარები, რომლებიც ახალ ხელმძღვანელობას მემკვიდრეობით დარჩა ძველი ხელმძღვანელობისაგან. ახალმა ხელმძღვანელობამ ჩაატარა მუშაობა ამ დეფექტების გამოსწორებისა და აჭარისტანის სოფლისთვის სამეურნეო და კულტურული დახმარების მიწოდების ხაზით. მიუხედავად ამისა, ცენტრალური კომიტეტი ამას წინად იძულებული იყო აღენიშნა, რომ აჭარისტანში სოფლად მუშაობა ჩვენი საქმიანობის სუსტ მხარეს წარმოადგენს, რადგან ჯერ კიდევ ვერ მივაღწიეთ ძირითად გარდატეხას ღარიბთა შორის მუშაობაში და ჯერ კიდევ არა გვაქვს დასაყრდენი პუნქტები სოფლად. სწორედ ამიტომ, მიუხედავად იმ უდიდის მუშაობისა, რომელიც აჭარისტანის საოლქო კომიტეტმა შეასრულა ც. კ-ის დირექტივის განსახორციელებლად, კულაკები და სოფლის შეძლებული ელემენტები ამბობენ, რომ საბჭოთა ხელისუფლება სუსტია, რომ იგი დათმობებზე მიდის, აძლევს მათ მანუფაქტურას და სხვ. მთელი ჩვენი დადებითი მუშაობა მათ ჩვენი სისუსტის გამოხატულებად მიაჩნიათ. სწორედ ამიტომ ახლა საჭიროა მოვცხოთ ამ კულაკებს, აშკარა ანტისაბჭოთა ელემენტებს და შევქმნათ ჩვენი დასაყრდენი პუნქტები სოფლად. ამ მხრივ ჩვენ ერთგვარი გარდატეხა მოვახდინეთ ჩვენს ტაქტიკაში და საგრძნობი შედეგებიც მივიღეთ.

აჭარისტანში მომუშავე ამხანაგებისაგან მიღებული ცნობებიდან სჩანს, რომ იქ საბჭოების საარჩევნო კამპანია წარმატებით მიმდინარეობს. ზოგიერთ საბჭოში მოკალათებულნი იყვნენ კულაკები და მათი დამქაშები, ახლა კი, პარტიის ხელმძღვანელობით, იქმნება ღარიბ და საშუალო გლეხთა საბჭოები. გარდა ამისა, სამეურნეო დახმარება ეძლევა ღარიბ გლეხობას, რომელიც თანდათან ფეხზე დგება. თუ აჭარისტანის ორგანიზაცია იმუშავებს ამ მიმართულებით და პირველ რიგში ბათუმის პროლეტარული ორგანიზაცია ყოველმხრივ დახმარებას გაუწევს ამ საქმეს, აჭარისტანის სოფლისაგან ჩვენ მალე მივიღებთ ნამდვილ საბჭოთა სოფელს.

ავიღოთ აფხაზეთი. ყველასათვის ცნობილია, რომ იქ მრავალ გამრუდებას ჰქონდა ადგილი, განსაკუთრებით სოფლად. ამ ცოტა ხნის წინად იყო წებელდის პროცესი, რომლის დროსაც გამომჟღავნდა ნამდვილი იარა. ამ პროცესმა დაგვანახვა, რომ მთელ რიგ ადგილებში ბატონობდნენ კულაკები და იქ არავითარი შეტევა კულაკების წინააღმდეგ არ სწარმოებდა. საჭირო იყო ამის გამოსწორება. პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტმა აფხაზეთის კომიტეტს მისცეს დირექტივა—მოახდინოს გარდატეხა მუშაობაში, გადაჭრით შეუტიოს სოფლის კაპიტალისტურ ელემენტებს, შექმნას ღარიბ და საშუალო გლეხთა ბლოკი და განამტკიცოს კავშირი საშუალო გლეხთან. ამის შემდეგ მუშაობა მიმართულ იქნა სხვა ხაზით. გვაქვს ცნობები, რომ ბოროტ თავად-აზნაურულ ელემენტებს აძევებენ მათი ადგილებიდან, გაიზარდა ღარიბ გლეხთა მ[illegible] ციობა. მათთვის აშკარა გახდა, [illegible] პროლეტა[illegible] ხელისუფლება ანხორციელებ[illegible] ხაზს. თუ აფხაზეთის ორგანი[illegible] შესვლა თა[illegible] ძლით კინკლაობის სავსებ[illegible] გადავედით საქმიან მუშაობ[illegible] ლიბლად მივიღებთ დადები[illegible] ხაზეთის საოლქო კომიტეტ[illegible] ტეხას უნდა მიაღწიოს ამ ს[illegible] ლეობით რანაირი მდგომარე[illegible] რტიულ ორგანიზაციებში.

წინ, ახალი მიღ[illegible]

მე ვფიქრობ, დასკვნა ის[illegible] ბელ თვეებში პარტიულ[illegible] ყურადღება უნდა დაირაზ[illegible] ურნეო კამპანიის ირგვლ[illegible] ლი ნამდვილ ბოლშევიკურ[illegible] დავაქციოთ. უნდა ვიბრძოლ[illegible] ველობის მშენებლობის [illegible] ძლიერებისათვის. [illegible] წყოთ დამკვრელების [illegible] და ამის გარშემო [illegible] მასების ფართო ყურადღება. [illegible]ვდეს სოციალისტური შეჯიბ[illegible] ლოთ ჩვენი მრეწველობის [illegible] მაჩვენებლები. აი რა ამოცანებ[illegible] უნდა ვიმუშაოთ უახლოეს დროშ[illegible]

ამასთან ერთად პარტიის შიგნ[illegible] შალოთ ნამდვილი ბოლშევიკურ[illegible] ტიკა, ვებრძოლოთ მემარჯვენე გ[illegible] შემარიგებლობის მოვლენებს. [illegible] ცკისტებს, რომლებიც ჩვენს [illegible] ნდებიან, თან მოაქვთ ძველ[illegible] შეხედულებანი. ისინი ამბობენ[illegible] ლნი ვიყავით და პარტია ახ[illegible] თვალსაზრისზე"-ო. ამგვარი ლ[illegible] ხისა, რომელიც ამ ცოტა ხნის [illegible] ურიზმის გზას გვირჩევდა, [illegible] უნდა შევებრძოლოთ განხრებს [illegible] ტული განწყობილებების [illegible] დეს.

დასასრულ უნდა ვთქვა, რომ[illegible] უდიდეს მუშაობას ვაწარმოებ[illegible] გეგმის რაც შეიძლება [illegible] რციელებისათვის, ამ [illegible] არა ვართ დაინტ[illegible] ნებულნი არიან ჩვ[illegible] უკვე იქცა ისეთ [illegible] ითარგმნება უცხო [illegible] გორც სიტყვა [illegible] ჰო" ყველასათვ[illegible] სის ლიბერალიზმ[illegible] წარმომადგენელიც [illegible] რეჯია, თურმე ახალ[illegible] წლედზე ზრუნვით ეგებ[illegible] იგი: „ბოლშევიზმი არ და[illegible] ისე მაგრად სდგას, როგორც [illegible] შევიზმის მომავალი უდიდესად [illegible] დებული ხუთწლედის გამარჯვებ[illegible] რცხებაზე. ხუთწლედის ძირითადი [illegible] გაბედულია, როგორც გონიერ[illegible] წლედი გაიმარჯვებს, საბჭოეთი [illegible] დეს ფაქტორად [illegible] ვფიქრობს [illegible]

ლოიდ [illegible] ჩვენ „თუ[illegible] იმარჯ[illegible] და ლოიდ ჯ[illegible] შინ დანარჩენს [illegible] ს არის, რომ ჩვენი ხუ[illegible] გამარჯვებს შემდეგ[illegible] ნავს ეს? ხუთწლედ[illegible] სტური საზოგადო[illegible] ერთი და ორი ხუ[illegible] ლიზმის გამარჯვ[illegible] რჩებიან კაპიტა[illegible] მშვიდობიანად [illegible] ერთი გამარჯვ[illegible] რესპუბლიკას [illegible] მსოფლიო კაპიტ[illegible] 398).

ჩვენ გვწამს, რომ [illegible] ამიერ-კავკასიის და [illegible]ბა და ჩვენ მოგვეხდება [illegible] თანა მსოფლიო იმპერიალისტ[illegible] რომ ჩვენი გამარჯვებ[illegible] მსოფლიო მასშტაბით [illegible]

ᲡᲐ Ქ. [illegible]ᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲐᲗᲐ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲘᲡ ᲨᲔᲓᲔᲒᲔᲑᲘ ᲓᲐ ᲞᲔᲠᲡᲞᲔᲥᲢᲘᲕᲔᲑᲘ ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲨᲘ

ᲐᲛᲮ. Ლ. ᲦᲝᲦᲝᲑᲔᲠᲘᲫᲘᲡ ᲛᲝᲮᲡᲔᲜᲔᲑᲐ

ᲡᲐᲥ. Კ. Პ. (Ბ) ᲪᲔᲙᲐᲡ ᲛᲔᲡᲐᲛᲔ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲖᲔ, 1930 Წ. 13 ᲘᲐᲜᲕᲐᲠᲡ

ორი სისტემის ბრძოლა

საბჭოთა კავშირის სახალხო მეურნეობა არის გარდამავალი მეურნეობა კაპიტალიზმიდან სოციალიზმისაკენ. გარდამავალი პერიოდის ეკონომიკის დამახასიათებელი თავისებურობა იმაში მდგომარეობს, რომ აქ შეთავსებულია ორი სისტემა—სისტემა კაპიტალისტური და სოციალისტური. მაგრამ ამ გარდამავალი პერიოდის ეკონომიკაში ჩამარხულია ყველა წინასწარი პირობა სოციალიზმის გამარჯვებისათვის. კაპიტალისტურ და სოციალისტურ ელემენტებს შორის გაჩაღებულია მკაცრი ბრძოლა, რომელიც კლასიურ წინააღმდეგობათა დუღილში იხატება. ამ წინააღმდეგობათა შემდგომი გამწვავება ისე სწარმოებს, რომ თანდათან იდევნება კაპიტალისტური ელემენტები და ამასთან დაკავშირებით სწრაფად იზრდება სოციალისტური ელემენტები.

ჩვენი სახალხო მეურნეობის განვითარების დღევანდელ ეტაპზე ამ ორი სისტემის ბრძოლაში გადამწყვეტი მომენტი დგება. სწორედ ახლა პრაქტიკულად წყდება პარტიის ბელადის—ლენინის მიერ დასმული კითხვა: „ვინ ვის“.

ქალაქად ჩვენ განვახორციელეთ თითქმის სრული ლიკვიდაცია კაპიტალიზმის ნაშთებისა, სოფლის მიმართ კი პრაქტიკულად დგას საკითხი კულაკობის—როგორც კლასის—ლიკვიდაციის შესახებ.

ჩვენს სოფელში არის ყველა მატერიალური პირობა იმისათვის, რომ კაპიტალისტურ ელემენტებს გაძლიერებული ტემპით შევუტიოთ.

კოლექტიური და საბჭოთა მეურნეობანი უაღრესი სისწრაფით ვითარდებიან; ისინი ქმნიან მსხვილ სოციალისტურ მეურნეობებს და ამით სოფლად სოციალისტური მშენებლობის ფუძედ იქცევიან. პარცელიარულ გლეხურ მეურნეობათ სცვლის სოციალისტური ტიპის მსხვილი ეკონომიები; ეს ეკონომიები,—იმ დროს, როდესაც ხელმძღვანელი როლი საქალაქო სოც. მრეწველობას ეკუთვნის, სოფლის მეურნეობისათვისაც ქმნიან გაფართოებული რეპროდუქციის შესაძლებლობას.

გაფართოებული რეპროდუქცია დაგროვებას გულისხმობს; ეს დაგროვება კი შეუძლებელია წვრილ ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობაში, რომელიც ძლივ-ძლივობით არჩენს თავს და რომელსაც იმის საშუალებაც კი არა აქვს, რომ უზრუნველჰყოს უბრალო რეპროდუქცია, ე. ი. აინაზღაუროს ის, რაც მეურნეობაში დაიხარჯა.

იმ დროს, როდესაც სწრაფად იზრდება სოციალისტური ინდუსტრია, რომელიც თავის რეპროდუქციას ფართო საფუძველზე ახორციელებს, სოფლის მეურნეობას, პროლეტარიატის დიქტატურის პირობებში, აქვს მხოლოდ ერთი გზა განვითარებისა—ეს არის მსხვილი, სოციალისტურად მოწყობილი სასოფლო-სამეურნეო წარმოების გზა.

ნება მიბოძეთ ამხანაგებო, წაგიკითხოთ ერთი ადგილი ამხ. სტალინის უკანასკნელი სიტყვიდან, რომელიც მან ამ საკითხის შესახებ აგრარნიკ-მარქსისტების (აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტები) კონფერენციაზე წარმოსთქვა. აი, რას ამბობს ამხ. სტალინი: „შეიძლება თუ არა აჩქარებული ტემპით წინ წავწიოთ ჩვენი სოციალიზებული ინდუსტრია, თუ გვექნება ისეთი სასოფლო-სამეურნეო ბაზა, როგორიც არის წვრილი გლეხური მეურნეობა, რომელსაც არ ძალუძს გაფართოებული რეპროდუქცია და რომელიც ამასთანავე ჩვენს სახალხო მეურნეობაში მთავარ ძალას წარმოადგენს? არა, არ შეიძლება. შეიძლება თუ არა, რომ საბჭოთა ხელისუფლება და სოციალისტური მშენებლობა ცოტათ თუ ბევრათ ხანგრძლივი დროის განმავლობაში ემყარებოდეს ორ სხვადასხვა საფუძველს—უაღრესად მსხვილი და გაერთიანებული სოციალისტური მრეწველობის საფუძველს და უაღრესად დაქუცმაცებული და ჩამორჩენილი წვრილსაქონლიანი გლეხური მეურნეობის საფუძველს? არა, არ შეიძლება. ეს, ადრე თუ გვიან, მთელი სახალხო მეურნეობის სრული დანგრევით უნდა გათავდეს. სად არის გამოსავალი? გამოსავალი ის არის, რომ გავამსხვილოთ სოფლის მეურნეობა, მივცეთ მას უნარი დაგროვებისა,—გაფართოებული რეპროდუქციისა და ამგვარად გარდავქმნათ სახალხო მეურნეობის სასოფლო-სამეურნეო ბაზა. მაგ., როგორ გავამსხვილოთ იგი? ამისათვის ორი გზა არსებობს. არის კაპიტალისტური გზა; ის მოითხოვს სოფლის მეურნეობის გამსხვილებას სოფლად კაპიტალიზმის განვითარების საშუალებით, მან უნდა მოგვცეს გლეხობის გაღატაკება და სოფლის მეურნეობაში კაპიტალისტური საწარმოთა განვითარება. ამ გზას ჩვენ უარვყოფთ, რადგან ის საბჭოთა მეურნეობასთან შეუთავსებელია. არის მეორე გზა, გზა სოციალისტური; ის გულისხმობს კოლექტიურ და საბჭოთა მეურნეობების გავრცელებას სოფლის მეურნეობაში; მან უნდა მოგვცეს წვრილ გლეხურ მეურნეობათა გაერთიანება ტეხნიკით და მეცნიერებით შეიარაღებულ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობად და კაპიტალისტური ელემენტების განდევნა მიწადმოქმედებიდან. ჩვენ ამ მეორე გზას ვიცავთ. ან ერთი გზა, ან მეორე. ან უკან—კაპიტალიზმისაკენ, ან წინ—სოციალიზმისაკენ. არავითარი მესამე გზა არ არის და არც შეიძლება იყოს“. (ი. სტალინი. აგრ. პოლიტიკის საკითხები სსრ კავშირში. სიტყვა, წარმოთქმული აგრ. მარქსისტების 1-ლ სრულიად საკავშირო კონფერენციაზე).

საქართველო უნდა დაადგეს კოლექტივიზაციის ფართო გზას

საქართველო მთელი კავშირისა და ამიერკავკასიის განუყრელ სამეურნეო-პოლიტიკურ ნაწილს წარმოადგენს. ამიტომ განვითარების ყველა კანონები, რაც საბჭოთა კავშირის ეკონომიკას ახასიათებს, იმდენადვე დამახასიათებელი და სავალდებულოა საქართველოს ეკონომიკისათვისაც. კიდევ მეტი: საქართველოს ეკონომიკის ზოგიერთი თავისებურობა არა თუ არ უარყოფს ამ კანონებს, არამედ, პირიქით, კიდევ უფრო მეტად ამართლებს მათ.

საქართველოს განვითარების ერთ-ერთი ძირითადი „თავისებურობა“ მდგომარეობს იმაში, რომ იგი იყო კოლონიალური თუ ნახევრად კოლონიალური ქვეყანა; იგი წარმოადგენდა უაღრესად ჩამორჩენილ კუთხეს, განსაკუთრებით აგრარულის მხრით,—გასაღების ბაზარს რუსეთის მემამულეებისა და კაპიტალისტებისათვის, და ეს საქართველო დღეს ჩქარის ტემპით იქცევა ინდუსტრიალურ ქვეყნად და თავისი ტიპით სამრეწველო აგრარულ ქვეყნად ხდება.

ჩვენი მრეწველობის ზრდის ტემპი თვალსაჩინოდ აღემატება მთელი კავშირისა და ცალკე მოკავშირე რესპუბლიკების (უკრაინა, რსფსრ) მრეწველობის ზრდის ტემპს; ამით ხორციელდება ამ ისტორიული მემკვიდრეობ-
ბა[illegible] რომელიც ჩვენ [illegible]. რუ-
ვეთ. პროფესიო[illegible] მემამულეებისა და კაპიტა-
ნეო მუშაკებს ა[illegible]
კები— პროფესიონალის სიცხადით უარყოფს
მუშაკები უკურებენ[illegible] არავითარ კოლ-
ექტებ. მე მგონია,[illegible] მსჯელობას იმის შე-
იმ მდგომარეობაზე[illegible] საქართველოს
ბობს.
[illegible]ტაკა. ამ ხალხის მწარ-
მე უნდა ვთქვა, [illegible] ისეთი
არ არის გატარებული[illegible] ცხოვრებაში რო-
მელსაც ჩვენ გადა[illegible] საკითხებზე ვრცლად
კუთვნებით. მართალია,
ვატარეთ, მაგრამ [illegible]უდიდესმა ზრდამ გა-
ლურ ხასიათს ატარ[illegible]ჩამორჩენილი ჩვენი სოფ-
ნებებს, გამომჟღავნდა[illegible]მელმაც მეწვეიკების
სინამდვილეში ჯერ [illegible]სტროფიულ მდგომა-
ვასრულეთ ეს თვალ-
ბევრ საწარმოში აპ[illegible]
შაობს. აი, ამიტომ, ჩვ[illegible] მეურნეობის დამა-
ლი ძირითადი დასკვნას წარმოადგენს ის
გამოვიყვანოთ ჩვენი[illegible]თა კავშირის ჩამორ-
შესახებ, არის ის, რომ[illegible]რესად ჩამორჩენილი
ᲢᲔᲮᲡᲐᲡ ᲛᲘᲭᲐᲚᲬᲘᲝᲠ[illegible]ესად პარცელიარული
ᲜᲐᲜᲡᲘᲣᲠᲘ ᲑᲔᲖᲛᲘ[illegible]უსხოვარი დროის ნაკ-
ᲨᲘ; ᲡᲐᲛᲠᲔᲬᲕᲔᲚ[illegible]ულტურებით და ნიადა-
ᲜᲐᲛᲓᲕᲘᲚᲐᲓ Უ[illegible]ველესი პრიმიტიული ტე-
ᲩᲕᲔᲜᲘ ᲝᲠᲡᲣᲮ[illegible]ეურნეო ფორმების. უშუა-
ᲠᲘᲕᲘ ᲙᲝᲜᲢᲠ[illegible] მდგომარეობა, რომელიც
ვართ, რომ [illegible] საქართველოში გვაქვს. უკა-
გორ სრულდ[illegible]ის განმავლობაში დასავლეთ
სრულებლობ[illegible]სტემატიურ მოუსავლობას გა-
ამჟამად ჩვენ[illegible]ლენიმით კლიმატიურ ეკს-
დეს ალფრთოვა[illegible]ობს. და ეს იმ დროს, რო-
ციალისტურ შე[illegible]
როგორც სამეურ[illegible]ოდ ცნობილ ფაქტად უნდა
და პარტიულმა რემოება, რომ დასავლეთი
ზეს საკმაოდ გამაი კლიმატიური, ბუნებ-
სათვის, რომ შეუ[illegible] ნიადაგის პირობების მი-
მება.
[illegible]პეციალურ შესაძლებლობ-
განვლილი 19[illegible]მთელს კავშირში იგი სრუ-
დატების წლის [illegible]ულ რაიონს წარმოადგენს.
მრეწველობის მე[illegible] არც ერთ კუთხეში ჩვენ
ნებლების გაუმჯ[illegible]ლოთ კულტურების ისეთი
წელს თვითღირ[illegible]ასხვაობა, როგორც დასა-
დიდდა, ხოლო [illegible] შეიძლება თამამად
ცენტით შემცირდა, [illegible] საქართველო სათ-
წელს აღრიცხულ მსხვი[illegible]ს, სათბური, რომ-
ფაბრიკო-საქარხნო თვითღა მთელი წლის
პროცენტით შემცირდა. ეს [illegible]ოფლის მეურნე-
მაღალია. ხოლო ს. მ [illegible] მოყვანა და
ბაში თვითღირებულება შე[illegible]

ამით ეს კუთხე მეტად მდიდარ და მეტად კულტურულ კუთხედ ვაქციოთ. ამავე დროს კი, როგორც აღვნიშნეთ, დასავლეთ საქართველოში ჩვენ გვაქვს სისტემატიური მოუსავლობა; ეს, თავის მხრივ, ნიშნავს გლეხობის თანდათანობით გაღატაკებას და ამ რაიონის სოფლის მეურნეობის საერთო დაცემას. კლიმატიურ ექსცესებს, რა თქმა უნდა, გავლენა უნდა მოეხდინა ჩვენი მინდვრების მოსავლიანობაზე, მაგრამ მიწის დამუშავების უფრო გაუმჯობესებული ტეხნიკის პირობებში ამ გარემოებას, რასაკვირველია, ასეთი ვნების მოტანა არ შეეძლო.

სოფლის მეურნეობის ტეხნიკის ასეთი მდგომარეობიდან წარმომდგარი სოციალური შედეგია მოსახლეობის აგრარული სიჭარბე, რომელმაც ყველაზე უფრო მწვავედ სწორედ დასავლეთ საქართველოში იჩინა თავი.

რა გზა არსებობს ამ ისტორიული მემკვიდრეობის დასაძლევად?

ერთად ერთი გზა, ეს არის სოფლის მეურნეობის სოციალისტური რეკონსტრუქციის გზა.

მხოლოდ ჩვენი პარტიის ენერგიულ პოლიტიკას სოფლის მეურნეობის აღორძინებისა და რეკონსტრუქციის საქმეში შეუძლია ძირითად-ფესვიანად შესცვალოს საქართველოს სოფლის მეურნეობის სახე, და მისი საწარმოო სტრუქტურა; მას შეუძლია ნაკლებ-რენტაბელური კულტურები შესცვალოს საექსპორტო და სამრეწველო მნიშვნელობის მაღალ-ინტენსიური შრომატევადი კულტურებით ფართოდ განვითარებული ენერგეტიული ბაზის საფუძველზე.

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის სისტემაში საქართველოს სოფლის მეურნეობას ახასიათებს ფართო შესაძლებლობა—განავითაროს მაღალ-რენტაბელური შრომა-ტევადი ტეხნიკური კულტურები, რაც უზრუნველჰყოფს ნედლეულის ბაზის შექმნას მთელი კავშირისა და, კერძოდ, საქართველოს საქალაქო მრეწველობისათვის, რომელიც სწრაფად ვითარდება.

ნაკლებ-რენტაბელური კულტურების განდევნა და მათი შეცვლა ისეთი კულტურებით, როგორიც არის—ჩაი, თამბაქო, რამი, კენაფი, ეთეროვანი მცენარეები, ტუნგის ხე, ფეხვნარი, ძირკვნარი და სხვ.; მათ საფუძველზე პროდუქტიული მეცხოველეობის ფართო განვითარება და სულ ახალ-ახალ ძვირფასი კულტურების მთლიანი კოლექტივიზაციის კალაპოტში მოქცევა,—აი გზა, რომლითაც ჩვენ, ერთის მხრით, დავსძლევთ ზემოაღნიშნულ ისტორიულ მემკვიდრეობას და, მეორე მხრივ, საბოლოოდ აღმოვფხვრით ფეოდალიზმისა და კაპიტალიზმის ნაშთებს.

ამგვარად, მასიური კოლექტიური მშენებლობა, რომელიც უკანასკნელ ხანებში ფართოდ ვითარდება, უშუალოდ საქართველოს სოფლის მეურნეობის ობიექტიური ეკონომიური პირობებიდან გამომდინარეობს.

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დღევანდელი მდგომარეობის ანალიზი და ის ძლიერი ტემპი, რომლითაც ეს მეურნეობანი იზრდებიან, განსაკუთრებით უკანასკნელ ხანებში, გვავალებს დაუყოვნებლივ განვახორციელოთ ღონისძიებათა მთელი რიგი, რომელთაც უნდა უზრუნველჰყონ: პირველი,—კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის შემდგომი—გეგმიანი განვითარება და მეორე,—საშუალო და ღარიბი გლეხობისათვის კოლექტიური მშენებლობის უმაღლეს ფორმებზე გადაყვანა, მთელი სოფლების, რაიონების, ოლქების და მთლად რესპუბლიკის მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის გაადვილებით.

[illegible]ათა განვითარების ოთხი პე[illegible]ოდი საქართველოში

8,7 პროცენტით, თუმცა ზე[illegible]
ში თვითღირებულების შემ[illegible]
ვერ შესრულდა. ამრიგად, [illegible]
შემცირების საქმეში დავა[illegible]
სრულებულია 8 პროცენ[illegible]
შრომის ნაყოფიერებას[illegible]ათა მშენებლობის
გაიზარდა, ჩვენი პრ[illegible]ქართველოში შეიძლე-
ლი 16 პროცენ[illegible] გაიყოს.
შრომის ნაყ[illegible]—1928 წლის ნოემბრა-
დავალება შე[illegible] თითო-ოროლა წვრილ, უმ-
ხსნება, ერთი[illegible]ქტელ. სამეხზარებლო ტი-
მოეპში მიღ[illegible] სტიქიური ად-
ნალიზატორუ[illegible] ოქმის საყ-
იძლება სათანადო[illegible] ცენტრალიზე
ხოლო მეორეს მხრივ[illegible]
მოქმედებითი ალფრთოვ[illegible]ობათა ცენ-
გამოხატულება ჰქონდა სა[illegible]928 წლის
რებაში. [illegible] შენაერთე რიც-
ამ საკითხის ირგვლივ [illegible]ებია, და მათ ყველ
მენია პროფესიონალისტები[illegible] ხასიათი აქვთ.
მუშაკებს შორის გამართულ[illegible]ლობის მხრივ,
სნება პროგრამის შესრულებ[illegible]რაობის ფუ-
შაკები აცხადებდნენ, რომ ე[illegible]აგრამ ამავე
ციონალიზაციის, რეკონსტრუ[illegible]არის დახმარე-
ბა და სხვ., ხოლო პროფესიო[illegible]რისა არ არის.
უმთავრესად სოციალისტურ[illegible]ისათვის დამა-
ხსნიდენ. მე ვფიქრობ—არც ე[illegible] კოლექ-
არის მართალი. ორივე ეს მომე[illegible] არა, უმთა-
ნიშნოთ, მაგრამ არ უნდა გავ[illegible] და მო-
თხზე ისეთი დავა, რასაც ადგ[illegible]
გორც ე[illegible]ილის კომიტე[illegible] ნოემბრიდან
ჩვენს რაიონულ ორგან[illegible]ქტიურ მეურნეო-
მოწმობს, რომ ჩვენ ვ[illegible] გარკვევით სოფლის
ლე საკითხის სათანად[illegible]ა და მისი რეკონს-
ზედმეტ დავას ვმართა[illegible]ქცია. და მოძრაობა
ეს დრო შრომის ნაყო[illegible] მასაში ვრცელდე-
ჩვენი მუშაობის ხარის[illegible]
ბებსა მოვაწყობთ.

მაგრამ ამ პერიოდშიაც ნათლად ჩანს ჩვენი კოლექტიური მეურნეობების პარცელიარობა და გლეხთა საწარმოო საშუალებების მეტად სუსტი განსაზოგადოება; ამავე დროს გაძლიერებულია ხელმძღვანელობა, კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობაში ადგილი აქვს ერთგვარ გეგმიანობას, როგორც ორგანიზაციული მომსახურეობის გაუმჯობესების მხრივ, ისე მათი მატერიალური მდგომარეობის განმტკიცების მხრივ.

მეოთხე პერიოდი, რომელიც დღევანდლამდე გრძელდება, ნათლად ააშკარავებს ადგილობრივი ორგანიზაციების აქტივობის ზრდას და გლეხობის ძირითად ფენებში მასიური მოძრაობის გაძლიერებას სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის ბრძოლის საქმეში.

[illegible] ჩვენ გვაქვს კოლექტიურ მე[illegible]ლექტიურ სექტორის ძლიერი ზრდა; კო[illegible] [illegible]შუალო გლეხობებში მასიურად შედის სა[illegible] მეურნეობათა[illegible], ადგილი აქვს კოლექტიურ [illegible] სხვ.; მაგრამ გლ[illegible] გამსხვილებას და [illegible]ბის განსაზოგადოება საწარმოო საშუალებე[illegible]რე მასშტაბით სწარმოებს კიდევ მეტად მცირე.

ამ პერიოდს ახასიათებ[illegible] [illegible]რი ბრძოლის თვალსაჩინო აგრეთვე კლასიუ[illegible] [illegible] დროს, ისიც, რომ თავს [illegible] მწვავება და ამავე მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ მოძრაობა.

ამასთან ერთად ხელმძღვანელობის გაუმჯობესებასთან და მექანიზაციის გაძლიერებასთან დაკავშირებით, ჩვენ ვამჩნევთ ერთგვარ მიღწევებს კოლექტიურ მეურნეობათა მოსავლიანობის გადიდების საქმეში და, მაშასადამე, მათი საქონლიანობის ზრდასაც.

ჩვენი მიღწევები კოლექტივიზაციის ფრონტზე

კოლექტიურ მეურნეობათა რიცხვობრივი და თვისებრივი ზრდა განვითარების შემდეგ დინამიკას გვაძლევს:

1929 წლის დეკემბრის 1-ლისათვის აღრიცხული 1.400 კოლექტიური მეურნეობიდან 1927 წლამდე დაარსებულია 87 კოლექტიური მეურნეობა; 1927 წელს—71, 1928 წელს—287 და ბოლოს, დაახლოებით 900 კოლექტიური მეურნეობა მოწყობილია 1929 წელს, ე. ი. 1929 წ. მოდის თითქმის ორი მესამედი კოლექტიურ მეურნეობათა მთელი რიცხვისა.

უკანასკნელი 1929 წლის განმავლობაში ჩვენ გვაქვს აგრეთვე ტენდენცია კოლექტიურ მეურნეობათა გამსხვილებისა. ერთი კოლექტიური მეურნეობა დღეს საშუალოდ აერთიანებს 20 მეურნეობას, 1927 წელს კი საშუალოდ გაერთიანებული იყო 18 მეურნეობა. მაგრამ უფრო მეტის მაჩვენებელია მიწადსარგებლობის ცნობები (უმთავრესად სახნავი და ნარგავთა სივრცე): 1929 წლის გასულს განსაზოგადოებული მიწადსარგებლობა ერთ კოლექტიურ მეურნეობაზე (მათ შორის ჩაის რაიონებიც) საშუალოდ მოდის დაახლოებით 40 ჰექტარი, მაშინ, როდესაც 1928 წლის დეკემბრის 1-ლისათვის 29 ჰექტარი მოდიოდა. თუ 1928 წლის დეკემბრის 1-ლისათვის,—გლეხურ მეურნეობათა რიცხვის 2,1 პროც.-ნი კოლექტივიზაციის დროს,—განსაზოგადოებული მიწადსარგებლობა შეადგენდა 1,8 პროც., კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის განვითარებამ 1929 წელს თვალსაჩინოდ გააძლიერა (თუმცა საბოლოოდ კი არა) მიწადსარგებლობის გადიდების ჩამორჩენილი ტემპი; სახელდობრ, 1929 წლის დეკემბრის 1-ლისათვის, გლეხთა 6,4 პროც.-ნი კოლექტივიზაციის დროს, ჩვენ გვაქვს 4,75 პროც. განსაზოგადოება მიწადსარგებლობისა.

მეტად მაჩვენებელია 1929 წლის ოქტომბრის 1-ლისათვის და დეკემბრის 1-ლისათვის არსებული მდგომარეობის ცნობების შედარება. ორი თვის განმავლობაში ჩვენ გვაქვს უაღრესად ძლიერი ზრდა და არსებითად ეს ზრდა გვაძლევს 1929 წლის ზემოაღნიშნულ დიდ მიღწევას, 1929 წლის ოქტომბრის 1-ს იყო 900 კოლექტიური მეურნეობა, 1929 წლის დეკემბრის 1-ლისათვის კი უკვე 1.400 ერთეული გვაქვს; ზრდა 55 პროც. უდრის. ასეთი მდგომარეობა ორი თვის განმავლობაში, რომელიც მოსდევს პურის დამზადებისა და საშემოდგომო თესვის კამპანიას (დასავლეთ საქართველოში კი ამ დროს დაიწყო ხელშეკრულებათა დადება ჩაის პლანტაციების გაშენების საქმეში). ამასთან ერთად ეს იმას გვეუბნება, რომ პურის დამზადების კამპანია პარტიამ ჩაატარა მტკიცე კლასიური ხაზით, რის შედეგადაც ჩვენ მივიღეთ გლეხობის მასიური შესვლა კოლექტიურ მეურნეობებში. კოლექტივიზებულ მეურნეობათა რიცხვი თითქმის გაორკეცებულია (15.650 და 28.300); უფრო მნიშვნელოვანი კი ის გარემოებაა, რომ მიწადსარგებლობის ზრდა წინ უსწრებს კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის ზრდას. აქ ჩვენ უკვე საქმე გვაქვს მთლიანი კოლექტივიზაციის პროცესის დასაწყისთან მთელ რიგ რაიონებში, რაც შესაძლებელი გახდა გლეხობის ფენებში ამ წლის გაზაფხულიდან დაწყებული მასიური მოძრაობის მიხედვით.

ამჟამად ჩვენ გვაქვს დაახლოებით 20-მდე მსხვილი რაიონი, სადაც უკვე ამ წელს განზრახულია მთლიანი კოლექტივიზაციის განხორციელება. მაგალითად,—კახეთში არის ისეთი რაიონები, სადაც 1929 წლის დეკემბრის 1-ლისათვის კოლექტივიზაციის პროცენტი უდრის 25 პროც.-დან—55 პროც.-მდე (ლაგოდეხის, შემოქედის, ატენის). ბორჩალოში არის რაიონი 22 პროც.-ნი კოლექტივიზაციით, სამხრეთ-ოსეთში (კორნისის რაიონი) ამ რიცხვისათვის უკვე 50 პროც.-ნი კოლექტივიზაცია იყო. მთელ რიგ სხვა რაიონებშიაც ფრიად თვალსაჩინო პროცენტები გვაქვს და, დასასრულ, ზუგდიდის მაზრაში (პახულანი, ნაკიფუ, ჯგალი) კოლექტივიზაციის პროცენტი 1929 წლის დეკემბრის 1-ლისათვის ქანობს 50 პროც.—70 პროც.-მდე.

უკვე ამჟამად ჩვენ გვაქვს მთელი რიგი მსხვილი კოლექტიური მეურნეობებისა: კახეთის ოლქში—8 კოლექტიური მეურნეობა, თვითეულ მათგანში არის 360 და 500 ჰექტარი მიწა; თბილისის ოლქში—3 კოლექტიური მეურნეობა, თვითეულში—240 და 280 ჰექტარი; გორის ოლქში—1 კოლექტიური მეურნეობა 800 ჰექტარით; სენაკის მაზრაში—1 კოლმეურნეობა 150 ჰექტარით; ზუგდიდის მაზრაში—1 კოლმეურნეობა 500 ჰექტარით; ოზურგეთის მაზრაში—1 კოლმეურნეობა 100 ჰექტარით და სამხრეთ-ოსეთში—1 კოლმეურნეობა 500 ჰექტარით.

ეს ორი ათეული მსხვილი (ჩვენი მასშტაბით) კოლექტიური მეურნეობა მთელი ქსელის მიმართ, გაერთიანებულ მეურნეობათა რიცხვის მიხედვით, შეადგენს 5 პროც., ხოლო მიწადსარგებლობის ოდენობის მიხედვით—თითქმის 7 ნახ. პროც.

მაგრამ ამ მსხვილ კოლექტიურ მეურნეობებთან ერთად ჩვენ დღესაც გვაქვს მრავალი უაღრესად წვრილი ერთეულები, რომელნიც ხშირად აერთიანებენ მხოლოდ 3, 5, 7 მეურნეობას და რომელთა ფართობიც უდრის 15, 8, 5 ჰექტარს და ზოგჯერ 0,5 ჰექტარსაც კი (ოზურგეთის მაზრა).

შევჩერდეთ კოლექტიურ მეურნეობათა დაშლის საკითხზე. უნდა აღინიშნოს, რომ 1928 წელს დაიშალა 1,3 პროც. და 1929 წელს—3,7 პროც. ეს გვიჩვენებს მხოლოდ აუცილებელ და იმავე დროს სრულიად ნორმალურ პროცესს იმისა, რომ საერთო ქსელს შორდება არა ჯანსაღი ერთეულები.

ასე მაგალითად, მთელი ამ წლის განმავლობაში აღრიცხულია 97 შემთხვევა კოლექტივების დაშლისა; აქედან სამანქანო ამხანაგობებზე მოდის 31 შემთხვევა, არტელებზე—44 და კავშირებზე—22.

დეკემბრის 1-ლისათვის სამანქანო ამხანაგობები გვაძლევს ყველაზე დიდ დაშლას; იგი შეადგენს ამ ამხანაგობათა მთელი რიცხვის 26 პროც.; კავშირების ხაზით ეს პროცენტი უდრის 5,5 და არტელების ხაზით—2,2; ამავე დროს კომუნები სრულ სიმტკიცეს იჩენენ.

მაგრამ აღნიშნული მაჩვენებელი ჯერ კიდევ ვერ გვაძლევენ პასუხს იმაზე, თუ რამდენათ შევძელით ჩვენ თვით სასოფლო-სამეურნეო წარმოების კოლექტივიზაციის განხორციელება.

მეტად მნიშვნელოვანია გამოვარკვიოთ სასოფლო-სამეურნეო წარმოების, როგორც ასეთის, კოლექტივიზაციის პროცენტი.

ჩვენ არ მოგვეპოვება ცნობები კოლექტიურ მეურნეობათა საერთო და სასაქონლო პროდუქციის ოდენობის შესახებ; ამიტომ უნდა დავკმაყოფილდეთ იმ ციფრებით, რომელიც შეეხება კოლექტიურ ნათესებსა და ნარგავებს და აგრეთვე პროდუქტიულ საქონელს.

უნდა აღინიშნოს, რომ წარსული წლების ცნობები მეტად პირობითია; მიუხედავათ ამისა, იმ ცნობების შედარება, რაც ჩვენ ამ წლებისათვის ნათესების შესახებ მოგვეპოვება, საშუალებას გვაძლევს ვსთქვათ, რომ ჩვენ გვაქვს სრულიად გარკვეული ზრდა, ასე, მაგალითად—საშემოდგომო ნათესის სივრცე 1928-29 წელს დაახლოებით 6—7 ათას ჰექტარს უდრიდა, 1929-30 წელს კი ეს სივრცე 20.000 ჰექტარამდე აღწევს; მაშასადამე იგი სამჯერ გადიდებულია.

თუ ამ ზრდას დაუპირისპირებთ იმავე პერიოდისათვის კოლექტივიზებულ მეურნეობათა ზრდას, (ორკეც ზრდაზე ცოტა მეტი), დავინახავთ, რომ კოლმეურნეობათა განვითარება ამ წლის განმავლობაში თვალსაჩინოთ იპყრობს თვით სოფლის მეურნეობის წარმოებასაც.

დასასრულ, მომავალმა საგაზაფხულო კამპანიამ უკვე საბოლოოდ უნდა გამოასწოროს ნათესის სივრცის გადიდების ტემპი; მან კოლექტიური სექტორის გარეშე არ უნდა დასტოვოს არც ერთი ჰექტარი არაგანსაზოგადოებული ნათესისა; ნათესების განსაზოგადოების პროცენტი რამდენიმეთ კიდევ უნდა აღემატოს მეურნეობათა და მიწადსარგებლობის კოლექტივიზაციის პროცენტს (სახნავის ინტენსიური გამოყენებით).

სპეციალურ კულტურების კოლექტივიზაცია

1929 წლის ივნისის 1-ლისათვის კოლექტიურ სარგებლობაში იყო 307 ჰექტარი ხეხილის ბაღი (ე. ი. 3,6 პროც. ბაღების მთელი სივრცისა რესპუბლიკაში), 387 ჰექტარი ვენახი ე. ი. 1,0 პროც.),—1.481 ჰექტარი ჩაის პლანტაცია (18 პროც.) და 50 ჰექტარი სხვა ნარგავი (მათ შორის სუბტროპიკები), თუ ჩაის დარგში კოლექტივიზაცია მეტად ძლიერი ტემპით ვითარდება, ვენახებისა და ხეხილის ბაღების დარგში ეს ტემპი ჯერ-ჯერობით საკმარისი არ არის; ვენახებისა და ხეხილის ბაღების კოლექტივიზაცია დღემდე, უმთავრესად, ახალი ნარგავის ხაზით მიმდინარეობდა. ამ წლიდან, კოლექტიურ მეურნეობებში უნდა შევიდეს არა მარტო მთელი მასა აღნიშნული კულტურების ახალი ნარგავებისა, არამედ კოლექტიურ მეურნეობათა სექტორში ჩვენ ძველი ნარგავების განსაზღვრული ნაწილიც უნდა მოვათავსოთ.

რესპუბლიკის სასოფლო-სამეურნეო წარმოებაში კოლექტიურ მეურნეობათა სექტორის ხვედრითი წონის შემცირებაზე მეტად უარყოფით გავლენას ახდენს მეცხოველეობის სრულიად უმნიშვნელო კოლექტივიზაცია.

საქ. ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს გამოკვლევის ცნობების (1929 წლის ივნისის 1-ლისათვის) მიხედვით კოლმეურნეობათა სექტორში იყო 678 სული მსხვილი კოლექტიური საქონელი და 3.200-მდე წვრილი საქონელი. თუ ამ ციფრებს შევადარებთ საქონლის მთელს რაოდენობას სოფლის მეურნეობაში, მივიღებთ შემდეგს: ძროხის რაოდენობა კოლექტიურ მეურნეობებში შეადგენს—0,16 პროც., ცხვრისა—0,2 პროც. და ღორისა—0,11 პროც. სხვანაირად რომ ვსთქვათ, კოლექტივიზაცია (თუ მხედველობაში არ მივიღებთ რამდენიმე კოლმეურნეობას) მეცხოველეობას სრულებით არ შეეხება. ამის გამო მშენებლობის წინამდებარე პერიოდის პირველ ხარისხოვან ამოცანას წარმოადგენს მეცხოველეობის რაიონებში მუშაობის გაძლიერებული გაშლა, ისე როგორც მსხვილი პროდუქტიული საქონლის მოშენება მემინდვრეობის რაიონებში, სადაც ეს საქონელი მეურნეობის ინტენსიფიკაციის ელემენტად და მის აუცილებელ დამატებად უნდა გახდეს. ეს გეზი საკმარისად უკვე გამოხატულია მომავალი თესვის კამპანიის გეგმაში, რომელიც იძლევა განსაზღვრულ დავალებას ბალახის თესვის თვალსაჩინოდ გაფართოებისათვის; ამასთან ერთად, დასახულია ტრაქტორიზაციის გაფართოება, რამაც კოლექტიურ მეურნეობებში დიდი რაოდენობის საკვები რესურსები უნდა გაანთავისუფლოს.

მაგრამ ამ გეზის განსახორციელებლად საჭიროა მიღებულ იქნეს სათანადო ზომები; მეცხოველეობის კოლექტივიზაციის რაიონებში მოხდეს კოლმეურნეობათა წევრების მთელი საქონლის „მობილიზაცია“; თანაც გაცემულ უნდა იქნეს სათანადო კრედიტები რაციონალური მეურნეობის მოსაწყობად, რასაც განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა მეცხვარეობის რაიონებისათვის. მეცხოველეობის რაიონების კოლექტივიზაციის გაძლიერების საკითხი იმდენად იმ საკითხს არ წარმოადგენს, რომ კოლმეურნეობათა განვითარება მთელს რესპუბლიკაში საერთოდ თანაბრად სწარმოებდეს; ეს უფრო ჩქარა პროდუქტიული საქონლის შემდგომი ნორმალური ზრდის უზრუნველყოფის საკითხია.

რაც შეეხება ტეხნიკურ კულტურებს, უნდა ვსთქვათ, რომ მეურნეობათა რიცხვის 8 პროცენტიანი კოლექტივიზაციის პირობებში, 1929 წლის ივნისის 1-ლისათვის, ჩვენ შემდეგი მდგომარეობა გვაქვს: კოლმეურნეობათა ხვედრითი წონა ბამბის ნათესის დარგში შეადგენს 6,8 პროც., თამბაქოს ნათესის დარგში 1, 72 პროცენტს და მზესუმზირას დარგში—30 პროცენტს.

როგორც ვხედავთ, თითქმის კარგი მდგომარეობაა მზესუმზირას დარგში, მაგრამ ამავე დროს კოლმეურნეობანი ძალიან ჩამორჩენილი არიან ყველა სხვა ტეხნიკური კულტურების და, განსაკუთრებით კი თამბაქოს ნათესის მხრივ.

თვალსაჩინო ჩამორჩენას აქვს ადგილი საერთოდ ბოსტნეული კულტურების დარგშიაც; თანამედროვე სასურსათო სიძნელეთა პირობებში ეს გარემოება, რა თქმა უნდა, რამდენიმედ ამცირებს კოლმეურნეობათა ქსელის მნიშვნელობას. ბოსტნეული კულტურების განვითარება, მთელი რიგი მებოსტნეობის კოლმეურნეობათა ორგანიზაცია წარმოადგენს აგრეთვე ერთ-ერთ ძირითად ამოცანას ჩვენი კოლექტიური მეურნეობების საწარმოო გეზის მოწესრიგებისათვის.

კოლმეურნეობათა ქსელის საწარმოო მიმართულებას (1929 წ. ივნისის 1-ლისათვის) შემდეგი ციფრები ახასიათებს (აღებულია 598 კოლმეურნეობა, რომელთა შესახებაც ცენტრ. სტატ. სამმართველომ გამოკვლევის დროს ცნობები მიიღო).

კოლმეურნეობანი, რომელნიც თავისი საერთო შემოსავლის უმთავრეს ნაწილს მარცვლეული მეურნეობიდან იღებენ, შეადგენენ—47,2 პროცენტს; მევენახეობიდან—6,4 პროცენტს, მებაღეობიდან—2,4 პროც., ჩაის პლანტაციებიდან—(პირობითად) 24,1 პროცენტს; მეთამბაქოებიდან—5,8 პროცენტს; მებოსტნეობიდან—0,9 პროცენტს, მეცხოველეობიდან (მათ შორის მეფრინველეობა, მეაბრეშუმეობა, მეფუტკრეობა)—2,6 პროცენტს. ეს ციფრები, რომელნიც კოლმეურნეობათა ქსელის ახლო წარსულის ეკონომიურ მიმართულებას გამოხატავენ (უნდა ვიფიქროთ, რომ ეს მიმართულება ჩვენი კოლმეურნეობებისათვის დღესაც რამდენიმედ დამახასიათებელია), სავსებით ადასტურებენ ზემოაღნიშნულ მოსაზრებას იმის შესახებ, რომ საჭიროა მუშაობის ტემპის გაძლიერება უპირველეს ყოვლისა მეცხოველეობის, მევენახეობის და მებოსტნეობის დარგში. ეს განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მეცხოველეობისათვის, თუ მხედველობაში მივიღებთ, რომ იმ მეურნეობათა ხვედრითი წონა, რომელნიც ჩვენში უმთავრესად მეცხოველეობას მისდევენ, ბევრად აღემატება იმ ხვედრითი წონას, რაც კოლმეურნეობათა ქსელში გვაქვს.

ამის მიხედვით ჩვენ არ შეგვიძლია საკმარისად ჩავსთვალოთ საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის გეგმის დავალება, განსაკუთრებით, ინტენსიური სექტორისათვის და დეფიციტიანი სურსათის დარგებისათვის.

ამ დავალებათა მიხედვით:

განსაზოგადოებულ უნდა იქნეს მთელი საგაზაფხულო ნათესების 18 პროც.

ხვედრითი წონა ბამბის კოლექტ. ნათესისა აყვანილ უნდა იქნეს—21 პროცენტამდე—(3.000 ჰექტ.)

თამბაქოსი—28 პროც. (4. 320 ჰექტ.)
კენაფისა—30 პროც. (600 ჰექტ.).
მზესუმზირისა—34 პროც. (500 ჰექტ.).
არახისისა—90 პროც. (800 ჰექტ.).
შაქრის ჭარხლისა—40 პროც. (100 ჰექტ.).
კარტოფილისა—32 პროც. (3.030 ჰექტ.).
ბოსტანი—38 პროც. (4. 130 ჰექტ.).

განსაზოგადოებულ უნდა იქნეს ცხვარი 15 პროცენტამდე (200.000 სული) და უნდა მოხდეს კოლმეურნეობათა წევრების მსხვილი კოლექტიური საქონლის მაქსიმალური განსაზოგადოება, თანაც უნდა გაფართოვდეს:

საკვები კულტურები—43 პროც. (5650 ჰექტ.)

დასასრულ, განსაზოგადოებულ უნდა იქნეს 27 პროც. (3.900 ჰექტ.) ჩაის პლანტაციებისა, 1,8 პროცენტით (677 ჰექტ.) ვენახებისა და 12,5 პროცენტი (1.127 ჰექტ.)—ხეხილის ბაღებისა.

პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ საგაზაფხულო სასოფლო სამეურნეო კამპანიის გეგმა მნიშვნელოვანი გადამეტებით იქნეს შესრულებული. ამ ამოცანის შესასრულებლად ჩვენ გვაქვს ყველა რეალური შესაძლებლობა. უკვე ამჟამად ცალკე ოლქებს (გორის და კახეთის ოლქები და ზუგდიდის მაზრა) საგაზაფხულო კამპანიის დასასრულისათვის გათვალისწინებული აქვთ კოლექტიურ მეურნეობებში გააერთიანონ გლეხურ მეურნეობათა არა ნაკლებ 50 პროც.

ამ გარემოებას განსაკუთრებით ხაზი უნდა გაუსვათ ისეთი კულტურების მიმართ, როგორიც არის ჩაი, თამბაქო, კენაფი, მზესუმზირა, არახისი, შაქრის ჭარხალი და სხვ. ამ კულტურების დარგში ჩვენ გაზაფხულშივე უნდა ჩავატაროთ 100 პროცენტიანი კოლექტივიზაცია.

მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ საგაზაფხულო თესვის კამპანიის გეგმაში ასეთ შესწორებას შევიტანთ, ამოცანა იქნება შესრულებული იმ განვითარების ტემპის შესაფერისად, რასაც ამჟამად ადგილი აქვს ჩვენს სოფელში.

აი ამიტომ ზოგიერთი ამხანაგების მეტად „ფრთხილი“ აზრები საგაზაფხულო გეგმის შესახებ შემცდარად უნდა ჩაითვალოს. ასეთი აზრები მხოლოდ იმას ამტკიცებენ, რომ ეს ამხანაგები ჩამორჩნენ საქართველოს სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპებს და მის რეალურ შესაძლებლობათ.

დიდ ნაკლად უნდა ჩაითვალოს აგრეთვე ის, რომ ჩვენ არა გვაქვს კოლმეურნეობათა მოსავლიანობის შემოწმებული ცნობები. თუმცა ზოგიერთი მასალა საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობანი მცირე გამონაკლისის გარდა ბევრად წინ უსწრებენ გლეხურ მეურნეობათა მოსავალს. ციფრები კოლმეურნეობებში წარსულ წელს გამოყენებულ აგროღონისძიებათა რაოდენობისა და სირთულის შესახებ სულ სხვას გვეუბნება. ასე, მაგალითად, მთელი ნათესი სივრციდან, 11.400 ჰექტარის რაოდენობით, კონტრაქტაცია იყო ჩატარებული 4.670 ჰექტ. (ანუ 41,8 პროც.); თანაც კონტრაქტაციამ მოიცვა 806 კოლმეურნეობა, ანუ 85,5 პროც. ამასთანავე ძრავად მოხნულია 410 ჰექტარი და ადრეული ნახნავი—445 ჰექტ.; დათესილია გაწმენდილი თესლით—2.560 ჰექტ. და დაწამლული თესლით—1.740 ჰექტ. მწკრივი ნათესი შეადგენს—1,720 ჰექტარს და მინერალური სასუქი გამოყენებულია დაახლოებით 50 ჰექტ.

უზრუნველვყოთ კოლმეურნეობები მექანიკური და ცოცხალი წევის ძალით

რა თქმა უნდა, მუშაობის ხარისხი ამ ღონისძიებათა გამოყენების საქმეში არ იყო სავსებით დამაკმაყოფილებელი, ჩვენ მხედველობაში გვაქვს ის, რომ არ გვყავდა სათანადოთ მომზადებული და ამასთანავე უშუალო ხელმძღვანელობის გამწევი აგრომამუშავეები; თვით კოლმეურნეობებშიც მუშაობა სათანადოთ ვერ იყო მოწყობილი, აგრეთვე გვაკლდა, როგორც ცოცხალი, ისე მკვდარი ინვენტარი.

ჯერ-ჯერობით შევჩერდებით უკანასკნელზე—წარმოების საშუალებებზე, რომელიც კოლმეურნეობათა წევრების შრომის ნაყოფიერების აწევის საქმეში ცენტრალურ როლს თამაშობს, უპირველეს ყოვლისა უნდა აღინიშნოს კოლმეურნეობათა სექტორში ენერგეტიული რესურსების სუსტი ორგანიზაცია, მექანიკური ძრავების არა საკმაოდ გამოყენება და, დასასრულ, გლეხთა ცოცხალი საწევი ძალის მეტად უმნიშვნელოვანესი გამოყენება.

ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს ცნობების მიხედვით 1929 წ. ივნისის 1-სათვის იყო 820 კოლმეურნეობა 13.000 მეურნეობით და 11.000 ჰექტარი კოლექტიური ნათესით. ამავე რიცხვისათვის ამ კოლმეურნეობებს ჰქონდათ 110 ტრაქტორი. შემდეგ, კოლმეურნეობათა წევრების სამუშაო საქონელი (როგორც კოლექტივიზებული, ისე არაკოლექტივიზებული) აღწევდა 13.130-მდე (მათ შორის ხარი—9.700, კამეჩი—1.500-მდე და ცხენი—1.950-მდე), რაც ხარის ძალაზე გადაყვანით დაახლოებით 15.000 ხარის ენერგიას იძლევა. თუ ამას მივუმატებთ 110 ტრაქტორის სიმძლავრეს (საშუალოდ თითქმის 100 ჰექტარი წლიწადში ერთ ტრაქტორზე; აქედან ხარის საწევ ძალაზე გადაყვანით, ერთი ტრაქტორის სიმძლავრე 30 ცხენის ძალას უთანასწორდება). ენერგეტიული რესურსების ბალანსი, რაც კოლექტივიზებულ 13.000 მეურნეობის განკარგულებაში მოიპოვებოდა, 18.000 ხარს შეადგენს.

თუ ვისარგებლებთ ნორმატიული ანგარიშით (თუ ავიღებთ ერთი ხარის საშუალო ნაყოფიერებას გაზაფხულის სეზონის განმავლობაში, რაც უდრის 1,5 ჰექტარ სახნავს), შეიძლება ვივარაუდოთ, რომ აღნიშნული სიმძლავრე შეადგენს ისეთ სიმძლავრეს, რაც საჭიროა გაზაფხულის პერიოდში 25.000 ჰექტ. სახნავზე მეტი სივრცის მოსახნავათ.

მაგრამ, როგორც ცნობილია, კოლმეურნეობათა საგაზაფხულო სივრცის საერთო მოცულობა არ აღემატება 6.300 ჰექტ. ეს აიხსნება უპირველეს ყოვლისა იმით, რომ 15.000 ცოცხალი საწევი ერთეულიდან, რაც კოლმეურნეობათა წევრებს ეკუთვნის, კოლექტივიზებული იყო მხოლოდ 2.500 ერთეული (ანუ 16—17 პროც.), და მეორე იმით, რომ კოლმეურნეობათა ტრაქტორების ნაყოფიერება განსაკუთრებით დაბალი იყო, რომ არაფერი ვსთქვათ სხვა ორგანიზაციული ხასიათის დეფექტებზე (მიწათმოწყობის სიმცირე, საწარმოო გეგმების უქონლობა და სხვ.)

მუშა საქონლის კოლექტივიზაციის ასეთი დაბალი დონე, თავის მხრივ აიხსნება იმით, რომ, ჯერ ერთი, ძალიან იშვიათი არის ისეთი კოლმეურნეობა, სადაც საქონლის სრული განსაზოგადოება გვქონდეს და მეორე, (რაც ბევრათ უფრო ცუდია) ამ განსაზოგადოებას საერთოდ ატარებს მეტად მცირე პროცენტი ჩვენი კოლმეურნეობებისა. მაგალითად, ცენტრალური სტატისტიკური სამმართველოს იმავე ცნობების მიხედვით 839 კოლმეურნეობიდან მხოლოდ 314 კოლმეურნეობას (ანუ 37,5 პრ.) ჰყავს მცირეოდენი საქონელი. უნდა ვიფიქროთ, რომ იმ კოლმეურნეობათა პროცენტი, რომელთაც ამა თუ იმ მასშტაბით მოახდინეს მუშა საქონლის განსაზოგადოება, ზემოაღნიშნულზე უფრო ნაკლები იქნება. (სხვათა შორის, საშუალოდ კოლმეურნეობ. 27 პრ. არა აქვს განსაზოგადოებული წარმოების საშუალებანი; ცალკე აღმოსავლეთ საქართველოში ეს პროცენტი შეადგენს—14 პროც. და დასავლეთ საქართველოში 50 პროც.)

ამრიგად, კოლმეურნეობათა სექტორის ნათესი სივრცის გაფართოების პრობლემა უპირველეს ყოვლისა მოითხოვს არსებული საწევი ძალის ერთეულთა უკეთ გამოყენების ორგანიზაციას და ამ ერთეულთა მაქსიმალურ კოლექტივიზაციას. თუ ამ ამოცანას შევასრულებთ, კოლმეურნეობათა მტკივნეული საკითხი ტრაქტორების „ნაკლებობის“ და მუშა-საქონლის შესახებ გადაჭრილი იქნება; მაშინ თავიდან ავიცდენთ იმ არანორმალურ მდგომარეობას, როდესაც სრულიად უაზროდ ჩვენ გვიხდება დიდძალი სახსარი ვხარჯოთ იმ მუშა-საქონლის შეძენაზე, რომელიც საერთოდ კოლმეურნეობათა წევრებს საკმაოზე მეტი მოეპოვებათ.

ვნახოთ რამდენად უზრუნველყოფილი არიან ჩვენი კოლმეურნეობანი ისეთი ინვენტარით, როგორიცაა: გუთანი, ფარცხი, სათესი მანქანა, ტრიერი, სალეწი მანქანა და სხვ.

ნიადაგის დასამუშავებელი ინვენტარი (გუთანი, კავი) 1929 წ. ივნისის 1-სათვის კოლმეურნეობებში გვქონდა სულ 796 ერთეული; აქედან: საფაბრიკო გუთანი შეადგენდა 80 პროც., ანუ 622 ცალს. ცალკე, აღმოსავლეთ საქართველოში საფაბრიკო გუთანი იყო 380 ცალი დასავლეთ საქართველოში—242. კავი და ადგილობრივი გუთანი აღმოსავლეთ საქართველოში იყო—48, დასავლეთში 136. ეს გვიჩვენებს იმას, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობანი საფაბრიკო გუთნებით უზრუნველყოფილი არიან, ხოლო დასავლეთ საქართველო ამ მხრივ შესამჩნევად ჩამორჩენილია.

თუ საფაბრიკო გუთნების ამ რაოდენობას ნათესების მოცულობას (6.200 ჰექტ. საგაზაფხულო ნათესი 1929 წელში) შევადარებთ და ამასთანავე მხედველობაში ვიქონიებთ სატრაქტორო გუთნების ნაყოფიერებას, დავინახავთ, რომ აღმოსავლეთ საქართველოს კოლმეურნეობების გუთნებით მომარაგება არა თუ საკმარისია, არამედ სჭარბობს მოთხოვნილებას, რადგანაც ასეთი მომარაგების დროს კოლმეურნეობებში ნათესების მეტი სივრცე უნდა გვქონოდა. რაც შეეხება დასავლეთ საქართველოს კოლმეურნეობათა მომარაგებას, ის ფაქტი, რომ კავების ხვედრითი წონა აქ თვალსაჩინოა, გვავალებს,—მიმდინარე წელსავე გავითვალისწინოთ ამ კოლმეურნეობათა გაძლიერებული მომარაგება, ე. ი. ამით გამოვასწოროთ ის შეცდომა, რაც წარსულში დაშვებულ იქნა ზოგიერთი სპეციალისტების მიერ და რაც ჩვენ თავის დროზე აღვნიშნეთ.

რაც შეეხება სათეს მანქანებს, თესლის დამხარისხებელ მანქანებს, ტრიერებს და სალეწ მანქანებს, უნდა აღინიშნოს, რომ მათი რაოდენობა კოლმეურნეობებში საკმარისი არ არის. დამხარისხებელი მანქანა გვაქვს 50-თა, სათესი მანქანა 184, ტრიერი—77 და სალეწი მანქანა—54. ეს მდგომარეობა რამდენიმეთ იმით აიხსნება, რომ ამ სახის ინვენტარის მომარაგება წარსულში, სუსტათ სწარმოებდა, რის გამოც კოლმეურნეობათა უმეტესობას ეს ინვენტარი არ აქვს. თუმცა აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ყველა კოლმეურნეობას არ შეუძლია სათანადოთ გამოიყენოს ეს რთული ინვენტარი; ამიტომ ამ ინვენტარის მომარაგება სცილდება მომარაგების საკითხს (როგორც ასეთი) ფარგლებს და ის უშუალოდ კოლმეურნეობათა ქსელის მასიური გამსხვილების პრობლემას უკავშირდება. ნათესის მქონე 565 კოლმეურნეობიდან, (29 წლის 1-ლი ივნისისათვის) ნათესი სივრცე— 10 ჰექტარამდე იყო 294 კოლმეურნეობაში, 10-დან 20 ჰექტარამდე 95 კოლმეურნეობაში,—20-დან 30 ჰექტარამდე—88 კოლმეურნეობაში, 40-დან 50 ჰექტარამდე—35 კოლმეურნეობაში, 50-დან 70 ჰექტარამდე —24 კოლმეურნეობაში და 70 ჰექტარზე მეტი სულ—25 კოლმეურნეობაში.

ამგვარად ორ ათეულ კოლმეურნეობათა გარდა, დიდ უმრავლესობას (ე. ი. 95 პროც.-ზე მეტს) ჰქონდა იმდენად უმნიშვნელო წარმოება, რომ მათ მექანიზაციაზე ლაპარაკი მეტად ძნელია. ის გარემოება, რომ ამჟამად ჩვენ უმთავრესად წვრილი კოლმეურნეობები გვაქვს მტკიცდება უკანასკნელ თვეების ცნობებით. მიმდინარე წლის მიღებულ უნდა იქნეს გადამწყვეტი ზომები კოლმეურნეობათა შეჯგუფებისათვის; ეს საკითხი დღემდე მოუგვარებელია, ის უმთავრესად ქაღალდზე რჩება. მეტად საჭიროა კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობები ამ საკითხის შესახებ, რადგანაც ცალკე გამოკვლევები გვიმტკიცებს, რომ იქ, სადაც კოლმეურნეობათა ცენტრმა მიგვითითა ჯგუფური შენაერთები არისო,— ნამდვილად ასეთი შენაერთები არ აღმოჩნდა.

ამ წლის მანქანებით მომარაგების პერსპექტივები საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენი კოლმეურნეობანი ძირითადი ინვენტარით სავსებით მომარაგებული იქნებიან. უთუოდ გვექნება რთული მანქანების ნაკლებობა, რაც წინასწარ უნდა იქნეს გათვალისწინებული და უნდა გამოვიმუშავოთ ამ ხასიათის ინვენტარის ექსპლოატაციის უფრო რაციონალური ფორმები. ამასთანავე 1929-30 წელში ტრაქტორების წლიური შემოზიდვა განისაზღვრება 325 ცალით (აქედან მებამბეობის კომიტეტის ხაზით— 100 და შაქრის ტრესტის ხაზით—15); ეს იმას ნიშნავს, რომ კოლმეურნეობებში ამჟამად არსებული ტრაქტორების რიცხვი გადიდებული იქნება აღნიშნული რაოდენობით. ქონებული კოლმეურნეობათა 150 ტრაქტორი ახალი ტრაქტორების მიმატებით, საშუალებას მისცემს კოლმეურნეობებს ამ გაზაფხულზე მოხნან ტრაქტორებით 30.000 ჰექტ. მიწა, ე. ი. ან დაახლოებით საკონტროლო ციფრებით დასახული რაოდენობის 20—25 პროც.-ს. აუცილებლად საჭიროა გლეხის ხარის „მობილიზაცია“ კოლმეურნეობათა წარმოებაში გამოსაყენებლად. პლენუმმა ხაზი უნდა გაუსვას იმ გარემოებას, რომ ყველა კომუნისტისათვის, რომელიც მიწადმოქმედების დარგში მუშაობს —დაკვრით ამოცანას წარმოადგენს გლეხის მეურნეობის წარმოების საშუალებათა (მათ შორის მუშა-საქონლისაც) კოლექტივიზაციის ტემპის დაჩქარება.

ჯერ კიდევ გასულ წელს ამხ. ხარუზანოვმა სპეციალურ წერილში (იხ. „საქართველოს ეკონომისტი“) წამოაყენა პრობლემა ხარ-კამეჩის კოლონების მოწყობის შესახებ—ცხენმანქანის შერეულ კოლონებთან ერთად. სამწუხაროდ, მაშინ ეს წინადადება უყურადღებოთ დარჩა; ეხლა კი უნდა ავინაზღაუროთ დაკარგული დრო.

მეტად საჭიროა გამორკვეულ იქნეს, თუ რამდენად განსაზოგადოებულია გლეხის ინვენტარი, საკუთარ საშუალებათა რა ნაწილია კოლმეურნეობაში შეტანილი და რა ნაწილია დატოვებული ინდივიდუალურ მფლობელობაში.

1-ლი ივნისის ცნობების მიხედვით იყო:

	ცხენი	ხარი	ძროხა	ყველა ნათ.
კოლექტიურ სარგებ.	425	1.360	961	10.510
ინდივიდუალურ სარგ.	1.531	8.324	8.972	9.975
სულ	1.956	9.700	9.033	20.485
განსაზოგადოების პროც.—	21,7	14,1	10,5	51,23

ეს ცხრილი ნათლად გვიჩვენებს იმასაც, თუ რამდენად არასაფუძვლიანია კოლმეურნეობათა მოთხოვნები საქონლის შესაძენათ საჭირო კრედიტების მიცემის შესახებ.

აღმოსავლეთ და დასავლეთ საქართველოში ცალ-ცალკე საქონლისა და ნათესების განსაზოგადოების პროცენტი შემდეგნაირად არის წარმოდგენილი:

	ცხენი	ხარი	ძროხა	ნათესები
დასავ. საქართვ.	8,8 პროც.,	5,9 პროც.,	1,2 პროც.,	25,7 პროც.
აღმოს. საქართვ.	40,7 პროც.,	36,6 პროც.,	31,1 პროც.,	74,1 პროც.
საშუალოდ	21,7 პროც.,	14,1 პროც.,	10,5 პროც.,	51,3 პროც.

ე. ი. დასავლეთ საქართველოში საქონლის განსაზოგადოების პროცესი ბევრად უფრო ნელია ვიდრე აღმოსავლეთში, სახელდობრ ეს განსაზოგადოება აღმოსავლეთ საქართველოში ცხენის მხრივ—5-ჯერ უფრო მეტია. ხარების მხრივ—6-ჯერ უფრო მეტია და ძროხების მხრივ კი, დაახლოებით 25-ჯერ მეტია. რომ ამ მხრივ ჩვენ ამჟამადაც მაინცდამაინც წინ არ წავსულვართ, ამას ამტკიცებს კოლმეურნეობათა ცენტრის ინსტრუქტორების მასალები; ეს მასალები ნათლად მოწმობენ, რომ საქონელი ან რჩება გლეხის ინდივიდუალურ სარგებლობაში ან და იყიდება გლეხის მიერ კოლმეურნეობაში შესვლამდე. საქონლის გაყიდვა მიზნად ისახავს ინდივიდუალურ დაგროვებას მაშინ, როდესაც კოლექტიური ფონდები საერთოდ საკმარისი არ არის. ᲐᲛᲘᲢᲝᲛ ᲙᲝᲚᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝᲑᲘᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚ-ᲔᲙᲝᲜᲝᲛᲘᲣᲠᲘ ᲤᲘᲖᲘᲝᲜᲝᲛᲘᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲦᲕᲠᲘᲡ ᲙᲠᲘᲢᲔᲠᲘᲣᲛᲡ, ᲛᲘᲬᲘᲡ ᲤᲐᲠᲗᲝᲑᲘᲡ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐᲡᲗᲐᲜ ᲔᲠᲗᲐᲓ, ᲣᲜᲓᲐ ᲬᲐᲠᲛᲝᲐᲓᲒᲔᲜᲓᲔᲡ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲠᲣᲚᲘ ᲒᲐᲜᲡᲐᲖᲝᲒᲐᲓᲝᲔᲑᲐ ᲛᲙᲕᲓᲐᲠᲘ ᲘᲜᲕᲔᲜᲢᲐᲠᲘᲡᲐ, ᲛᲣᲨᲐ-ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ, ᲡᲐᲡᲐᲥᲝᲜᲚᲝ-ᲞᲠᲝᲓᲣᲥᲢᲘᲣᲚ ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡᲐ ᲓᲐ ᲐᲒᲠᲔᲗᲕᲔ ᲡᲐᲡᲝᲤᲚᲝ-ᲡᲐᲛᲔᲣᲠᲜᲔᲝ ᲨᲔᲜᲝᲑᲔᲑᲘᲡᲐ. მხოლოდ ამ პირობით შეიძლება იმედი ვიქონიოთ, რომ კოლექტიურ მეურნეობათა ძირითადი ფონდების განსაზოგადოების პროცესი ნორმალური იქნება.

გადაჭრით უნდა დავგმოთ ის თვალსაზრისი, თითქოს საჭირო რაოდენობის ტრაქტორების უქონლობა კოლმეურნეობათა მოძრაობის ლიმიტი (შემაჩერებელი) იყოს.

ჩვენ სრულიადაც არ უარვყოფთ პარტიის იმ გეზს, რომლის მიხედვითაც კოლმეურნეობებს მტკიცე ენერგიული ბაზა უნდა შეუქმნათ; მაგრამ ჩვენი განვითარების დღევანდელ ეტაპზე ყოველნაირად უნდა ვეცადოთ, რომ კოლმეურნეობათა მშენებლობა გლეხთა საწარმოო საშუალებების განსაზოგადოების საფუძველზე ვაწარმოოთ, რადგანაც „გლეხთა იარაღების უბრალო შეერთებამაც კი კოლმეურნეობებში მოგვცა ისეთი ეფექტი, რომელზედ ჩვენს პრაქტიკოსებს ოცნებობაც არ შეეძლოთ“ (ი. სტალინი, სიტყვა აგრარნიკ-მარქსისტების კონფერენციაზე წარმოთქ.).

ის ფაქტი, რომ პურის დამზადების წარსულ კამპანიაში ჩვენმა კოლმეურნეობებმა, რომელნიც მინიმალურად იყვნენ უზრუნველყოფილი ტრაქტორებით, მოგვცეს დამზადებული პურის 13 პროცენტი, ადასტურებს ამ აზრს, რომ გლეხთა მეურნეობების კოლმეურნეობაში გაერთიანება—თუნდაც საკუთარ საწარმოო საშუალებათა საფუძველზე,— აქცევს მათ საქონლიან მეურნეობებად.

ეს მოსაზრება მით უფრო სწორია, რომ თუ კოლმეურნეობათა მიერ მიღებულ კრედიტებს განსაზოგადოებულ საწარმოო საშუალებებს შევადარებთ, დავინახავთ, რომ კოლმეურნეობებში საკუთარი სახსარი გლეხობას ნაკლები დაუბანდებია, თუ მხედველობაში არ მივიღებთ საფონდო მიწების მიცემას, მელიორაციის ხარჯებს, აგროდახმარებას და სხვ.

1929 წლის ივნისის 1-სათვის სახელმწიფო კრედიტის ერთ მანეთზე კოლმეურნეობათა წევრებს შეტანილი ქონდათ 90 კაპ. დღემდე პარტიას დასახული ჰქონდა მიზნათ, რომ სახელმწიფო კრედიტის ერთ მანეთზე გლეხის ერთი მანეთი მიეღო; ჩვენ ვფიქრობთ, შეცდომა არ იქნება, თუ ამჟამად მიზნად დავისახავთ, რომ სახელმწიფოს ერთ მანეთზე გლეხისაგან ათეული მანეთი მივიღოთ.

უნდა ვიფიქროთ, რომ ერთ-ერთი მომენტი, რითაც უნდა აიხსნას მოსახლეობის საკუთარი სახსარის ასე სუსტი განსაზოგადოება და ამასთან დაკავშირებული კოლმეურნეობათა ფონდის სიმცირე არის ის, რომ ჩვენი კოლმეურნეობების უმრავლესობა ახლად შექმნილი ორგანიზაციებია, რომელთაც ჯერ არც მიწა აქვთ მოწყობილი და სათანადო ხელმძღვანელობასაც არავინ უწევს. თუ ავიღებთ 174 კოლმეურნეობის განვითარების მაჩვენებლებს 1928 და 1929 წლებისათვის, (რომელთა გამოკვლევა მოხდა, როგორც 1928, ისე 1929 წელს); დავინახავთ, რომ ამ კოლმეურნეობათა განვითარებაში არის ერთგვარი ტენდენცია გამსხვილებისა და კოლექტიური ფონდების გაძლიერებისა კოლმეურნეობის ერთ წევრზე გადატანით.

შემდეგი მაჩვენებლები ახასიათებენ აღნიშნულ კოლმეურნეობათა ზრდას ერთი წლის განმავლობაში:

	წევრთა რიცხვი	სახნავი	ნათესი	ჩაის პლანტ.	ვენახი ბაღი	ცხენი	ხარი	ძროხა	ცხვარი	ღორი
1928 წ.	2850	3321	1754	221	163	72	259	156	97	111
1929 წ.	3179	5480	4150	460	875	195	428	209	521	199
ზრდის პროც.	11,5	65,4	136,6	108,2	495,0	170,0	8,68	[illegible]	437,9	79,3

ეს ცნობები გვიჩვენებს კოლმეურნეობათა მდგომარეობის ცოტაოდენ გაუმჯობესებას, მაგრამ ეს გაუმჯობესება სრულიადაც არ არის საკმარისი. პარტიულმა ორგანიზაციებმა უნდა მიაღწიონ საწარმოო საშუალებათა 100 პროცენტიან განსაზოგადოებას.

კოლმეურნეობათა მდგომარეობის სურათის სისრულისათვის საჭიროა შევჩერდეთ კოლმეურნეობათა წევრების სოციალური შედგენილობაზე და მათში არსებულ სოციალური წინააღმდეგობათა საკითხზე.

ამ საკითხის შესახებ ამომწურავი ცნობები არ მოგვეპოვება. კოლმეურნეობათა ცენტრის ცნობების მიხედვით, 1929 წლის დეკემბრის 1-სათვის კოლმეურნეობებში საშუალო გლეხთა ხვედრითი წონა უდრიდა 20—25 პროცენტს, ხოლო „შეძლებულთა“ (უნდა ვიფიქროთ, რომ ამ ჯგუფში შეტანილია კულაკობაც), ხვედრითი წონა კი 5 პროცენტამდე; მაშასადამე, დანარჩენი პროც.—75 პროც. შეადგენენ ღარიბები და მოჯამაგირეები; ამასთანავე მოჯამაგირეთა ფენა საკუთრივ კოლმეურნეობათა ცენტრის მასალის მიხედვით, 5—6 პროც. არ აღემატება. ეს მასალა, ცხადია, არ არის საკმარისი დღევანდელი მდგომარეობის უტყუარი შეფასებისათვის.

მაგრამ ეს მეტად მცირე ცნობები უპირველეს ყოვლისა მოწმობენ იმას, რომ ჩვენს კოლმეურნეობებში ხშირად მოიპოვებიან კულაკური ელემენტები და რომ მოჯამაგირეთა კოლექტივიზაციის პროცენტი მეტად უმნიშვნელოა. მთელი რაიონების მთლიანი კოლექტივიზაცია აუცილებლად ასწევს საშუალო გლეხთა კოლექტივიზაციის პროცენტს; ამიტომ ეს საკითხი არ სდგას ჩვენს წინაშე, როგორც დღევანდელი დღის მწვავე პრობლემა. საჭიროა პარტიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს საშუალო გლეხობის კოლმეურნეობაში ჩაბმას მესაქონლეობის და მრავალწლიანი ნარგავების რაიონებში, სადაც მათი კოლექტივიზაციის პროცენტი ძალიან მცირეა.

ნაკლად ჩვენი კოლმეურნეობებიდან ერთ-ერთი ძირითადი ნაკლი არის კოლექტივის წევრთა შრომის ორგანიზაციის სისტემის და პროდუქტების განაწილების მოუწესრიგებლობა, რითაც რამდენიმეთ აიხსნება ის სოციალური წინააღმდეგობანი, რომელთაც ადგილი აქვს ჩვენს კოლმეურნეობებში.

მაგრამ კოლმეურნეობათა სოციალური წინააღმდეგობანი ძლიერ განსხვავდებიან იმ სოციალურ წინააღმდეგობათაგან, რომლებიც ჩვენ გვაქვს სოფლად.

არ შეიძლება ჩვენს კოლმეურნეობებში არ იყოს სოციალური წინააღმდეგობანი, თუ იქ ჯერ კიდევ შენარჩუნებულია ინდივიდუალისტური და კულაკური ფსიქოლოგიის ნაშთები. იქ ჯერ კიდევ ადგილი აქვს ერთგვარ უთანასწორობას. განა შეიძლება ითქვას, რომ კლასიური ბრძოლა კოლმეურნეობებში მოვეა, რაც კოლმეურნეობების გარეთ? არა არ შეიძლება. სწორედ ამაშია ჩვენი „მემარცხენე“ ფრაზიორების შეცდომა, რომ ისინი ვერ ხედავენ ამ განსხვავებას. რას ნიშნავს კლასიური ბრძოლა კოლმეურნეობათა ᲒᲐᲠᲔᲗ, კოლმეურნეობათა ᲨᲔᲥᲛᲜᲐᲛᲓᲔ? ეს ნიშნავს—ბრძოლას კულაკთან, რომელიც ᲤᲚᲝᲑᲡ წარმოების საშუალებებსა და იარაღებს და იმონებს ღარიბებს ამ წარმოების საშუალებებით და იარაღებით. ეს არის სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლა. რას ნიშნავს კლასიური ბრძოლა კოლმეურნეობათა ᲑᲐᲖᲐᲖᲔ? ეს უწინარეს ყოვლისა ნიშნავს იმას, რომ კულაკი დამარცხებულია და მას წართმეული აქვს წარმოების იარაღები და საშუალებანი. მეორე, ეს ნიშნავს იმას, რომ ღარიბები და საშუალო გლეხობა გაერთიანებულია კოლმეურნეობებში წარმოების ძირითადი იარაღებისა და საშუალებების განსაზოგადოების საფუძველზე. ეს ნიშნავს დასასრულ იმას, რომ აქ საქმე ეხება ბრძოლას კოლმეურნეობათა წევრებს შორის, რომელთაგან ერთნი ჯერ კიდევ ვერ განთავისუფლებულან ინდივიდუალისტური და კულაკური ფსიქოლოგიის ნაშთებისაგან და ცდილობენ თავის სასარგებლოდ გამოიყენონ ერთგვარი უთანასწორობა კოლმეურნეობებში, ხოლო მეორენი სურთ განდევნონ ამ კოლმეურნეობებიდან ეს ნაშთები და ეს უთანასწორობა. განა აშკარა არ არის, რომ მხოლოდ ბრმებს არ შეუძლიათ დაინახონ განსხვავება ამ კლასიური ბრძოლის, რომელიც სწარმოებს კოლმეურნეობათა შიგნით, და კოლმეურნეობათა გარეთ“ (ი. სტალინი. აგრარნიკ-მარქსისტების კონფერენციაზე წარმოთქმული სიტყვა).

კოლექტიური მეურნეობებში ამ სოციალურ წინააღმდეგობათა დაძლევა, რომელიც უმთავრესად დამყარებულია ინდივიდუალისტურ ფსიქოლოგიაზე (ინდივიდუალურ გლეხურ მეურნეობათა საწარმოო საშუალებების არასრული განსაზოგადოება) და ერთგვარ უთანასწორობაზე (შრომის ორგანიზაციის სისტემა და პროდუქციის განაწილება), შეიძლება მხოლოდ შემდეგი გზით: რაც შეიძლება ჩქარა უნდა მოხდეს საწარმოო საშუალებათა ასპროცენტიანი განსაზოგადოება და უნდა განხორციელდეს შრომის სწორი ორგანიზაცია საფაბრიკო ტიპის მსგავსად, რაც იმავე დროს პროდუქციის სწორ განაწილებასაც უზრუნველჰყოფს.

ამ საკითხებს მაქსიმალური ყურადღება უნდა მიაქციოს პარტიამ და სამეცნიერო-საკვლევო დაწესებულებებმა, რათა რაც შეიძლება ჩქარა დამუშავდეს ის ღონისძიებანი, რომელნიც კოლმეურნეობათა სწორ განვითარებას უზრუნველყოფენ.

შრომის სათანადო ორგანიზაცია კოლექტიურ მეურნეობებში უსათუოდ დააჩქარებს გლეხობის ძირითადი მასების კოლექტივიზაციის ტემპს.

კოლმეურნეობათა მშენებლობის შესაძლებლობანი

შევჩერდეთ კოლმეურნეობათა მშენებლობის შესაძლებლობაზე საქართველოს პირობებში. საჭიროა, უპირველეს ყოვლისა, შევეხოთ მუშათა კლასის ხელმძღვანელი როლის საკითხს, რადგანაც იგი უმთავრესი ძალაა მთელი სახალხო მეურნეობის წარმატებისა და რეკონსტრუქციის საქმეში.

ის ღონისძიებანი, რომელთაც პარტია და ხელისუფლება ამ უკანასკნელ ხანებში ახორციელებენ, სახელდობრ, ქალაქის ათეული ათასი საუკეთესო მოწინავე პროლეტარების გაგზავნა სოფლის ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის ორგანიზაციული და საწარმოო დახმარების აღმოსაჩენად ასეული და ათასეული მუშების გაგზავნა კოლმეურნეობებში უშუალო ხელმძღვანელი მუშაობისათვის, მუშათა ბრიგადების მობილიზაცია და სხვ. და სხვ.,—ᲧᲝᲕᲔᲚᲘᲕᲔ ᲔᲡ ᲔᲠᲗᲐᲓ ᲣᲖᲠᲣᲜᲕᲔᲚᲧᲝᲤᲡ ᲡᲬᲝᲠᲘ ᲙᲚᲐᲡᲘᲣᲠᲘ ᲮᲐᲖᲘᲡ ᲒᲐᲢᲐᲠᲔᲑᲐᲡ ᲓᲐ ᲛᲣᲨᲐᲗᲐ ᲙᲚᲐᲡᲘᲡ ᲣᲨᲣᲐᲚᲝ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐᲡ ᲡᲝᲪᲘᲐᲚᲘᲖᲛᲘᲡ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐᲨᲘ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ,—ᲘᲛ ᲡᲝᲤᲚᲐᲓ, ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ ᲫᲚᲘᲐᲡ ᲩᲐᲛᲝᲠᲩᲔᲜᲘᲚᲘᲐ.

საჭიროა მხოლოდ, რომ ყოველმა კომუნისტმა, ყოველმა უპარტიო პროლეტარმა შეიგნოს, რომ ეს მუშაობა ცალკე კამპანია კი არ არის, არამედ მთელი სისტემაა ჩვენს საქმიანობაში.

საჭიროა რათა თვითეულმა კომუნისტმა, თვითეულმა მუშამ ნათლად შეიგნოს, რომ ამ მნიშვნელოვან მუშაობას უაღრესად მჭიდრო, უშუალო კავშირი აქვს ქვეყნის მთელი სოციალისტური მშენებლობის საქმესთან.

ᲡᲝᲤᲚᲐᲓ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ ᲓᲐᲬᲘᲜᲐ[illegible] ᲡᲬᲝᲠᲐᲓ ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲓᲐᲬᲘᲜᲐᲣᲠᲔᲑᲐ, ᲠᲝᲒᲝᲠᲪ ᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲓᲘᲓᲘ ᲜᲓᲝᲑᲐ ᲓᲐ ᲐᲛ ᲡᲐᲥᲛᲔᲡ ᲣᲜᲓᲐ ᲛᲝᲕᲔᲙᲘᲓᲝᲗ ᲛᲗᲔᲚᲘ ᲘᲛ ᲡᲔᲠᲘᲝ[illegible], ᲠᲝᲛᲔᲚᲘᲪ [illegible] ᲡᲩᲕᲔᲕᲘᲐ.

ადგილობრივმა პარტიულმა, კომკავშირისა და საბჭოთა ორგანიზაციებმა ყოველგვარი დახმარება უნდა აღმოუჩინონ დაწინაურებულ მუშებს, რათა მათ ადგილობრივ წარმატებით შეასრულონ დაკისრებული მოვალეობანი.

სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია საქართველოს პირობებში უფრო რთულად მიმდინარეობს, ვიდრე რსფსრ-ში და უკრაინაში; ეს იმით აიხსნება, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის რეკონსტრუქცია იწვევს არა მარტო არსებული კულტურების რაციონალიზაციას და ინტენსიფიკაციას, არამედ მთელი სასოფლო-სამეურნეო ეკონომიკის სრულ გარდაქმნასაც.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველო არსებითად სუბტროპიკული ტეხნიკური კულტურებისა და პროდუქტიული მეცხოველეობის რაიონია. პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ნაკლებ-რენტაბელური მარცვლეული კულტურები შესცვალოს ტეხნიკური შრომატევადი კულტურებით და აგრეთვე დარჩენილი მარცვლეული კულტურები გამოიყენოს როგორც საკვები ბაზა პროდუქტიული მეცხოველეობის განსავითარებლად; ამასთანავე, ახალი კულტურებისა და მეცხოველეობის გავრცელება სწარმოებს და უნდა სწარმოებდეს მთლიანი კოლექტივიზაციის ხაზით.

ამგვარად, ახალი კულტურების გავრცელება დამატებითი საშუალებაა კოლმეურნეობათა მშენებლობის გაძლიერებული განვითარებისათვის, სოფლად კაპიტალისტური ელემენტების აღმოფხვრისათვის, რომ უკვე არაფერი ვსთქვათ მთლად ჩვენი სოფლის მეურნეობის საწარმოო სტრუქტურის არსებითად შეცვლაზე.

მაგრამ, ეს გარემოება იმავე დროს უსათუოდ წარმოადგენს, პირობითად რომ ვსთქვათ, ერთგვარ დამატებითი სიძნელეს გლეხთა საწარმოო-ტეხნიკური ჩამორჩენილობის დაძლევის საქმეში; ეს თავის-თავად ცხადია, რადგანაც გლეხ-ინდივიდუალისტს არ შეუძლია ასე ადვილად განთავისუფლდეს სამომხმარებლო ფსიქოლოგიისაგან და საუკუნოებით შექმნილ ეკონომიურ ურთიერთობათა დამსხვრევას მხარი დაუჭიროს.

გადაჭრით უნდა განვაცხადოთ, რომ ამ გარემოებას არავითარ შემთხვევაში არ შეუძლია გაამართლოს ესა თუ ის მსჯელობა კოლექტივიზაციის დაუძლეველ სიძნელეზე, რადგანაც ახალი კულტურების გავრცელებასთან ერთად, ჩვენ იმ საქმესაც ვანხორციელებთ, რომ ამ რაიონებს ვაწვდით საკმაო რაოდენობის საწარმოო საშუალებებს, მანქანებს, ვუწევთ მათ სათანადო აგრო-დახმარებას და მეტის გეგმიანობით ვაწარმოებთ მათ მომარაგებას საჭირო სასურსათო და სამრეწველო საქონლით.

საქართველოს გლეხობის საერთო კულტურული დონე საფუძველს გვაძლევს ვიფიქროთ, რომ ჩვენ შედარებით ადვილათ შევსძლებთ გავიყოლიოთ გლეხობის ძირითადი მასა და ჩავაბათ იგი მაღალ-საქონლიანი, სოციალისტური ტიპის მეურნეობების შექმნის საქმეში.

კოლმეურნეობათა გაძლიერებული მშენებლობის დროს არც ერთის წამით არ უნდა დაგვავიწყდეს საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელი როლი: ისინი, როგორც ვიცით, წარმოადგენენ იმ ცენტრებს, რომელნიც აგრო-კომპლექსურ და საწარმოო ზეგავლენას ახდენენ ახლო-მახლო მცხოვრებ გლეხობაზე, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ახალი, გლეხობისათვის უცნობი, კულტურები ვრცელდება.

ამავე დროს, საბჭოთა მეურნეობანი, როგორც ვიცით, მოწყობილი არიან მაღალ ტეხნიკურ ბაზაზე და წარმოადგენენ საუკეთესო აგრო-ინდუსტრიალურ საწარმოებს, რომელნიც აჩქარებენ მსხვილ კოლმეურნეობათა მოწყობას და უწევენ ამ უკანასკნელთ ყოველგვარ ტეხნიკურ-საწარმოო დახმარებას.

უნდა ითქვას, რომ უმრავლესობა ჩვენი საბჭოთა მეურნეობებისა, განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობის მეურნეობებისა, სრულიად არ შეეფერება ამ უაღრესი მნიშვნელობის ამოცანას. პირდაპირ უნდა განვაცხადოთ, რომ ტეხნიკისა და საქმის დაყენების მხრივ ზოგიერთი ჩვენი საბჭოთა მეურნეობა (განსაკუთრებით ადგილობრივი მნიშვნელობისა) ზოგჯერ საუკეთესო გლეხურ მეურნეობასაც კი ჩამორჩება. ფაქტია, რომ ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი ხშირად იძულებული არიან ინვენტარიც გლეხის მეურნეობებიდან დაიქირაონ. იმის მაგივრად, რომ თითონ დაეხმარონ გლეხობას, იმის მაგივრად, რომ თითონ წარმოადგენდნენ მაგალითს რეკონსტრუქციისა და მუშაობის ტეხნიკური დაყენების საქმეში, ჩვენი საბჭოთა მეურნეობანი, ინვენტარის უქონლობის გამო, გლეხს საწარმოო საშუალებათა დაქირავებას მიმართავენ. ცხადია, რომ ასეთი საბჭოთა მეურნეობა ვერ გახდება იმ ხელმძღვანელ ცენტრად, რომელზედაც ჩვენ ვლაპარაკობთ ამიტომ პარტიის ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ ახლო მომავალში გარდაქმნან საბჭოთა მეურნეობანი, შეუქმნან მათ უფრო მტკიცე ენერგეტიული ბაზა და შესცვალოს მათი მუშაობის მიმართულება; თანაც ეს მუშაობა უნდა დაუკავშირდეს გლეხობის მასას იმ მხრივ, რომ საბჭოთა მეურნეობებმა ფართო საწარმოო და აგრონომიული დახმარება გაუწიონ ახლო-მახლო მცხოვრებ ღარიბ და საშუალო გლეხობას მისი კოლექტივიზაციაზე გადაყვანის მიზნით.

როგორც არსებულ, ისე ახლად მოწყობილ საბჭოთა მეურნეობებს ჩვენ უახლოეს ამოცანად მარტო საკუთარი მეურნეობის განვითარება როდი უნდა დაუსახოთ; მათ ძირითად ამოცანას უნდა წარმოადგენდეს ისიც, რომ გლეხობაზე ზეგავლენის მოხდენით შექმნან თავის გარშემო კოლექტიური მეურნეობათა მთელი ქსელი და ამ გზით შექმნან სახელმწიფო და კოლექტიურ მეურნეობათა კომბინატი ახალი კულტურების გავრცელებისა, არსებული კულტურების ინტენსიფიკაციისა და სასოფლო-სამეურნეო წარმოების ძირითადი პროცესების მაქსიმალური მექანიზაციის საფუძველზე.

დასახულ ღონისძიებათა განხორციელება ნიშნავს სოფლის კაპიტალისტური ელემენტების წინააღმდეგ მედგარი შეტევის გაძლიერებას, რომლის უახლოესი მიზანიც არის კულაკობის—როგორც კლასის ლიკვიდაცია.

ამიტომ, სავსებით გასაგებია, რომ აღნიშნულ ღონისძიებებს არ შეუძლია არ გამოიწვიოს სასტიკი წინააღმდეგობა კულაკობის მხრივ ჩვენი განვითარების განსაზღვრული პერიოდის განმავლობაში, ჩვენ აუცილებლად გვექნება საქმე სოფლად კლასიური ბრძოლის გამწვავებასთან.

წარსული მუშაობის გამოცდილებამ ნათლად დაგვარწმუნა იმაში, რომ კულაკი თავის ბრძოლაში ხელისუფლებისა და პარტიის ამ ღონისძიებათა წინააღმდეგ, რაც სოფლად ტარდება, მეტად მოხერხებული და მოქნილია. სამწუხაროდ, იშვიათი არ არის ისეთი შემთხვევა, როდესაც კულაკის გასაოცარ ხერხსა და მის უნარს შეეგუოს ჩვენი განვითარების სხვადასხვა ეტაპებს, შეცდომაში შეჰყავს ზოგიერთი ადგილობრივი პარტიული ორგანიზაციები; კულაკის დახელოვნებულ მანევრებს ეს ორგანიზაციები ზოგჯერ ისე უყურებენ,—თითქოს ეს კულაკობის სრული დაბნეულობის ან მისი პასიურობის მაჩვენებელი იყოს, თითქოს ეს იმას ნიშნავდეს, რომ კულაკი ჩვენს ღონისძიებებს ურიგდება.

კოლექტიურ მეურნეობათა მშენებლობის დასაწყის პერიოდში, კულაკები ცდილობდნენ ხელი შეეშალათ კოლექტივიზაციისათვის აგიტაციის საშუალებით. შემდგომ პერიოდში ისინი აშკარა გამოსვლებზე გადავიდნენ, მათ მიმართეს ტერორს, ცეცხლის წაკიდებას, მკვლელობას, ნათესების გაფუჭებას, და სხვ. ამჟამად კულაკი, ტერორთან და მკვლელობასთან ერთად, მიმართავს წინააღმდეგობის ახალ, თითქმის უფრო საშიშ ფორმებს,—ეს არის კოლმეურნეობაში შესვლა ათასნაირი საშუალებით; იგი კოლმეურნეობის ხელმძღვანელ აპარატშიაც ახერხებს მოკალათებას უმთავრესად თავისი დამქაშების საშუალებით იმ მიზნით, რომ ეს კოლმეურნეობა შიგნიდან დაშალოს და დაანგრიოს.

კულაკი ცდილობს აგრეთვე ჩაუნერგოს კოლექტიურ მეურნეობებს ექსპლოატატორული ურთიერთობანი, ის აწყობს კულაკურ ცრუ-კოლმეურნეობებს და ზოგჯერ აგიტაციის და მოსყიდვის საშუალებით ახერხებს აიყოლიოს თითო-ოროლა მოჯამაგირე და ღარიბი გლეხები. კოლმეურნეობათა განვითარების დღევანდელ პერიოდში კულაკობა იყენებს ბრძოლის ყველა ძველ ფორმებს და ამასთანავე მიმართავს აგიტაციას კოლმეურნეობათა წევრებს შორის, კოლმეურნეობიდან გამოსვლის და ცრუ-კოლმეურნეობათა დაარსების შესახებ და აგრეთვე კოლმეურნეობაში შესვლის მიზნით მისი შიგნიდან დაშლის განზრა-

(ᲒᲐᲒᲠᲫᲔᲚᲔᲑᲐ ᲘᲮ. ᲛᲔ-5 ᲒᲕ.)

სწარმოებს ფართო შეტევა სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის მთელ ფრონტზე

ყველა კუთხეებიდან მოდის ცნობები კოლმეურნეობათა გაძლიერებული მშენებლობის შესახებ

მოვსპოთ კულაკობა, როგორც კლასი

(საუბარი ა.-კავ. მიწსახკომისართან ამხ. ერზინკიანთან *)

ღარიბ და საშუალო გლეხთა მეურნეობების კოლექტივიზაციის პროცესების სწრაფმა ზრდამ საკმაო საფუძველი მისცა პარტიას იმისათვის, რომ კულაკის ექსპლოატატორული ტენდენციების შეზღუდვის პოლიტიკიდან გადასულიყო კულაკობის, როგორც კლასის, სრული ლიკვიდაციის პოლიტიკაზე.

სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციის ტემპმა ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაში, განსაკუთრებით უკანასკნელ თვეს, არაჩვეულებრივად სწრაფი ხასიათი მიიღო. სწორედ ამ სწრაფი ზრდით აიხსნება, რომ ამიერ-კავკასიის საოლქო კომიტეტის მიერ ამ ორი კვირის წინად გამოტანილ იმ დადგენილების ნაცვლად, რომელიც ითვალისწინებდა თვითეულ რესპუბლიკაში თითო ოლქის გადაყვანას მთლიან კოლექტივიზაციაზე, საქართველოს კომპარტიის (ბ) ცენტრალური კომიტეტის ეხლახან დამთავრებულმა პლენუმმა გადასწყვიტა მარტო საქართველოს ს. ს. რესპუბლიკაში მთლიან კოლექტივიზაციაზე გადაყვანილ იქნას სამი ოლქი. ასეთი სწრაფი ტემპით ვითარდება მთლიანი კოლექტივიზაცია ამიერ - კავკასიის ს.ფ.ს. რესპუბლიკაში.

ასეთი მდგომარეობა სავსებით შესაძლებელს და აუცილებელს ხდის „კულაკის წარმოების შეცვლას საბჭოთა მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მსხვილი წარმოებით" ამიერ-კავკასიის ს. ფ. ს. რესპუბლიკაშიაც, ვინაიდან, როგორც ამხ. სტალინმა აგრარულ საკითხებზე მომუშავე მარქსისტთა კონფერენციაზე სთქვა „ეხლა განკულაკება მთლიან კოლექტივიზაციის რაიონებში წარმოადგენს კოლმეურნეობათა შექმნისა და განვითარების შემადგენელ ნაწილს".

რას ნიშნავს ეს? ეს იმას ნიშნავს, რომ **კოლმეურნეობების შექმნითა და განვითარებით წინასწარ სწყდება კულაკის, როგორც სამეურნეო კატეგორიის, საკითხი.** კულაკის არსებობა მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შემდეგ არა თუ არ შეეფერება, არამედ პირდაპირ ეწინააღმდეგება სოფლის მეურნეობის სოციალისტურად გარდაქმნის ინტერესებს. ამიტომ უნდა მოხდეს კულაკის, როგორც კლასის, ლიკვიდაცია.

მაგრამ ამხ. სტალინი ამბობს, რომ განკულაკება „უბრალო ადმინისტრატიული ზომა არ არის", ამით კი სვამს კოლმეურნეობათა ორგანიზაციისა და მუშაობის ხარისხის საკითხებს.

ამოცანა მარტო განკულაკება კი არ არის, არამედ ისიც, რომ ნამდვილად შევცვალოთ კულაკური წარმოება კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების წარმოებით. ამიტომ კოლმეურნეობათა ყველა მუშაკებმა განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციონ კოლმეურნეობათა მშენებლობის შინაგან ხარისხობრივ მხარეს. უწინარეს ყოვლისა, საჭიროა განსაკუთრებული ყურადღება მიექცეს **კოლმეურნეობათა ორგანიზაციული ჩამოყალიბების, მათი ტემპის და ხასიათის სწორად განსაზღვრის საკითხებს.**

შემდეგ, კულაკის გააფთრებული წინააღმდეგობის პირობებში უდიდესი მნიშვნელობა ეძლევა **ხელმძღვანელობის საკითხს.** არ უნდა დავივიწყოთ, რომ კულაკი გაფაციცებით ეძებს შეცდომებსა და დეფექტებს კოლმეურნეობათა მუშაობაში, რათა გამოიყენოს ისინი თავისი აგიტაციისა და „ახსნა-განმარტებითი მუშაობისათვის".

ამ შეცდომებისა და დეფექტების მინიმუმამდე დაყვანა, კოლმეურნეობის მტკიცე საფუძველზე დაყენება შეიძლება მხოლოდ იმ პირობით, თუ კოლმეურნეობას ხელმძღვანელობენ მტკიცე, კოლექტივიზაციის საქმის ერთგული და კულაკისა და მისი ექსპლოატაციის სიძულვილით განსჭვალული მუშაკები.

უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს კოლმეურნეობათა მშენებლობაში კოლმეურნეობების ნამდვილი განმტკიცების და კოლმეურნეობის წევრთა კეთილდღეობის ამაღლების თვალსაზრისით წარმოადგენს კოლმეურნეობებში **შრომის ორგანიზაციისა და დაგეგმვის საკითხი.**

შრომა კოლმეურნეობაში პრინციპიალურად სოციალისტური შრომაა. ამ შრომის ფაქტიურად და რეალურად სოციალისტურ შრომად გადაქცევა, ამავე დროს კოლმეურნეობის წევრის ფსიქოლოგიაში წვრილ - მესაკუთრული მისწრაფებათა ნაშთების ამოფხვრა შესაძლებელია მხოლოდ შრომის სწორი ორგანიზაციით.

დასასრულ, კოლმეურნეობათა მშენებლობის უაღრესად მნიშვნელოვან მომენტს წარმოადგენს **კოლმეურნეობათა მეურნეობის სწორი და მიზანშეწონილი ორგანიზაცია.** კოლმეურნეობა უნდა გადავაქციოთ მეურნეობის რაციონალურად წარმოების ნიმუშად, რომლის დევიზსაც წარმოადგენს: მინიმალური ხარჯებით მაქსიმალური ეფექტის მიღება.

ყოველივე ეს ჩვენ უნდა განვახორციელოთ იმისათვის, რომ განვამტკიცოთ ჩვენი სოციალისტური პოზიციები სოფლის მეურნეობაში და გადამწყვეტ შეტევაზე გადავიდეთ კულაკის წინააღმდეგ. ეს შეტევა უნდა გამოიხატოს, უწინარეს ყოვლისა იმაში, **რომ კულაკს სრულიად ჩამოერთვას მისი საწარმოო საშუალებანი.**

დაუზოგველად დავარტყათ კულაკს, ულმობელი ლახვარი ჩავსცეთ კულაკს, უწინარეს ყოვლისა იმ სამეურნეო და საწარმოო რესურსების ჩამორთმევით, რომლებიც მას დაგროვილი აქვს ღარიბი და საშუალო გლეხების ექსპლოატაციის საშუალებით — აი, ასე სდგას ამჟამად საკითხი.

მაგრამ კულაკობამ იგრძნო, რომ მისი აღსასრული მოახლოვებულია და იგი დიდ წინააღმდეგობას უწევს და ემზადება კიდევ უფრო დიდი წინააღმდეგობა გაუწიოს პარტიისა და საბჭოთა ხელისუფლების ყველა ღონისძიებებს, ხოლო პირველ რიგში, სოფლის კოლექტივიზაციას. ეს წინააღმდეგობა უნდა დასძლიონ ღარიბ და საშუალო გლეხთა მასებმა **პარტიული ორგანოებისა და ადგილობრივი საბჭოების ხელმძღვანელობით.** საამისო იარაღს წარმოადგენს ღარიბ და საშუალო გლეხთა კადრის დარაზმვა კოლმეურნეობებში და ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა ჯგუფების ორგანიზაცია.

დავსძლიოთ კულაკის საბოტაჟი ღარიბ და საშუალო გლეხთა მასების ძალით, მთელი პროლეტარული შეურიგებლობით ვეკვეთოთ მტერს და გახურებული შანთით ამოვწვათ მისი ბოროტი ზრახვები — აი როგორ სდგას ამჟამად საკითხი.

კულაკი არაფერს არ ერიდება, რათა ჩაშალოს სოფლის სოციალისტური გარდაქმნისათვის წარმოებული მუშაობა. ღარიბი გლეხები და მოჯამაგირენი, რომელნიც სოციალიზმს აშენებენ სოფლად, გასტეხენ კულაკობის წინააღმდეგობას, მოახდენენ მის იზოლიაციას, ჩამოართმევენ მას მიწას, საქონელს და ინვენტარს.

---

*) თბილისის გაზეთებში—კერძოთ „კომუნისტში"—17 იანვარს მოთავსებულია ა.-კ. მიწადმოქმედების სახ. კომისრის ამხ. ერზიკიანის წერილი, რომელიც მიმართული იყო „კოლმეურნეობათა მშენებლობის მუშაკებისადმი", შეიცავს შეცდომებს იმ ნაწილში, რომელიც შეეხება კულაკობისა და მასთან ბრძოლის საკითხს. ამ შეცდომათა გასწორების მიზნით ჩვენ ვბეჭდავთ დღეს საუბარს ამხ. ერზიკიანთან. რედ.

ხვით. კულაკები ეწევიან აგიტაციას კოლმეურნეობებში ექსპლოატატორული ურთიერთობათა შესანარჩუნებლად, ისინი უქადაგებენ გლეხებს, რათა შევიდნენ კოლმეურნეობაში ისე, რომ არ განასაზოგადოონ წარმოების საშუალებანი, ურჩევენ მათ გაჰყიდონ მუშა-საქონელი და ყოველივე ამის პირველ მაგალითს გლეხები თვითონ აძლევენ.

ჩვენ შეგვიძლია ჩამოვთვალოთ ასეული ფაქტები კულაკობის მხრივ კლასიური ბრძოლის წარმოებისა. ასე, მაგალითად: სოფ. ზემო-მაჩხაანში (კახეთის ოლქი) კულაკმა დაარწმუნა კოლმეურნეობის წევრის დედა იმაში, რომ კოლმეურნეობის წევრებს ნება არა აქვთ ცოლი შეირთონ. შეშინებულმა დედამ თხოვნით მიმართა კოლმეურნეობის გამგეობას, რათა მისი შვილი ორი თვით გაენთავისუფლებინათ: „ცოლი ითხოვოს და მერე უკანვე წაიყვანეთო"— ამბობდა იგი.

ხონის რაიონში (ქუთაისის ოლქი), როდესაც კოლმეურნეობათა გამსხვილებისა და ახალ კოლმეურნეობათა შექმნის მასიური კამპანია ტარდებოდა, კულაკებმა გამოუშვეს პროკლამაცია, რომელშიაც მოუწოდებდნენ გლეხებს —არ შესულიყვნენ კოლექტიურ მეურნეობაში.

გორში— სამანქანო-სატრაქტორო სადგურის მოქმედების რაიონში —გლეხებმა მიმართეს შემდეგ პროვოკაციას: მათ გაავრცელეს ხმა გლეხობაში—მთავრობა ფიქრობს მთელი მიწა ჩამოგვართვას და ამის შემდეგ სულზე თითო გირვანქა პური გვაძლიოსო.

სამწუხაროდ, ამ აგიტაციამ მოსახლეობის ერთ ნაწილში დროებით ერთგვარი გამოძახილი ჰპოვა. ამას წინათ ზუგდიდის მაზრაში კულაკებმა ღარიბ და საშუალო გლეხთა ცოლები დაარწმუნეს იმაში, რომ ბოლშევიკები სამაჯურების, საკერი მანქანების და აბრეშუმის თავსახვევების განსაზოგადოებას აპირებენო და სხვ. ამ აგიტაციამ ისე იმოქმედა ქალებზე, რომ მათ თავისი მოძველებული მანქანები და თავსახვევები მიწაში ჩამარხეს.

თბილისის ოლქის სოფ. დიდ-ლილოში კოლმეურნეობა—„ანეულს" კულაკებმა დაუწვეს ზვინად დაგროვილი ხორბლის მოსავალი.

სოფ. ნუკრიანში (კახეთის ოლქი) ორმა კულაკმა დასწვა კოლმეურნეობის თივა 1.200 მანეთის ღირებულებისა.

სოფ. ახალ-სოფელში კულაკებმა დასწვეს სალეწი მანქანა და დასალეწად გამზადებული მოსავალი.

სოფ. იანეთში (ქუთაისის ოლქი) კულაკები სისტემატიურად უშვებდნენ საქონელს კოლმეურნეობა „ნამგალ ჩაქუჩი"-ს ნათესებში.

ყოფ. ვაჭარი, რომელმაც კოლმეურნეობა „ციცქა"-ში (ჩხარი—ქუთაისის ოლქი) გაძრომა მოახერხა და თავისი მიწის მხოლოდ ერთი ნაწილი განასაზოგადოვა, თითონ უშვებდა საქონელს კოლმეურნეობის ნათესში.

სოფ. ვეჯინში კულაკებმა ღამით კოლმეურნეობის მამულში—860 ძირი ვენახი ამოთხარეს.

ნაფარეულსა და ახმეტაში (კახეთის ოლქი) კულაკები სისტემატიურად უშვებდნენ საქონელს კოლმეურნეობის ყანებსა და ვენახებში და თანაც თავხედურად გაიძახოდნენ: „საქონელი უნდა დავასუქოთ, რომ მერე გადასახადის გადახდა შევსძლოთო"

კოლმეურნეობათა წევრები თითქმის ყველგან ღებულობენ მუქარით სავსე უსახელო წერილებს. მაგალითად:

შაშიანი (კახეთის ოლქი) კოლმეურნეობამ —„მნათობმა" მიიღო უსახელო წერილი, რომელშიაც ნათქვამია: „დააბრუნეთ ყველა სახნავი და ვენახი, თორემ თქვენს კოლექტივს სასაკლაოდ ვაქცევთო".

სოფ. ზედა-სიმონეთში კოლმეურნეობის ერთ აქტივისტს (ქუბლაშვილს) მიუგდეს უსახელო წერილი— ან კოლმეურნეობიდან გამოდი, ან იცოდე, სამარე გელისო.

სოფ. ახალ-სოფელში (კახეთი) კულაკებმა სცემეს კომუნის თავმჯდომარეს— ქავთარაძეს. აგრეთვე სცემეს კოლმეურნეობის ღარიბ წევრს სოფ. იანეთში (ქუთაისის ოლქი).

კულაკები მარტო მუქარითა და ცემა-ტყეპით არ კმაყოფილდებოდნენ და ხშირად კოლმეურნეობათა წევრების მკვლელობასაც მიმართავდნენ; ამგვარი მოვლენების ყველაზე თვალსაჩინო მაგალითია კოლმეურნეობათა წევრების მხეცური მოკვლა კახეთში.

სოფ. ვარდის-უბანში 1929 წლის ნოემბრის 13-ს კულაკებმა ვერაგულად მოჰკლეს და დასწვეს კოლმეურნეობის ოთხი აქტიური წევრი, რომელნიც კოლექტივის არაყის სახდელ ქარხანაში მუშაობდნენ.

სოფ. დანკალში (ახალქალაქის მაზრა) კულაკებმა მოკვლის მიზნით დასჭრეს კოლმეურნეობის წევრი.

სოფ. ახალ-გაგაზში (კახეთი) კულაკმა ყოველნაირი საბუთით და მტკიცებით დაარწმუნა ღარიბები, რომ კოლმეურნეობიდან გამოსულიყვნენ.

სოფ. ველის-ციხეში (კახეთი) კულაკმა ააგულიანა თავისი ყოფილი მოჯამაგირე გამოსულიყო კოლმეურნეობიდან, რისთვისაც პირდებოდა მას— საქონელსაც გაჩუქებ და ჯამაგირსაც მოგიმატებო. ეს მოჯამაგირე დღემდე უმუშევარია.

თავის ბრძოლაში კოლმეურნეობათა წინააღმდეგ. კულაკი ცდილობს მიიმხროს ქალები; იგი აგიტაციას ეწევა კოლმეურნეობათა წევრების დედებს, ცოლებს და დებს შორის იმ მიზნით, რომ მათ გავლენა მოახდინონ კოლმეურნეობის წევრებზე.

სამწუხაროდ, ჩვენ გვაქვს ზოგიერთი ფაქტები, რომელიც გვიჩვენებს, რომ ასეთ აგიტაციას უნაყოფოდ არ ჩაუვლია. რაღა თქმა უნდა, კულაკი ყოველნაირად გამოიყენებს ნათესაურ დამოკიდებულებას და ნათესაურ ზეგავლენას კოლმეურნეობათა წევრების მიმართ.

ცრუ - კოლმეურნეობათა და-არსების ფაქტები

ჩვენ არაფერს ვიტყვით სამანქანო ამხანაგობებზე, სადაც კულაკი ძალიან ხშირად რთული მანქანებისა და სასოფლო- სამეურნეო იარაღების ფაქტიურ ბატონად გვევლინება; ეს გარემოება დაწვრილებით იყო გაშუქებული პარტიის მე-6 ყრილობაზე. ახლა უნდა აღვნიშნოთ, რომ ზოგიერთ რაიონებში გვხვდება ისეთი კოლექტივები, რომლებშიაც ხშირად შეძლებული კულაკური ელემენტები უმრავლესობას შეადგენენ. მაგალითად, პურის დამზადების დროს კახეთის ოლქში კოლმეურნეობებმა— „ილიჩის ხსოვნა"-მ და „გლეხის მარჯვენა"-მ არ მისცეს სახელმწიფოს ზედმეტი პური და იგი კერძო პირს მიყიდეს. გამოირკვა, რომ ამ კოლმეურნეობათა შემადგენლობაში კულაკები იყვნენ. რა თქმა უნდა, ისინი დაუყოვნებლივ გაძევებულ იქნენ კოლექტივებიდან

სენაკის მაზრის სოფ. ქვედა-თეკლათში არსებობს კოლმეურნეობა „წითელი გლეხი", რომელშიაც 16 მეურნეობა შედის. ამ კოლმეურნეობაში ირიცხება ერთი ყოფილი ვაჭარი; მას წარსულ წელში ვაჭრობისათვის თავი მიუნებებია, თავისი მეურნეობა შვილებისათვის გაუნაწილებია და თითონ კოლმეურნეობაში შესულა. ამ კოლმეურნეობის ყველა წევრები ერთმანეთის ნათესავები არიან და ამგვარად, ეს კულაკი არსებითად კოლმეურნეობის ნამდვილი ბატონია

სოფ. იანეთში (ქუთაისის ოლქი) არის ნამდვილი კოლმეურნეობა —„ნამგალ ჩაქუჩი"; ამ კოლმეურნეობის გვერდით კულაკებმა მოაწყვეს კოლმეურნეობა— „წითელი ოქტომბერი", რომელშიაც 12 მეურნეობა შედის; კულაკები გადაჭრით უარს ამბობდნენ „ნამგალ ჩაქუჩთან" გაერთიანებაზე და აგრეთვე არ უშვებდნენ ახალ წევრებს თავის კოლმეურნეობაში.

კულაკების კოლმეურნეობაში შესვლის ფაქტები

სენაკის მაზრაში კულაკმა კოლმეურნეობაში („წითელი გლეხი") შესვლის წინ გაჰყიდა თავისი მუშა-საქონლის დიდი ნაწილი, დანარჩენი კი, ყოველი შემთხვევისათვის, თავის ინდივიდუალურ მეურნეობაში დატოვა.

კოლმეურნეობა „ციცქა" (ქუთაისის ოლქი) 10 მეურნეობისაგან შესდგება. 5 მეურნეობამ კოლმეურნეობაში შესვლამდე გაჰყიდა თავისი მუშა-საქონელი.

სოფ. კარდანახში კულაკები შევიდნენ კოლმეურნეობაში და თავისი ნათესავებიც შიგ შეიყვანეს იმ მიზნით, რომ კოლმეურნეობის მეთაურობა ხელთ ეგდოთ.

ქვემო-ქედის კომუნაში კულაკის მიერ მოსყიდულმა საშუალო გლეხმა თესვის კამპანიის დროს დაამტვრია ტრაქტორის ცალკე ნაწილები.

კოლმეურნეობა „შრომის ჯგუფი"-ს (კახეთი) წევრი --კულაკი, რომელსაც გადასახადი ინდივიდუალური წესით 300 მან. შეაწერეს, სამუშაოზე არ გავიდა.

კაჩრეთ-არაშენდის რაიონში (კახეთი) კოლმეურნეობამ კულაკისაგან სალეწი მანქანა იყიდა. კულაკმა ისარგებლა იმ გარემოებით, რომ სალეწი მანქანის მოხმარება კარგად იცოდა და კოლმეურნეობას მომუშავეთ დაუდგა, თვეში 150 მანეთად; ამგვარად იგი მანქანის ფაქტიურ ბატონად დარჩა და მისი ექსპლოატაციიდან ეხლა მეტი გამორჩენაც ჰქონდა.

ჩვენ ვლაპარაკობთ კლასიური ბრძოლის ამ ფაქტებზე იმისათვის, რომ ადგილობრივმა პარტიულმა მომუშავეებმა ბოლოს და ბოლოს ნათლად გაითვალისწინონ, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს საკითხის ამ მხარეს

(დასასრული შემდეგში)

სოფლები კოლექტივიზაციის ფრონტიდან

„კომუნისტი"-ს ბრიგადებისაგან

კახეთის ოლქის კომკავშირი კოლექტივიზაციის ფრონტზე

გურჯაანი, 18 იანვარი. კახეთის ოლქის კომკავშირი გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებს კოლექტივიზაციის ფრონტზე. ყველა რაიონებში ტარდება კომკავშირის კრებები კოლექტივიზაციის პრაქტიკული საკითხების განსახილველად. ყვარელის კომკავშირის რაიკომმა შეჯიბრებაში გამოიწვია თელავის რაიკომი. კომკავშირის საოლქო კომიტეტმა ერთი კვირაა, რაც გაგზავნა ბრიგადა 80 კომკავშირელის შემადგენლობით თელავის, სიღნაღის, ყვარელის და გურჯაანის რაიონებში. ამ რაიონებში კომკავშირელები დაჰყოფენ ერთ თვეს. ამ დროის განმავლობაში კომკავშირელები სხვადასხვა სოფლებში გლეხებში ჩაატარებენ საუბრებს თესვის კამპანიასთან დაკავშირებით და ხელს შეუწყობენ კომკავშირის უჯრედების მონაწილეობის გაძლიერებას კოლმეურნეობათა მშენებლობაში.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

სიღნაღი, 18 იანვარი. კომკავშირის სიღნაღის რაიკომმა შეადგინა კომკავშირლების 6 ბრიგადა, შედის 60 კაცი. ბრიგადები ამ ორ დღეში გაემგზავრებიან სოფლებში, სადაც გამოუშვებენ კედლის გაზეთის სპეციალურ ნომრებს და ჩაატარებენ საუბრებს საგაზაფხულო თესვის კამპანიის ამოცანისა და კოლექტივიზაციის საკითხების შესახებ.

ბრიგადებს თან მიაქვთ საჭირო ლიტერატურა. კომკავშირის რაიკომმა გადასწყვიტა კომკავშირლების ძალებით მოაწყოს მუშა-საქონლის კოლონა, უფასოთ დაამუშაოს ქვრივ ობლების, ღარიბი გლეხების და მოჯამაგირების მიწები. კოლონისათვის მუშა-საქონელი შეძენილი იქნება კომკავშირის მიერ შეგროვილ თანხებით. ამ მიზნით კომკავშირს უკვე შეგროვილი აქვს 500 მანეთი.

„კომუნისტი"-ს ბრიგადა.

აბაშის რაიონი — მასიური კოლექტივიზაციის რაიონია

აბაშა, 18 იანვარი. (ჩვენი სპეციალ. კორესპ.) სუჯუნის თემში გაცხოველებული მუშაობა მიმდინარეობს კოლმეურნეობათა მოსაწყობათ. პარტკომკავშირის წევრების, ღარიბ გლეხების და საბჭოს წევრების გაერთიანებულ კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომელშიაც ნათქვამია, რომ ღარიბი და საშუალო გლეხობა მთლიანად გავერთიანდებით კოლმეურნეობებშიაო. სოფ. ეწერში, სანოდიოში, სახომტარიოში და გაღმა ზანათში არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფები კოლმეურნეობების ჩამოსაყალიბებლად. სულ სუჯუნის თემში მოწყობილია 10 კოლექტივი.

ონტოფოს თემში ჩამოყალიბდა ოთხი ახალი კოლმეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია თემის ყველა პარტიულები და კომკავშირელები. კულაკები პროვოკაციას ეწევიან, მაგრამ მშრომელი მოსახლეობისაგან ღირსეულ პასუხს ღებულობენ.

სოფ. საკაჭარაოს ღარიბთა კრებამ ერთხმად დაადგინა გაერთიანდნენ კოლექტიურ მეურნეობაში. არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფი კოლმეურნეობის ჩამოსაყალიბებლად. იქვე ჩაეწერა 45 კაცი

აბაშის რაიონი მასიური კოლექტივიზაციის რაიონია. არსდება მთელი რიგი ახალ კოლმეურნეობები და კომუნები. გლეხები ეხლავე თხოულობენ მიწადმოწყობას, წინააღმდეგ შემთხვევაში დრო გადის და გლეხები დროზე ვერ დაიწყებენ მიწების დამუშავებას, საჭიროა დაუყოვნებლივ გამოგზავნილ იქნეს მიწის მზომელები.

დ. ლომაძე.

40 ტრაქტორის მიღება

აბაშა, 18 იანვარი. (ჩვენი სპეციალ. კორ.) 17 იანვარს აბაშის სამანქანო-სატრაქტორო სადგურისათვის მიღებული იქნა 40 ტრაქტორი, რამაც უდიდესი აღფრთოვანება გამოიწვია აბაშის მშრომელ მოსახლეობაში. თითქმის ყველა სოფლებიდან მოდიან გლეხები, რომ დაინახონ ტრაქტორები. ყველგან გაიგონებთ გლეხობის ლაპარაკს— „მართლაც რომ საბჭოთა ხელისუფლების სიტყვა და საქმე არ შორდება ერთმანეთს"-ო.

დ. ლომაძე.

—:—

მთელი სოფლები კოლექტივებში

გურჯაანი, 18 იანვარი. ჩატარდა კოლექტივიზაცია შემდეგ ადგილებში: შილდაში, სადაც კოლექტივში გაერთიანდა 1.000 კომლი 4.800 მცხოვრებით, ყვარელში—1.200 კომლი 5.500 მცხოვრებით, ბაკურციხეში 500 კომლი—2.300 მცხოვრებით და კარდანახში — 1.400 კომლი 5,800 სულ მცხოვრებით.

12 ჩაის კოლმეურნეობა

თამაკონი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) თამაკონის თემში ჩამოყალიბებულია 12 კოლექტიური მეურნეობა, რომელთა მიზანია ჩაის მოშენება. კოლექტიურ მეურნეობებში გაერთიანებულია 850 ოჯახი, რაც თემის მეურნეობათა 46 პროცენტს შეადგენს, ამჟამად ტარდება მათი გამგეობათა გადარჩევები. საანგარიშო კრებებზე ირკვევა, რომ აგრონომების მხრივ სუსტია კოლექტივების დათვალიერება და ხელმძღვანელობა, აგრეთვე სუსტად არის დაყენებული ანგარიშწარმოება. მრეწველობის აღწერის დროს გამოირკვა, რომ აქ 200 ოჯახზე მეტი ეწევა მეჭურჭლეობას. ისინი მოითხოვენ მეჭურჭლეთა ამხანაგობის დაარსებას და ითხოვენ ხელმძღვანელობის გაწევას. თემის საბჭომ და პარტიულმა კომიტეტმა უკვე გადასდგეს პრაქტიკული ნაბიჯები მათი კოლექტივის ჩამოსაყალიბებლად.

ზ. უ.

წითელარმიელთა ბრიგადა აბაშის რაიონში

აბაშა, 18 იანვარი, (სპეც. კორ.) 17 იანვარს მარანის თემში ჩამოყალიბდა 11 კოლექტიური მეურნეობა, რომლებშიაც გაერთიანებულია 189 წევრი თავიანთი მიწებით და მკვდარი და ცოცხალი ინვენტარით. სუჯუნის თემში სოფელ სახომტარიოში ჩამოყალიბდა ერთი კოლმეურნეობა, რომელშიაც გაერთიანებულია 80 წევრი. სოფელ გაღმა ზანათში ღარიბი და საშუალო გლეხობა მოითხოვს კომუნის დაარსებას; აღრიცხულია მსურველები დაახლოებით 25 კომლამდე. სოფელ ეწერში და სანოდიოში არჩეულ იქნა საინიციატივო ჯგუფი კოლმეურნეობის დასაარსებლად. კოლექტივში შემსვლელთა რაოდენობა აღწევს 64 კომლამდე.

17 იანვარს დაბა აბაშაში ჩატარდა რაიონის ცვალებადელთა და გრძელვადიან შვებულებაში მყოფ წითელარმიელთა კონფერენცია, რომელსაც დაესწრო 800-დე კაცი. კონფერენციაზე მოსმენილ იქნა მოხსენება საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ამოცანებზე. მიღებულ რეზოლიუციაში ცვალებადელები აღნიშნავენ, რომ ისინი იქნებიან სოფლის მეურნეობის კოლექტივიზაციისათვის მებრძოლთა მოწინავე რიგებში, თავისი პირადი მაგალითით დარაზმავენ ღარიბ, მოჯამაგირეთა და საშუალო გლეხობას და ხელს შეუწყობენ მათ კოლექტიურ მეურნეობაში ჩაბმას. ცვალებადელთა კონფერენციამ მიიღო მიმართვა აბაშის ყველა შრომელებისადმი. მიმართვაში ისინი მოუწოდებენ მშრომელებს გაერთიანდნენ კოლექტიურ მეურნეობებში. კონფერენციამ მისალმება გაუგზავნა საქ. კ.პ. (ბ) ცეკას.

წითელარმიელთა ბრიგადები გაცხოველებულ მუშაობას აწარმოებენ მშრომელ მოსახლეობის ფართო მასებში, ეხმარებიან მათ ახალ კოლმეურნეობათა ჩამოყალიბების საქმეში. კულაკები, ხუცები და ყველა ჯურის კონტრ-რევოლიუციონური ელემენტები პროვოკაციით ცდილობენ ხელი შეუშალონ კოლმეურნეობათა მშენებლობას. წითელარმიელთა ბრიგადა და აბაშის მშრომელი მოსახლეობა სასტიკ პასუხს აძლევს მათ. წითელარმიელთა ბრიგადის სარემონტო ჯგუფის მიერ შეკეთებულ იქნა კოლმეურნეობათა და ღარიბი გლეხობის 8 გუთანი, ერთი სიმინდის სათესი მანქანა, 42 ბარი, რამდენიმე ცული და წალდი, 84 თოხი და სხვ. 17 იანვარს გამოვიდა ბრიგადის გაზეთის „მთლიანი კოლექტივიზაციისაკენ" მეორე ნომერი.

დ. ლომიძე.

კულაკების პროვოკაციას ვუპასუხებთ გამანადგურებელი შეტევით

ზუგდიდი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) ზუგდიდის რაიონის კულაკობა ყოველ ზომებს მიმართავს კოლექტივიზაციის წინააღმდეგ. პროვოკაცია, კოლექტივის ქონებისათვის ცეცხლის წაკიდება, საქონლის დახოცვა, კოლექტივის წევრთა ფიზიკური შეურაცყოფა და სხვ. ლერინჯინის თემში დასწვეს კოლექტივის ჩაის ფარდული თავის მოწყობილობით. ჯგალში მოჰკლეს კოლექტივის ხარები,. ავრცელებენ ხმებს, თითქოს კოლექტივიზაცია ნიშნავს გლეხკაცობის ყაზარმებში გაერთიანებას.

ყველა ეს ფაქტები გაითვალისწინა ზუგდიდის რაიონის პროფაქტივის კრებამ, რომელიც ერთხმად მოითხოვს დაწყებულ იქნას გადამწყვეტი ბრძოლა კულაკების წინააღმდეგ, მათი, როგორც კლასის, მოსპობის მიზნით.

ზუგდიდში მდგომი წითელ არმიელნი მთელ თავისუფალ დროს ანდომებენ კოლექტივების მშენებლობას.

—:—

კულაკი ლორთქიფანიძე უნდა აილაგმოს

სამტრედია, 18 იანვარი. (საქ. კორ.) სამტრედიის რაიონის ჯიხაიშის თემში კოლექტივიზაცია მიმდინარეობს ნელი ტემპით, ხელს უშლის კულაკების პროვოკაცია. კოლექტივიზაციის წინააღმდეგ ბრძოლაში გარდა აშკარა გამოსვლისა უფრო თვალსაჩინოა კულაკების მალული საწინააღმდეგო მოქმედება, რის შედეგად ერთი კოლექტივიდან 15 გლეხი გავიდა. არიან გამოუმჟღავნებელი კულაკებიც, რომლებიც თავისი გავლენის ქვეშ აყენებენ ღარიბ გლეხობას.

ასეთია აქ ყოფილი თავადი მემამულე კოტიკო ლორთქიფანიძე, საარჩევნო ხმის უფლებას მოკლებული, რომელსაც სოფლად აქვს 8 თვალიანი სახლი და ნორმა მიწა. მიწას იგი ყოველთვის დაქირავებულ შრომით და მოჯამაგირეების საშუალებით ამუშავებდა. წელს გაზიარებული აქვს ყანები სანახევროდ — მეურნეობასთან კავშირი გაწყვეტილი აქვს, წელიწადში ერთხელ ჩამოდის მოსავლის წასაღებად. წელს გაზიარებულ ადგილებიდან წაიღო 200 ფუთამდე სიმინდი. ქუთაისში აქვს ორი სახლი, საიდანაც იღებს ხარჭნობ შემოსავალს.

აღსანიშნავია, რომ ეს აშკარა კულაკური მეურნეობა სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან სრულიად განთავისუფლებულია. კულაკმა ლორთქიფანიძემ თავი შეაფარა რიონჰესს და გახდა კავშირის წევრი, მისი ნამდვილი სახე გამომჟღავნდა მაშინ, როდესაც სოფელში სახლი მალულად მიჰყიდა ხონელ ვაჭარს მაჭარაძეს. მან ეს სახლი იმავე ფასში არ დაუთმო თემს აუცილებელ საჭიროებისათვის. სოფლის ორი ათასი მშრომელი გლეხობა მოითხოვს ლორთქიფანიძის, როგორც სოციალურად მავნე ელემენტის, მიწების სოფლის ფონდში გადარიცხვას და მთელი ქონების ჩამორთმევას.

ს. მ.

კოლექტივიზაცია სიღნაღის რაიონში

სიღნაღი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) სიღნაღის რაიონში კოლექტივიზაცია სწრაფი ტემპით მიდის. რაიონის ყველა სოფლები გადადიან მთლიან კოლექტივიზაციაზე, ერთიანდებიან არსებული წვრილი კოლექტივები. კოლმეურნეობების ასეთ სტიქიურ ზრდას საფუძვლად უდევს სასოფლო-სამ. საწარმოო საშუალებების განსაზოგადოება. 10 იანვრიდან დაარსდა კომუნები ქვემო მაჩხაანში, დზაანში, ძველ ანაგაში, ბოდბეში, ნუკრიანში, მაღაროში, ბოდბისხევში და ჯუგაანში.

უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობათა ცენტრის ხელმძღვანელობა სუსტია. მთელი რიგი კოლექტივიზაციაქმნილი სოფლები მოითხოვენ ორგანიზაციულ ხელმძღვანელობის გაძლიერებას. აღსანიშნავია, რომ კოლექტივიზაციაქმნილი სოფლების კულაკები შეეცადნენ გაენადგურებიათ მუშა-საქონელი, მაგრამ რაიონის ხელისუფლების მიერ მიღებულ ზომებით თავიდან იქნა აცილებული კულაკების მავნე ზრახვები.

ი. ჭ.

კულაკების გამოსახლება

გურჯაანი, 17 იანვარი. ღარიბ გლეხთა და მოჯამაგირეთა მოთხოვნით მთლიანი კოლექტივიზაციის რაიონებში დაიწყო კულაკების გამოსახლება. (ადს)

კომუნა მარანში

ახალ-სენაკი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) 15 იანვარს აბაშის რაიონში მარან-ჩალის სასოფლო არტელ „შრომას" წევრთა საზოგადო კრებამ დაადგინა გადავიდეს კომუნაზე. დღეს სამაზრო პარტკომის მდივანთან ამხ. ჩაკვეტაძესთან გამოცხადდა აღნიშნულ არტელის დელეგაცია. მათ განაცხადეს, ჩვენ 17 ოჯახმა 60 წევრით, რომლებსაც არტელში გაერთიანებული გვაქვს საწარმოო იარაღები და 60 ქცევა მიწა, გადავწყვიტეთ გავერთიანდეთ კომუნაში, რომლისთვის ყოველმხრივ მომზადებული ვართ. ჩვენ შევქმნით დიდ სანიმუშო ოჯახს საერთო შრომით, თუ გინდ პირველ ხანებში სულ არ დაგვეხმაროს სახელმწიფო, რადგან დავრწმუნდით, რომ ჩვენი ხსნა უნაყოფო დაქუცმაცებულ მეურნეობიდან მხოლოდ კოლექტიურად მოწყობილ შრომაშია. ჩვენს კომუნას ვერ დაშლის ვერავითარი სიძნელეები, კულაკების და სხვა ანტისაბჭოთა ელემენტების პროვოკაციაც. კომუნა საჭიროებს ხე-ტყის მასალას, სასოფლო-სამეურნეო იარაღებს, მუშა-საქონლის და აგრონომიულ დახმარებას. კოლმეურნეობათა ცენტრმა უნდა გააძლიეროს ხელმძღვანელობა.

შ. ბ.

კულაკებმა გადასწვეს კოლმეურნეობის ვენახი და ბაღი

ქუთაისი, 18 იანვარი. სოფ. ზედა-სიმონეთში, კულაკებმა ღამით ცეცხლი წაუკიდეს კოლმეურნეობის ვენახსა და ბაღს. დაიწვა 300 ვაზი. ცეცხლი ემუქრებოდა მახლობელ სახლებს, მაგრამ ცეცხლთან საბრძოლველად დროზე გამოსულმა კოლმეურნეობის წევრებმა ხანძარი ჩააქრეს.

დაპატიმრებულია ხუთი კულაკი. (ადს).

—:—

კომუნა სოფ. ცოდნის კარში

ლაგოდეხი, 18 იანვარი. (საქ. კორ.). ლაგოდეხის რაიონის (კახეთის ოლქი) სოფელ ცოდნის-კარში 16 იანვ. დაარსდა 25 კომუნ. სახელობის კომუნა, რომელშიაც გაერთიანდა 160 კომლი მთელი მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლით. კომუნას აქვს 1 ტრაქტორი, 1 სალეწი მანქანა, 1 გუთანი, 86 რკინის ფარცხი, 18 ურემი, 51 ფურგუნი და სხვ.

—:—

მასწავლებლობა კოლმეურნეობებში

ზუგდიდი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) ზუგდიდის რაიონის მასწავლებლობამ დაადგინა შეიტანონ მთელი თავისი უძრავ - მოძრავი ქონება კოლექტიურ მეურნეობაში. ზუგდიდის რაიონის მასწავლებლობა მოუწოდებს საქართველოს მასწავლებლობას, მიბაძონ მის მაგალითს და გაერთიანდნენ კოლექტივებში.

ბათომის თამბაქოს ფაბრიკა „ვოსტოკ"-ის მუშათა ბრიგადა, რომელიც მიემგზავრება სოფლად

—:—

მოითხოვენ კულაკების განდევნას

სურამი, 18 იანვარი. 17 იანვარს სურამის თემის სოფლებს (იტრიას, ბულაურას და ჯაშინაურის) ღარიბ და საშუალო გლეხობის გაერთიანებულმა საზოგადო კრებამ გამოიტანა დადგენილება მთლიან კოლექტივიზაციაზე გადასვლის შესახებ, კოლმეურნეობაში გაერთიანებულია 239 მეურნე. ამავე კრებამ დაადგინა, რომ მათი სოფლებიდან გადასახლებულ იქნენ კულაკები.

ი. ბ.

ეწყობა ახალი კოლექტივები

სურამი, 18 იანვარი. (საქ. კორ.) შედგენილია გაზაფხულის სახ.-სამ. კამპანიის გეგმა. აღნუსხულია გაზაფხულზე დასათესი მიწის რაოდენობა, აღრიცხულია აგრეთვე მანქანა-იარაღები და მიღებულია ზომები მათ შესაკეთებლად. მოწვეულია აგრო-რწმუნებულების თათბირი.

18 კაცი ორი კვირის ვადით მივლინებული იყო კურსებზე აგრონომიული ცოდნის შესაძენათ, ყალიბდება ახალი კოლექტივები. საწარმოო თათბირი შეუდგა მუშაობას. სოფლებში საგაზაფხულო თესვასთან დაკავშირებით მიმდინარეობს ლექცია-საუბრები.

ი. ბ.

პასუხისმგებელი მუშაკების გაგზავნა ადგილებზე გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად

გაზაფხულის სასოფლო-სამეურნეო კამპანიის ჩასატარებლად გარდა უკვე გაგზავნილ პასუხისმგებელ მუშაკებისა ც. კ-ი ადგილებზე გზავნის შემდეგ ამხანაგებს:

კახეთის ოლქში

ბუცუშვილი, დაიდიხანოვი, შინშიაშვილი, ბერბერაშვილი, ხუციშვილი საბა, სარუხანოვი, ზირაქაშვილი, ბეგაძე ა., ბუბუნაშვილი, გოგოტიშვილი, მჭედლიშვილი (გლეხთა სახლი), კაკაბაძე (საქ. ს. მ. უ. ს.), კეროსელიძე, კვირკველია ლ., სალთახუციშვილი, ჩიხრაძე (სან. ტრანსპორტი), სირაძე (შრომის კომისარიატი), კუნწულია (სტამბა), ქაჯაიშვილი (სახ. დაზღვევა), მამარდაშვილი (ლუდის ქარხანა), ცქვიტინიძე (რემდასი), ხუციშვილი („მეურნე")", ხიხაძე, მარიამიძე, დუღუჰავა (ცეკავშირი) სიხარულიძე („მუშა").

გორის ოლქში

ბუჯიაშვილი ა., კანდელაკი კ., სიხარულიძე (თბილისის კომიტეტი), აკვარიძე აპოლონ, გოზალიშვილი (ს. პ. კ. ს.)) მთვარელიძე (განსახკომი), ე. გოგოლაძე (მიწსახკომი(, რუხაძე ვ. (მიწსახკომი), ტიტიშვილი (დივიზია), შანშიაშვილი (პოლიგრაფტრესტი), ფსიტიძე, მორჩილაძე ლ., ცინცაძე მიხ., იოვიძე (არქივი), ლოლაძე (მუშკოოპი), დონჯაშვილი (თავდაცვა-ავიაქიმი), ფრუიძე (ს. მ. უ. ს.), მდივანი სერგო, მელქაძე (სახ. გან. განყ).

ქუთაისის ოლქში

კიკაჩეიშვილი (სოფლის კავშირი), მელიაძე ნინო, პიჯინაძე (ცეკავშირი), კამკამიძე (ტელ. ქსელი), ბერია ბ., ჯორბენაძე (სოც. უზრ. კომ.), დეკანოსიძე (სახკინმრეწვი), პორკაძე, თათეიშვილი, აბესაძე (ცეკავშირი), ჩიხვაძე ზ. (მიწსახკომი), სირაძე კ. (იუსტიციის კომისარიატი), ვაშაკიძე ვალ., სიხაძე (მუშკოოპი), ნიორაძე, სიხარულიძე ვიქტორ, მახარაძე ნიკ. (ცენტრ. პარტსკოლა), საბაშვილი მ., დარახველიძე ს.

ზუგდიდის მაზრაში

გაბისონია (ბანკი) ცანავა (თელასი), კეშელავა (მთსოპროდუქტი"), ჯაკონია (ს. მ. უ. ს.) შონია თბ. აღმასკომი), ცომაია კლემენტი, ნარსია საბჭ. და სავაჭ. მუშაკების პროფკავშირის (ც. გ.), ძიგუა (ფეიქართა კავშირის ც. გ.), დუნდუა (განსახკომი).

სენაკის მაზრაში

ჯვილავა (იუსტ. კომისარიატი), ფანცულაია (განსახკომი), პაპავა ალ., ტუსკია (ფინსახკომი), ჰიჯინაძე (სახ. ვაჭრობა), ჩუბინიძე (ს. პ. კ. ს.), შენგელია ვაჭრობის კომისარიატი), ელიაშვილი (შინაგან საქმეთა სახ. კომ.), ჯაბადარი (შრომის კომისარიატი), კაკულია (ზუგდიდის სასამართ.), სოკოლოვსკი, გუნია (სახკომსაბჭო).

ოზურგეთის მაზრაში

ჩხარტიშვილი (პოლიტგანათლების მთ. სამართ.), ჩხეიძე (აბრეშუმის ტრესტი), კალანდაძე დ., (სოცუზრ. კომ.), ცინცაძე მოსე (სახკომსაბჭო).

სამხრეთ ოსეთში

ბიროუკოვი ვას., მაჭავარიანი (შინაგან საქმეთა სახ. კომ.), ცაგარეიშვილი, ჩხარტიშვილი (სახკომსაბჭო), ბოკერია პ., შიუკაშვილი (ცაკი), კეპაყაძე (მიწსახკომი), გრიშპი (გზატკეცილების სამმართველო), ბუაჩიძე (პროლეტმწერალთა ასოციაცია).

ახალციხის მაზრაში

მღრაძე (გზატკეცილების სამმართველო), ამპარი, ომაროვი (ცაკი).

ახალქალაქის მაზრაში

პერჩიანი, მკრტიჩიანი (სტამბა).

აღნიშნული ამხანაგები თავისუფლდებიან მობილიზაციიდან სხვა ხაზით.

მუშაკები რაიონულ სამიწადმოქმედო განყოფილებისათვის

რაიონულ საადგილ-მამულო განყოფილებების ხელმძღვანელი კადრების განმტკიცებისათვის ცხადდება შემდეგი პასუხისმგებელი ამხანაგების მობილიზაცია:

გაბინიძე ლადო, რონინაია რ., ლოკაშვილი ალექ., ფოფხაძე, კოპალეიშვილი ნიკ., ლაზარევი კ., საკანდელაშვილი არტემ, ნაჭყებია პანტ., ჰუონია დავ., შარიქაძე ტ., ლომთათიძე გერმანე, გაბუნიძე თ., აივაზოვი ნ., აბშილევიჩი, ხოშტარია კ., (შავი ზღვის რკ. გზა), ბოჭორიშვილი სერ., ბარბაქაძე კარპ., დოლიძე პოლიკ., კურასპედიანი არ., ზამბახიძე ნოე, ბახტაძე სერგო (სახ. დაზღვევა), კობახიძე ბლ. (შემნახ. სალარო), ხომასურიძე შ. (თავდაცვა-ავიაქიმი), ცინცაძე (პროფკავშირი), აკოფოვი (კავშირი), პოპოვი (კავშირი), ხოშტარია (კავშირი), ბარბაქაძე (კავშირი).

მიბაძეთ თბილისის მუშებს

სოფელთან დაკავშირებულ თბილისის მუშებს გამოაქვთ დადგენილებანი თავიანთი მიწების კოლექტივებისათვის გადაცემის შესახებ

თბილისის მუშები ფართოდ გამოეხმაურნენ პარტიის და ხელისუფლების მოწოდებას სოფლის კოლექტივიზაციისთვის ხელის შეწყობის შესახებ, კერძოდ გაზაფხულის სასოფლო - სამეურნეო კამპანიის წარმატებით ჩატარებისათვის. სოფლად დიდის ხალისით მიემგზავრება რამდენიმე ახალი მუშა, რომელთაც შექმნეს ნებაყოფლობითი დამკვრელი ბრიგადები. გაზაფხულის კამპანიის ჩასატარებლად სოფლად მიმავალ მუშათა რიცხვი მეტად დიდია. გაზაფხულის კამპანიის განმავლობაში ღარიბ და საშუალო გლეხობისათვის დახმარების გაწევის სურვილი მრავალმა მუშამ გამოსთქვა თბილისის ყველა ფაბრიკა-ქარხნებში. ეს იმის მომასწავებელია, რომ თბილისის პროლეტარიატს შეგნებული აქვს სოციალისტური მშენებლობის სოფლის სოციალისტური გარდაქმნის მნიშვნელობა.

თბილისის მრელ რიგ საწარმოთა **მუშები მოითხოვენ სოფელთან დაკავშირებულ მუშების მიერ თავიანთი მიწების კოლექტივებისადმი გადაცემას და ზეგავლენის მოხდენას თავიანთი ოჯახის წევრებზე (მამებზე, ძმებზე), რათა მათ მთელი თავისი ცოცხალი და მკვდარი ინვენტარით შევიდნენ კოლმეურნეობებში.**

16 იანვარს ლენინის რაიონის საქონლის სადგურის კომუჯრედის ღია კრებაზე, პარტიის წევრებმა, კომკავშირლებმა და უპარტიო მუშებმა შემოიტანეს ინდივიდუალური წერილობითი განცხადებები სოფლად მათი მიწების და მთელი უძრავ-მოძრავი ქონების კოლექტივებისადმი გადაცემის შესახებ.

მუშა **ესე კირილეს-ძე დოლიძე** თავის განცხადებაში ამბობს: „მიწას, რომლითაც მე დღემდე ვსარგებლობდი, ვაძლევ სოფელ ამაღლების სასოფლო - სამეურნეო კოლექტივს და ვიწვევ შემდეგ მუშებს, რომელთაც ვსთხოვთ მიბაძონ ჩემს მაგალითს: **ნიკოლოზ დოლიძეს, ვარდენ დოლიძეს და ისიდორე შაშათავას.**

მუშა **შალვა ანდღულაძე** აძლევს მიწას სოფ. კოხნარის კოლექტივს და იწვევს შემდეგ ამხანაგებს — ბიქტორ კეშელავას, დიმიტრი ორჯონიკიძეს, ვანო ანთიძეს, ამბროსი ანდღულაძეს, კოწია ლუტიძეს, აფთონ ანთიძეს და თომა ანთიძეს.

„ მე ქ. თბილისის საქონლის სადგურის მუშა - კომკავშირელი **პარმენ ვაჩეიშვილი** (ოზ. მაზრ., კოხნარის თემიდან) ვაძლევ მთელ სახნავ-სათეს მიწას კოხნარის კოლექტივს და მოუწოდებ მამაჩემს ივანეს და ძმას იოსებს, რათა მთელი თავისი ქონებით შევიდნენ კოლექტივში. აგრეთვე ვიწვევ შემდეგ ამხანაგებს, შესწირონ თავიანთი მიწები კოლექტივს: ა. კეშელავას, დ. ვაჩეიშვილი, ეზეკია ვაჩეიშვილი, ლ. ვაჩეიშვილს, აკაკი ჯღიას, ლ ჭკუასელს და ჩვენი დარგის ყველა მუშა - კომკავშირლებს" — ამბობს თავის განცხადებაში ამხ. პ. ვაჩეიშვილი.

მუშა **სერგო ხიტირია** აძლევს თავის მიწას სოფ. ჩოლობარგის კოლექტივს; **შალვა გიორგაძე** — გუთურის კოლექტივს და ე. ჩანტლაძე სოფ. ერკეთის კოლექტივს; მუშა **გალაქტიონ ჟღენტი** თავის მიწას აძლევს სოფ. სამების კოლექტივს და იწვევს გრიგოლ და სერგო ჟღენტებს.

ვლადიმერ გოგია აძლევს თავის მიწას თავის სოფლის კოლექტივს და იწვევს კაპ. გიორგაძეს, სარ. კარტოზიას და ვასო ელიკაშვილს. ფილიმონ ჯიბუტი აძლევს მიწას შუაამაღლების კოლექტივს და იწვევს ნიკიტა, აკაკი და დათიკო ჯიბუტებს.

დათიკო კუტალაძე აძლევს თავის მიწას კოხნარის კოლექტივს და იწვევს გ. ჟღენტს, ოლიფ. დოლიძეს და გაბო ლუტიძეს. **სიო კალანდაძე** აძლევს თავის მიწას სოფ. ხიდისთავის კოლმეურნეობას და **ისაკი სიხარულიძე** — ბუკისციხის კოლექტივს; **ნესტორ ჭოკხონელიძე** — აძლევს მიწას სორის კოლექტივს და იწვევს მისა და სანდრო სახაძეებს, **რაფიელ კოროშინაძე** — ნაბეღლავის კოლექტივს და იწვევს ლად. მამალაძეს; პ. მამალაძეს, გერ. ჯინჭარაძეს, გერმანე, ბარნაბა და თეოფილე კოროშინაძეებს; **შოთა უჯმაჯურიძე** შედის თავისი მიწით ჩაის კოლმეურნეობაში და იწვევს იაშა კობიძეს, დ. უჯმაჯურიძეს, მიხ. ბერიძეს, ვალ. მგალობლიშვილს; **სევერიანე გვინჩია** — იწვევს ლავრ. წითლიძეს და მელ. სალუქვაძეს; **ილარიონ ჯიხვარია** აძლევს მიწას ერკეთის კოლექტივს და მოუწოდებს მამა - მის შევიდეს კოლექტივში; **სოლომონ გიორგაძე** იწვევს ტარასი გიორგაძეს და არსენ თოდრიას (ერკეთლებს); **ალექსანდრე და ნიკიფორე ჩიგოგიძეები** აძლევენ თავის მთელ სახნავ-სათეს მიწას ხიდისთავის კოლმეურნეობას და იწვევენ ბ. მელუას, ანდრო, გიგო და ვასო ჩიგოგიძეებს და მაქსიმე გოლუას; **ტარასი კობიძე** იწვევს კაკისა უჯმაჯურიძეს, ბასო ბოლქვაძეს, გრ. ცინცაძეს, ხ. ქორიძეს და ნიკ. კობიძეს; **ვარლამ გაბუნია** აძლევს მიწას მარნის კოლმეურნეობას და იწვევს ფილ. თელიას, პ. ჯანელიძეს, ისაკი დუნდუას, კ. ციცხვაიას, შალვა, გრიშა და ლევან თელიებს.

ლენრაიონის მესამე კომუჯრედის პასუხისმგებელი მდივანი **ტიტიკო კალანდაძე** აძლევს თავის მიწას მერეშის კოლმეურნეობას და იწვევს დეპოს და სტალინის სახელობის სახელოსნოების კომუჯრედების მდივნებს.

რა ხდება ადგილებზე

სას. სამ. საკრ. სისტემის რეორგანიზაცია

ახალ-სენაკი, 18 იანვარი. საკრედიტო ამხანაგობების წარმომადგენელთა თათბირმა მიიღო დადგენილება სასოფლო-სამეურნეო საკრედიტო სისტემის რეორგანიზაციის დამთავრების შესახებ 25 თებერვლამდე. რაიონში ჩამოყალიბებული იქნება მემინდვრეობის, მესაქონლეობის და მეფრინველეობის სპეციალური ამხანაგობები.

საკრედიტო ამხანაგობებს დავალებული აქვთ, რომ იანვრის ბოლომდე დაამთავრონ რეორგანიზაციისთვის საჭირო წინასწარი მუშაობა იმ ვარაუდით, რომ 25 თებერვლამდე გადავიდნენ მუშაობის ახალ სისტემაზე.

გარდა ამისა საკრედიტო ამხანაგობებმა რიგს გარეშე უნდა აწარმოონ ვადაგადასულ სესხების შეკრება. (ადს).

რენტგენის კაბინეტი

ახალ-სენაკი, 18 იანვარი. სამაზრო ჯანმრთელობის განყოფილებამ გახსნა რენტგენის კაბინეტი. კაბინეტის შენობა კაპიტალურათაა შეკეთებული.

კაბინეტი დააკმაყოფილებს ფოთის რაიონის, ზუგდიდის და სენაკის მაზრების მოთხოვნილებას.

ზარების ჩამოხსნა

ქუთაისი, 18 იანვარი. მთელი რიგი წარმოებების მუშებს გამოაქვთ დადგენილება ქალაქის ყველა ეკლესიებიდან ზარების დაუყოვნებლივი ჩამოხსნისა და მათი ინდუსტრიალიზაციის ფონდში გადაცემის შესახებ. 17 იანვარს მაუდის ფაბრიკის მუშებმა და სამხედრო ნაწილების წითელარმიელებმა ქალაქის აღმასკომში შეიტანეს განცხადება, რომელშიც თხოულობენ დაკმაყოფილებული იქნეს მათი მოთხოვნილება ეკლესიებიდან ზარების ჩამოხსნის შესახებ. (ადს).

მგლების თავდასხმა

თელავი, 18 იანვარი, ცივი გომბორის უღელტეხილის მთელ რიგ სოფლებიდან მონადირეთა კავშირს ატყობინებენ, რომ გამოჩნდა მგლების დიდი ხროვა. ამ სოფლებში მგლებს დაუგლეჯიათ ძროხები, ღორები და ცხვრები. იყო შემთხვევები, რომ მგლებმა თავს დაესხნენ ადამიანებსაც. მგლების დიდი ხროვა დაძრწის აგრეთვე პანკისის ხეობაში. მონადირეთა კავშირი ხსენებულ რაიონებში გზავნის მონადირეთა რაზმებს მგლების დასახოცად. (ადს).

—:—

ახალი კოლმეურნეობები

ოზურგეთი, 17 იანვარი. შრომის თემში მოეწყო შერეული კულტურების (ჩაი, მანდარინა, ვაშლი) სამი კოლმეურნეობა. კოლმეურნეობა „მნათობში" გაერთიანებულია 40 მეურნეობა 50 ჰექტარი მიწით; „განათლებაში— 28 მეურნეობა 82 ჰექტარი მიწით; „წინსვლა"-ში—21 მეურნეობა 14 ჰექტარი მიწით. (ადს)

ქრონიკა

მოჯამაგირეები უმ. სასწავლებლებში

პროფსაბჭომ გადასწყვიტა თბილისში გახსნას სპეციალური კურსები მოჯამაგირეთათვის. კურსების დამთავრების შემდეგ მოჯამაგირეები გაიგზავნებიან სასოფლო მეურნეობის ინსტიტუტში.

სულ მომზადებული იქნება 50 მოჯამაგირე.

შეღავათები მოსწავლე მუშებს

უმაღლეს ორგანოების დადგენილებით ის მუშები, რომელნიც წარმოებებში მუშაობენ და იმავე დროს სწავლობენ უმაღლეს სასწავლებლებში ან ტექნიკუმებში შესასვლელად მოსამზადებელ კურსებზე, სარგებლობენ მუშაკებისათვის მინიჭებულ ყველა უფლებებით და შეღავათებით.

ჯანმრთ. დაწესებულებების და მედ. პერსონალის აღრიცხვა

ახლო ხანში დაიწყება სახალხო ჯანმრთელობის დაწესებულებების და მედპერსონალის საკავშირო აღწერა. საქართველოში აღწერის ჩასატარებლად უკვე დაწყებულია მოსამზადებელი მუშაობა.

ცუდი ხარისხის აგური

ამიერ-კავკ. სახ. კომისართა საბჭომ არადამაკმაყოფილებლად სცნო თბ. აღმასკომის ადგილობრივ მრეწველობის განყოფილების აგურ-ქარხნებში დამზადებული აგურის ღირსება. ამიერ-კავკ. სახ. მეურ. უმ. საბჭოს დავალა მიიღოს ზომები აგურის ღირსების გასაუმჯობესებლად.

მოსახლეობის მოძრაობა

მოსახლეობის მოძრაობის უკეთესად აღრიცხვის მიზნით გადაწყდა სამოქალაქო აქტების ჩაწერა აწარმოებდეს სტატისტიკურ ბარათების სისტემით. გარდა ამისა ყოველ სასოფლო-საბჭოსთან დაარსდება სამოქალაქო აქტების ჩაწერის ბიუროები.

მცირეწლოვანი დამნაშავენი

მცირეწლოვან დამნაშავეთა საქმეების განმხილველ კომისიაში გასულ წელს შემოვიდა 534 საქმე, რომლითაც მკვლელობის განზრახვაში, ქურდობაში, უზნეო მოქმედებაში და სხ. ბრალი ედებოდა 681 ბავშს, მათ შორის 18 ქალს.

ეროვნების მიხედვით დამნაშავეთა შორის იყო: 165 ქართველი, 156 რუსი, 279 სომეხი, სხვადასხვა ეროვნების—81. დამნაშავენი იყვნენ 6—16 წლის ჰასაკამდე. მათი უმრავლესობა მოთავსებულ იქნა ბავშთა ახალშენში, საავადმყოფოებში, საბავშო ბაღებში და სხ.

მოკლევადიანი შეკრება

24 და 25 იანვარს № დივიზიის ცალკე მესანგრე ასეული ატარებს 1903, 1904, 1905 და 1906 წ. დაბ. ცვალებად შემადგენლობის ორდღიან მოკლევადიან შეკრებას. ტანსაცმელის გაცემა იწარმოებს 16—20 საათამდე 23 იანვარს. მეცადინეობა დაიწყება 24 იანვარს 8 საათიდან ასეულის საზამთრო ბინაზე (ძნელაძის ქ. 21).

სხვადასხვა

◆ სოციალური ჰიგიენის ინსტიტუტის აუდიტორიაში 19 იანვარს, საღ. 6 საათზე, შესდგება ექიმთა მე-3 კონფერენცია. დღის წესრიგშია: პროფ. მიქელაძე „თურქულის შემთხვევა ადამიანზე"; ამხ. არველაძე და ექ. ვორობიოვი—„ტუბდისპანსერის მუშაობა"; ექ. გარიბოვი და თინქაშვილი—„მწვანილის როლი მუცლის ტიფის გავრცელებაში თბილისის მცხოვრებთა შორის".

◆ 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში დანიშნულია ამხ. შ. გეგენავას მოხსენება შემდეგ თემაზე „რა უშლის ხელს თვითკრიტიკის გაშლას განათლების მუშაკთა კავშირში".

◆ ორშაბათს, იანვრის 20, საღამოს 7 საათზე, განათლების მუშაკთა სახლში შესდგება ამხ. კ. ბაქრაძის ლექცია: „დასავლეთ ევროპის თანამედროვე ფილოსოფია (მის კრიზისთან დაკავშირებით). შესვლა თავისუფალია.

● ორშაბათს, 20 იანვარს, საღ. 6 საათზე ახალ მუშათა კლუბში (კომინტერნის ქუჩა) გაიხსნება საზ-ბა „ავტოგზა"-ს თბილისის პირველი საოლქო კონფერენცია. დღის წესრიგი:

1) საზ-ბის მიზანი და ამოცანები, 2) საქ. „ავტოგზა"-ს საანგარიშო მოხსენება, 3) საოლქო საბჭოს და სარევიზიო კომისიის არჩევნები და საქ. „ავტოგზა"-ს პირველ ყრილობის დელეგატების არჩევა.

ხელოვნების ქრონიკა

◆ ორშაბათს, 20 იანვარს, საქართველოს საბჭოთა მწერლების ფედერაცია აწყობს ლენინის გარდაცვალებიდან 6 წლის თავის აღსანიშნავ საღამოს" მოხსენებას გააკეთებს ამხ. მიხა ცხაკაია—„ექვსი წელი ლენინიზმისა ულენინოთ", შემდეგ საბჭოთა და პროლეტარული მწერლები წაიკითხავენ ლექსებს. დასაწყისი საღამოს სრულ 8 საათზე, შესვლა თავისუფალია.

◆ მოზარდ მაყურებელთა სახელმწიფო თეატრში კვირას, 19 იანვარს, „პაიატა"-ს წარმოდგენის დამთავრების შემდეგ გაიმართება დისპუტი ამავე პიესის გარშემო.

—:—

გამოვიდა „დროშა" № 1 (25)

მიხა ცხაკაია—„ლენინიზმის" ექვსი წელი ულენინოდ", სიმონ ჩიქოვანი (ლექსი)— „ოცდა ერთი იანვარი"; დ. სულიაშვილი — „ლენინი და პეტროგრადი"; გ. ლინგი— —„მეტი ყურადღება საბჭოთა ბავშს"; შ. ფურცხვანიძე—„თბილისის ახალი წყალსადენი"; ფარი.— აკაკი წერეთელი—გარდაცვალებიდან 15 წლის შესრულების გამო". მ. გვასალია— (მოთხრობა) „წაგებული ბრძოლა"; გ. მებუკე —„გალაკტიონ ტაბიძე"; ეგ. წულაძე—„სისხლიანი კვირის 25 წლის თავი"; ბ. გ. —„საყურადღებო გამოფენა"; უცხოეთის და ჩვენი ფოტო-ქრონიკა; 40 ფოტოგრაფიული სურათები; ფასი 15 კაპ.

ხანძარი ქუთაისში

ქუთაისი, 18 იანვარი (საქ. კორ.) პარასკევს, 17 იანვარს, ღამის 1-ლ საათზე თბილისის ქუჩაზე ცეცხლი გაუჩნდა თამბაქოს ყოფ. ქარხნის შენობას, სადაც ამჟამად ცეკავშირის საწყობებია და ამ დღეებში იქ უნდა მოეწყოთ საავადმყოფო მშობიარეთათვის. ცეცხლმა მოიცვა მთელი უზარმაზარი სამსართულიანი შენობა. ხანძრის ადგილზე სასწრაფოდ გამოცხადდა ცეცხლის მქრობელი რაზმი და აგრეთვე სამხედრო ნაწილები. დასახმარებლად გამოიწვიეს აგრეთვე ახლო რაიონების ცეცხლის მქრობელი რაზმებიც. სამტრედიის რაზმი დილის 5 საათზე უკვე ქუთაისში იყო, დილის 7 საათისათვის ჩამოვიდნენ ზესტაფონისა და შორაპნის რაზმები. როგორც ვიცით, ჯერჯერობით ქუთაისს წყალსადენი არ მოეპოვება, მაგრამ მოახერხეს და მდინარე რიონიდან რეზინის მილებით გამოიყვანეს წყალი.

შენობის გადარჩენა არ მოხერხდა, ხოლო ცეცხლის მქრობელი რაზმებისა და განსაკუთრებით სამხედრო ნაწილების ენერგიული მუშაობის წყალობით, ახლო მდებარე შენობებზე გადასული ცეცხლი დროზე იქნა ჩაქრობილი. რამდენიმე შენობა იქნა დანგრეული გვერდით, რომ ცეცხლი არ გადასულიყო. რაკი ქარხნის შენობის გადარჩენა შეუძლებელი შეიქნა, მთელი ძალღონე მიმართეს საწყობში დაგროვებულ საქონლის გადასარჩენად. საწყობში იყო 14½ ვაგონი პურის ფქვილი, 8 ვაგონი შაქარი, რომელთა დიდი ნაწილი გადაარჩინეს. ცეცხლი ჯერ კიდევ მთლად ჩამქრალი არ არის, მაგრამ დილის 10 საათიდან უკვე აღარ წარმოდგენს საშიშროებას ახლო მახლო შენობებისთვის.

ცეცხლის გაჩენის მიზეზი ჯერ არ არის გამორკვეული. ზარალი 400.000 მანეთს აღემატება.

—:—

ქუთაისი, 18 იანვარი. ღამით 17 იანვარს, ცეცხლი გაუჩნდა ცეკავშირის საწყობს, რომელიც მოთავსებული იყო ყოფ. თამბაქოს ფაბრიკის შენობაში. ცეცხლი სწრაფად მოედო შენობის მთელ ზემო ნაწილს. სახანძრო რაზმებისა და ჯარის ნაწილებს ენერგიული მუშაობის წყალობით შესაძლებელი შეიქნა საწყობში შენახულ 8 ვაგონ შაქრისა და 14½ ვაგონი ფქვილის გადარჩენა. ცეცხლის ქრობის დროს დაშავდა 4 მეხანძრე, რომლებიც გაიგზავნენ საავადმყოფოში. წითელმა ჯვარმა მოაწყო პირველი საექიმო დახმარება. შედგენილია საუწყებათაშორისო კომისია ხანძრის მიზეზების გამოსარკვევად (ადს).

ხანძარი ჩააქრეს

ქუთაისი, 18 იანვარი. ხანძრის ჩაქრობა მოხერხდა ნაშუადღების 4 საათისათვის. გადარჩენილია შაქრის და ფქვილის ნაწილი და ღია ცის ქვეშ არის მოთავსებული.

მათ გადასატანად მუშკოოპის საწყობებში მოხდა მთელი ტრანსპორტის (მათ რიცხვში კერძო პირთა ტრანსპორტისაც) მობილიზაცია.

ორშაბათს, 20 იანვარს, საღამოს 6 საათზე,საქ. კომპ. (ბ) ცეკას საგიტაციო -საპროპაგანდო განყოფილება სახალხო მეურნეობის კლუბში **იწვევს თათბირს** საქ. სახელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის სპეციალობათა საკითხის შესახებ

(ფაკულტეტებისა და სპეციალობათა რიცხვის საკითხი).

დღის წესრიგში სდგას: საქართველოს სა ხელმწიფო პოლიტექნიკური ინსტიტუტის გამგეობის მოხსენება. თათბირს უნდა დაესწრონ თბ. საოლქო კომიტეტის და რაიკომების სააგიტაციო-საპროპაგანდო განყოფილებების წარმომადგენლები, საქ. სახ. მ. უმ. საბჭოს პრეზიდიუმის წევრები, ყველა ტრესტების წარმომადგენლები და ტექნიკური განყოფილებების გამგეები, საქ. წყალთა მეურნეობის სამმართველოს წარმომადგენლი, წარმომადგენლები: საკავშირო პროფსაბჭოსი, რკინის გზის სამმართველოსი, ამიერ-კავკასიის და საქართველოს სახ. საგეგმო კომისიების, ქალაქის აღმასრულებელი კომიტეტის (ადგილობრივი თვითმმართველობის და კომუნალური განყოფილების), ინჟინერ-ტექნიკოსთა სასექციათაშორისო ბიუროსი, მუშათა და გლეხთა ინსპექციის კოლექტორის. სასურველია დაესწრონ დაინტერესებული ცალკე სპეციალისტები და დაწესებულებები.

სასამართლო

განაჩენი ე. კობახიძის საქმეზე

გუშინ საქართველოს უზენაესმა სასამართლომ ამხ. რ. კალანდაძის თავმჯდომარეობით გამოიტანა განაჩენი მოქ. ელიზბარ ნიკოლოზისძე კობახიძის საქმეზე.

კობახიძეს, როგორც სულით ავადმყოფს, მიესაჯა სამკურნალო ხასიათის სოციალური დაცვის ღონისძიება — საიზოლიაციო - სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსება განკურნებამდე.

—:—

როგორ დაიკარგა ადგილკომის თავმჯდომარე

დაიკარგა ადგილკომის თავმჯდომარე. თბილისის ცენტრალური პოლიკლინიკის ადმინისტრაცია და თანამშრომლები გაოცებაში იყვნენ. ეს იყო გასული წლის ივლისში.

გადიოდა დღეები. ადგილკომის თავმჯდომარე ივანე პავლესძე ხუციშვილი არსად სჩანდა, არც სამსახურში, არც ქუჩაში, არც თავის ბინაზე.

მედსანშრომის კავშირის ცენტრალურ გამგეობას ეჭვი აღეძრა ხუციშვილის უგზო-უკვლოდ დაკარგვამ და ყოველ შემთხვევისათვის მან საჭიროდ სცნო ცენტრალურ პოლიკლინიკის ადგილკომის საბუთების გადასინჯვა და შემოსავალ-გასავლის შემოწმება.

ჯერ კიდევ დამთავრებული არ იყო ადგილკომის რევიზია, რომ მაზრა - ქალაქის პროკურორის წინაშე ივანე ხუციშვილი წარსდგა ასეთი „აღსარებით“.

— ვიცი, რომ მე დამჭერენ. მე არ დავკარგულვარ, თუმცა სცდობდა რომ დავკარგულიყავი... თქვენი შემოსახედი პირი არ მაქვს,.. შეგიძლიათ ეხლავე დამაპატიმროთ. სარევიზიო კომისიას ტყუილა ნუ აწვალებთ. მე თვითონ გიტყვი, რაც ჩავიდინე..,

ილაპარაკა ხუციშვილმა, რომ მისი დაკარგვა ინდუსტრიალიზაციის მეორე სესხის ობლიგაციებმა გამოიწვია. და ეს მოხდა შემდეგ ნაირად. როცა მას ობლიგაციების ანგარიშში შემოსული თანხები დაუგროვდა, გადასწყვიტა ამ დაგროვილი ფულიდან სარგებელი ენახა და დაიწყო ბანქის თამაში. ზოგჯერ მოიგო, ზოგჯერ წააგო და საბოლოოდ წაგებული აღმოჩნდა 1.650 მანეთი.

მანამდე კიდევ ჰქონდა გაფლანგული კავშირის ანარიცხებიდან 200 მანეთამდე. ასე, რომ გაფლანგული თანხა 2000 მანეთზე ავიდა. მაშინ ამჯობინა გაქცევა, მაგრამ (?) შემდეგ გადაიფიქრა და დაბრუნდა.

ივანე ხუციშვილი გაიგზავნა გამასწორებელ სახლში.

საქმე გუშინ გაარჩია მე-2 უბნის სახალხო სასამართლომ ამხ. ტ. მგალობლიშვილის თავმჯდომარეობით და პროკურორ ი. ძაძამიძის მონაწილეობით.

ხუციშვილს მიესაჯა თავისუფლების აღკვეთა 3 წლით სასტიკი იზოლიაციით.

—

განაჩენი ა. ჩერგოლეიშვილის საქმეზე

ქუთაისის 1 უბნის სახალხო სასამართლოს ყოფილი მოსამართლე ალექსანდრე ვასილისძე ჩერგოლეიშვილის საქმე გაარჩია საქართველოს უზენაეს სასამართლოს სესიამ ამხ. მ. ბურკაძის თავმჯდომარეობით. როგორც ცნობილია, ჩერგოლეიშვილმა მათრახით სცემა და შემდეგ რევოლვერი ესროლა პატიმარ მურვანიძეს, რომელთანაც ანგარიშის გასწორება უნდოდა მისი ცოლისადმი შეურაცყოფისათვის.

სასამართლოში გამოწვეულმა ექსპერტებმა ჩერგოლეიშვილი შეამოწმეს, როგორც სულით ავადმყოფი.

სასამართლომ ჩერგოლეიშვილს მიუსაჯა იძულებითი მკურნალობა საიზოლიაციო - სამკურნალო დაწესებულებაში მოთავსებით.

ბერ.

შემთხვევები

კატასტროფა კახეთის ქუჩაზე

გუშინ დილით წყალსადენის სამმართველოს ნახევრად საბარგო ავტომობილი № 816, რომელსაც მართავდა შოფერი **ალექსანდრე მირუმოვი** კახეთის ქუჩაზე (ტრამვაის გასაჩერებელ ადგილის მახლობლად) დაეჯახა ტრამვაის ვაგონს № 102 მარშრუტი მე-9) დაჯახება იმდენად ძლიერი იყო, რომ ვაგონიცა და ავტომობილიც—სერიოზულად დაზიანდა.

ავტომობილში, იხსდნენ ნავთლუღში მიმავალი მუშები (12 კაცი).

კატასტროფის დროს მძიმედ დაშავდა 8 მუშა **მელიქ გაბოიანი, ზაქარია ბარამაშვილი, მისაკ ხითარიანი, ლევან ავეტისოვი, არუთინ კოჩორიანი, უნანვა პოპოსოვი, ტიგრან სარქისიანი** და **ტონო მინასიანი**. მუშა არუთინ იორიანის გადარჩენა საეჭვოა. ტრამვაის ვაგონში მყოფი მგზავრებიდან არავინ დაშავებულა.

კატასტროფის ადგილზე გაემგზავრნენ სახელის სამართლის მილიციის წარმომადგენელნი და გამომძიებელი **აქ. კიკვაძე**.

გამომძიებელმა გამოიწვია სასამართ. ექიმი ვატმანის და შოფერის შესამოწმებლად ორივე ფხიზელი აღმოჩნდა.

როგორც გამოირკვა, კატასტროფა მოხდა შემდეგ პირობებში: ვატმან **გრიგოლ შრიდიას** ვაგონს დიდი სისწრაფით მიჰყავდა. ვაგონის უკან მიდიოდა ავტომობილი. შოფერმა მირუმოვმა განიზრახა ვაგონისათვის გასწრება და ავტომობილი მოაბრუნა მარცხნივ და შეიჭრა ტრამვაის ხაზზე. ვატმანმა ვერ შეამჩნია ავტომობილი, რასაც მოჰყვა დაჯახება. დაჯახების დროს ავტომობილი შემოტრიალდა და დაეჯახა ტელეგრაფის ბოძს.

გამოძიებით გამოირკვა, რომ შოფერმა დაარღვია მოძრაობის სავალდებულო წესები. ირკვევა აგრეთვე, რომ ვატმანმაც არ მიიღო შესაფერი ზომები მარცხის თავიდან ასაცილებლად. მირუმოვი და შრიდია დააპატიმრეს კატასტროფის ადგილზე.

ექსპერტთა დასკვნით, ვაგონის მუხრუჭსა და გზის ტექნიკურ პირობებს არ შეეძლო გამოეწვია კატასტროფა.

კოოპ. სავაჭროს გაქურდვა

გუშინ ღამის 11 საათზე გაქურდეს მუშკოოპის დუქანი № 47 (კამოს ქ. № 68), წაღებული საქონლის რაოდენობა გამორკვეველი არ არის.

ქურდობა

გაქურდეს ბიქტორ მენაბდის ბინა (კლდეკიანის ქ. № 224), საიდანაც წაიღეს 325 მანეთი.—დავით გრიგოლის ძე მამათავარიშვილს ოპერის თეატრში ჯიბიდან ამოაცალეს საათი და სხვადასხვა საბუთები;—გაქურდეს ვაგან კაზარიანის ფოტოგრაფიული სახელოსნო (პანასკერტის ქ. № 47); წაიღეს 200 მანეთის ფოტო-აპარატი.

ჭადრაკი

ვ. გოგლიძის რედაქტორობით

(ამოცანა) შ. ხვინგია (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

(ამოცანა) ს. კალანდაძე (თბილისი)
(იბეჭდება პირველად)



შამათი ორ სვლაში

8 ოქტომბრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა.

ამოცანა შ. ხვინგიასი: შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. მc3—e2! (ცუგცვანგი)

I. 1.., მg:e4 2. ლd3× II. 1.., კ:e4 2. ლh3× III. 1.., კd5 2. ლ:d5× IV. 1.., g:e2 2. ლf3× V. 1.., მe3 2. მf4× და სხვა ..

ამოცანა ს. კალანდაძის; შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ლe8—e5 (ცუგცვანგი)

I. 1.., ეf8:h8 2. ლ:h8× II. 1.., ეh8:b8 2. ლ:b8× III. .., ეg8 2. ე:g8× IV. 1.., ეc8 2. ე:c8× V. 1.., f4 2. ლh5× VI. 1.., d5—d4 2. ლb5×

—:—

20 ოქტომბრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა დ. კვესელავასი, შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: 1. ეe1—e4! (მb4× მუქარით)

I. 1.., ლ:e4 2. f:e× II. 1.., მ:c6 2. კ:c6× III. 1.., კf8 2. ეe5× IV 1.., ლe7+ 2. მ:e7× V. 1.., ლe1 2. მe7× VI. 1.., კc3 3.., მ:c3 და სხვა...

ამოცანა ვ. ტყეშელაშვილის. შამათი ორ სვლაში. გადაწყვეტა: ამ ამოცანას აქვს ორი გადაწყვეტა: 1. ეdb (კd5× მუქარით) და მეორე უბრალოდ ქიშით 1. ეe5+, მ:e5 2. მf6× უახლოეს №-ში მოვათავსებთ ამავე ამოცანას შესწორებულ სახით.

—:—

31 ოქტომბრის №-ში მოთავსებულ ამოცანების გადაწყვეტა

ამოცანა ა. კეზელის. შამათი შვიდ სვლაში გადაწყვეტა: 1. კh3-g4! შავებს ერთად ერთი სვლა აქვთ: 1.., e3 2. d4+, მეe4 3. კh3! e5 4. d5!!, c:d 5. კg4, d4 6. მg c4, d3 7. cd×.

ამოცანა გ. კასპარიანის. შამათი ორ სვლაში გადაწყვეტა: 1. ეe4 e5! (ცუგცვანგი) I. 1.., e:d 2. ეd:d5× II. 1.., მეc5 2. d:e× III. 1.., მეe5 2. კ:g3× და მხედრის ნებისმიერ სვლაზე 2. de×.

პასუხი მკითხველებს

შ. ხვინგიას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. გოგიამ, კ. ფირცხალავამ, მ. კალაშნიკოვმა, ვ. ნადირაძემ (ბაკურიანი), ვ. შავგულიძემ (ქუთაისი), ჯ. ჩომახიძემ (ს. მტრედია), ი. ბერეჟცემა (ქუთაისი), ვ. ლარსაძემ (ქ. ტიუმენი), შ. ჭიპაშვილმა (ხაშური), გ. ლომსაძემ (სოფ. ჯიხაისი), ა. ხუნჯუამ (სენაკის მაზრა, ეკის თემი), ი. კოტრიკაძემ (სამტრედია) და შ. გოგავამ (ქუთაისი).

ს. კალანდაძის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. გოგიამ, მ. კალაშნიკოვმა, შ. გოგავამ, ჯ. ჩომახიძემ, ვ. შავგულიძემ, ი. კოტრიკაძემ, შ. ჭიპაშვილმა, გ. ლომსაძემ, ვ. ლარსაძემ, ვ. ნადირაძემ, ა. ხუნჯუამ, შ. გოგავამ, ი. ბერეჟცემა და ა. მუშკუდიანმა (ხონი).

დ. კვესელავას ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: ა. ჩირაძემ, ა. გოგიამ, კ. ფირცხალავამ, ვ. შავგულიძემ და ვ. ლომთაძემ (ორივე ქუთაისიდან).

ვ. ტყეშელაშვილის ამოცანის გადაწყვეტა გამოგზავნეს: ი. კოტრიკაძემ, ვ. შავგულიძემ, ვ. ლომთაძემ, ჯ. ჩომახიძემ, ა. გოგიამ (ორივე გადაწყვეტა), კ. ფირცხალავამ, შ. ჭიპაშვილმა და ო. არუთინოვმა.

ა. კეზელის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნა ა. ჩირაძემ.

გ. კასპარიანის ამოცანის სწორი გადაწყვეტა გამოგზავნეს: კ. ფირცხალავამ, ჯ. ჩომახიძემ. აპ. ხუნჯუამ, შ. ჭიპაშვილმა, ა. ჩირაძემ, ი. კოტრიკაძემ, ნ. ჩუბინიძემ (ზესტაფონი) და ა. გეგენავამ (ახალსენაკი)

—:—

შეცდომის გასწორება

22 დეკემბრის №-ში დ. ჩქარის ამოცანაში g7-ზე შეცდომით გამოგვრჩა პაიკი.

რკინისგზეზე

ცვლილებები თბ. საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში

რკინისგზელთა პროფკავშირის თბილისის საუბნო კომიტეტის უკანასკნელი პლენუმის დადგენილებით, თბილისის საუბნო კომიტეტის პრეზიდიუმის შემადგენლობაში მოხდა ცვლილება.

სატარიფო-ეკონომიური განყოფილების გამგედ დაინიშნა ამხ. ნიკო ვაჭარაძე, ამ განყოფილების ყოფ. გამგე ამხ. გ. ლატარია დაინიშნა კომიტეტის პასუხისმგებელ მდივნად, ხოლო ყოფ. პასუხისმგებელი მდივანი ამხ. ქურდოვანიძე გადაყვანილ იქნა პარტიულ სამუშაოზე.

საგზაო სატარიფო თათბირი

დღეს, დილის 10 საათზე ამიერ-კავკ. საგზაო კომიტეტის ბინაზე იხსნება ამიერ-კავკ. რკ. გზ. საგზაო სატარიფო თათბირი.

თათბირი გარდა ხელფასის რეფორმის საკითხებისა, განიხილავს განუწყვეტელ საწარმოო კვირაზე გადასვლის, გენერალურ კოლექტივშეკრულების შესრულების და სამგზავრო ბილეთების საკითხებს.

მოლარე-კომბინატორი

სამსახურიდან მოხსნეს და დააპატიმრეს სადგ. თელავის მოლარე პაპიაშვილი.

როგორც ირკვევა, პაპიაშვილს გაუცია ტვირთი და ფული—335 მანეთის რაოდენობით, რომელიც გადუხდევინებია ტვირთის გამგზავნელისათვის და მიუთვისებია. არც ტვირთის გაგზავნის საბუთები გაუტარებია წიგნებში.

ფეხბურთი

მილიციონერები-ტრანსპორტელები

დღეს, კვირას, 19 იანვარს, ლენინის სახელობის სტადიონზე გაიმართება საინტერესო შეჯიბრება ფეხბურთში. თამაშობენ მილიციონერები და ტრანსპორტელების პირველი გუნდები.

შეჯიბრება დაიწყება ნაშუადღევის 3 საათზე

რადიო-გადაცემა

კვირა, 19 იანვარი

დღეს თბილისის რადიო სადგურიდან გადაცემული იქნება შემდეგი პროგრამა: საბავშვო ლიტერატურულ-მუსიკალური დილა. გადაცემა სოფლელებისათვის, ექიმის საუბარი; საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა—ქართულ ენაზე. მოხსენება საქართველოს ცაკის მესამე სესიის შედეგების შესახებ—ქართულ ენაზე. რადიო-ინსცენიროვკა შემდეგ თემაზე: „საგაზაფხულო სას. სამ. კამპანია“—ქართულ ენაზე; საგაზაფხულო სასოფლო-სამეურნეო კამპანიის საათი; საუბარი „ტექნიკური კულტურები“ (ქართულ ენაზე). პოპულიარული კონცერტი. კომკავშირული რადიო-გაზეთი (ქართულ ენაზე). რადიო-მიტინგი—ინჟენერ-ტეხნიკოსთა კვირეული. ლექცია ციკლიდან „საბჭოთა პედაგოგის დასახმარებლად“.—„პოლიტგანათლების ორგანოები სასოფლო-სამ. კამპანიაში“—ქართულ ენაზე. მხატვრული კითხვის საათი. საერთაშორისო და შინაური მიმოხილვა — რუსულ ენაზე. დაუსწრებელი კოოპერატიული კურსები რადიოთი, ლექცია—„ეკონომპოლიტიკა“—ქართულ ენაზე. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები. დროს შემოწმება. ოპერ. „კარმენ“-ის ტრანსლიაცია განმარტებებით რუსულ ენაზე. დასვენების დროს რეკლამა.

ორშაბათს, 20 იანვარს

დილით—ყრმათა შუადღე, ახალი ამბები და კონცერტი. საღამოთი: მუსიკის მოსმენა ნასადილევს, რეკლამა. პიონერისა და მოსწავლის საათი. რადიო-ფილმი „ლენინი და ახალგაზრდა პიონერები—ლენინელები“—რუსულ ენაზე. რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე. წითელარმიელთა რადიო-გაზეთი—ქართულ ენაზე. დაუსწრებელი კომუნისტური უნივერსიტეტი რადიოთი, ლექცია „აღმოსავლეთისა და დასავლეთის ისტორია“—რუსულ ენაზე. დროს შემოწმება. საუბარი „კოოპერაცია და თესვის კამპანია“—ქართულ ენაზე, რადიო-გაზეთი რუსულ ენაზე. გეოფიზიკურ ობსერვატორიის ცნობები, ქართულ პროლეტარულ მწერალთა და თანამგზავრების ნაწარმოებთა ლიტერატურული საღამო. რეკლამა. მომავალი კვირის გადაცემათა ცხრილი. უკანასკნელი ამბები.

ოფიც. განყოფილება

დადგენილება

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი

მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების მე-8 მუხლის—შენიშვნით ურთ შეცვლისა და მე-11 მუხლის დამატების შესახებ

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭო ადგენენ:

1. მოსახლეობის თვითდაბეგვრის დებულების (საქ. კან. კრ. 1929 წ. მე-9 №-რი, მუხ. 71) მე-8 მუხლი შენიშვნებითურთ მიღებულ იქნეს შემდეგი რედაქციით:

„მუხ. 8. მოქალაქეთა საერთო კრებას (ყრილობას) შეუძლიან განთავისუფლოს თვითდაბეგვრაში მონაწილეობისაგან: 1) ა) სასოფლო-სამეურნეო გადასახადისაგან მცირეძალოვნების გამო განთავისუფლებული მეურნეობა; ბ) ომისა და შრომის ინვალიდის მეურნეობა; გ) სამხედრო მსახურის მეურნეობა; დ) მუშისა და მოსამსახურის მეურნეობა, რომელიც სასოფლო-სამეურნეო გადასახადით არ იბეგრება და 2) ის მუშა და მოსამსახურე, რომელიც საშემოსავლო გადასახადისაგან განთავისუფლებულია.

შენიშვნა 1. აღნიშნული კატეგორიის მეურნეობებს შეუძლიანთ მონაწილეობა მიიღონ თვითდაბეგვრაში ერთიდან ვიდრე სამი პაის რაოდენობით.

შენიშვნა 2. ის პირი, ვინც სახელმწიფო სამსახურში იმყოფება და დამოუკიდებელ საგლეხო მეურნეობას არ ეწევა, თვითდაბეგვრის წესით არ დაიბეგრება, უკეთუ იმ ღონისძიებას, რომლისთვისაც დაწესებულია თვითდაბეგვრა, მისთვის პირდაპირი სარგებლობა არ მოაქვს.

2. იმავე დებულების მე-11 მუხლს დაემატოს შემდეგი შინაარსის შენიშვნა:

შენიშვნა: გადიდება ცალკეულ მეურნეობათათვის თვითდაბეგვრის რაოდენობისა, რაც [illegible] ამ მუხლით დადგენილ წესისამებრ აკრძალულია“.

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარე: **მ. ცხაკაია.**

საქართველოს სსრ სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **ფ. მახარაძე**

სრულიად საქართველოს ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი— **ს. თოდრია.**

1929 წ. დეკემბრის 25
თბილისი — სასახლე.

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

საქ. კ. პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის მ.-გ. ქალთა განყოფილება აცხადებს, რომ დღეს, 19 იანვარს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე მოწვეულია საქ. კ. პ. (ბ) უჯრედების წევრ და კანდიდატ ქალთა ორგანიზატორების თათბირი. თათბირის დღის წესრიგში დასმულ საკითხის დიდი მნიშვნელობის გამო მოწვეულ პირებს წინადადება ეძლევა უცილობლივ და დაუგვიანებლად გამოცხადდნენ.

—:—

საქ. კ. პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტი აცხადებს, რომ დღეს, საღამოს 6 საათზე, ქალაქის რაიკომის ბინაზე შესდგება კომუჯრედების აგიტპროპორგანიზატორების თათბირი ყველა წრეების და პარტსკოლების ხელმძღვანელებთან და მამასახლისებთან ერთად. დღის წესრიგში შემდეგი საკითხებია: 1) სადეკადო სისტემაზე გადასვლის შესახებ; 2) სოცშეჯიბრების შესახებ; 3) უჯრედების აგიტპროპების სამუშაო გეგმების შესახებ, დასწრება სავალდებულოა.

20 იანვარს, საღამოს 6 საათზე, საქ. კ. პ. (ბ) თბ. საოლქო კომიტეტის პარტმუშაობის კაბინეტში (რუსთაველის პროსპ., 21), შესდგება ქალთა სადელეგატო კრებების ხელმძღვანელთა სემინარის მეცადინეობა. დასწრება სავალდებულოა.

—:—

სად. თბილისის მოძრაობის დარგის მე-21 კომუჯრედის ბიურო წინადადებას აძლევს ამავე უჯრედის წევრს ამხ. გ. მამალაძეს 20 იანვარს დღის 4 საათზე გამოცხადდეს უჯრედში ამხ. გოგიბერიძესთან.

—:—

საქ. სახ. ვ. ინს. ა. ლ. კ. კ. ბიურო-კოლექტივის სამთო დარგთან არსებულ № 9 უჯრედის დახურული კრება შესდგება ორშაბათს 20 იანვარს, დღის 12 საათზე, უჯრედის წევრ კანდიდატთა დასწრება სავალდებულოა

ორშაბათს, დღის 2 საათზე საგ.-საპ. განყოფილებაში შესდგება თათბირი, რომელსაც აუცილებლად უნდა დაესწრონ შემდეგი ამხანაგები: ტატულოვი (ა.-კ. საოლქო კომიტეტი), ბუაძიძე და რადიანი (პროლეტ. მწერალთა ასოციაცია).

თბილისის ელექტრო-ანაგებთა სამმართველო (თელასი) ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ამა წლის 17 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა ქსელის განყოფილების გამგის მოადგილე ენერგიული მუშაკი

მიხეილ (მიშა) ეფრემის-ძე მათიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე, საკუთარ ბინაზე—ელექტრონის ჩიხი (1-ლ ელსადგური). გამოსვენება ორშაბათს, 20 იანვარს, 4 საათზე. (ე)

თბილისის ელექტრო ანაგებთა სამმართველოს მუშა-მოსამსახურეთა ჯგუფი ღრმა მწუხარებით იუწყება, რომ ა. წ. 17 იანვარს უდროოდ გარდაიცვალა ქსელის განყოფილების გამგის მოადგილე და ძვირფასი ამხანაგი

მიხეილ (მიშა) ეფრემის-ძე მათიაშვილი

სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, საღამოს 5 საათზე საკუთარ ბინაზე—ელექტრონის ჩიხი 1-ლ ს. ბნოთა ელსადგური, გამოსვენება ორშაბათს, 20 იანვარს, საღ. 4 საათზე. ე)

ბორჯომის რაიაღმასკომი და ქალაქის საბჭო აუწყებს საზოგადოებას, რომ 17 იანვარს უეცრად გარდაიცვალა ქალაქის საბჭოს ტეხნიკოსი

ამხ. ივანე (იანკო) მოსეს-ძე მიხაილოვი

დაკრძალვა მოხდება ქ. ბორჯომში 19 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან—მახარაძის ქუჩა № 15. (დვ.)

ბორჯომის რაიაღმასკომის და ქალაქის საბჭოს მუშა მოსამსახურეები მწუხარებით აუწყებენ საზოგადოებას და ნაცნობ-მეგობრებს, რომ 17 იანვარს საღამოს 7 საათზე უეცრად გარდაიცვალა მათთვის დაუვიწყარი მეგობარი და ამხანაგი ქალაქის საბჭოს ტეხნიკოსი

ამხ. ივანე (იანკო) მოსეს-ძე მიხაილოვი

დაკრძალვა მოხდება ქ. ბორჯომში 19 იანვარს ნაშუადღევის 3 საათზე. გამოსვენება საკუთარი ბინიდან—მახარაძის ქუჩა № 15. (დვ.)

დამწუხრებული მშობლები: დედა მარიამი ბედიაშვილი-ზნამენსკისა, მამა ბორისი პატარა ტუგუ და აზიკოთი, ნინო, ნადია, ანეტა, ვერა, ჟენე და ალექსანდრე ბედიაშვილები, ანიკა და კლავდია ზნამენსკები, კლე, კატო და ლულუ შარაშიძეები, ნინო შარონოვისა, თამარი და ალექსი ვოიტეშევები აუწყებენ ნათესავთ, მეგობრებს და ნაცნობებს, რომ 17 იანვარს, ქ. ქუთაისში გარდაიცვალა მათთვის ძვირფასი და დაუვიწყარი

პატარა ალექო ზნამენსკი

დაკრძალვა ქ. ქუთაისში, 19 იანვარს. 325

ზაქარია, ივანე და მიხეილ დავითის ძენი ყიასაშვილები შვილებით, და ანა ყიასაშვილი, ივერი და ეკატერინე გოქელაძე შვილებით, კონსტანტინე ნაცი[illegible]ე ოჯახით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივ ავადმყოფობის შემდეგ 18 იანვარს გარდაიცვალა მათი მოხუცი დედა და სიდედრი

მარიამ (მაკა) ივანეს ასული ყიასაშვილისა

გამოსვენება ორშაბათს 20 იანვარს, 4 საათზე, ბინიდან—ბესიკის ქ. № 24. 320

მეუღლე ტერეზე, შვილები: შოშიკო, რახილ, ვენერა, თამარ (ჭუჭულა) მანია და პავლუშა იუწყებიან, მათთვის ძვირფასი

ალექსი ივანეს ძე ზერიძის

გარდაცვალებას. სამოქალაქო პანაშვიდი დღეს, 6 საათზე, ყოფ. ალექსანდრეს საავადმყოფოს პროზექტურაში. გამოსვენება სამშაბათს, 21 იანვარს, 4 საათზე ამავე საავადმყოფოდან. 333

დამწუხრებულნი მეუღლე ფატო, შვილები: კოწია, ლავრენტი, ანდრია, შალვა; ქალიშვილი ცაბურია; რძლები: მათიკო, მარუსია და ქეთო, სიძე ალექსანდრე საკანდელიძე აუწყებენ საზოგადოებას, რომ 17 იანვარს, სოფ. ობჩაში, ხანმოკლე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათთვის უსაყვარლესი და მოამაგე

ბაკა თედორეს-ძე ყიფიანი

დაკრძალვა სოფ. ობჩაში, სამშაბათს, 21 იანვარს, დღის 2 საათზე. ნ. 130

ცოლი ანა გრიგოლის ასული ამიროვა, ბეგიაშვილის, აბრიაშვილის ოჯახები გულწრფელ მადლობას უძღვნიან პროფსაბჭოს, იუსტიციის სახ. კომისარიატის, შრომის სახალხო კომისარიატის თანამშრომლებს, აგრეთვე ყველა ახლო ნათესავებს და ნაცნობებს ტრაღიკულად დაღუპულ

რუბენ ამიროვის

დაკრძალვაზე დასწრებისათვის. 338



ოპერისა და ბალეტის სახ. თეატრი
1929-30 წ. სეზონი

კვირას, 19 იანვარს, მე-3 აბონემ. მე-7 წარმოდგ. ფატმა მუხტაროვას და ნ. ნ. ოზეროვის მონაწილეობით **კარმენი**
ორშაბათს, 20 იანვარს, მე-6 აბონემ. მე-7 წარმ. დამს. არტ. ე. მ. პოპოვას მონაწილეობით **რიგოლეტო.**
სამშაბათს 21 იანვარს, აბონემ. გარეშე, ნ. ნ. ოზეროვის და ალ. პიროგოვის მონაწილეობით **ბორის გოდუნოვი**
ყველა საბონემენტო წარმოდგენებზე ბილეთების ნაწილი დატოვებულია სალაროში ხელზე გასაყიდათ.
ნ. 134

აპოლო — უკანასკნელი დღე **მეორე სიცოცხლე** 20 იანვრიდან—მ ო ა ნ ა
პალასი — პრემიერა **მეზღვაური გალაი**
არფასტო — 1-ლ ხეანხზე არფასტოში კულტფილმი **სიყვარული ბუნებაში** 20 იანვრიდან დადგმა გრძელდება
მინიონი — ბესტერ კეიტონი კომედიაში **სამი ეპოქა** 20 იანვრიდან დადგმა გრძელდება
სოლეი — მხატვრული ფილმი **გორგლების ჭრიალში** 20 იანვრიდან ნ ა მ ქ ე რ ე ბ შ ი
დარბაზი — **პატი არისტოკრატი** ხახ. სიმღერების შემსრულებლის ახლიხანაშვილის და სატირიკოს ანტონოვის გასტრ. 20 იანვრიდან—სასიკვდილო ნომერი
მალე: ზამალუ, ლიანდაგი გუგუნებს. 0—17

ორშაბათიდან 20 იანვრიდან

კინო-აპოლო
მხატვრული ფილმი
მოანა
სამხრეთის ზღვების შვილი

კინო-სოლეი
მხატვრული ფილმი
ნამქერებში
სვაშენკოს, ზოია კურდიუმოვას, ი. კადენსკის მონაწილეობით.

მ ა ლ ე: ჩვენი ქვეყანა 5 წლის შემდეგ.

თბილისის ცირკი
სოც. უზრუნველყოფის სახ. კომისარიატთან არსებული სრ. საქ. ინვალიდთა დამხმარე კომიტეტ. ტელეფონი 8—94.
კვირას, 19 იანვარს
ნ. 113

განსაკუთრებული სანახაობანი გრძელდება
ტრიო იუნკერსის გასტროლები
უკანასკნელი დღეები აკრობატები დიქსი და ტურნისტები ოლტონსი აგრეთვე ცირკის მთელი დასი.
კვირას, 19 იანვარს, დიდი წარმოდგენა დღისით დასაწყისი დღის 2 საათზე.
3—3 დირექცია.



საბჭოთა კავშირში უდიდესი მოძრავი სამეცნიერო-სანახაობელი **სამხეცე** ცხოველთა სამყარო
ჩამოვიდა და ღიაა ყოველ დღე დილის 8 საათ. ღამის 12 ს-მდე.
ჩამოყვანილია 12 ვაგონი სხვადასხვა მხეცები. პირველად თბილისში ბარბარის ლომი, მთის ვეფხი, ჯიქი, ლეოპარდი, ვეფხი, ზებრი, ნიანგი, მახრჩობელა გველები, მფრინავი ძაღლი, დათვები, მგლები, მაიმუნები და ბევრი სხვა ცხოველი. კვება საღამოს 9 საათზე. 1—1 ნ. 1 2

რუსთაველის თეატრი
კვირას 19 იანვარს

კავშირების ვ. ივანოვი
ანზორ
გადმოკ. შანშიაშვილის მიერ „ჯავშანი“ 14—69-დან.
ნ. 128

რუსთაველის თეატრი
სეზონი 1929—1930 წ.

აბონემენტების ყველა სერიების მე-6 გადასახადის ვადა თავდება **20 იანვარს**
ნ. 119 2—2

კინო დარბაზი
ამ დღეებში
ტრიო ბრიანსკი!
გასტროლები
შაირები, ცეკვა-თამაში და სხვ.
ნ. 133

თვითგანვითარებისთვის და საშემოდგ. გამოცდებისათ.
ვამზადებ მოწაფეებს
7 წლ. და 10 წლედ. დამთავრებულებს სპეც-ტექნიკუმში: ინდუსტრ. ქიმიურ. ფარმაც. **უმაღლეს სასწავლებელში,** მე-9-რე ჯგუფ. შე ასვლელად, შემდეგ საგნებში: არითმეტ. ალგებ. გეომ. ტრიგონომ. რუსულსა და გერმანულ ენაში, ვასწორებ ჩამორჩენილ და სუსტს მოწაფეებსაც. ნახვა და ჩაწერა 1-7 საათამდის მისამართი: კარლ მარქსის მოედნის ახლოს ყოფ. (ვორონცოვის მოედანი). პლეხანოვის და ალექსის ქუჩის კუთხე № 5. იკითხეთ მასწავლებელი მ ქუდის სახელოსნოში, ან საპარიკმახეროში. 5 5 161

დაკარგულია და გაუქმებულ. ჩაითვალოს

აღმასრულებელი ფურცლები სიღნაღის უბნის სასამართლოდან—ნუქრიანთა მცხოვრებ, რამანა ნინიკას ძე ქართველაშვილის, იანო ყარამანის-ძე მჭედლიშვილის, ლევანა ნიკოს-ძე ელიზბარაშვილის, დათა სტეფანეს-ძე ნასყიდაშვილის, ბოდბის მცხ. ი სვ გლახას ძე ლეკიაშვილის, ნიკა ლუარსაბის-ძე ლოლაშვილის, ნუქრიანთა საკრედიტო ამხანაგობის სახელზე. 332

ქუთაისის 1 უბ. სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ი. მილორავა

აცხადებს, რომ 30 იანვარს 1930 წ. დღის 2 საათზე, ნიკოლოზის ქ. № 5, ქ. ქუთაისში **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის დანიელ გაბრიელის ძე იაკობიშვილის უძრავ ქონებას ერთი ერთი სართულიანი ქვიტკირის სახლს, დახურულს ყესტით, რომელიც შესდგება ხუთი საცხოვრებელი ოთახისაგან შესავლით და უკან აივნით და ერთი საკუჭნაოსაგან და ბ) ამ სახლზე მიშენებული ერთი ორ სართულიანი ქვიტკირის, დახურული კრამიტით სახლი, რომლის ძირა სართული შესდგება ორი სამზარეულოსაგან, ორი საწყობისაგან და ერთი ხის ფარდულიდან და ზედა სართული სამი საცხოვრებელი ოთახისაგან შუშაბანდით და ერთი თვალ საკუჭნაოსაგან, შეფასებულია სამი ათას ხუთას მანეთად აღნიშნული ქონება იყიდება ზაკგოსტორგის და სხვ. ვალის დასაფარ ვად - ვაჭრობა დაიწყება შეფასებითი თანხიდან და ვისაც სურს საჯარო ვაჭრობაში მონაწილეობის მიღება უნდა წარმოადგინოს საბუთები, აღნიშნული სამ. კოდ. 311 მუხ. და საწინდარი 10-პროც. შეფასებითი თანხის. 327

თანახმად ს.ს.რ.კ. ცაკის და სახკომსაბჭოს 1929 წ. 4 სექტ. დადგენილებისა. რომელიც გამოქვეყნებულია გაზეთ „იზვესტია“-ს № 207-ში 1929 წ. 8 სექტ. და „ზარია ვოსტოკა“-ს № 220 1929 წ. 25 სექტ., 1929 წ. 1 ოქტომბრიდან

შემოღებულია სავალდებულო დაზღვევა უძრავ-მოძრავ ქონებაზე

სახელმწიფო (მათ შორის კომუნალურ) დაწესებულებათა და წამოწყებათა, რომელნიც იმყოფებიან სამეურნეო ანგარიშზე, ან ადგილობრივ ბიუჯეტზე.

სავალდებულო დაზღვევა ვრცელდება აგრეთვე შერეულ სააქციო საზოგადოებათა (რომლებშიაც უცხოეთის კაპიტალი არ მონაწილეობს) და აგრეთვე პროფ. და საზოგადოებრივ ორგანიზაციების ქონებაზე. დაზღვევის პრემიის გამოანგარიშება და შეტანა უნდა ხდებოდეს თვით დამზღვეველების მიერ, თანახმად სპეციალურ წესებისა, ინსტრუქციისა და ტარიფებისა, რომელთა მიღება შეიძლება თბილისში, საქ. სახდაზღვევის სამმართველოდან (აღმასკომის ქ. № 8), ადგილებზე კი საქ. სახდაზღვევის კანტორებიდან და სააგენტოებიდან.

საქ. სახდაზღვევის სამმართველო აუწყებს ზემოაღნიშნულ დაწესებულებებს, რომ მათგან კუთვნილი დაზღვევის გადასახადი უნდა შეტანილ იქნას ადგილმდებარეობის მიხედვით, სახელმწიფო ბანკის განყოფილებებში, მიმდინარე ანგარიშზე, ხოლო სადაც ასეთი არ მოიპოვება, უშუალოდ საქ. სახდაზღვევის კანტორებში და სააგენტოებში არა უგვიანეს ორი კვირისა დღიდან ამ განცხადების გამოქვეყნებისა.

აღნიშნულ ვადის გასვლისას დამზღვეველთ დაერიცხებათ საურავი.

საქ. სახდაზღვევის სამმართველო.

2—2 ნ. 122

თბილისის საოლქო აღმასკომის ადგილობრივი მრეწველობის განყოფილების ტრესტებს შორის სამრეწველო საწარმოების გადანაწილების შესასრულებლად, მათი ნაწარმოო ნიშნების მიხედვით, თანახმად თბილისის საოლქო აღმასკომის პრეზიდიუმის 1929 წლის 16 სექტემბრის დადგენილებისა № 2, **„ახალმშენი“**-ს გათბობისა და ვენტილიაციის განყოფილება მთელი თავისი პასივით და აქტივით **გადავიდა** თბილისის ელექტრომექანიკური და ლითონის დამმუშავებელი ტრესტის („თემტრესტი“-ს) გამგებლობაში.

„ახალმშენი“-ს მიერ დადებული ხელშეკრულებებით ყველა სამუშაოებს ასრულებს **„თემტრესტი“.**

განყოფილების სათავეში რჩება ისევ ინჟენერი **ბუხბოლცი.**

ვენტილიაციისა და გათბობის ყველა სამუშაოებისათვის უნდა მიმართოთ „თემტრესტ“-ს შემდეგი მისამართით: ქალ. თბილისი, კლარა ცეტკინის ქ. № 190.

თემტრესტის მმართველი **კოჩეტკოვი**
ნ. 135 ახალმშენის მმართველი **სერედა.**

ლაგოდეხის სახ. სასამართლოს აღმასრულებელი
ივანე ბიძინაშვილი

აცხადებს, რომ 19 იანვარს, დღის 12 საათზე **საჯარო ვაჭრობით** გაყიდის ლევან მიკირტიჩიანცის შემდეგ მოძრავი ქონებას: შკაფი, კამოდი და სხვა და სხვა წვრილმანი ავეჯეულობა თანახმად აღმასრულებელ ფურცლისა, რომელიც გაცემულია ლაგოდეხის უბნის სახ. სასამართლოს მიერ 1924 წ. 23/X № 1032. აღნიშნული ავეჯეულობა ისყიდება ლაგოდეხის საკრედიტო ამხანაგობის ვალის დასაფარავათ. საჯარო ვაჭრობა შესდგება ლაგოდეხის სამომხ. საზოგადოებასთან. ნ. 129

საქ. პროფკავშირების გამომცემლობა
შრომა
გამოვიდა და იყიდება
„ბრძოლა ჰეგემონიისთვის“
ბენიტო ბუაჩიძის

შინაარსი:
ქართული მწერლობის გზები ქართული მწერლობის გზები. კლასიური ბრძოლა მწერლობაში. ძველი ტიკი ძველი ღვინო „არიფიონი“. რა არ ნიშნავს თანამგზავრობას.
ლიტერატურული პოლიტიკის საკითხები მხატვრულ ლიტერატურაში მუშაობის შესახ. ბარიკადები ნიალიდან და შემბარიდან. მემარცხენე სამხრეთის წინაშე ლიტერატურაში. მოხალისე ექიმები ანუ ვინ იცავს პროლეტარულ მწერლობას. ლიბერალური კრიტიკის [illegible]. ლიტერატურაში კლასიური ბრძოლის მიჩქმალვის ცდა სოციალიზმის საფარით. კლასიური ხაზის მქადაგებელი.
პროლეტარული მწერლობის ამოცანები პროლეტარული მწერლობის ათი წელი. პროლეტარული მწერლობის ამოცანები. ავადმყოფური მოვლენები პროლეტარულ ლიტერატურაში. ჩვენი დროის გმირი. მეგრელობა მომავალი საქმეების გამო.
დამატებანი. ფასი 1 მ. 80 კაპ.

II. **დანიელ ჭონქაძე და მისი დრო**
ფილიპე მახარაძის

III. **პროვინციის მთვარე**
სერგო კლდიაშვილის

შინაარსი:
პროვინციის მთვარე. სავრაზარდა. ქალაქი ხევში. დიდი შაბათი. თუთიყუში. ნ. 135

კურორტი წყალტუბო
სეზონი მთელი წლის განმავლობაში. დადგა ნათელი და თბილი ამინდები.
აბაზანების შენობა და სამკურნალო ხელსაწყოები სავსებით შეფარდებულია ზამთრის პერიოდისათვის.
მიმოსვლა ავტომობილებით. ქუთაისიდან მგზავრობას უნდა 15 წუთი. კურორტზე: სასტუმროები, ოთახები, ცალკე საწოლები, სასადილო. ნ. 116 2—2

საქართვ. წითელი ჯვრის
ამხ. ს. ორჯონიკიძის სახელობის (ყ. გერმანელების)
საავადმყოფო და პოლიკლინიკა
(კამოს ქ. № 54, სანაპირო № 15—ტელეფ. № 9—17)

საავადმყოფოს განყოფილებები:

ქირურგიული — — —	გამგე პროფ.	ა. მაჭავარიანი.
გინეკოლოგიური — —	„ პროფ.	გ. ლამბაჯაშვილი
თერაპევტიული — —	„ პროფ.	ა. ალადაშვილი
სამეანო — — —	„ პროფ.	ი. თიკანაძე
რენტგენის ლაბორატორია — —	„ ექიმი	ბ. ნაზარიშვილი.

პოლიკლინიკა:

		მიღება
ზემოჩამოთვლილ დარგების კაბინეტებში კონსულტანტებათ არიან იგივე პროფესორები:		11 ს.—1 ს.
ტუბერკულოზის კაბინეტში	დოც. ი. აბაკელია	12 ს.—2 ს.
ბავშვთა ავადმყოფობის კაბინ.	ექ. მ. უგრელიძე	2 ს.—4 ს.
თვალის სნეულებათა „	პროფ. მუსხელიშვილი	2 ს.—4 ს.
ვენერიულ „	ექ. ა. ჯაგრიშვილი ექ. თოფურიძე კონსულტანტათ პროფ. ბურგსდორფი	4 ს.—6 ს.
ყელ-ყურის და ცხვირის კაბ. პროფ. ახპატელი მიიღებს მხოლოდ		3 ს.—4 ს.
ამავე კაბინეტში მიღებას აწარმოებენ სხვა ექიმები		11 ს.—1 ს.
ნერვიული სნეულების	ექ. [illegible]	3 ს.—5 ს.
კანის სნეულების	ექ. ტოტიბაძე	12 ს.—3 ს.

პოლიკლინიკაში ავადმყოფებს გადახდებათ - ერთი მან. ნ. 111 3 2

ს.ს.ს.რ. სახალხო კომისარიატის მიერ დამტკიცებულ მოძრაობისა და ცეკვის ხელოვნების ინსტიტუტი
სერგეი ლისიციანისა
სპეციალურ სასწავლებლის უფლებებით

ფაკულტეტები	სასცენო	მოცეკვავეთა მომზადება და მოძრაობის წრთვნა, კინო, ოპერა და დრამისათვის.
	პედაგოგიური	მასწავლებელთა მომზადება მოძრაობის ხელოვნებისათვის.

აღმზრდელობითი განყოფილება ბავშვებისა და მოზარდთათვის 4-დან 15 წლამდე.
კურსდამთავრებულნი მიიღებენ სათანადო ატესტატს. განცხადებები მიიღება ყოველდღე, გარდა კვირისა 5—7 საათამდე. აიარუნის შენობაში, ძერჟინსკის ქ. № 6 (ყოფ. პეტრე დიდისა) 316

ექიმები და სამკურნალო დაწესებულებები:

პ. ს. ფონ-ირზელი პლეხანოვის პრ. № 10 (ყ. ვორონცოვის მოედნის მახლობლად). სპეციალურად საშარდე-სასქესო, ვენერიული, კანის, ქირურგიული ავადმყოფობანი, სიფილისი და სხვ. (სქესობრივი უძლურება, ტრიპერის, სიფილისის, ბუასილის და სიმსივნეთა მკურნალობა). ავადმყოფების მიღება დილის 8—12 საათამ, დღ და საღ. 5—8 საათ. ქალების მიღება დღის 1—2 საათ. 13—1

დ. ლ. თევზაძე ყელის, ყურის და ცხვირის სნეულებათა—ხმის და მეტყველების მოშლილობათა. აქვე სპეციალურად არის მოწყობილი ფიზიო-ტერაპიული მეთოდებით მკურნალობა. მიღება: საღამოს 5—7 საათ. გარდა კვირა დღეებისა. პონქაძის ქ. № 6 (ყ. ბუდოგოვის) სოლოლაკში. ტელ. 25—73. 5—12

ა. ვ. მიკაბერიძე პარიზში 1923 წ. დაამთავრა „სილამაზის ინსტიტუტი“ მახაკი სახის, კისრის, ხელების და თმის მკურნალობა. ელექტრ. ორთქლის ვანები და ახალი ელექტრო-აპარატები კანის სილამაზის დასაცავათ. ძნელაძის ქუჩა (ყოფ. საპიორის) 19. იღებს დილით 10-დან 3-მდე და საღამოს 5—8 დე. შესასვლელი ძნელაძის შესახვევიდან. 25—12

კ. ი. ჯალალოვი ავადმყოფების მიღება (კანისა და ვენერიული სნეულებანი) სიფილისი, შეშაპუნება „914“ ტრიპერისა და მისი შედეგების მკურნალობა. მამაკაცთა მიღება დილით 7—1 ს. საღამოს—6—9 საათ. ქალები და ბავშვების მიღება 1—6 საათამდე. მისამართი: კამოს ქუჩა, № 14 ყოფ. დიდი მთავრის ქ., კარლ მარქსის მოედნის მახლობლად. ტელეფონი 1—91 552

ი. ი. გერიშვილი ვენერიული, საშარდე-სასქესო ორგანოების სიფილისი და კანის ავადმყოფობა. დილით 6—1 საათ. საღამოს 5—8 საათ. ქალებისათვის ცალკე შესავალი, სასტუმრო „ევროპას“ (ყოფ. „ნოე“-ს პირდაპირ, ჩოდრიშვილის და პლეხანოვის შესახვევი № 8. 25—1

ტერ-ოვაკიმოვი სპეციალურად ექიმობს სქესობრივ ფუნქციონალურ მოშლილობას სქესობრივი [illegible], ფსიქოტერაპია. მიღება დილით 10—12 საათამდე, საღამოს 5—7 საათამდე ა.-კ. ფედერაციის ქ. (ყოფ. ვილიამინოვის) № 22. 25—1

ქვემოდ ჩამოთვლილი დოკუმენტები

(დაკარგული და მოპარული) ჩაითვალოს გაუქმებულათ.

- — ლომბარდის ქვითარი № 18498. 319
- — განათლ. მუშაკთა კავშ. წიგნ. № 7539—ელენე ერმალოს ასული ურუშაძეს სახელზე. 321
- — ინვალ. მო. მ. - იასონ ლეკიშვილის სახელზე. 322
- — სამხედრო ბარათი—ვასო მაზმიშვილის სახელზე. 323
- — მ. ტრ. № 01623. გაცემ. ს.ს. პ. ინსტიტუტის მიერ—გიორგი ალექსანდრეს ძე კანდელაკის სახელზე. 324
- — პასპორტი დავით მამულოვის სახელზე. 326
- — რუსთ. თეატ. პირველი აბონ. სერია „ა“ ლოჟა ბელეტაჟი № 3—ნიკოლოზ თარხნიშვილის სახელზე. 328
- — მეტრ. ამონაწ.- იორდანე ძინარაშვილის სახელზე. 329
- — სამხ. აღრ. ბარ.—აქსენტი ვლადიმერის ძე დეკანოსიძეს სახელზე. 334
- — კომუნ. კავ. შ. საწ. წიგნ. № 4580 და ქუთ. სამკურნალო არტელში ნამსახ. მოწ. მ, სევარი ყაფლანის ასული მღლაძეს სახელზე. 330
- — პირად. მოწმ. № 601 - კონსტანტინე ლუარსაბის-ძე ქვათაძეს სახ. 331
- — მეტრ. ამონაწ. № 4590 - ვახტანგი ბაგდასაროვის სახელზე. 334
- — უვადო პირად. მოწმ. № 155 ისააკ თადიდიშვილის სახელზე. ნ. 13
- — კოოპ. საწ. წიგნ. საშა ფიჩხაძეს სახელზე. ნ. 13
- — კოოპ. წიგნ. № 764 - ნიკოლო ახალაძეს სახელზე. ნ. 13
- — კოოპ. წიგნ. № 60—დავით ახალაძეს სახელზე. ნ. 13
- — კოოპ. წიგნ. № 199/8 05—ნადია ბანძელაძეს სახელზე. ნ. 131
- — ქუთ. საოლქო ღლეხკომის კაუჩუკის ბეჭედი. ნ. 131
- — კავშ. წიგნ № 6683 და სამხ აღრ. ბარ.—ევგენი შანიძეს სახ. ნ. 131
- — ბაბინაო დავთარი, გაცემ. ქუთ. მილიც. მიერ ვალოდია გოძუაშვილის სახელზე. ნ. 131
- — საშუალო სასწავლ. დამთ. მოწმ. № 823 მიხეილ შარაბიძეს სახ. 337
- — სამხ. წიგნ. კონსტანტინე მგალობლიშვილის სახელზე. 334
- — თბ. მუშკ. საწ წიგნ. № 11333 გაც. სერგო ალდიაშვილის სახ. (უფ.)
- — კოოპ. წიგნ. № 1356—აქსენტი ჩილაჩავას სახელზე. 335
- — პირად. მოწმ. აკაკი მიხას ძე ლაკიას სახელზე. 33

ტირაჟი—46.733
პოლიგრაფტრესტის მე-6 სტამბა, კამოს ქუჩა № 68.
მთავლიტი № 904